

კ. ვ ე რ ი ბ ი



# სეტეგის სიღყეღმამა



„ ნაკადული “  
თ ზ ი ლ ი ს ი

902 . 6  
902 . 6 + 9] (35)  
კ 41

თარგმანი  
თ. თაქთაქიშვილისა



XX საუკუნის გარიჟრაჟზე არქეოლოგიურ აღმოჩენათა შედეგად ცნობილი გახდა, რომ ძვ. წ. II ათასწლეულში საქართველოს სამხრეთით, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, არსებობდა ძველი სამყაროს ერთ-ერთი ცივილიზებული ხალხის — ხეთების იმპერია, რომელიც თავისი სიძლიერით არ ჩამორჩებოდა ძველი ეგვიპტისა და ბაბილონის იმპერიებს. ამ ხალხის კულტურის, დამწერლობის აღმოჩენასა და შესწავლაზე, თვით არქეოლოგებსა და წარწერათა გამშიფრელებზე მოგვითხრობს ცნობილი გერმანელი ჟურნალისტის კ. კერამის პოპულარული წიგნი „ხეთების საიდუმლოება“.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ეს ნაშრომი მიძღვნილია ხეთების იმპერიის აღმოჩენის ისტორიისადმი. შემეძლო მისთვის „კლდეთა წიგნი“ მეწოდებინა და ყოფილიყო მეხუთე ნაწილი და გაგრძელება უფრო აღრე გამოქვეყნებული იმ ოთხი წიგნისა, რომლებიც ერთ, „არქეოლოგიურ რომანად“ გავაერთიანე სათაურით: „ღმერთები, აკლდაშები და მეცნიერები“.

წინამდებარე წიგნში საუბარია არქეოლოგებზე, იმ გათხრებზე, რომლებიც მათ აწარმოეს, მოგზაურებზე, ლინგვისტებსა და წარწერათა გამშიფრებლებზე. არქეოლოგიური ძეგლების ინტერპრეტაცია საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ისტორია ხეთების სახელმწიფოსი, რომელსაც ამ რამდენიმე ათეული წლის წინ მხოლოდ თითო-ოროლა სპეციალისტი თუ იცნობდა. ამავე დროს, ეს „მეხუთე“ წიგნი განსხვავდება მასზე აღრე გამოსული წიგნებისაგან. ვერ შეგპირდებით, რომ ისევე, როგორც წინა წიგნებში, აქაც გიამბობთ „ამაღელვებელ თავგადასავლებს“. ხეთოლოგ-პიონერთა შორის არ იყვნენ ისეთი პიროვნებები, როგორიც იყო ქ. ტროას აღმოჩენი შლიმანი, ათლეტი ბელკონი, ექიმი ბოტა, ანდა კონსულები ლეი-არდი, სტეფენსი და თომპსონი. თანაც, ხეთების ცივილიზაციის ზონაში არ აღმოუჩენიათ ისეთი მდიდარი და ბრწყინვალე განძეულობანი, როგორც ეგვიპტეში, არ წაწყდომიან არც ერთ ისეთ სამარხს, რომლებშიც, ქალღეველთა ქალაქ ურის სამეფო სამარხების მსგავსად, აღბეჭდილი იქნებოდა ისტორიის გარიყრაჟზე მომხდარო დრამატული ამბების კვალი. ამან, ერთი შეხედვით, შეიძლება იმედი გაგიცრუოთ. მართალია, ხეთი მეფეები არ იყვნენ ხელოვნების მფარველი მეცენატები და არ აგროვებდნენ განძეულობას, ისე როგორც აღმოსავლეთის

სხვა მბრძანებლები, მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი განაგებდნენ იმპერიას, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის წინა აზიაში მესამე დიდ სახელმწიფოდ ითვლებოდა ეგვიპტისა და ასურეთ-ბაბილონეთის იმპერიების თანაბრად.

მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, ჩემი წიგნი დააინტერესებთ იმათ, ვისაც სწორად ესმის ურისა და ალაღახის აღმომჩენის—ულის სიტყვები: „არქეოლოგისათვის ახალი ცნობების შექენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელოვნების ახალი ნიმუშების აღმოჩენა“.

რაც შეეხება ახალი „ცნობების შექენას“, ჩემს მკითხველებს შემოძლია შევხიროდე, რომ ისინი კმაყოფილი დარჩებიან. მათ პირველად ექნებათ შესაძლებლობა წაიკითხონ სრულად და დეტალურად გადმოცემული ამბავი, რომელშიც აღწერილია ხეთების ცივილიზაციის აღმოჩენის უჩვეულო ისტორია. აქამდე იმ წიგნებში, რომლებიც ხეთებზე იწერებოდა, ამ საკითხს მხოლოდ რამდენიმე გვერდს უთმობდნენ წინასიტყვაობაში ან შესავალში. ამჯერად კი მკითხველები გაეცნობიან ახალ სამყაროს, რომლის შესახებაც ისტორიული წიგნები აქამდე სდუმდნენ.

მე „ხეთოლოგიის რომანი“ არ დამიწერია. ხეთოლოგია ღარიბია თავგადასავლებითა და მდიდარი ფანტაზიებით. უბრალო მოთხრობის საშუალებით შევეცადე დეტალურად გადმომეცა არქეოლოგიურ ძიებათა ზოგიერთი მეთოდი, სახელდობრ ისინი, რომლებიც წარწერათა გაშიფვრისა და ქრონოლოგიის დადგენის საშუალებას იძლევა.

ისევე, როგორც წინა შრომებში, აქაც წავაწყდი ისეთ სიძნელეს, როგორიცაა საკუთარ სახელთა სწორად გადმოცემა. სპეციალურ ნაშრომებში ამ მხრივ დიდი უთანხმოებაა. არ არსებობს ერთი საერთო წესი, რომელიც ყველა ენაში იქნება გამოყენებული კლასიკური ხანისა და თანამედროვე თურქულ სახელწოდებათა გადმოცემისას. უხერხულობანი რომ თავიდან ამეცილებინა, ვარჩიე მიმეღო ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორის ო. რ. გერნის მიერ შემოთავაზებული წესი საკუთარ სახელთა გადმოცემისა.

დასასრულ, მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინაც და-



ხმარება გამიწია. მე ვერ დავწერდი წიგნს ჯერ კიდევ დაუხარულ  
ლებელ გამოკვლევათა შესახებ, საშუალება რომ არ მქონოდა,  
დამეთვალთვალებინა გათხრების უმთავრესი ადგილები. ჰამბურ-  
გის უნივერსიტეტის პროფესორის კარლ რათიენის შუამდ-  
გომლობით, რომლისგანაც დიდად დავალებული ვარ. მიმი-  
წვიეს სტამბოლში ორიენტალისტთა 22-ე კონგრესის მუშაობა-  
ში მონაწილეობის მასალებად. ნაყოფიერი შეხვედრების გარ-  
და, ამ კონგრესმა საშუალება მომცა მონაწილეობა მიმელო  
ექსკურსიებში, რომლებიც ცნობილ მეცნიერთა ხელმძღვანე-  
ლობით მოეწყო იმ ადგილებში, სადაც ოდესღაც ხეთების სა-  
მეფო მდებარეობდა; თურქეთის სიძველეთა მუზეუმის ყოფი-  
ლი გენერალური დირექტორის დოქტორ ჰამიდ ზუბეირ ქო-  
შაის ხელმძღვანელობით, რომელმაც აღმოაჩინა ეს ადგილი,  
ვნახე ალაჯა-პუიუქი. მადლობას ვუძღვნი ნიმეთ ოზგუნს — ქი-  
ულ-თეფეს გათხრების ხელმძღვანელის მეუღლეს—ყველა გან-  
მარტებისათვის და პროფესორ კურტ ბიტელს, გერმანიის არ-  
ქეოლოგიური ინსტიტუტის ახლასდელ დირექტორს სტამბოლ-  
ში, რომელმაც საშუალება მომცა დამეგლო ბოლაზ-ქოი და ია-  
ზილიკაია. ამ ადგილებში იგი ხელმძღვანელობდა გათხრებს 1931  
წლიდან 1939 წლამდე. სწორედ პროფესორმა ბიტელმა გამაც-  
ნო ხანგრძლივი საუბრების დროს სტამბოლში უკანასკნელი  
გათხრების შედეგები და, საერთოდ, ხეთების ისტორია.

დიდად დავალებული ვარ სტამბოლის უნივერსიტეტის  
პროფესორ დოქტორ ჰელმუთ ტ. ბოსერტისაგან, რომელმაც  
აღმოაჩინა ყარა-თეფეს ძეგლები და თვითონვე ხელმძღვა-  
ნელობდა იქ ჩატარებულ გათხრებს. მან თავიდანვე უშუ-  
ალო მონაწილეობა მიიღო ჩემი გეგმების განხორციელე-  
ბაში. 1951 წლის შემოდგომაზე, პირველი წვიმების დაწყებამ-  
დე, მე მისი ექსპედიციის სტუმარი ვიყავი. არასოდეს დამავი-  
წყდება ეს სტუმართმოყვარეობა ჭუნგლებში, ამ შრომითი ატ-  
მოსფეროს გულითადობა, საუბრები საღამოობით მრგვალი მა-  
გილის ირგვლივ და ტურების კვილა; რომელიც შორიდან  
მოისმოდა. ასევე ვერ დავივიწყებ ხანგრძლივ პაექრობებს  
ახალ აღმოჩენათა შესახებ დოქტორ ბაჰადირ ალქიმთან და  
დოქტორ ჰალეთ ჩემბელთან, აგრეთვე ექსპედიციის მეორე

სტუმარ მღვდელ ო'კალაგანთან (მოგვიანებით იგი ბაღდადთან დაიღუპა) და დოქტორ მუჰიბე დარგასთან, პროფესორ ბოსერტის ყველაზე ახალგაზრდა მოწაფესთან.

ულრმეს მადლობას ვუძღვნი დოქტორ ბაჰადირ ალქიმსა და მის მეუღლეს ქალბატონ ჰანდან ალქიმს: მათ არა მარტო გულითადი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს ჩემი მეორედ ყოფნის დროს ყარა-თეფეში 1953 წელს, არამედ დოქტორმა ალქიმმა გადაიკითხა კიდეც ამ წიგნის პირველი მოკლე მონახაზი. მე მისგან ბევრი ძვირფასი მითითება მივიღე. დაბოლოს, დიდი დახმარება გამიწიეს წიგნის დამთავრების შემდეგ, უკვე მეორედ, პროფესორმა ბოსერტმა და აგრეთვე მარგარიტა რიმშნაიდერმა (შვერინი) იმით, რომ გადახედეს ხელნაწერს და დამეხმარნენ ზოგიერთი შეცდომის შესწორებაში, რაც ყოველთვის თან ახლავს ასეთ სამუშაოს.

კ. ზ. კ ე რ ა შ ი



## I. არსებობის საილუმოება

### აღმოჩენა და წინათგანმოცა

როდესაც შორეულ, წინაისტორიულ ეპოქაში, ახალგაზრდა ლეანდრე ჰელესპონტს გადასცურავდა ხოლმე, რათა გულში ჩაეკრა თავისი სატრფო ჰერო, ამით ის აზიას ევროპასთან აკავშირებდა. ხმელთაშუა და მარმარილოს ზღვებს შუა არსებული სრუტე — ჰელესპონტი (უფრო დარღანელის სახელით ცნობილი), არა გამყოფი, არამედ შემაერთებელი ხიდი იყო მცირე აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას შორის. სწორედ ამ სრუტით შეიჭრნენ ეგეოსელები საბერძნეთში; იგივე სრუტე გადალახა 480 წ. ძვ. წ. სპარსეთის მეფე ქსერქსე I-მა, ხოლო დაახლოებით 150 წლით გვიან ალექსანდრე დიდმა ბერძენთა არმია მცირე აზიაში ჰელესპონტით გადმოიყვანა.

წინაისტორიული ხანიდან მცირე აზია — თანამედროვე თურქეთის ტერიტორია — შეიარაღებულ არმიათა მთავარი გზა და ბრძოლის ველი იყო. იგი იყო ქურა, სადაც იწრთობოდნენ ახალ-ახალი ხალხები.

აქ მკაცრი კანონი კარნახობდა ისტორიის შემდგომ მსვლელობას, მის ერთ ადგილას გაყინვას, ანდა გადარჩენას. საკითხის გადაჭრის ერთადერთი საშუალება იყო ის, რომლის სიმბოლური მაგალითიც ალექსანდრემ გორდიას ნასკვის გაკვეთით მოგვცა.

აი, ამიტომაც ძვ. წ. XX ს.-ში, ინდოევროპელი ხეტების

მცირე აზიაში შემოქავეის დროს, ამ ასპარეზზე დატრიალებული ამბები ასე აქტუალური რომ არის ახალი წელთაღრიცხვის XX ს.-ის ადამიანებისათვის. ხეთოლოგ ალბრეხტ გიოტცეს აზრით, „ეს იყო ყველაზე ადრეული პერიოდი, როცა ინდოევროპელი ხალხები ცივილიზებულ სამყაროში შეიჭრნენ... ეს შესევა იყო პირველი ისტორიული კონფლიქტი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის...“

არანაკლებ უცნაურობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხალხი, რომელიც ამ ეპოქალური კონფლიქტის განმსახიერებლის როლში გამოვიდა, თვითონ სულ რამდენიმე ათეული წლის წინ იქნა აღმოჩენილი. მით უმეტეს გასაოცარია, რომ არქეოლოგებმა ასე სწრაფად და საკმაო სიზუსტით შესძლეს აღედგინათ ხეთების ისტორია, გაეშიფრათ და გამოეცნოთ სამი ათასზე უფრო მეტი წლის წინ გამჭკალი ერის დამწერლობა და ენა.

ამ წიგნის მიზანია აღწეროს ძიებანი და გათხრები, გადმოსცეს არქეოლოგებისა და ლინგვისტების მიერ გამოყენებული ის მეთოდები, რომელთა მეშვეობით ასეთი საოცარი შედეგები იქნა მიღწეული.

ამ ორი საუკუნის წინ დიდრომ და დალამბერმა გამოსცეს ენციკლოპედია — სხვადასხვა მეცნიერებათა და ხელოვნების პირველი დიდი ლექსიკონი. მას შემდეგ ამა თუ იმ მეცნიერების წინსვლის შემოწმების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს სიტყვათა თანამედროვე განმარტებების შედარება ძველ ლექსიკონებთან.

ამ მხრივ შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს სიტყვა „ხეთების“ ახსნა მეიერისეულ „ახალ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“, რომელიც გამოქვეყნებულია 1871 წ. იქ ვკითხულობთ: „ქანაანელი ტომი, რომელსაც ისრაელები პალესტინაში შეხვდნენ, დასახლებული იყო პებრონის მიდამოებში, ამორიტების სამხრეთით, მათ მეზობლად. მოგვიანებით მათ ვხვდებით უფრო ჩრდილოეთით, ბეთელის მიდამოებში. სოლომონმა დაიმორჩილა ხეთები და დაადო ხარკი. უფრო გვიან, სირიის მახლობლად არსებობდა ხეთების დამოუკიდებელი ტომი, რომელსაც მეფე მართავდა.“

ლექსიკონში მხოლოდ შვიდი სტრიქონია მიძღვნილი ხეთებისადმი! ეს განპარტება ორმაგ ნაკლს შეიცავს: იგი მოკლეცაა და მცდარიც. ავტორი კმაყოფილდება ამონაწერით „ძველი აღთქმიდან“, სადაც ხეთებზე მცირე ცნობებია მოცემული.

მოკლედ, 1871 წ. ისტორიკოსებმა თითქმის არაფერი იცოდნენ ხეთებზე.

ახლა უკვე ცნობილია, რომ ძვ. წ. II ათასწლეულში ხეთებს ჰქონდათ ძლიერი სახელმწიფო, რომ მათი ჰეგემონია ვრცელდებოდა მთელ მცირე აზიაზე სირიამდე და რომ მათმა მეფეებმა დაიპყრეს ბაბილონი და წარმატებით ებრძოდნენ ეგვიპტელებს. გაუგებარია, როგორ გადაურჩა XX ს.-ის დამდეგამდე არქეოლოგების ბარსა და ისტორიკოსების კრიტიკულ გონებას ისეთი ცივილიზებული სახელმწიფო, რომელსაც საკუთარი დამწერლობა და ორიგინალური იურისპრუდენცია ჰქონდა. მაგრამ ყველაზე გასაოცარი მაინც ის არის, რომ ერთმა ბუჟა აღამიანებმა (ისინი ოცამდე იყვნენ) სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, იმ დღიდან მოყოლებული, როცა ბარის ერთმა დაკვრამ შზის სინათლეზე გამოიტანა პირველი ხეთური ძეგლი, შესძლეს ჩასწვდომოდნენ იმ საიდუმლოებას, რომლითაც მოცული იყო ეს ცივილიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ ბარის ეს დაკვრა ერთ-ერთი ყველაზე უბედნიერესი იყო იმ მომენტთაგან, რაც კი ოდესმე არქეოლოგს წილად ხვდომია! მაგრამ ვიდრე ამის აღწერას შევეუდგებოდეთ, თვალი გადავავლოთ იმ ქვეყანას, რომლის უძველეს წარსულს თანდათან აღვადგენთ მკვლევრებთან ერთად.

მცირე აზია წარმოადგენს აზიის უზარმაზარი კონტინენტის მომცრო ნაწილს. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში უწოდებდნენ მას „მცირე აზიას“, რადგან ფიქრობდნენ, რომ მისი მოხაზულობა და რელიეფი ძლიერ წააგავდა „დიდი აზიას“: ესაა მთებითა და ტერასებიანი ვაკეებით შემოთარგლული მაღალი პლატო. სინამდვილეში ეს შედარება მხოლოდ ნაწილობრივია სწორი. ეს გასაგებიცაა, რადგან ძველად არ იცნობდნენ აზიის კონტინენტის არც ჩრდილოეთს, არც აღმოსავლეთს.

დღევანდელი მცირე აზია მოფენილია რკინიგზათა ქსელითა და საავტომობილო გზებით, რომელზეც მოძრაობს საბარგო მანქანები, ავტობუსები და ტაქაები. მაგრამ უმჯობესია მისი ცხენით შემოვლა: უნაგირზე წამომჯდარი უკეთ ხედავ, რას წარმოადგენს აქამად ეს მხარე და როგორი იყო იგი ოდესღაც. ცენტრალურ ანატოლიაში (ეს სახელწოდება „ამომავალი მზის ქვეყანას“ ნიშნავს) ჯერ კიდევ წაწყდებით ხარებშებმულ დატვირთულ ურმებს, რომელთა თვლების კრიალი რამდენიმე კილომეტრის მანძილზე არღვევს ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს. მზისაგან გადახრუქული, ნაცრისფერსახლებიანი სოფლები სამი ათას ხუთასი წლის წინანდელ სოფლებს მოგვაგონებს, სადაც სახლობდნენ მდიდარი ასურეთიდან აღგილობრივ მცხოვრებლებთან სავაჭროდ ჩამოსული ასირიელი კომერსანტები. ალიზისაგან ნაგები სახლები მცხუნვარე მზისაგან იწვება და სულ მცირე წვიმისაგანაც კი იფშვნება. საერთოდ, ალიზის სახლები ოც წელზე მეტს ვერ სძლებს და როცა ისანი ინგრევა, შემდეგი თაობა უკვე ამ ნანგრევებზე აშენებს ახალს. ასეთია „არქეოლოგიური ფენების“ წარმოშობის პროცესი.

მცირე აზია ფართობით დაახლოებით ესპანეთის, გერმანიის, ანდა აშშ-ის კალიფორნიის შტატის ოდენაა, უფრო პატარა, ვიდრე ავსტრალიის პროვინცია კვინსლენდი. ამბობენ, მცირე აზიის ცენტრში, კაისერში, ზამთარი ისევე ცივია, როგორც ჩრდილოეთ გერმანიაში, ხოლო ზაფხული — ისეთივე ცხელი, როგორც სამხრეთ საფრანგეთში. ტავროსის ხეობაში დღესაც შეხვდებით დათვებისა და მგლების ხროვას, რომლებიც თავს ესხმიან ცხვრების ბაქებს, კლდეებზე კი აფრიკულ ქვემძრომებს, მზეზე რომ თბებიან; ბინდისას ბუჩქებში დაძრწიან აფთრები და ტურები, დამდამობით კი მათი კივილი აყრუებს მიდამოს.

ჩრდილო-აღმოსავლეთში ხარობს ჩაი, სამხრეთ-აღმოსავლეთში — ბამბა და ციტრუსები. ადანას მახლობლად ყოველდღე ვხედავდი გლეხს, რომელიც ძველი გალავნის ნანგრევთა ჩრდილქვეშ გაშენებულ ლიმონის ხეების ბაღს უვლიდა. ხოლო იაზილიკაიაში, ხეთების წმინდა ქალაქში, ბოღაზ-ქოის

ახლოს, ვიცნობდი ერთ მცველს; მას ცოლისათვის მოჰქონდა ხოლმე ხახვი, რომელიც დათუპილი ჰქონდა ყოფილი ტაძრის შესასვლელთან, ღმერთებისგამოსახულებიანი ბარელიეფის ქვეშ.

მდინარეთა ხეობებში და სანაპიროს ვიწრო ვაკეზე იზრდება თამბაქო, ხაშხაში, მარცვლეული და ზეთისხილის ხეები. მაგრამ, საერთოდ, მცირე აზიაში მორწყული ადგილები იშვიათია.

არც ერთი მდინარე სანაოსნო არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანია ყიზილ-ირმაკი, ანუ ძველი ჰალისი. ვიდრე ამ მდინარეს გადასჭრიდა, კრეზუსმა რჩევა ჰკითხა ორაკულს, რომელმაც ასე უპასუხა: მდინარეზე კეთილად გადასვლას ერთი დიდი სახელმწიფოს დანგრევა მოჰყვებაო. ასეც მოხდა: კრეზუსმა დაჰკარგა საკუთარი სახელმწიფო.

ყიზილ-ირმაკი მოედინება აღმოსავლეთიდან და მიემართება ანატოლიის შუაგულისაკენ, ჰკვეთს მთებს, რომლებიც გასდევს მას ჩრდილო მხარეზე და ერთვის შავ ზღვას. სხვა მდინარეები ნაკლებ წყალუხვია.

მცირე აზიის ერთი მესამედი უწყლო, მოშიშვლებულ მაღალ პლატოს წარმოადგენს. მხოლოდ აქა-იქ ბრწყინავს უზარმაზარი მოციხეოვანი წყლის გუბეები—ესენი მლაშე ტბებია. გარემოს რაღაც მონოტონური ერთფეროვნების იერი გადაჰკარავს, მზის მცხუნვარებისაგან ირგვლივ ყველაფერი გადამწვარი ია. მარტოხელა მხედრის გამოჩენაც კი მუქარის შთაბეჭდილებას ახდენს. ხოლო მთაგრეხილთან მიახლოებისას მთელ ტანში ჟრუანტელი გივლით: სანახაობა, რომელიც თვალწინ გადაგეშლებათ, არა მარტო უცხო, იმაზე უარესიცაა, რაც უკვირბილეთ. აღიზიანაგან აშენებული სოფლები ნეკროპოლს წააგავს. მცხუნვარე მზისაგან განათებული სახლების ღია კარები თავის ქალას თვალების ცარიელ ფოსოებს მოგაგონებთ. მგზავრის მიახლოებისას სახლებიდან გამოდიან მამაკაცები (ქალები არ ჩანან) და ცნობისმოყვარე ბავშვები, რომლებიც ხელის უბრალო გაქნევაზეც კი შეშინებულნი იპალებიან. მამაკაცები ნელი ნაბიჯითა და ცივი სახეებით უახლოვდებიან უცხოს, გარს ეხვევიან მას და ჩუმად შესცქერიან. შემდეგ აწ-



ბოლახ-ქოის გალენის „ლომების კიშკარი“

ვდიან ერთ კიქა ჩაის; უცნობი, რომელიც უხერხულად დგას, ცდილობს გაიღიმოს, ხანდახან კი უნდობლად გადახედავს ხოლმე ამ გაოცებულ სახეებს, გარს რომ შემოხვევია. აქ ვერ შეხვდებით ვერც ლევანტის ხმაურიან ატმოსფეროს. ვერც ზღაპრული აღმოსავლეთის ფერადოვან სიჭრელეს. აქ ყოველივე დიდებული და კეთილშობილურია, როგორც თვითონ პეიზაჟი. გარემოს ხალხისათვისაც კი თავისი ელფერი მიუშუცია.

ხალხები, რომლებიც მცირე აზიის დაუფლებისათვის იბრძოდნენ, იაე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყვნენ, რომ, ერთის გამოკლებით, ვერც ერთმა სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ ვერ შეძლო აქ დაფუძნება და არსებობა.

რაკი ამ წიგნის მიზანია, აღწეროს არქეოლოგიური ძიებანი და არა მცირე აზიის გეოგრაფია და ზოგადი ისტორია, ამიტომ ამით ვასრულებ ამ მხარის ზოგად მიმოხილვას. მისი მი-



ზანი იყო ხაზი გაესვა იმ ფაქტისათვის, რომ ისტორიის გარიჟრაჟზე ამ მეტად რთული რელიეფის ქვეყანაში, სადაც მრავალფეროვანი ტომები ცხოვრობდნენ, მხოლოდ ერთმა ხალხმა შეძლო შეექმნა მთლიანი სახელმწიფო და იგი მალე გადაიქცა ერთ-ერთ უდიდეს ძალად ახლო აღმოსავლეთში. მისი კულტურული გავლენა ვრცელდებოდა ბერძნულ სამყარომდე. შესაძლოა, ეს გავლენა უფრო შორსაც მიდიოდა, ვიდრე ჩვენ გვგონია.

არქეოლოგებისა და ამ უძველესი ხალხის — ხეთების პირველი შეხვედრა მოხდა მათ ძველ დედაქალაქში — ხათუსაში.

დაახლოებით 1830 წ. შარლ ფელიქს მარი ტექსიე, ფრანგი, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა მეცნიერული მისია, ემზადებოდა მოგზაურობისათვის, რომელსაც იგი ანატოლიის შუაგულამდე უნდა მიეყვანა. „ჩემი მიზანია დავადგინო ადგილმდებარეობა ძველი თავიუმისა, რომელიც, როგორც ჩანს, ნაყოფიერ ადგილას — ჰალისის ნაპირებზე მდებარეობდა“. ტექსიეს ბედმა არ გაუღიმა; ცნობები იმ ადგილებზე შესახებ, სადაც იგი წაეკლას აპირებდა, მეტად მცირე იყო. მაგრამ თურქეთში ჩასვლის შემდეგ, „მიუხედავად იმისა, რომ სრული ცნობები არ გამაჩნდა, 1834 წ. 28 ივლისს ჩემი ქარავნით მაინც გაუუდექი გზას ჩრდილოეთის მიმართულებით“, — წერდა იგი. რამდენიმე დღის შემდეგ, ცხენით მარტო მოგზაურობის დროს, პატარა სოფელ ბოლაზ-ქოის მახლობლად, ყიზილ-ირმაკიას (ჰალისის) მოსახვევთან უეცრად მის წინ ნანგრევები აღიმართა. ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ იგი ისე განაცვიფრა, რომ უძღური აღმოჩნდა მათთვის ისტორიული ახსნა მიეცა.


შარლ მარი ტექსიე (1802—1871 წწ.), მეცნიერებით გაცტაცებული არქეოლოგი და მოგზაური, ერთი იმათგანი იყო, რომელთაც უკვე XIX საუკუნეში დაიწყეს წარსულის ნაშთების ძიება. მართალია, მათი შრომები იმდროინდელი ეპოქის საქმიანობის ანარეკლს წარმოადგენდა, მაგრამ მათვე დასახეს მომავლის პერსპექტივებიც, რითაც ხელი შეუწყვეს იმ საფუძვლების შერყევას, რომელთაც მაშინ მეცნიერება ემყარებოდა.

თავიუმის აღმოსაჩენად გამგზავრებულმა ტექსიემ ჯერ კიდევ ბოლახ-ქოიში შეკრიბა ცნობები და ახლა უნდოდა შემოწმებინა ისინი. იგი აუყვა დაკლაკნილ გზას, რომელიც ნახევრადდაშლილ ქონმახებს შორის მიემართებოდა და ავიდა ციცაბო გორაკზე. აქ იგი ერთბაშად შედგა.

მან დაინახა მწკრივებად ჩაწყობილი მთლიანი, ციკლოპური ქვები და საუკუნეთა განმავლობაში გამოფიტული საძირკვლები. მიუხედავად ამისა, მიხვდებოდი, რომ ეს იყო უცნაურად ასიმეტრული პროპორციის უზარმაზარი შენობა. უფრო მალე ასულ ტექსიეს თვალწინ გადაეშალა ქოთური პეიზაჟი; წააწყდა გალავნის ნაშთს, რომელიც რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გრძელდებოდა; როცა ზევით ასულმა თვალი მიმოავლო ირგვლივ და გონებაში შემოხაზა ნანგრევების მთელი ეს ანსამბლი, მისთვის ცხადი გახდა, რომ ოდესღაც ეს ნანგრევები ეკუთვნოდა ისეთსავე დიდ ქალაქს, როგორც იყო ათენი მისი აყვავების პერიოდში. მაგრამ ვინ ააშენა იგი? იქნებ ეს თავიუმია?

ტექსიემ განაგრძო ძიება და გალავანში ორი უზარმაზარი ჭიშკარი აღმოაჩინა. ერთ მათგანზე ბარელიეფია, რომელიც გამოხატავს ჩვეულებრივზე მეტი სიმაღლისა და უცნაური შესახედაობის მქონე კაცის სილუეტს—იქნებ მეფეა? ამის მსგავსი მას არა უნახავს რა. მეორე ჭიშკარს ამშვენებს ქვიდან გამოქანდაკებული ლომები. ტექსიემ გადმოიხატა ისინი და თავის თანამგზავრებსაც დაავალა გაეკეთებინათ ჩანახატები. თანამგზავრები, იმდროინდელი ეპოქის ნამდვილი წარმომადგენლები, ალტაცებაში მოიყვანა ამ გამოსახულებათა მონუმენტურმა ხასიათმა, თუმცა მათთვის ყველაფერი გაუგებარი დარჩა: მათ მიერ გადმოხატული „ლომები“ მხეცურ ძლიერებას მოკლებული კეთილი, ფანტასტიკური ცხოველებია.

შემდეგ ტექსიემ სცადა ჩამოეყალიბებინა თავისი პირველი მოსაზრებანი ნანახის შესახებ: „სავსებით დაჯერებულმა, რომ ვიპოვე ძველი თავიუმი, ვირწმუნე, რომ ეს უნდა ყოფილიყო იუპიტერის ტაძრის ნანგრევები, რომელზედაც ლაპარაკობს სტრაბონი... მაგრამ შემდეგ უკვე შევიცვალე აზრი“. შემდეგ ის აღიარებს: „არ შეიძლება ეს შენობები მიაკუთვნოთ რო-



ბარელიეფი იაზილიკაიდან — „წარწერიანი კლდე“

მაული ხელოვნების რომელიმე ეპოქას. ნანგრევების გრანდიოზულმა და თავისებურმა ხასიათმა ღრმად დამაფიქრა, როცა შევეცადე ქალაქისათვის მისი ისტორიული სახელი მომეძებნა.“

მოგვიანებით, როცა ტექსიემ უკვე გამოაქვეყნა მასალები თავისი მოგზაურობის შესახებ და გაეცნო ინგლისელი უილიამ პამილტონის ნაწერებს, რომელიც ერთი წლის შემდეგ ეწვია ბოლახ-ქოის და ეს ნანგრევები თავიუმაღ მიიჩნია, ტექსიემ ერთხელ კიდევ შეადარა ძველი ავტორების აღწერები თავის დასკვნებს. ამ დღიდან, დარწმუნებულმა, რომ ყალბ გზას ადგა, ტექსიემ თვითონვე იერიში მიიტანა იმ დებულების წინააღმდეგ, რომელიც ნანგრევებს თავიუმს აკუთვნებდა. მისი აზრით, ეს იმ ისტორიული პტერის ნანგრევები იყო, სადაც მოხდა განთქმული ბრძოლა კრეზუსის ჯარებსა და კიროსის სპარსელებს შორის.

მაგრამ ტექსიეს კიდევ ელოდა მოულოდნელობანი. ბოლაზ-ქოის ერთმა მცხოვრებმა იგი ციცაბო ბილიკით გადაატარა მდინარის ხეობაზე და აიყვანა პლატოზე, რომელიც ხეობის მეორე მხარეს, სოფლიდან ორი საათის სავალზე მდებარეობდა. სწორედ აქ ნახა მან „წარწერიანი კლდეები“, რომელიც იაზილიკიას სახელითაა ცნობილი. კედლებივით აღმართულ ციცაბო კლდეებს უცნაური ბარელიეფები ფარავენ. მათზე გამოსახულია ღმერთების სახეიმი, იერარქიული პროცესია; თავზე ახურავთ წოწოლა ქულები, აცვიათ წელზე ქამარშემოქერილი ხალათები. ტექსიე გაუყვა ნაპრაღს, რომელიც მარჯვნივ მიემართებოდა და აღმოაჩინა ახალი გამოსახულებანი. მათ უკვე სხვაგვარად ეცვათ, თავზეც ქულების ნაცვლად ოვალური ტიარები ეხურათ. ორი ფიგურა ფრთოსანი იყო, ზოგს ხელში რაღაც ნივთები ეჭირა. ისინი სხვა ფიგურათა თავებზე იდგნენ, უკან კი ცხოველები მისდევდნენ.

ტექსიე გააოცა ამ გაქვავებული პროცესიის ნახვამ. როცა გასასვლელს დაუწყო ძებნა, დაინახა, რომ ხელმარცხნივ ერთი ვიწრო გასასვლელი ახალი ნაპრაღისაკენ მიიმართებოდა. ტექსიეც იქით წავიდა, მაგრამ შესასვლელთან შეჩერდა: ორივე მხარეს ფრთიანი დემონები იდგნენ, თითქოს დარაჯობენო შესასვლელს. შემკრთალი ტექსიე მაინც შევიდა კარებში და დაინახა ახალი პროცესია, რომელიც ფრიალო კლდეზე იყო ამოკვეთილი — თორმეტი მეომარი თუ ღმერთი ერთი მეორის უკან სწრაფი ნაბიჯით მიემართება ისეთი სახეებით, გეგონებათ აღელვებული არიან რაღაც სასტიკი გადაწყვეტილებით: თავზე ახურავთ წვეტაანი ქულები, მხრებზე ნამგლისებური ფორმის ხმლები აქვთ გადებული და მოვარჯიშე ჯარისკაცებს მოგვაგონებენ. წინ, მოპირდაპირე მხარეს გამოსახულია მაღალი ფიგურა, იგი თავისი მკლავით მფარველობას უწევს უფრო პატარა ზომის კაცს. მაღალს ხელში კარტუში უჭირავს, რომელიც შედგება რამდენიმე იეროგლიფური ნიშნისაგან; შესაძლოა ეს სიმბოლოებია, მაგრამ რისი? ტექსიე დაბრუნდა უკან, დიდ გალერეაში, და ახლა უკვე შეამჩნია ქვაზე ამოჭრილი სხვა საიდუმლო ნიშნებიც; ზოგი მათგანი ისე იყო დაზიანებული საუკუნეთა მანძილზე ცუდი ამინდები-

საგან, რომ ძლივსა ჩანდა. საინტერესოა, ეს ნიშნები ორნამენტის უბრალო მოტივებია, თუ რომელიდაც დამწერლობის სისტემის ნაწილი?

ტექსიემ დატოვა „წარწერიანი კლდეები“. როცა მან შესასვლელის წინ მდებარე პლატოს დათვალიერება დაიწყო, შენიშნა კედლების ნანგრევები. რას წარმოადგენდა ისინი — შენობათა ნაწილებს, თუ იმ კარების ნაშთებს, რომლებიც ოდესღაც ნაპრალოსაკენ მიიმართებოდა? ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადი იყო: მან აღმოაჩინა სალოცავი ადგილი, კლდეში ნაკვეთი უცნაური და უცხო ტაძარი, რომელიც შორეულ წარსულს ეკუთვნოდა. მაგრამ ვინ ააშენა იგი? რომელი ხალხის კულტურის ძეგლად უნდა ჩაითვალოს?

ტექსიემ თვალი გადაავლო ბოლახ-ქოჩს ნანგრევებს, ხეობის მეორე მხარეს გადაჭიმულ ქედებსა და ნაპრალებს, მათ თავს დაჰკავშავებდა შეუბრალებელი მზე. რომელიდაც უცნობი ხალხის ნებამ აღმართა ალბათ ეს დაბრკოლებანი — ქვის კედლები, რომლებიც შესანიშნავად ეხამებოდა რელიეფს. ტექსიემ გააჩნია კედლების ნაშთები, ოდესღაც მწვერვალებსა და ციცაბო ნაპრალებს რომ უერთდებოდა და ბასტიონებს ქმნიდა. ამგვარი მშენებლობა მხოლოდ იმ ძლიერ მეფეებს შეეძლოთ ეწარმოებინათ, რომლებიც მდიდარსა და ძლევამოსილ ხალხს განაგებდნენ.

1839 წ. ტექსიემ პარიზში რამდენიმე ტომად გამოაქვეყნა თავისი მოგზაურობის ანგარიში—„მცირე აზიის აღწერა“; იგი მონუმენტურ შრომას წარმოადგენს. თავის ნაშრომში ტექსიე აღიარებს, რომ ხალხი, რომლის წარსულ ძლიერებაზე მიუთითებს ბოლახ-ქოჩში აღმოჩენილი ნანგრევები, უცნობია XIX ს. -ის ისტორიული მეცნიერებისათვის; ამ ხალხს მცირე აზიაში უნდა ეცხოვრა ძვ. წ. II ათასწლეულში.


სიძარტლე რომ ითქვას, ტექსიეს აღმოჩენებმა მეცნიერებაში ერთგვარი უბერხულობა შეიტანა. დიდებულმა დოკუმენტაციამ, წარწერებმა და ჩანახატებმა, რომლებიც მან წარმოადგინა, სპეციალისტები გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააყენა. ერთი მხრივ, მათ არ გააჩნდათ რაიმე საფუძველი, რომელიც საშუალებას მისცემდა აეხსნათ ამ ნანგრევების არსებობა; მე-

ორე მხრივ, იმ გასაოცარმა გათხრებმა, რომლებიც ეგვიპტესა და მესოპოტამიაში წარმოებდა XIX ს. -ის პირველ ნახევარში, მიიქცია არქეოლოგთა მთელი ყურადღება. ლეპსიუსმა და მარიეტმა ფარაონების ქვეყანაში აღმოაჩინეს ხელოვნების განსაკვიფრებელი ნიმუშები; ბოტამ და ლეიარდმა დღის სინათლეზე გამოიტანეს ასურეთის ცივილიზაცია. მაგრამ, მიუხედავად სენსაციური აღმოჩენებისა, შეუძლებელი იყო ანატოლიის ამ საიდუმლოებით მოცული ნანგრევების არსებობის უარყოფა. მით უმეტეს, რომ ტექსიეს ამ აღმოჩენას სულ ახალ-ახალი ცნობები ამტკიცებდა.

ამ ამბებიდან ერთი წლის შემდეგ ბოლაზ-ქოიში ჩავიდა უილიამ ჰამილტონი. იქვე, სოფელ ალაჯა-ჰუიუქის მიდამოებში, მან ახალი ნანგრევები აღმოაჩინა. შემდეგ ორმა გერმანელმა მოგზაურმა — ჰ. ბართმა და ა. დ. მორდტმანმაც დააზუსტეს ცნობები ბოლაზ-ქოის შესახებ (ეს მოხდა 1859-1861 წწ.). ამის შედეგად შესაძლებელი გახდა შესწორებულიყო ტექსიეს ნახატები და სახელდახელოდ შედგენილი გეგმები; იმავე წლებში ფრანგმა ლანგლუამ გამოიკვლია ტარუსის რაიონი; 1862 წლიდან კი ანატოლია მოიარა ფრანგმა მეცნიერმა ჟორჟ პერომ. მან კეთილსინდისიერად და მეთოდურად აღრიცხა კიდევ ბევრი საინტერესო ძეგლი. კერძოდ, ბოლაზ-ქოის ძველ გალავანში მან იპოვა ერთი დაქანებული კლდე, რომელიც ახლა ნიშან-თაშის სახელითაა ცნობილი. იგი დაფარული იყო რაღაც ნიშნებით, რომლებიც ძლიერი დაზიანებისაგან ნაკაწრს წააგავდა და ჩამოჰგავდა ტექსიეს მიერ იაზილიკაიაში ნანახ ნიშნებს.

ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩენა, მაგრამ იგი ჩაიძირა იმ ზღვა მასალაში, რომელიც პერომ გამოაქვეყნა 1872 წლიდან მხაზველების გიიჰმისა და დელბეს დანმარებით.

ათი წლის შემდეგ გერმანელმა კარლ ჰუმანმა ჩამოასხა იაზილიკაიას ბარელიეფების პირველი მულაჟები. შემდეგ მანვე აღადგინა ბოლაზ-ქოის ნანგრევების ზუსტად გაზომილი გეგმა, რაშიც ჰუმანს დიდი სამსახური გაუწია მისმა აღრიხდელმა პროფესიამ: არქეოლოგიით გატაცებამდე იგი რკინიგზის ინჟინერი იყო. მოგვიანებით პერგამის საკუთრებელის აღმოჩენამ მას მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი.



ჰამათის ქვა

1887 წ. პერომ თავის მონუმენტურ თხზულებაში „ანტიკური ხელოვნების ისტორია“ გააერთიანა ყველა ცნობა ანატოლიაში აღმოჩენილი ძეგლების შესახებ. ახლა მას შეეძლო თავისი მოსაზრებანიც გამოეთქვა ზოგიერთ ქანდაკებასა და ნიშნებზე, რომლებიც სხვებისათვის უკვე აშკარა იყო. საქმე ისაა, რომ 1870 წ. ორმა ამერიკელმა ა. ჯონსონმა და ს. ჯეს უპმა, რომლებმაც იმოგზაურეს სირიაში, მიუთითეს ჰამათში წარწერებით დაფარული ქვების არსებობაზე. ეს ქვები ცნობილია „ჰამათის ქვების“ სახელწოდებით. ამ აღმოჩენიდან იწ

ყება ახალი ფაზა ანატოლიის ნანგრევების საიდუმლოების გამოკვლევაში. მიუხედავად ამისა, ეს ორი ამერიკელი ვერ ჩაითვლება ჰამათის ქვების პირველ აღმოჩენებლად. ჯერ კიდევ ორმოცდათერთამეტი წლის წინათ ეს ქვები ინახულა XIX საუკუნის ერთმა ყველაზე შესანიშნავმა მოგზაურთაგანმა.

1809 წ. ერთი აღმოსავლურად ჩაცმული, წვერებიანი მამაკაცი მალტაში დაჯდა იმ გემზე, რომელიც სირიისაკენ მიემგზავრებოდა; სახელად შეიხი იბრაჰიმი დაირქვა და თავი ოსტინდოეთის კომპანიის კომერსანტად გამოაცხადა. მან სირიაში სამწელიწადნახევარი დაჰყო. ეს იყო ნამდვილად ყველაზე უცნაური კომერსანტი, როგორსაც კი ოდესმე უცხოვრია ალექსანდრისა და დამასკოს შუა. ვაჭრობის ნაცვლად სწავლობდა ადგილობრივ ენას, ისტორიას, გეოგრაფიას და მეტადრე ყურანს. როცა არ სწავლობდა, მოგზაურობდა; ხან პალესტინაში იყო, ხან ეგვიპტის ნაპირებზე, ხან კიდევ ორონტის ხეობაში. ავიდა ჰორის წმინდა მთაზე, სადაც განისვენებდა აარონი. იგი დაიჭირეს კიდევ, როგორც ჯაშუში, როცა ნუბიაში მიდიოდა, და დააბრუნეს ეგვიპტეში. აქ ერთი ფაშას ბრძანებით ორმა სწავლულმა არაბმა მუსლიმანური კანონების ცოდნაში გამოსცადა. მან ისე ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა, რომ ნება დართეს წასულიყო როგორც მლოცველი ჯერ მექაში — „აკრძალულ ქალაქში“, შემდეგ კი სხვა 80.000 მლოცველთან ერთად წმინდა არაფათის მთაზე. იქიდან დაბრუნებულს უკვე ჰქონდა ხოჯას ტიტულის ტარების უფლება. ოცდაცამეტი წლისა იყო, როდესაც, 1817 წ., ახალი მოგზაურობისათვის სამზადისის დროს, სიკვდილმა მოუსწრო. იგი დაკრძალეს როგორც ხოჯა, შეიხისათვის შესაფერი პატივით, კაიროს მუსლიმანურ სასაფლაოზე.

სინამდვილეში შეიხ იბრაჰიმის სახელი იყო იოჰან ლუდვიგ ბურგჰარდტი. იგი დაიბადა 1784 წ. ქ. ბაზელის ცველ, პატრიციულ ოჯახში. მისი ჩამომავლობა ბრწყინვალე: დიპლომატებისა და ისტორიკოსებისაგან შედგებოდა. ბურგჰარდტის გარდაცვალების შემდეგ კემბრიჯის უნივერსიტეტმა მემკვიდრეობით მიიღო აღმოსავლეთის ორიგინალურ ხელნაწერთა კოლექცია: 350 ტომი და დღიურები, რომლებიც გეოგ-



რაფიული, ეთნოგრაფიული. ფილოლოგიური და არქეოლოგიური ცნობების ძვირფას წყაროს წარმოადგენს. სარედაქციო კომიტეტმა ამ გასაოცარი დოკუმენტებიდან შეადგინა რამდენიმე შრომა, რომელთა გამოცემა თვით ბურჟუაზიულ სურდა.

ერთ-ერთ თავის წიგნში — „მოგზაურობა სირიასა და წმინდა ადგილებში“ (გამოქვეყნდა ლონდონში 1822 წ.), ბურჟუაზიული ავტორი სახლის კედელში ჩასმულ ერთ ქვას, რომელიც ჰამათში გავლისას, მდინარე ორონტის ნაპირას უნახავს ბაზარში. „ქვა მოფენილი იყო პატარა ფიგურებითა და ნიშნებით, რომლებიც იეროგლიფებს წააგავდა, მაგრამ არა ეგვიპტურს“.

ეს მოკლე აღწერა გამოქვეყნდა 1822 წ., ჩვიდმეტი წლით ადრე ტექსტის წიგნის — „მცირე აზიის აღწერის“ — გამოცემამდე, მაგრამ მისთვის არავის მიუქცევია ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული თავგადასავალი სხვა მხრივაც გატაცებით იკითხებოდა. ამ ამბიდან ორმოცდათერთამეტი წლის შემდეგ ბურჟუაზიული მიერ ნახსენებ ჰამათის ბაზარში სეირნობდა ორი ამერიკელი კონსული — ავგუსტუს ჯონსონი და მისიონერი ს. ჯესუპი. ისინიც „შეიხ იბრაჰიმზე“ არანაკლები დაკვირვებულნი აღმოჩნდნენ; გარდა ხსენებული „წარწერიანი ქვისა“, მათ მიაგნეს სამ სხვა ქვას, რომლებიც დაფარული იყო „რალაც ნიშნებითა და პატარა ფიგურებით“. ერთი წლის შემდეგ ჯონსონმა თავისი აღმოჩენის შესახებ მოახსენა პალესტინის შემსწავლელ ამერიკელი საზოგადოების სხდომას. მაგრამ ვერ შესძლო წარედგინა ზუსტი ჩანახატები, მით უმეტეს, ესტამპაჟი. თურმე, როგორც კი ა. ჯონსონი ამ ქვებს მიუახლოვდა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა საშინელი ყვირილი ატეხეს და ცოტა დააკლდათ, კინაღამ ძალაც არ იხმარეს. როგორც ჩანს, ეს იღუმალის იეროგლიფები ძველთაგან ცრუმორწმუნეობის საგანი უნდა ყოფილიყო. ეს ფაქტი დამტკიცდა კიდევ, როცა რამდენიმე თვის შემდეგ ალექსანდრიაში აღმოჩნდა სხვა ასეთივე „იეროგლიფებიანი ქვა“. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ ქვას სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ. განსაკუთრებით მოისწრაფვოდნენ მისკენ თვალით დაავადებულნი, რომელთა რწმენით, საკმარისი იყო შუბლი მიეღოთ ქვა-

ზე, რომელიც უკვე გაცვეთილი იყო შეხებისაგან, რომ განკურნებულიყვნენ.

კიდევ ერთი წელი გავიდა, ვიდრე მეორე მოგზაური შესძლებდა თავისუფლად ენახა ეს განთქმული ქვეები. ეს იყო ირლანდიელი უილიამ რაიტი, დამასკოში მცხოვრები მისიონერი. შემთხვევა, ურომლისოდაც ბევრ სხვა აღმოჩენას ადგილი არ ექნებოდა, აქაც ეხმარება მას. 1872 წ. სირიის მოხუცებული გუბერნატორი, დიდად მორწმუნე მუსლიმანი, რომელიც ცუდი თვალთ უყურებდა დასავლეთელ მეცნიერთა ცნობისმოყვარეობას, გადაყენებულ იქნა. მისი შემცვლელი სუბჰი ფაშა კი, პირიქით, ლიბერალი და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება იყო. გაიგო თუ არა ჰამათის ქვის ამბავი, მან ნება დართო მისიონერ უილიამ რაიტს ხლებოდა მას ერთ-ერთი საინსპექციო მგზავრობის დროს. 1872 წ. 25 ნოემბერს რაიტმა უკვე მესამედ (უფრო სწორად, მეხუთედ, რადგან ამ დროისათვის მოგზაურთა კიდევ ორ სხვა ჯგუფს გაევლო ჰამათზე), იპოვა ეს სახელგანთქმული ქვეები. მაგრამ, თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ისარგებლა გუბერნატორის მხარდაჭერით. ფაშამ გაგზავნა ჯარისკაცები, რომლებიც დაეხმარნენ რაიტს კედლებში ჩატანებული ქვების ამოღებაში. ეს იყო მძიმე სამუშაო, რადგან ჰამათის მცხოვრებნი გამუდმებით აწყვეტინებდნენ მუშაობას მტრული დემონსტრაციებით. ისინი ამ ქვებს რევმატიზმის საწინააღმდეგო თვისებებს მიაწერდნენ, ისევე, როგორც ალებოს ქვებს — თვალების სამკურნალო თვისებებს.

როგორც კი ქვეები ფაშას რეზიდენტოში მოიტანეს, ერთ-ერთმა მუშამ აცნობა ფაშას მისი სახლის წინ ხალხის თავმოყრის შესახებ. გავრცელდა ხმა, ფანატიკოსები სასახლეზე თავდასხმას აპირებენო, რათა დაამტკრიონ ქვეები და ქალაქიდან კი არ გაატანონო ისინი; თან პოლიციაც მათ მხარეზეაო.

„მივხვდი, რომ კრიტიკული მომენტი დადგა“, — წერს რაიტი თავის ეურნალში. იგი მხოლოდ მცველის თანხლებით ბედავდა ქუჩაში გასვლას; ხალხი სიძულვილით უყურებდა. რაიტი გამოელაპარაკა მათ, დაჰპირდა, რომ ფაშა ამ ქვეებში დიდ საფასურს მისცემდა, მაგრამ ხალხი დაცივით პასუხობდა,

ვიცი, რა ფასიც აქვს მთავრობის დაპირებასო. მაშინ რაიტი დამეუქრა, რომ თუ ისინი ძალას მიმართავენ, ფაშა მათ წინააღმდეგ გამოიყვანს ჯარისკაცებს და სასტიკად დასჯის მოთავეებს. სახლში მკვდარ-ცოცხალი დაბრუნდა. „იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავსო“, — წერს იგი.


მიუხედავად ამისა, არაფერი არ მომხდარა. მეორე დღეს გოცებულ მოქალაქეებს ფაშამ გადაუხადა დაპირებული თანხა; მაგრამ მუქართა და ფულით დროებით შეკავებულმა რისხვამ ერთხელ კიდევ იფეთქა. დერვიშები დადიოდნენ ქუჩებში და ხალხს ატყობინებდნენ — ღამით ვარსკვლავების წვიმამ გადაუარაო ქალაქს. ლაპარაკი იყო უბრალო მეტეოროიტებზე, რომლებიც ჩვეულებრივ ვარსკვლავებზე უფრო კაშკაშაა. მცხოვრებლებმა დელეგაცია მიუგზავნეს ფაშას: განა ეს იმაზე არ მიუთითებს, რომ ცა არ იწონებს ქვების ქალაქიდან გატანასო?

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ფაშამ ჰკითხა მათ, ოდესმე რაიმე ზარალი ხომ არ გამოუწვევია ამ ქვებს, ხომ არ მოუქლავს ადამიანები ანდა ცხოველებიო? დელეგატებმა უარყოფითად უპასუხეს. მაშინ ფაშამ, ცოტა არ იყოს ეშმაკურად, დაასკვნა: „განა ვარსკვლავების წვიმა, პირიქით, ცის თანხმობის ნიშნად არ უნდა ჩაითვალოს?“

მოკლედ, პირველი ქვები შესაძლებლობისთანავე გაიგზავნა კონსტანტინოპოლში. მაგრამ გაგზავნამდე უილიამ რაიტს უფლება მიეცა გაეკეთებინა მულაყები, რომლებიც მან გაგზავნა ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში.

ანატოლიის ჩრდილოეთში ტექსიემ ნახა ნანგრევები, რომელთა ახსნა მან ვერ შეძლო. რაიტს ჰქონდა ჰამათის წარწერების მულაყები, მაგრამ არ იცოდა, როგორ განემარტა ისინი. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შეიძლებოდა რაიმე კავშირი არსებულიყო ანატოლიის ნანგრევებსა და სირიაში აღმოჩენილ ქვებს შორის. ჯერ კიდევ არ იყო ნაპოვნი მათი შემაერთებელი რგოლი.

ცოტა ხნის შემდეგ ინგლისის კონსულმა ალექსოში ვ. ჰ. სქინმა და ბრიტანეთის მუზეუმის თანამშრომელმა ჯ. სმიტმა ჯერაბლუსში, ეფფრატის მარჯვენა ნაპირზე, აღმოაჩინეს უზარ-



ხეთები. გამოსახულებანი ეგვიპტური ბარელიეფების მიხედვით

მაზარი ნანგრევები (სახელი ჯერაბლუსი წარმოსდგება სიტყვისაგან „ეუროპოს“ — ასე ეწოდებოდა იმ ადგილს ბერძნულსირიული პერიოდიდან). მათ აწარმოეს გათხრები და დაადგინეს, რომ ეს ნანგრევები ეკუთვნოდა ქალაქ ქარხემიშს, რომელსაც ასირიული წყაროები ხშირად იხსენიებდნენ. მომავალმა გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ ისინი მართალი იყვნენ. უბრალო ზედაპირული გათხრებითაც კი აღმოჩნდა რაღაც უცნობი ნიშნებით დაფარული ქანდაკებები. ეს ნიშნები წააგავდა პამათში აღმოჩენილი ქვების ნიშნებს. შემდეგ თანდათან აღმოაჩინეს იდეოგრამებიც: ადამიანთა თავები, ხელები, ფეხები, ცხოველების თავები და ყველაფერ ამასთან ერთად რგოლები და ნახევარრგოლები, კაუჭები, ობელისკები, რომელნიც ერთიან ანსამბლში თითქოს რომელიღაც დამწერლობის სისტემას შეადგენდა. ასეთი ნიშნები ცოტ-ცოტა ყველგან იქნა აღმოჩენილი. ამან კი მეცნიერები ძლიერ ჩააფიქრა. მაგრამ უცნაურობა იმაში იყო, რომ ამ ნიშნების გავრცელება მარტო

ჩრდილოეთ სირიით როდი განისაზღვრებოდა. ე. ე. დევისმაც იპოვა ამგვარი ნიშნები ერთი მონუმენტური ბარელიეფის მა-  
ჯლობლად ივრიზში, ტავროსის მთებში. ნაპოვნი იქნა საბეჭ-  
დავებიც ასეთივე დამწერლობით. მალე უკვე აღარავის ეეჭვე-  
ბოდა, რომ იეროგლიფები, რომლებიც ტექსიემ ნახა ღმერთე-  
ბის ფიგურების მახლობლად იაზილიკაიაში, გასაოცრად ჰგავ-  
და სირიისას. ბოლოს და ბოლოს, მსგავსი დამწერლობის ნიშ-  
ნები აღმოჩენილ იქნა სმირნის მიდამოებშიც.

ამ გარემოებამ მეცნიერები ააღელვა: მართლაც, თუ ეს  
ნიშნები საერთო წარმოშობისაა, ამით მტკიცდება, რომ შორე-  
ულ ეპოქაში არსებულა ისეთი ძლიერი ხალხი, რომელსაც შე-  
ეძლო თავისი დამწერლობის სისტემა გაევერცელებინა მთელ  
მცირე აზიაში ეგეოსის ზღვის ნაპირებიდან სირიის ოლქებამ-  
დე. ამრიგად, ეს უნდა ყოფილიყო ხალხი ერთიანი დამწერ-  
ლობით, ე. ი. ერთიანი კულტურით. თუმცა, გარდა ამ იდეოგრა-  
მებისა და რამდენიმე ქანდაკებისა, რომლებიც სტილის ერ-  
თიანობაზე მიუთითებდნენ, არაფერი არ მოწმობდა ამ უცხო  
ხალხის არსებობას.

იქნებ დაზუსტებაში არსებული ნაკლი შედეგი იყო შეც-  
დომებისა, რომლებიც დაშვებულ იქნა ზოგიერთი ტრადიციის  
ინტერპრეტაციაში?

ასე გრძელდებოდა ეს უნაყოფო კამათი. შემდეგ კი, 1879  
წელს, ერთმა ინგლისელმა არქეოლოგმა დაათვალიერა სმირნის  
მიდამოები და ერთა წლის შემდეგ მოხსენებით წარსდგა „ბიბ-  
ლიურ სიძველეთა საზოგადოების წინაშე“. თავის მოხსენებაში  
იგი ხშირად იშველიებდა „ძველ აღთქმას“. მან გამოთქვა მეც-  
ნიერული თვალსაზრისით მეტად გაბედული თეზისი. ეს იყო  
უკვე ოცდაათობმეტი წლის ასაკში სახელგანთქმული არქეო-  
ლოგი არჩიბალდ სეისი, რომლის სახელი შეიტანეს ბრიტანე-  
თის ენციკლოპედიაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ენციკლოპე-  
დია, საერთოდ, იშვიათად თუ ასახელებს ხოლმე ცოცხალ  
პიროვნებებს. სეისის შესახებ იქ ნათქვამია: „...ძნელია მთელი  
სისრულით შეფასდეს დამსახურება, რაც მას მიუძღვის აღმო-  
საველეთმცოდნეობის დარგში“.

სეისი შემდეგს ვარაუდობდა: განსაზღვრული ხასიათის მქო-

ნე ყველა ძეგლი და წარწერა, რომლებიც აღმოჩენილია მცირე აზიასა და ჩრდილო სირიაში ამ უკანასკნელ ათწლეულში, უნდა მიეკუთვნოს ხეთებს. ისინი გარკვევით მოიხსენიებიან „ძველ ალთქმაში“ უფრო როგორც ტომი და არა ხალხი და დღემდე არც ერთ ისტორიკოსს არ უცდია გამოეკვლია შათი წარსული.

## „ძველი ალთქმა“ და ახალი გამოკვლევანი

არჩიბალდ ჰენრი სეისმა ჯერ კიდევ 1876 წ. თავის სამუშაო კაბინეტში მიაგნო სიმართლეს; 1877 წ. მან შრომა მიუძღვნა ჰამათის წარწერებს, სადაც დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ეს იღუმალი იდეოგრამები შეადგენდა ერთი დამწერლობის სისტემის ნაწილს, და რომ მან ახსნა კიდევ ამ დამწერლობის ზოგიერთი თავისებურება, კერძოდ, სტრიქონთა ბუსტროფედონული წყობა (შემდეგ ვნახავთ, თუ რას ნიშნავს ეს). 1879 წ. მან გამოაქვეყნა სტატია: „ხეთები მცირე აზიაში“.

მოგვიანებით, 1880 წ., სმირნაში ერთი წლის მოგზაურობის შემდეგ, ლონდონის ბიბლიური საზოგადოების წინაშე სეისმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც თავისი მნიშვნელობით ყუმბარის აფეთქებას უდრიდა. ამ მოხსენების შემდეგ მას „ხეთების აღმომჩენელი“ შეარქვეს, რაც ერთხანს შერჩა კიდევ.


ობიექტურად რომ ითქვას, სეისს არ დაუმსახურებია ეს სახელი. ჯერ კიდევ მასზე ორი წლით ადრე მისიონერმა უილიამ რაიტმა ეჟურნალ „British and Foreign Evangelical Review“-ში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც იგი მცირე აზიის უკანასკნელ აღმოჩენებს ხეთებს აკუთვნებდა. მაგრამ ეს სტატია შეუმჩნეველი დარჩა: მას აკლდა ის დამაჯერებელი ტონი, რომელიც უ. რაიტს მომხრეებს შესძენდა.

მალე სეისის ჰიპოთეზით გამოწვეული კამათი გასცდა სპეციალისტების ვიწრო წრეს და ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მხოლოდ ინგლისში, სადაც საზოგადოება არქეოლოგიის საკითხებისადმი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენს, შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ სამი ათასი წლის წინ გამქრა-

ლი ხალხის — ხეთების არსებობის პრობლემას წილად ხვდა პატივი, ყოველდღიური პრესის მსჯელობის საგნად გადაქცეულიყო. 1884 წ. ლონდონში გამოქვეყნდა უილიამ რაიტის წიგნი, რომელმაც მწვავე პოლემიკა გამოიწვია; მოწინააღმდეგენი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საბუთებით ხელში, მაგრამ ეს საბუთები საკმარისი არ აღმოჩნდა. რაიტის წიგნი არა მარტო ახალ მონაცემებს შეიცავდა, არამედ ასეთ გამომწვევ სათაურსაც ატარებდა: „ხეთების იმპერია და პროფ. ა. ჰ. სეისის მიერ სეთური წარწერების ამოშიფვრა“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნის შინაარსი ამჟამად სრულყოფილად არ მიგვაჩნია და ამიტომ მხოლოდ მისი დასახელებით ვკმაყოფილდებით, მაინც მისი გამოქვეყნება ხეთოლოგიის დასაწყისის მაუწყებელი იყო. რაიტის მიერ მოყვანილ დებულებათა თამამი ხასიათი შეუძლებელს ხდიდა, მიეჩუმიებინათ ხეთების საკითხი. ამგვარად, აღმოსავლეთმცოდნეობის ეს დარგი, რომელიც აქამდე მეორეხარისხოვნად იყო მიჩნეული, თანდათანობით ნამდვილ მეცნიერებად გადაიქცა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ წიგნის გამოქვეყნებამ ყუმბარის აფეთქების შთაბეჭდილება მოახდინა და ეს გასაგებიც იყო; თუ რაიტის მტკიცებანი დადასტურდებოდა, ეს იქნებოდა მარტივი დედუქციის ერთადერთი შემთხვევა არქეოლოგიის ისტორიაში, როდესაც შემთხვევით აღმოჩენილ ძეგლებზე (რომელნიც სხვადასხვა, ერთიმეორისაგან დაშორებულ ქალაქებში იყო ნაპოვნი) და არა არქეოლოგიური გათხრების (რომელნიც ჩატარდებოდა წამოყენებული ვარაუდის შესამოწმებლად და მასში დასარწმუნებლად) შედეგებზე დაყრდნობით, მეცნიერებმა აღმოაჩინეს აქამდე უცნობი, მივიწყებული ხალხი, ახლო აღმოსავლეთის მესამე დიდი სახელმწიფო, რომლის არსებობა ბერძნებსა და რომაელებს უკვე დაგვიწყებული ჰქონდათ. სეისის დებულება მით უფრო გამომწვევი იყო, რომ იგი მცირე საბუთებს ემყარებოდა. „ძველი აღთქმა“ მოხერხებული საბუთი იყო მხოლოდ გარკვეულ მოსაზრებათა შესამაგრებლად. მაგრამ იგი იძლეოდა ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებულ მითითებებს. მთელი ცნობა ამ ხალხის შესახებ მხოლოდ იმით იფარგლებოდა, რომ ხეთები მოხსენიებულნი იყვნენ „ძველ აღთქმაში“...



ხეთების იმპერიის გაფართოება. წერტილებით აღნიშნულია ტერიტორია, სადაც აღმოჩენულ იქნა ხეთური ძეგლების ნანგრევები, ქანდაკებები და წარწერები.

„ძველი ალთქმის“ პირველ ხუთ წიგნში ეს ხალხი მოხსენიებულია „ჰიტიმ“-ის სახელით. გერმანულ ვერსიაში ამ სიტყვას მარტინ ლუთერი თარგმნის როგორც „Hethiter“-ს; ინგლისელები თარგმნიან — „Hittites“, ფრანგები ჯერ — „Hethènes“, ახლა კი—Hittites-ს. მაგრამ „ძველი ალთქმა“ ხეთებს იხსენიებს მხოლოდ სხვა უმნიშვნელო ერებთან ერთად. იესო ნავინის (3,10) წიგნში მოხსენიებულნი არიან „ქანაანელები, ხეთები, ჰივიები, ფერიზიელები, გირგაშიელები, ამორეველები და იებუზიელები“, „მოსეს წიგნში“ (1, 15, 19-21) კი — „კენეველები, კენიელები, კედმონიელები, ხეთები, ფერიზიელები, რეფაიმელები, ამორეველები, ქანაანელები, გირგაშიელები და იებუზიელები“.

„ძველი ალთქმის“ ერთ ადგილას („შესაქმეთა წიგნი“ 1, 23) ნათქვამია, რომ აბრაამმა, როგორც უცხოელმა, თხოვნით მიმართა ხეთებს, ნება მიეცათ მისთვის ეყიდა სამარე, რათა



„დავასაფლავო ჩემი მიცვალებული და მოვიშორო ჩემგანო“. ეს სწორედ იმაზე მიუთითებს. რომ ოდესღაც ხეტები, ალბათ, „აღთქმული ქვეყნის“ (პალესტინის) ერთი ნაწილის ბატონ-პატრონები იყვნენ. „რიცხვთა წიგნის“ (13, 29) ერთ ადგილას შედარებით უფრო გარკვეულად არის მოცემული ზოგიერთი ხალხის გეოგრაფიული განლაგება — „აპალიქები ცხოვრობდნენ სამხრეთ ქვეყანაში, ხეტები, იებუზიელები და ამორეველები ცხოვრობდნენ მთებში და ქანაანელები — ზღვის მახლობლად მდ. იორდანის ნაპირას“.

მხოლოდ ამ „ძველი აღთქმის“ მიხედვით რომ გვემსჯელა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ხეტები სირიაში მცხოვრებ ისეთ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ, რომელსაც არც დიდი მნიშვნელობა და არც არავითარი ისტორია არ ჰქონდა.

მართალია, „ძველ აღთქმაში“ არის ერთი ადგილი, რომლისთვისაც ყურადღება უნდა მიექციათ სეისის წინამორბედებს, მაგრამ XIX ს.-ის მეცნიერება „ძველ აღთქმას“ ეჭვის თვალით არ უყურებდა. „მეფეთა წიგნში“ (4, 6, 7) ნათქვამია: „ღმერთმა ინება, რომ სირიელების ბანაკში გაეგონათ ეტლების გრიალი და ცხენების თქარათქური, დიდი ჯარის ხმაური და სირიელებმა ერთმანეთს უთხრეს: ხედავ, ეტყობა იზრაილის მეფემ ხეტებისა და ეგვიპტელთა მეფეები დაიქირავა, რათა ჩვენზე გამოილაშქროს.“

წინააღმდეგ ზემოაღნიშნული ადგილებისა, სადაც ხეტები მოხსენიებულნი არიან ისტორიულად სხვა უმნიშვნელო ხალხების გვერდით, აქ ხეტების მეფე უკვე ძველი მსოფლიოს უძლიერესი მეფეების — ფარაონების თანატოლად და, უფრო მეტიც, მათ წინ იხსენიება.

აი, ყველაფერი ის, რასაც გვამცნობს „ძველი აღთქმა“

მაგრამ განა ეს ცნობა საკმარისი იყო ხეტების „იმპერიის“ არსებობის შესამაგრებლად?

ცხადია, სეისი და რაიტი შეუდგნენ სხვა საბუთების ძებნასაც თავიანთი დებულების გაშსაპტკიცებლად. ნათქვამია: „ვინც ქარს დასთესს, გრიგალს მოიშვიოს“. ასეც მოხდა. „ხეტების იმპერიის“ გამოქვეყნებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებანი, დადგა დრო, გადასინჯულიყო

სეისისა და რაიტის ჰიპოთეზები, შედარებულყო ისინი ძველ წყაროებთან, განსაკუთრებით ასურულ და ეგვიპტურ დოკუმენტებთან. მკითხველს თავს აღარ შეეაწყენთ იმ წვლილის დაწვრილებითი გადმოცემით, რაც თითოეულმა მკვლევარმა შეიტანა ამ საქმეში. საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი, რადგან წყაროთა ასეთი შედარება, რომელიც შესაძლებელი გახდა 80-იანი წლებისათვის (ამ დროისათვის უკვე გაშიფრული იყო ასურულ მეფეთა მატრიანეები), მხოლოდ ბიძგს იძლეოდა შემდეგი კვლევა-ძიებისათვის. საბოლოო დასკვნებს კი მაინც ვერ აკეთებდნენ.

მიუხედავად ამისა, ახლა ორმა მოსაზრებამ უკვე ახალი მნიშვნელობა მიიღო: ასურული მატრიანეები ხშირად გაკვრით იხსენიებენ „ხათის ქვეყანას“ და ეგვიპტური ტექსტებიც მოგვითხრობენ მუდმივ ბრძოლებზე „ხეთასთან“.<sup>1</sup>

იმ დროიდან მოყოლებული, როცა პირველი ნაბიჯი იქნა გადადგმული, ეგვიპტურ ისტორიულ დოკუმენტთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა. ამ დოკუმენტებში ნათქვამია, რომ XV ს.-ში (ძვ. წ.) ხეთების ზოგი ხალხი ხარკს უხდიდა ფარაონ თუთმოსს. ეგვიპტური ტაძრების ბარელიეფები და წარწერები გვიამბობდნენ იმ ძღვეამოსილი ბრძოლების შესახებ, რომელსაც რამზეს II აწარმოებდა სირიაში ხეთების წინააღმდეგ. სხვა წარწერა ფასაოცარი სიზუსტით გადმოსცემდა საზავო ხელშეკრულების ტექსტს, რომლითაც ბოლო მოეღო კონფლიქტს ეგვიპტესა და ხეთებს შორის. აღწერილია აგრეთვე ფარაონისა და ხეთების პრინცესას ქორწინება.

მაგრამ მალაღმარდოვანი სტილი, რომლითაც დაწერილია ეგვიპტური საომარი ქრონიკების ზოგიერთი დეტალი და მეტადრე საზავო ხელშეკრულებათა ხასიათი, არქეოლოგების სკეპტიციზმს გამოიწვევდა ასირიულ ქრონიკებს ეგვიპტური

---

<sup>1</sup> „ხეთა“ არის ეგვიპტური იეროგლიფის (Ht) დაახლოებითი ეკვილიზაცია. ეგვიპტურ დამწერლობას არა აქვს ხმოვნის გამომხატველი ნიშნები. ამიტომ ეგვიპტურ სახელწოდებათა მიღებული თანამედროვე გამოთქმა ყოველთვის არ ეთანხმება ნამდვილს — ძველ გამოთქმას. ის უფრო ეგვიპტოლოგების გამოთქმაა.

წყაროების ანალოგიური ფაქტები რომ არ აღენიშნათ. ტოვ-  
ლათფალასარ I-ის (1100 წ. ძვ. წ.) მატთანეებში მოთხრობილია  
„ხათის ქვეყნის“ წინააღმდეგ ეგვიპტელების მიერ წარმოე-  
ბულ ომებში გამარჯვების შესახებ. ეს მატთანეები ოთხი სა-  
უკუნის განმავლობაში იხსენიებენ ხეტებს, რომელთაც ჩრდი-  
ლო სირიაში ისეთი ჩამოყალიბებული ქალაქ-სახელმწიფოები  
ჰქონიათ, როგორცაა: ქარხემიში, სამალი და მალატია, მაგ-  
რამ რომელნიც მათთვის საშიშროებას არ წარმოადგენდნენ.  
717 წ. ძვ. წ., ქარხემიშის ალების შემდეგ, ეს სახელმწიფოები  
ასირიამ შეიერთა, მაგრამ ამ შეშოერთებამ არაერთი გამო-  
ძახილი არ ჰპოვა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

რით აიხსნება ის გარემოება, რომ ხალხმა, რომელიც იმ  
ეპოქის ყველა მატანესა და ქრონიკაში დაპარცხებულად იხ-  
სენიება, შეძლო შეექმნა ისეთი ცივილიზაცია, რომელიც  
ვრცელდებოდა ეგეოსის ზღვის სანაპიროებიდან აღმოსავლეთ  
ანატოლიის საზღვრამდე. ახლა, როცა უკვე ვიცით როგორ მი-  
ევუდგეთ საკითხს, ადვილია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. იმა-  
ზე, თუ რა დიდ როლს თამაშობდნენ ხეტები იმდროინდელ  
მსოფლიოში, მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მათი არ-  
სებობა დადასტურებულია ეგვიპტურ და ასურულ საბუთებში  
შვიდ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე — თუთმოსის მეფობა-  
სა და ქარხემიშის დაცემას შუა.

მაგრამ სეისის თანამედროვენი, მიუხედავად საბუთების  
სიმცირისა, ცდილობდნენ გაეზათილებინათ მისი დებულე-  
ბები. სეისი კი ყოველთვის სულ ახალ-ახალ სტატიებს  
აქვეყნებდა და მათ ახალი დასაბუთებული ფაქტებით ამ-  
დიდრებდა. მრავალი წლის განმავლობაში არავინ შესდევნებია  
მის აშკარად მცდარ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვით ხეტები  
წარმოშობით ჩრდილო სირიიდან იყვნენ და, ჩვენთვის უცნო-  
ბი მიზეზების გამო, ნელ-ნელა გავრცელებულან ანატოლიაში.  
ამ თეორიის მიხედვით გამოდიოდა, თითქოს ხეტების კულ-  
ტურული და სამხედრო მიზნები არათუ არ ემთხვეოდა ერთ-  
მანეთს, არამედ სხვადასხვა გზით მიიმართებოდა, ე. ი. ბრძო-  
ლებს აწარმოებდნენ მხოლოდ თავიანთ სამხრეთ საზღვრებ-  
ზე, მაშინ, როცა მათი კულტურა ჩრდილოეთითა და ჩრდილო-

დასავლეთით სრულიად მშვიდობიანად ვითარდებოდა და ვრცელდებოდა.

ცხადია, აქ რაღაც გაუგებრობაა, მაგრამ რა? იმ დროს რომ ვინმე მიმხვდარაიყო და გაჰოუმელაღენებინა სიმაართლე (ამას ჩვენ შემდეგ ვნახავთ), მას ნამდვილად მეოცნებედ ჩათვლიდნენ. მოკლედ, 80-იანი წლებისათვის შეუძლებელი იყო ხეთების მოთავსება ისტორიული განვითარების ჯაჭვში. ამ ხალხის აღმოჩენისთანავე არქეოლოგია ჩიხში მოექცა.

1887 წ. ერთმა უბრალო შემთხვევამ მეცნიერები ამ ჩიხიდან გამოიყვანა, გაფანტა სიბნელე და ყველაფერი სხვა მხრიდან გაანათა. მაგრამ გასაოცარი მაინც ის იყო, რომ ეს მოხდა არა აზიაში, არამედ სულ სხვა კონტინენტზე — ეგვიპტეში. ამ, თითქოს უმნიშვნელო ფაქტმა გასაღები მისცა მეცნიერებს გაეხსნათ ხეთების პრობლემა.

შესაძლებელია, რომ სწორედ ერთი გლეხი ქალის გაბრაზებამ მისცა საწყისი ამ ბედნიერ შემთხვევას. ეს მოხდა დაბა თელ-ელ-ამარნაში, რომელიც მდებარეობს კაიროდან 300 კმ მოშორებით, ნილოსის მარჯვენა ნაპირზე. ამ ქალმა, როცა ველაფრით მოიშორა უცხოელები, რომელნიც თავიანთი იქ ყოფნით აწუხებდნენ, აიღო გამომწვარი თიხის ფირფიტები და ესროლა მათ. მაგრამ ამან საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. ქალის მიერ გადმოყრილმა ფირფიტებმა უცხოელები მიიყვანა ყველაზე დიდ და უმნიშვნელოვანეს არქივთან დღემდე აღმოჩენილთა შორის — თიხის ფირფიტების ეგვიპტურ, ანუ როგორც ხშირად ამბობენ, ელ-ამარნას არქივთან, რომელიც „მეფე-ერეტიკოს“ ამენჰოთეფ IV-ს ეკუთვნოდა.

დანამდვილებით არ ვიცი, მართლა ამ პირობებში იქნა აღმოჩენილი ეს არქივი, რაც ჩვენ აგიწერეთ, თუ არა. მაგრამ ფაქტია, რომ არქივზე მუშაობა მეტად უცნაური წესით წარმოებდა; საქმე ისაა, რომ არც ერთი არქეოლოგი არ დასწრებოდა პირველი ფირფიტების აღმოჩენას. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1887 წ. ბოლოს ეგვიპტის ბაზრებზე იყიდებოდა ამგვარი ფირფიტები; ზოგი კაიროს ანტიკვარებმა შეიძინეს და შემდეგ თითო ათ პიასტრად გაყიდეს. ამ დროისათვის ძველებური ნივთებით ვაჭრობა და აყრეთვე ადგილობრივი

მცხოვრებლების მიერ გათხრების წარმოება უკვე -სასტიკად იყო აკრძალული. ამიტომ მოსახლეობა მონაპოვარს ჩუმად ჰყიდა. 1888 წ. კაიროს ბაზარზე გასაყიდად გამოიტანეს 200 ფირფიტა. სეისმა ნახვისთანავე მისწერა ამის შესახებ ევროპაში. ამ ამბავმა მაშინვე მიიპყრო მუზეუმების დირექტორებისა და კოლექციონერების ყურადღება. პირველი ფირფიტები მომდევნო თვეებშივე გაიგზავნა ეგვიპტიდან ლონდონსა და ბერლინში.

ამასთან მრავალ ინცინდენტს ჰქონდა ადგილი; ერთმა არაბმა ვაჭარმა აბდ-ელ-ჰაჰმა გიზადან, ბულაკის მუზეუმის მოხელეს — შემდეგ ეს მუზეუმი კაიროს განთქმულ მუზეუმად გადაიქცა — აჩვენა ფირფიტები, რომლებიც მას იმ ხანებში უყიდა; მოხელემ ისინი ყალბ ფირფიტებად ჩათვალა და უკანვე დაუბრუნა. ვაჭარმა ისინი მაშინვე ვენელ კოლექციონერ თეოდორ გრაფს მიჰყიდა.

დღეს უკვე ცნობილია, რომ თელ-ელ-ამარნას ფირფიტები ყალბი არ ყოფილა. თ. გრაფის კოლექცია—160 ფირფიტა, რომელთა შორის ზოგი „არაჩვეულებრივი სიდიდის“ იყო, ბერლინის მუზეუმმა შეიძინა. შემდეგ, 1891 წ. ნოემბრიდან 1892 წ. აპრილამდე, თელ-ელ-ამარნაში გათხრები აწარმოვა უილიამ ფლინდერს პეტრიმ, დიდმა ინგლისელმა არქეოლოგმა, რომელმაც წინასწარ მზრუნველობით შეაგროვა ცნობები. მან მოახდინა დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენა — არქივიდან ცნობილი გახდა ბევრი ამაღელვებელი ფაქტი, რომლებიც ეხებოდა ძვ. წ. II ათასწლეულის გარკვეულ პერიოდს.

ფირფიტების ამოკითხვა არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა, რადგან ისინი დაწერილი იყო უკვე დიდი ხნის წინ გაშიფრული ლურსმულით, იმდროინდელი ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიურ ენაზე — აქადურად (ასურულ-ბაბილონურად). ეგვიპტოლოგებისათვის ეს აღმოჩენა მით უფრო ძვირფასი იყო, რომ თელ-ელ-ამარნას არქივი შეიცავდა მიწერ-მოწერას სხვა ქვეყნების მეფეებთან, რასაც აწარმოებდა ფარაონთა შორის ყველაზე საინტერესო პიროვნება. მართლაც, ამარნა ის ქალაქი იყო, რომელიც არაფრისაგან შექმნა ამენ-ჰოთეფ IV-მ (1370—1350 წწ. ძვ. წ.), ამ მეფე-მისტიკოსმა,

რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევდა რეალურ პოლიტიკურ ფაქტებს. ამენჭოთეფმა ადამიანსა და ღვთაებას შორის ახალი ურთიერთდამოკიდებულების აღმოჩენის შემდეგ უარპყო ძველი ეგვიპტური ღმერთების მთელი პანთეონი და იგი ერთადერთით, მზის ღმერთით — ათონით შესცვალა. თვითონ კი ამენჭოთეფის ნაცვლად ეჰნათონი დაირქვა, რაც ნიშნავს ათონის თაყვანისმცემელს. მან სცადა ეს რწმენა თავისი ხალხისათვისაც მიეღებინებინა, რასაც „შედგად“ სარწმუნოების ტრადიციების დამცველი ქურუმობის განდგომა მოჰყვა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ინიციატივამ შინა მღელვარებანი გამოიწვია. ეგვიპტის მეზობლად მცხოვრებმა მეომარმა ხალხებმა კი ისარგებლეს იმით, რომ ფარაონი მხოლოდ რელიგიურ საკითხებზე ზრუნავდა და არა სახელმწიფოს დაცვაზე, და ხელში იარაღი აიღეს.

ეჰნათონის რელიგიურ რეფორმებს თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ პოლიტიკურ სარბიელზე მან მარცხი განიცადა. სწორედ ის, რაც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს თელ-ელ-ამარნაში, წარმოადგენდა ამ „მეფე-ერეტიკოსის“ (ასე უწოდებდნენ შემდგომ ამენჭოთეფ IV-ს) მეფობის დროინდელ დიპლომატიურ კორესპონდენციას. ამგვარად, მათ არა მარტო იპოვეს ეს ფირფიტები, ამოიკითხეს კიდევ მათი შინაარსი.

თიხის ფირფიტებზე დაწერილი ეს წერილები საშუალებას იძლეოდა აღედგინათ მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობის საერთო სურათი ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ რა დახმარების გაწევა შეეძლოთ მათ ხეთოლოგებისათვის?

ამ წერილებს შორის აღმოჩნდა ხეთი მეფეების ორი წერილი ფარაონისადმი და კიდევ ბევრი სხვა დოკუმენტი, რომლებიც აღწერდნენ ხეთებს შეიარაღებული რაზმების მოქმედებას სირიის საზღვრებზე; ზოგი მათგანი საშუალებას იძლეოდა გაერკვიათ, რა როლს თამაშობდნენ სხვადასხვა ქვეყნის მეფეები (მაგალითად, მითანის მეფე), რომლებისაც მანამდე მხოლოდ სახელები იყო ცნობილი. ფირფიტებს შორის აღმოჩნდა ოფიციალური ხასიათის სამეფო წერილები.

ბიცი, რომელთა ავტორები, პატარა ქვეყნის მეფეები, ფარაონს „ძმალ“ იხსენიებდნენ და სთხოვდნენ, პატრივი დასდოს და გამოუგზავნოს ერთ-ერთი თავისი ქალიშვილი მათი პარამხანისათვის. თავის მხრივ იანნი მოვალენი იყვნენ გაეგზავნათ თავიანთი ქალები ეგვიპტის ფარაონის პარამხანაში.

მითანის მეფე თუშრათა სწერს ამენპოთეფ III-ს, ეჰნათონის წინამორბედს:

„შენ დიდი მეგობრობა გქონდა მამაჩემთან. ახლა, როცა ჩვენც მეგობრები ვართ, ეს მეგობრობა ათჯერ უფრო დიდია, ვიდრე შენი და მამაჩემისა. და ახლა მე ვუთმეორებ ჩემს ძმას: დაე, ჩემი ძმა იყოს ათჯერ უფრო გულუხვი ჩემს მიმართ, ვიდრე მამაჩემის მიმართ იყო. ჩემმა ძმამ გამომიგზავნოს ბევრი ოქრო, ოქროს უზღვავე რაოდენობა გამომიგზავნოს მან მე, გამომიგზავნოს უფრო მეტი ოქრო, ვიდრე მამაჩემს!“

ეს წერილი სრულიადაც არ არის სპეციალურად შერჩეული, იგი ტიპიურია იმდროინდელი მიმოწერის წარმოსადგენად.

რასაკვირველია, ამგვარი შინაარსის წერილებმა რაღი წასწია წინ ხეთოლოგია, თუმცა მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ წინა აზიის იმდროინდელ სახელმწიფოთა ქრონოლოგიის აღსადგენად. უფრო დიდმნიშვნელოვანია ხეთი მეფეების წერილები, მათ შორის „ხეთების მეფის“ სუფილულიუმას წერილი, რომლითაც იგი ეჰნათონს ტახტზე ასელას ულოცავს. თელ-ელ-ამარნას წერილები პირველად იძლევა იმის უტყუარ საბუთს, რომ ხეთების საჰეფო უძლიერესი ყოფილა, და რომ ხეთების სამშობლო ჩრდილო სირია როდი იყო, როგორც ეს აქამდე ეგონათ. უკვე ნათელი გახდა, რომ ისინი მოსულან მცირე აზიიდან და დაახლებულან სირიაში, მაგრამ როდის, ეს ჯერ არ იყო დაზუსტებული.

ამგვარად, თელ-ელ-ამარნას წერილებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ.

ერთი მხრივ, სუფილულიუმას წერილი ეჰნათონისადმი, როგორც ისტორიული პიროვნებისადმი, საშუალებას იძლეოდა დათარიღებულიყო ხეთების ერთი მეფის მმართველობის პერიოდი. მეორე მხრივ, თელ-ელ-ამარნას წერილები ამაგრებ-

დნენ სეისისა და რაიტის იმ ჰიპოთეზას, რომ ხეტების იმპერია ძლიერი სახელმწიფო იყო, და რომ ხეტები ჩრდილოეთიდან ყოფილან მოსული.

ამაჩნას წერილების უმეტესი ნაწილი რომ მაშინვე იქნა ამოკითხული, ეს ორიენტალისტებისათვის მოულოდნელი მონაპოვარი იყო. მაგრამ მეცნიერებმა მალე შეამჩნიეს ორი ფირფიტა, რომლის წაკითხვა ვერავინ შეძლო. ისინი დაწერილი იყო უკვე ცნობილი ლურსმულით, მაგრამ უცხო ენაზე. შემდგომში ხეტების ისტორიის შესასწავლად ეს ორი ფირფიტა უფრო დიდი მნიშვნელობისა აღმოჩნდა. წერილები მიმართული იყო არცაეას ქვეყნის მეფისადმი. ამიტომ მათ „არცაეას წერილები“ უწოდეს. სხვადასხვა მიზეზის გამო ვარაუდობდნენ, რომ ეს უცნობი ქვეყანა მდებარეობდა სადღაც სამხრეთ ანატოლიაში. შეიძლებოდა ეს გაუგებარი ტექსტები რომელიმე მუზეუმის არქივში დარჩენილიყო, 1893 წ. ფრანკ არქეოლოგ ე. შანტრს ბოლაზ-ქოიში რომ არ აღმოეჩინა ფირფიტების ფრაგმენტები, რომელნიც შეიცავდნენ ამავე „არცაეას“ ენაზე შედგენილ ტექსტებს.

შეიძლებოდა თუ არა ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხს ერთსა და იმავე დროს ებატონა მდ. ჰალისის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზეც და მცირე აზიის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივაც? საკითხი იმდენად რთული იყო, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ერთი მეცნიერი, ყოფილი ასიროლოგი, აიძულა მთელი თავისი სიცოცხლე მისი ახსნისათვის შეეწირა და მიაღწია კიდევ წარმატებას. მაგრამ ვიდრე ამის შესახებ გიამბობდეთ, ნება მომეცით, მოგიყვანოთ იმის მაგალითი, თუ რა წესით აწარმოებდნენ არქეოლოგები გათხრებს იმ დროს, როცა ზუსტი ცნობები არ გააჩნდათ და მხოლოდ საქმისადმი ინტერესით ხელმძღვანელობდნენ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში მოგზაურობისას არქეოლოგებმა ოტო პუნშტეინმა, კარლ ჰუმანმა და დოქტორმა ფონ ლუშანმა შეიტყვეს, რომ ზენჯირლიში აღმოჩნდა რამდენიმე მეტად საინტერესო ბარელიეფი. ეს ქალაქი შედარებით ახლოს იყო მათ სამყოფელთან. მიუხედავად იმისა, რომ ეჩქარებოდათ და ორი დღის შემდეგ პუნშტეინსა და ლუშანს



უნდა დაეტოვებინათ თურქეთი, ისინი მაინც გაემგზავრნენ ზენჯირლიში, სადაც ნახეს ხელუხლებელი, თავის ადგილზე დადებული რვა რელიეფური ფილა. მაგრამ მათი სიხარული დიდბანს არ გაგრძელებულა. ამ რელიეფების ნამდვილი აღმომჩენი იყო ჰამდი-ბეი, თურქეთის ყველა მუზეუმის გენერალური დირექტორი. აშკარა იყო, რომ მიწა კიდევ ბევრ ნაშთს შეიცავდა.

ოთხი წლის შემდეგ, 1888 წ., ბერლინში ჩამოყალიბებული აღმოსავლური კომიტეტის მხარდაჭერითა და სახელმწიფო მუზეუმების მთავარი ადმინისტრაციის დავალებით ჰუმანი გაემგზავრა კონსტანტინოპოლს, რათა გათხრების წარმოებისა და ექსპედიციის მოწყობის ნებართვა მიეღო.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი, რაც კი ჰუმანმა გააკეთა ექსპედიციის მოსაწყობად, რომლის მიზანი იყო ძველი ნივთებით მდიდარი ადგილების გამოკვლევა, იმ დროისათვის საშავალითო იყო. ცნობილია, თუ როგორი გაუფრთხილებლობით აწარმოებდა შლიმანი რამდენიმე წლით ადრე ტროას ნანგრევების გათხრა-გაწმენდას; ისიც ცნობილია, რომ ბევრგან გათხრებს მძარცველურად აწარმოებდნენ, რადგანაც განძეულობა უფრო აინტერესებდათ, ვიდრე ნამდვილი მეცნიერული კვლევა-ძიება. ჰუმანი მთავარი მოწყობილი ექსპედიციის ორგანიზატორი კი ამ მხრივ სანიშნო იყო. არაფერი არ დაეწყებიათ: არც კარვები, არც საველე საწოლები, არც სამზარეულოს მოწყობილობა. მან თავი მოუყარა ზედამხედველებს, ქვისმთლებს, ხუროებს, მჭედებსა და მზარეულს; შეიძინა საჭირო ფოტომაშალა და სხვადასხვა სამუშაო იარაღი. ბერლინის სამეფო მუზეუმებისაგან მასთან თანამშრომლად მოავლინეს დოქტორი ფონ ლუშანი, ათენის არქეოლოგიური ინსტიტუტიდან კი — მისი მეგობარი ფრანც ვინტერი.

კარლ ჰუმანი და ფელიქს ფონ ლუშანი შესანიშნავ წყვილს შეადგენდნენ.

ჰუმანი დაიბადა შტეელეში (1839 წ.), პრუსიაში. მას პრუსიელისათვის დამახასიათებელი მახვილი გონება ჰქონდა და უკვე განთქმული იყო თავისი დიდი გამოცდილებით. სპე-

ცილობით რკინიგზის ინჟინერი იყო. ჯანმრთელობამ იგი აიძულა დასახლებულიყო სამხრეთ ევროპაში, სადაც ჰავა ნაკლებ მკაცრია. ორმოცი წლის შემდეგ იმავე მიზეზმა მიიყვანა განთქმული სპორტსმენი ლორდი კარნავონი ეგვიპტეში, სადაც მან კარტერთან ერთად აღმოაჩინა თუთანხამონის სამარე. ერთმა შემთხვევითმა აღმოჩენამ კუნძულ სამოსზე საფუძველი ჩაუყარა ჰუმანის არქეოლოგიით გატაცებას. მას დავალებული ჰქონდა კარტოგრაფიული სამუშაო. 1867-1873 წწ. იგი ხელმძღვანელობდა სარკინიგზო ქსელის მშენებლობას ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ მიუხედავად თავისი საქმეებისა, მაინც განაგრძობდა არქეოლოგიურ ძიებას. მას უნდა ვუმაღლოდეთ პერგამის აღმოჩენასა და გაწმენდას, რაც მან 1878 წლიდან 1886 წლამდე აწარმოა. ამ მუშაობას შედეგად ის მოჰყვა, რომ ბერლინში, სპეციალურად ამ მიზნით აგებულ მუზეუმში, აღდგენილ იქნა ანტიკური ხანის ეს უმშვენიერესი საკურთხეველი. იგი დაინგრა უკანასკნელი ომის დროს, მაგრამ ბარელიეფები დღემდე კარგადაა შენახული.

ავსტრიელი ფონ ლუშანი დაიბადა 1854 წ. ვენის მახლობლად, ჰელაბრუნში. სპეციალობით იგი ექიმი იყო; მსახურობდა საიპვერიო ჯარში, მაგრამ ამავე დროს ანთროპოლოგიაც აინტერესებდა. მას შეეძლო დიდი სამსახური გაეწია ყოველი ექსპედიციისათვის. ლუშანი და ჰუმანი შესანიშნავად ავსებდნენ ერთმანეთს. ექსპედიციის აღჭურვილობა, თანამედროვე არქეოლოგიის აღჭურვილობასთან შედარებით, საგრძნობლად იყო შეზღუდული, მაგრამ სამი ან ოთხი თვის განმავლობაში გათხრების უზრუნველსაყოფად მაინც კმაროდა. ინტერესს მოკლებული არ იქნება აღენიშნოთ, თუ რა და რა სამუშაო იარაღი იხმარეს მათ გათხრების ჩატარების დროს: 20 წვეტიანი წერაქვი, 12 ბრტყელი წერაქვი (ას ცალზე მეტი ტარით), 55 ბარი, 12 ურიკა (ისევე აუცილებელი, როგორც კალათა), 57 კალათა, 2 რკინის ამწე, 2 ჩაქუჩი, 3 კაბელი, 1 ბლოკი, 1 რგოლი, 1 პატარა ვაგონი ფოლადის ღერძით, 1 მოძრავი სამკედლო და დამატებით ლურსმნები, თოკები და სხვ.

„ასე შევაგროვე მოწყობილობა, — წერს ჰუმანი, — 170 და უფრო მეტი მუშისათვის. ამავე დროს, ადვილად

შემედლო დაზიანებული იარაღების შეცვლაც“. მაგრამ ჰუმანი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა პირობები შეუქმნა ექსპედიციის წევრებს; მაცივარი და პორტატული შხაპი ჯერ კიდევ არ მიაჩნდათ აუცილებლად არქეოლოგიური ექსპედიციისათვის!

1888 წ. 5 აპრილს ჰუმანმა და მისმა თანამშრომლებმა დატოვეს ალექსანდრეტა და გაემართნენ იმ გზით, რომლითაც ოდესღაც მიდიოდნენ ჯვაროსნები და რომელიც დაახლოებით ორი ათასი წლის წინ ცხენით გაიარეს ახალგაზრდა კიროსმა და ალექსანდრე დიდმა. ცუდი გზა იყო, თანაც წვიმდა. 7 აპრილს, საღამოს, ჰუმანი მივიდა ისლაჰიეში — „ქუქუყიან და მყარალ სოფელში, სადაც ორმოცდაათამდე ქოხი იღვავა“.

მაგრამ ამ სოფელში, რომელიც სხვებზე არც უარესი იყო და არც უკეთესი, ცხოვრობდა კაიმაკამი, ოლქის უფროსი. მისი დახმარებით ჰუმანმა იშოვა საჭირო ხის მასალა ბარაკების ასაშენებლად და დაიქირავა დამატებით ორი ხეივანი. კვირას, 8 აპრილს, ქარავანი გზას გაუდგა, მაგრამ საღამოს, ზენჯირლიში მისვლასას, ჰუმანმა აღმოაჩინა, რომ მას მხოლოდ ცამეტი კაცი წამოჰყოლოდა.

მეორე დილას ექსპედიციას თვალწინ ისეთი სურათი გადაეშალა, რომელიც თითქოს ყველაზე უარეს მოლოდინს აჰარბებდა — პატარა, კონუსის ფორმის ბორცვის დასავლეთ კალთაზე შეფენილ ქოხმახებში ცხოვრობდნენ „ქურთები და ანზაროები საზიზლარ ქუქუყში“. შემდეგში, როცა ბორცვი გაზომეს, აღმოჩნდა, რომ მისი სიგრძე იყო 335 მეტრი, სიგანე კი — 240 მეტრი. შემდეგ ჰუმანი უმატებს: „ეს სოფელი ნამდვილი ქუქუყის ბუდე იყო“. ერთი დახავსებული რუ მიიკლანებოდა 80-ოდე ქოხს შუა. როცა ჰუმანი იმ ადგილას მივიდა, სადაც რამდენიმე წლის წინ რელიეფი ჯერ ჰამდი-ბეიმ აღმოაჩინა, მოგვიანებით კი ლუშანმა და პუხშტეინმა, მან შენიშნა, რომ თითქმის ყველა რელიეფი ისევ მიწაში იყო ჩაფლული.

მიუხედავად ამისა, 9 აპრილიდან მუშაობა დაიწყო. მალე ადგილობრივმა მოსახლეობამ შეიტყო, რომ უცხოელები კარგ საფასურს იძლეოდნენ ძველი ნანგრევების გათხრაში,



მეომარი ქარხემიშიდან

ხოლო ვინც ნაქანდაკევე ქვებს აღმოაჩენდა, დამატებით ჯილდოს მიიღებდა. სიტყვიერი განცხადება საკმარისი აღმოჩნდა, რომ იმავე დღეს 34 მიწისმთხრელი გამოცხადებულიყო. მეორე დღეს უკვე 96 მუშა მუშაობდა.

9 აპრილს, სალამოს, ექსპედიციამ არა მარტო ჰამდი-ბეის მიერ ნაპოვნი და გაწმენდილი რელიეფები ამოთხარა ხელახლა, არამედ ოთხი სხვაც გამოავლინა. ამ უკანასკნელებზე გამოსახული იყო მეომარი ფართი, შუბით და ხმლით, ერთი ახალგაზრდა, სარკეში მაკქერალი ქალი და საომარ ეტლში შებმული ცხენი. მეორე დღეს, სალამოსათვის, აღმოაჩინეს 26 რელიეფური ფილა. მათზე გამოსახული ადამიანები, ღმერთები და ცხოველები განსხვავდებოდნენ

ყველა უკვე ცნობილი ფილებისაგან, მაგრამ მათ რალაც საერთო მაინც გააჩნდათ ევფრატსა და ყიზილ-ირმაქს შუა ნაპოვნ რელიეფურ ფილებთან. არსად და არასდროს არ აღმოუჩენიათ იმდენი გამოსახულებებიანი ქვები, როგორც ზენჯირლიში.

აღლელებული ჰუმანი, როგორც საერთოდ გათხრათა ყველა იმდროინდელი ხელმძღვანელი, როცა ნიადავი მათ საიდუმლოებას უხსნის, თავის დღიურში წერს: „აქ დამთავრდა პირველი კვირა და ის კმაყოფილებაც, რომელსაც განვიცდიდით ამ მდიდარ მონაპოვართა გამო. ვივიწყებდით, რომ დასავლეთის ქარი გლეჯდა კარვებს, რომ იძულებული ვიყავით გვიძინებოდა ქოლგებით ხელში წვიმისაგან დასველებულ საწოლებში და რომ კარვებში კოჭებამდე ქყავი იდგა“.

გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა მრგვალი ფორ-

მის, მოცულობითა და ორნამენტაციით არაჩვეულებრივი ცხე-სიმაგრე. ჰუმანმა, რომელიც გაცნობილი იყო სენისა და რაიტის შრომების გარდა ამ საკითხის შესახებ არსებულ ყვე-ლა ნაშრომს, შეიმუშავა თავისი საკუთარი დებულება — ყვე-ლა ეს ნაშთი და აგრეთვე ყველაფერი, რაც გალავნის გარე-თაა ნაპოვნი, ნამდვილად ხეთებს ეკუთვნისო.

სომხური სკოლის ერთმა მასწავლებელმა ფონ ლუშანი და ვინტერი მიიყვანა მეორე დაბაში, სადაც ნახეს ხეთური ბა-რელიეფები მაგიდასთან მჯდომი ქალისა და მის წინ მდგომი მამაკაცის გამოსახულებებით. ზენჯირლის ჩრდილოეთით, ცხე-ნით ერთი საათის სავალზე, აღმოჩენილი იქნა ხეთური წარ-წერებიც.


მაგრამ ბორცვი ჯერ კიდევ მრავალ საიდუმლოებას ინახავ-და. როდესაც წარსულში იჭრები, ადვილად მიმართავ ხოლმე სიმბოლოებს; ზენჯირლის გორაკი კა უხვად იყო მოფენილი ასფედლებით, „ქვესკნელის ყვავილით“. რას მალავდნენ კიდევ ისინი?

1888 წ. 4 მაისს ჰუმანი თავის დღიურში წერდა: „ეს იყო მხოლოდ დაზვერვითი ექსპედიცია“. ბერლინში კი მისწერა: „თუ ბედმა გამიღიმა და დავამტკიცე, რომ ეს ნანგრევები ძველ სასახლეს ეკუთვნის, ამით დავკმაყოფილდები. ეს აღმო-ჩენა საშუალებას მოგვცემს მეტი რწმენით დავიწყოთ ახალი გათხრები.“

მაგრამ ამინდმა ხელი შეუშალა მის გეგმებს. დასაწყისში შედარებით გრილოდა, წვიმდა, 15 მაისიდან კი დადგა სულის შემხუთველი აიცხებები, რასაც თან მოჰყვა კოლოები, მორიე-ლები, ტარანტულები და გველები.

ერთმა ახალმა აღმოჩენამ ექსპედიციის წევრებს ბიძგი მიი-ცა, დაეწყოთ გათხრები. 3 მაისს 5 მეტრის სიღრმეზე, ასფე-დლების ბუჩქის ქვეშ ამოთხარეს უზარმაზარი ლომი, რო-მელიც გვერდზე იყო დაწოლილი თავით ზევით.

მიუხედავად იმისა, რომ ჰუმანმა ყოველი მხრიდან აწარ-მოა ზენჯირლის ბორცვის გათხრები, მაინც ვერ დაადგინა ნა-გებობის ნამდვილი მდებარეობა. აღმოაჩენდა კარიბჭის ერთ სვეტს, მეორეს კი ველარ პოულობდა; იპოვნინდა ერთ ქანდაკე-ბას, რომელსაც ლოგიკურად თავისი შესაფერისი წყვილი უნ-



ზენჯირლის ქალაქისა და ციხე-სიმაგრის რეკონსტრუქცია. იგი ისე იყო აგებული, რომ მტერს მხოლოდ ნაწილ-ნაწილ შეეძლო მისი აღება.

და ჰქონოდა, მაგრამ, არქეოლოგიური ნორმების საწინააღმდეგოდ, ასეთი მეორე ნაწილი არსად ჩანდა.

ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა ყოფილიყო ამ აღმოჩენათა შედეგები, ჰუმანს მაინც უნდა ეზრუნა მონაპოვართა გადაგზავნაზე. მრავალრიცხოვან წინამორბედთაგან შექმნილმა გამოცდილებამ მას დიდი სამსახური გაუწია. უმთავრეს დაბრკოლებას მაინც ტვირთის სიმძიმე შეადგენდა, რადგანაც ზენჯირლიში აღმოჩენილი ეს კოლოსალური ზომის ქანდაკებები ამოკვეთილი იყო არა ქვის თხელ ფილებზე, არამედ მასიურ ბლოკებზე.

მაისის მეორე ნახევარში ჰუმანმა საჭრისით ამოაკვეთინა რვა რელიეფი, რომლებიც რკალისებური გალავნის კარიბჭესთან იდგა. ამოჭრილ ბლოკებს უკანა მხარე ჩამოათალეს 15 სანტიმეტრის სისქემდე, რის შედეგადაც მათი წონა 5-8 ცენ-

ტენერთ შემცირდა. სწორედ ამ დროს წააწყდნენ ახალ სიძნელეს. ექსპედიციის ბიუჯეტის მიხედვით თითოეული ბლოკი 65 მარკად უნდა გადაზიდულიყო, მაგრამ დაბა მარაშია და მისი მიდამოების ჩერქეზებმა 90 მარკა მოითხოვეს. ჰუმანმა მოისაზრა, თუ როგორ მოქცეულიყო და გაგზავნა შიკრიკი ალბისტანში, ზენჯირლიდან ცხენით ერთი დღის სავალზე. იგი უკან დაბრუნდა ათი ურმითა და მეურმეებით; ჰუმანი მათ თითო დატვირთვაზე 68 მარკად გაურიგდა.

მაგრამ ახლა აღმოსავლეთმა დაიწყო შურისძიება. 28 მაისს ექსპედიციის ერთი წევრი ავად გახდა ციებით; ხუთი დღის შემდეგ ჰუმანი ფილტვების ანთებამ ჩააგდო ლოვინად. მეორე დღეს კი დეპეშა მოვიდა ჰამდი-ბეისაგან. თურქეთის ყველა მუზეუმის უფროსი, რომლის ნებაზეც დამოკიდებულიყო გათხრების ჩატარება, თავაზიანად იწვევდა ჰუმანს 7 ივნისს. ალექსანდრეტაში შესახვედრად. 5 ივნისს ავადმყოფმა ჰუმანმა ექიმ ლუშანთან ერთად დატოვა ზენჯირლი და უკვე 7 ივნისს თავისი გათხრების შედეგებს უზიარებდა ჰამდი-ბეის. ჰამდი-ბეიმ თავაზიანად, მაგრამ დაჟინებით მოსთხოვა მას წასულიყო კონსტანტინოპოლში და უშუალოდ იქ მოესხენებინა თავისი გათხრების შესახებ. ჯერ კიდევ ავადმყოფი ჰუმანი გამგზავრა გემით კონსტანტინოპოლში, სადაც მიიღო ნებართვა, ბერლინში გადაეტანა 23 ბარელიფი, ერთი სტელა და სხვადასხვა მეორეხარისხოვანი ნივთები, რომლებიც ექსპედიციამ მისი ხელმძღვანელობით აღმოაჩინა. 11 ივნისს იგი გემით დაბრუნდა ალექსანდრეტაში, 13-ში კი უკვე ზენჯირლიში იყო.

ექსპედიციის ერთადერთი წევრი, რომელიც ავადმყოფობას გადაურჩა, ევროპელი ფონ ლუშანი იყო; ყველა დანარჩენი ციებით გახდა ავად. ჰუმანის იქ არ ყოფნის დროს ლუშანმა დრო არ დაკარგა და სამხრეთი კალთიდან მოყოლებული დამწვარი ნაშთებისაგან გააწმენდინა „ხრიოკი გორაკი“, — როგორც ჰუმანი წერს. მუშაობა მძიმე იყო, შედეგი კი დიდი არ მოჰყოლია; ივნისის მიწურულში მუშებმა ერთბაშად კედლის ოთხი საძირკველი აღმოაჩინეს; ყველაზე ქვედა 4 მეტრი სისქისა იყო. ციებამ შეანელა მუშაობა, დისციპლინაც იმდე-

ნად შესუსტდა, რომ იენისის მეორე ნახევარში მხოლოდ 60 მიწის მუშალა დარჩა. ჰუმანმა ერთი პიასტრით გაადიდა ხელფასი და ორი დღის შემდეგ უკვე 101 მუშა გამოვიდა სამუშაოდ.

აღმოჩენილი ნივთები მეტად სხვადასხვაგვარი იყო: ელინური მონეტის გვერდით იდო ასურული სამეფო სამარხის სტელა, სიმაღლით 3 მ 45 სმ, ხეთური სტილის ბრინჯაოს პატარა ქანდაკება — კონსტანტინეს მონეტის გვერდით, ელინური სპილოს თავი — ხეთურ წარწერასთან ერთად და სხვა.

მოულოდნელად არქეოლოგებთან გამოცხადდა ერთი ქურთი და დიდი კვეხნით განაცხადა, რომ მათ „მოლაპარაკე სურათებს“ ანახვებდა. მან ფონ ლუშანი და ვინტერი მიიყვანა ორდეჟ-გიოლთან — „იხვის ტბასთან“, და აჩვენა 1 მ და 20 სმ სიმაღლის სტელა, რომელზეც გამოსახული იყო ტიპური ხეთური ზეიმი და ცხრასტრიქონიანი წარწერა ფინიკიურ ენაზე.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებდა, რომ ზენჯირლის მიწა თითქოსდა ისტორიით იყო გაქვნილი, მაგრამ პირველივე მოთხოვნაზე არ სურდა გაემქლავნებინა ჩამარხულ გამოცანათა საიდუმლოება.

ციება იძენად გაძლიერდა, რომ იძულებული გახდნენ ხელოსნები მთებში გაეგზავნათ. ისინიც, ვინც ზენჯირლოში დარჩნენ, თანდათან სუსტდებოდნენ. სიცხეები დღითი დღე მატულობდა; თუ ნაშუადღევს სიცხე 37-38 გრადუსს არ აჭარბებდა, „ამას ჩვენ გრილ დარს ვუწოდებდით“, — აღნიშნავს ჰუმანი. აი, ასეთ პირობებში უნდა მომხდარიყო დიდი ქვეშის გადატანა, რაც პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელი იყო.

13 იენისის ხარებით შებმული 12 ურემი გზას გაუყვა, მაგრამ ზენჯირლისა და ისლაპიეს შუა ორი საათის სავალზე სამი ურემი უკვე დაიბტვრა. ამას კიდევ ერთი მარცხი დაერთო: ერთმა უგუნურმა და თავხედმა ქურთმა, კაიმაკამის თანაშემწემ, მათ დანარჩენი ცხრა ურემიც ჩამოართვა. ჰუმანმა აჩვენა ჰამდი-ბეის წერილი, მაგრამ ის მაინც ჯიუტობდა; ბოლოს მხოლოდ მუქარამ გაჭრა.

ციებისაგან დასუსტებული ექსპედიციის წევრები სასოწარ-



კვეთილებაში ჩაცვიდნენ. მაგრამ 14 ივნისს მოულოდნელად გამოცხადდა ერთი ჩერქეზთაგანი ორი ცხენიანი ურმით. რამდენიმე კვირის წინ იგი გადაზიდვაში ძალიან დიდ თანხას თხოულობდა. მოვიდნენ სხვა ჩერქეზებიც. მათ ახლა უფრო ზომიერი ფასები მოითხოვეს. ბოლოს, როგორც იქნა, მძიმე ქვებით დატვირთული ურმების მწკრივი ნელა გაუდგა გზას ალექსანდრეტასაკენ. 20 ივნისს გაიგზავნა 60 ტონა რელიეფებითა და გამომწვარი თიხის ქურჭლით სავსე 82 ყუთი. მთელი ეს ქვები და ნატეხები ნათლად მოწმობდა იმას, რომ ნამდვილად არსებობდა ძალიან ძველი, უცნ-ური და უცნობი ცივილიზაცია.

ერთ-ერთი მცველი, რომელიც ტრანსპორტს დარაჯობდა, ციებამ გატანჯა. 23 ივნისს, დილით, გამტვრიანებული და სიცხით არაქათგაცლილი ურმების ქარავანი ზღვის ნაპირს მიუახლოვდა. ზენჯირლიდან ორშაბათს გამოსულებმა ოთხშაბათს ნაშუადღევს ძლივს მიაღწიეს ზღვას. ალექსანდრეტამდე 6 კილომეტრიდა იყო. იქვე, გზის პირას, ზანგის პატარა ყავახანა და ქა იყო ცივი წყლით.

გეში კი მხოლოდ ათი დღის შემდეგ გადიოდა!

მათ გაშალეს კარვები და, როგორც ჰუმანი წერს, „ლურჯი ზღვის პირას შეისვენეს“.

იქნებ ამ დასვენების შედეგია ის ოპტიმიზმი, რომელიც გამოსჭვივის ქვემოთ მოყვანილი სტრიქონებიდან: „მიზანი მიღწეულია; ჩვენ მივაგენით ხეთების იმ ნაგებობას, რომელსაც ვეძებდით და თანაც ზედაპირიდან რამდენიმე მეტრის სიღრმეზე. ახლა უკვე გაბედულად შევუდგებით ახალ სამუშაოს. ეს გორაკი აღარ წარმოადგენს გამოუკვლეველი ნანგრევების გროვას. მან გვამცნო თავისი საიდუმლოება; სწორედ ეს გვინდოდა მისგან გამოგვეგლიჯა“.

საკვიროა აღინიშნოს, რომ ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობის ასეთი შეფასებით და ამგვარი იმედებით ჰუმანს საკუთარი თავი შეჰყავდა შეცდომაში. მომავლის იმედები, რომელსაც ის ისახავდა, ისევე გაზვიადებული იყო, როგორც 1878 წ. ქარხემიში უწესრიგოდ და უშედეგოდ წარმოებული პირველი გათხრების შედეგები. შემდგომში ისეთი სპეციალის-



ღეთება თეშუფი

ტები, როგორებიც იყვნენ რამზეი, პოგარტი, ლოურენსი ან ვული, უკვე მეცნიერებისათვის შესაბამის შედეგებს აღწევენ.

ზენჯირლიში აღმოჩენილმა ძეგლებმა, რომლებიც ძვ. წ. მხოლოდ I ათასწლეულის დროინდელ ხეობებს ეკუთვნოდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უდავოდ საინტერესო იყო, პირველ ხეთოლოგებს მაინც ბევრი ვერაფერი მისცა. ხეობის პრობლემა ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩებოდა და საკითხი ასე იდგა: შექმნეს თუ

არა, საერთოდ, ხეობმა „იმპერია“ ახლო აღმოსავლეთში?

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ ასე კარგად მოწყობილმა ექსპედიციამ, რომელსაც ჰუმანი ხელმძღვანელობდა, ასეთი არასრული ცნობები მოგვცა ხეობის შესახებ. მით უმეტეს, რომ ოცი წლით გვიან და თანაც უფრო ცუდად მოწყობილმა მეორე ექსპედიციამ უდიდესი მნიშვნელობის შედეგებს მიაღწია და შესაძლებელი გახადა განსაზღვრულიყო ხეობის როლი ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ ეს ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა გერმანელი ჰუგო ვინკლერი, შესაძლებელი გახდა განხორციელებულიყო მხოლოდ ერთი პოლიტიკური შემთხვევის წყალობით.

ვინკლერზე უფრო ადრე ერთ-ერთმა საუკეთესო ინგლისელმა არქეოლოგმა თხოვნით მიმართა თურქეთის მთავრობას, ნება მიეცა ეწარმოებინა გათხრები ბოლაზ-ქოიში, ქალაქში, რომელიც ტექსიემ აღმოაჩინა.

თურქეთის სულთანი აბდულ-ჰამიდ II უფრო კეთილად იყო განწყობილი გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ II-სადმი,

ვიდრე ინგლისის მეფე ელუარდ VII-სადმი. ეს პოლიტიკური მეგობრობა ფაქტიურად ეკონომიურ ინტერესებს ემყარებოდა. 1899 წ. გერმანულმა ბანკმა კონცესია მიიღო ბალდადის რკინიგზის გასაყვანად. ეს იყო მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პროექტი რკინიგზის მშენებლობის შესახებ. ამით აიხსნება, რომ ბოლზ-ქოის გათხრების წარმოების „ფირმანი“ მიიღო გერმანელმა და არა ინგლისელმა. ეს იყო სულთნის თავაზიანი ჟესტი კაიზერის მიმართ, რომელიც ინტერესს იჩენდა არქეოლოგიისადმი. ამ შემთხვევაში ვილჰელმ II-მ სიამოვნებით შეიფერა მეცენატის როლი; მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა გაემართლებინა მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველის სახელი.

### მინკლერი თხრის ბოლზ-ქოის

ხეთების საკითხს დღითი დღე სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. ამჟამად ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს აღვადგინოთ ხეთოლოგიის საწყისი პერიოდისათვის დამახასიათებელ მცდარ მოსაზრებათა შორის მიჩქმალული არსებობისად სწორი დებულებანი. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა საკმარისი ცნობები ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

როგორი მდგომარეობა იყო 1907 წ. ამაზე რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, საკმარისია მოვიყვანოთ ამონაწერი ჰუგო ვინკლერის სტატიიდან, რომელიც გამოქვეყნებულია „გერმანული ორიენტალისტური საზოგადოების მოამბის“ ოცდამეთხუთმეტე ნომერში:

„იმ ძეგლებთან ერთად, რომლებიც ნამდვილად მოწმობს ხეთებისა და მცირე აზიის ცივილიზაციის არსებობას, აღმოჩენილი იქნა ახალი მასალები. ამ მასალებით მტკიცდება, რომ ამ ქვეყნებმა ბაბილონეთის ძლიერი გავლენა განიცადეს. ერთი შემთხვევის წყალობით, თელ-ელ-ამარნას არქივებთან თითქმის ერთდროულად, მცირე აზიაშიც აღმოჩნდა ლუქსმული ნიშნებით დაფარული ფირფიტები. ისინი იპოვეს ქიულთე-

ფეს გორაკზე, დაბა ყარა-პუიუქის მახლობლად, კაისერის აღმოსავლეთით ცხენით ორი-სამი საათის სავალზე.

ეს ძნელად წასაკითხი და არც ისე საინტერესო შინაარსის ფირფიტები ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, რომ ქვეყნებმა, რომლებშიც ლურსმულ დამწერლობას ხმარობდნენ, გავლენა მოახდინეს მცირე აზიის ხალხებზე. თელ-ელ-ამარნაში ნაპოვნ წერილებთან ერთად, რომლებსაც მცირე აზიის მეფეები ფარაონებს უგზავნიდნენ, ეს ფირფიტებიც უდიდესი მნიშვნელობის საბუთებს წარმოადგენდა.

ამარნას მიმოწერაში აღმოაჩინეს ხეთების მეფის სუფილულიუმას მიერ შედგენილი წერილის ფრაგმენტები და კიდევ ორი სხვა წერილი, რომლებიც უფრო გამოცანებს შეიცავდა, ვიდრე ახსნა-განმარტებას. ერთი იყო წერილი, რომელსაც ამენჰოთეფ III უგზავნიდა არცავეს მეფეს თარხუნდარადუს; წერილიდან ჩანს, რომ არცავეს ქვეყანა სადღაც მცირე აზიაში მდებარეობდა, მაგრამ რა ადგილას, გაურკვეველი იყო. მეორე წერილი ეკუთვნოდა რომელიღაც მეფეს, სახელად ლაპავას. სხვა ფირფიტაზე იგი მოხსენიებულია, როგორც იერუსალიმის ჩრდილოეთით მდებარე სამეფოს მფლობელი, რომლის რეზიდენციაც ქარმელის მთის მიდამოებში უნდა ყოფილიყო.

მაგრამ როგორ დაეკავშირებინათ ეს ფაქტები და აეხსნათ ის უცნაურობა, რომ პალესტინაში, იმ რაიონში, სადაც უფრო გვიან სამარიის (ისრაელი) სამეფო აღმოცენდა, აშკარად არცავეს ქვეყნის ენაზე ლაპარაკობდნენ?“

დაკვირვებული მკითხველი უეჭველად შეამჩნევდა, რომ ვინკლერმაც, როგორც საპეციალისტმა, წამოაყენა ის საკითხი, რომელსაც ჩვენ მოკლედ შევხეთ წინა თავში, როცა არცავეს წერილები განვიხილეთ. ახლა გავუსწროთ მოვლენებს, რაც არ შეეძლო გაეკეთებინათ არქეოლოგებს ჩვენი საუკუნის დამდეგს, და დავსვათ საკითხი: შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ეს არცავეს წერილები დაწერილი ყოფილიყო ხეთურ ენაზე? ვნახოთ, როგორ წყვეტენ ამ ამოცანას არქეოლოგები.

თავისი პირველი ექსპედიციის დაწყებისას ვინკლერს შეეძლო ესარგებლა სახელოვან წინამორბედთა მიერ ჩატარებულ-

ლი ექსპედიციების მაგალითით. არტურ ევანსმა მასზე რამდენიმე წლით ადრე კუნძულ კრეტაზე აწარმოვა კნოსის სასახლის გათხრები. უფრო ადრე რობერტ კოლდევეიმ მესოპოტამიაში გათხარა ბაბილონის ნანგრევები. ორივე ეს არქეოლოგიური ექსპედიცია სამაგალითოდ იყო მოწყობილი.



ქურუმი ქალი ქარხემინიდან

მაგრამ ვინკლერის ექსპედიცია თავიდანვე ცუდად დაიწყო. ეს შეიძლება ვინკლერის პირადი თვისებებით აიხსნას. პუგო ვინკლერი (დაიბადა 1863 წ. გრეფენჰაინიხენში, საქსონიაში) უკვე დაძახახურებული ასირიოლოგი იყო, როცა ანატოლიაში გაემგზავრა. 1903-1904 წლებში მან გათხრები ჩაატარა სიდონის ტერიტორიაზე; როგორც პიროვნება, იგი მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე, ვინც მას დაუახლოვდებოდა. ლუდვიგ კურციუსი, რომელიც შემდგომში მისი ასისტენტი გახდა, ასე ახასიათებს მას: „მე მუდამ ვოცნებობდი მეთანამშრომლა ორიენტალისტთან, რადგან იგი წარმომედგინა გაბედულ და მოგზაურობას შეჩვეულ ადამიანად. ამიტომ განცვიფრებული დავრჩი, როცა კონსტანტინოპოლში შევხვდი უფერულ კაცს, რომელსაც მოუვლელი, წაბლისფერი წვერი ჰქონდა, ეცვა სპორტული პერანგი, წელზე ერთყა აბრეშუმის წითელი ზონარი, ხოლო წვრილბურჯუაზიული მანერებით მკვეთრად განსხვავდებოდა აღმოსავლური დარბაისლობისაგან. მართლაც, ვინკლერის ისეთი არაფერი გააჩნდა მალალი წრის ადამიანისა, როგორსაც მე მოველოდი!“

საერთოდ, ვინკლერი იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ბევრი მტერი და ცოტა მეგობარი ჰყავთ. იმავე კურციუსის სიტყვებით, „იგი ბოლმით ივსებოდა, როცა სხვა მასზე მეტა მიადწევდა. ვერ იტანდა იმ არქეოლოგებს, რომელთა თეორიებს არ იზიარებდა. მან შეიმუშავა „ბაბილონური კონცეფცია“, რომლის მიხედვითაც ყველაფერი, რაც კი მსოფლიო-

ში ღირებულებას შეიცავდა, ბაბილონიდან მომდინარეობდა. ყველა ჰუმანისტი, რომელიც კი დასავლეთის ცივილიზაციის წარმოშობას ბერძენ-რომაელებს მიაწერდა, მის რისხვას იმსახურებდა!“

ამასთან ერთად, გაცემას იწვევდა ისიც, რომ აღმოსავლეთმცოდნე ვინკლერი ანტისემიტი იყო. მისი ღვარძლიანი ხასიათი შეიძლება ნაწილობრივ იმ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობით აიხსნას, რომელიც მან 1913 წ. გადაიტანა. მიუხედავად ხასიათის ცვალებადობისა და ანტისემიტიზმისა, მისი პირველი ექსპედიცია ებრაელი ბანკირების თანხებით მოეწყო. ჰუგო ვინკლერმა, ამ კონტრასტების ადამიანმა, დაიწყო თავისი ექსპედიციის მომზადება. უპირველესად, საჭირო იყო დაზვერვითი ხასიათის სამუშაოების ჩატარება.

ვილჰელმ ფონ ლანდაუ, ვინკლერის მოწაფე, რომელმაც ერთხელ უკვე მისცა თანხა სიდონის გათხრებისათვის, ახლაც ეხმარება მას. მაკრიდი-ბეი, ვინკლერის თანამშრომელი სიდონში, რომელიც დიპლომატიური წარმომადგენლობის მრჩეველი იყო კონსტანტინოპოლში თურქეთის მუზეუმებისაგან, იმავე დროს ვინკლერის თანაშემწე, ექსპედიციის ოფიციალური და პასუხისმგებელი უფროსი და ვინკლერის ღირსეული წყვილიც იყო.

ლუდვიგ კურციუსი, რომელიც თავის ხუთასგვერდიან მემუარებში (სათაურით „გერმანული და ანტიკური ქვეყანა“) იშვიათად ამბობს ხოლმე ცუდს ვინმეზე, ასე აღწერს მაკრიდი-ბეის: „უძირო შავი თვალები ჰქონდა, გაპარსულ სახეზე კი ციებიანისათვის დამახასიათებელი სიყვითლე გადაჰკრავდა. მის პიროვნებაში შერწყმული იყო ნახევრად განსწავლული და არქეოლოგიის გატაცებით მოყვარული, თავისი შეფის — ჰამდი-ბეის ერთგული მოხელე და, ამავე დროს, კომბინატორი, დაუღალავი მკვლევარი; უცებ იქცეოდა ხოლმე ეპიკურელად და გულცივად; დღეს თუ ზრდილობიანი და თავაზიანი იყო, ხვალ ცინიკური, უსინდისო ინტრიგანი... დაახლოებით ასევე წარმომიდგენია შექსპირის „ოტელოს“ იაგო!“

მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარი გამოცდილება გააჩნდათ, ვინკლერი და მისი თანამშრომლები პირველი დაზვერვითი მო-

გზაურობის დროს მაინც დაუდევრობას იჩენდნენ. ისინი მატარებლით გაემგზავრნენ ანკარაში, სადაც იმედი ჰქონდათ, რომ შეიძენდნენ ყველა საჭირო მასალას. მაგრამ, ჯერ ერთი, აღმოსავლეთში აჩქარებით არაფერი არ უნდა იყიდოთ, და მეორეც, ანკარა იმ დროისათვის ერთ მივარდნილ და მიყრუებულ სოფელს წარმოადგენდა, ძველი ციხე-სიმაგრის ირგვლივ განლაგებული ქოხვახებით.<sup>1</sup> მასალის ყიდვას სამი დღე მოანდომეს. მოუსვენარი ვინკლერი ძლივს ეგუებოდა მდგომარეობას და საშინლად იტანჯებოდა ვაჭრობის დროს. ვერც კარგი ცხენები იშოვეს და იძულებული გახდნენ ჯავლაგი ცხენებით დაკმაყოფილებულიყვნენ. „ის, რაც უნაგირების მოვალეობას ასრულებდა, თამამად გამოდგებოდა ევროპაში წამების საკანისათვის.“

ბოლოს, 14 ოქტომბერს, უკვე საკმაოდ მოგვიანებით, ექსპედიცია გზას გაუდგა. აღმოსავლეთმცოდნე ვინკლერი სწყველის აღმოსავლეთს, იტანჯება დღე სიცხის და ღამე სიცივისაგან, მტკივნეულად განიცდის სულ უმნიშვნელო წვრილმანსაც კი, იწუნებს და აკრიტიკებს ყველასა და ყველაფერს.

ძიება ხუთ დღეს გაგრძელდა.

ექსპედიციის წევრებს ეძინათ ღია ცის ქვეშ, კოცონთან, ან კიდევ „მისაფირ-ოდაში“ (ეს არის სპეციალურად მგზავრებისათვის განკუთვნილი თავშესაფარი, რომელსაც შეხვდებით გზის მთელ მანძილზე). თითოეული ადგილობრივი მცხოვრები მოვალე იყო რაგრიგობით დაეთმო უცხოელებისათვის თავშესაფარი ერთი დღით. ვინკლერი ამჯობინებდა ამ თავშესაფრებში გაეთია ღამე, ვიდრე „ხანა“-ში (ძველი ქარვასლა), სადაც, როგორც თვითონ ამბობს, ბევრი „თაპთ ბითი“ (თურქულად ნიშნავს მწერს) იყო. მაგრამ გლახთან სტუმრობისას ხშირად იძულებული ხდებოდა სადგომი შინაურ პირუტყვთან ერთად გაეზიარებინა. „თუმცა, — შენიშნავს იგი, — პირუტყვი უფრო ადვილი ასატანია, ვიდრე მლიქვნელი და მოურიდებ-

---

<sup>1</sup> დღევანდელი ანკარა (ანგორა) თურქეთის დედაქალაქია, 400 000 მცხოვრებით (1960 წ. მონაცემებით), განიერი ბულვარებით, ბანკებითა და ხელოვნური ტბით.

ბელი მცხოვრებლები, რომლის მსგავსნი მხოლოდ ქრისტიან სირიელთა შორის თუ მინახავს“.

ბოლაზ-ქოიში მდგომარეობა სხვაგვარი იყო. შარლ ტექსიეს შემდეგ უკვე სამოცდათერთმეტი წელი გავიდა, მაგრამ იქ არაფერი შეცვლილიყო. უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არა ერთხელ იხილეს ცნობისმოყვარე უცხოელები, რომლებიც მოუერიდებლად მიმართავდნენ მათ და ეკითხებოდნენ იმ ძველი კედლების შესახებ, რომლებიც გვირგვინივით ადგა თავს გორაკს. ექსპედიციის წევრები მოეწყვნენ დიდი მემამულის ზია-ბეის სახლში. იგი ფლობდა თვალუწვდენელ მიწებს. ჩუმ და პირქუშ სულთან აბდულ ჰამიდს მისი, როგორც სელჯუქიანთა ჩამომავლის, ეშინოდა კიდევ. ამის გამო, ზია-ბეის აკრძალული ჰქონდა გასცლოდა თავისი მამულის ფარგლებს. იგი პატარა ფეოდალივით ცხოვრობდა. ყოველთვის თან ახლდა ძვირფას ლივრეაში ჩამული მსახური ისმაილი, ჰყავდა ჯიშიანი ცხენები, მაგრამ ჩვეულებრივი გლეხივით მასაც უსაყულო პერანგი ეცვა, წალეების მაგივრად კი — ფლოსტები. სწორედ ამ ზია-ბეიმ გაატანა თავის მსახურს კონსტანტინოპოლში გამომწვარი თიხის ფირფიტა, რომელიც ერთ მის გლეხს ეპოვა, და რომელმაც მაკრიდი-ბეის და, ცხადია, ვინკლერის ყურადღებაც მიიპყრო.

ზია-ბეიმ სიამოვნებით მიიღო ექსპედიციის წევრები. პატივცემულ სტუმრებს აბრეშუმის ლეიბები გაუშალეს. ვინკლერი გვიამბობს, თუ როგორ წამომნტარა მწერებისაგან შეწუხებული მაკრიდი-ბეი, ხოლო თვითონ მაშინვე ლოგინების გამოცვლა მოუთხოვია. მსახურებმა მოიტანეს ახალი ქვეშაგები, რომელიც ისევ სავესე აღმოჩნდა ბალღინჯოებით. მოსამსახურეები სიცილით იხოცებოდნენ; მათ უკვირდათ, რომ ამ პატარა მწერებმა ასე დააკარგინეს მოთმინება მამაკაცებს. მთელ სოფელში ამაზელა ლაპარაკობდნენ.

19 ოქტომბერს მუშაობა დაიწყო. ვინკლერი და მაკრიდი-ბეი შეუდგნენ ნანგრევების გამოკვლევას და გაუყვნენ იმ გზას, რომელიც ადრე ჯერ ტექსიემ განვლო, შემდეგ კი სხვა მოგზაურებმა. მაგრამ მათ ახლა უკვე გარკვეული მიზანი აქვთ — იპოვონ ადგილი; სადაც აღმოჩნდა უცნობი პიქტოგრაფებით დაფარული ფირფიტები.



როდესაც ბოლაზ-ქოის მცხოვრებნი მიხვდნენ, რას ეძებდნენ უცხოელები, თვითონვე სიამოვნებით დაიწყეს თიხის ფირფიტების ფრაგმენტების მოტანა, რომლებსაც ისინი არავითარ ღირებულებას არ აძლევდნენ. ალბათ, როცა ადგილობრივი მწყემსები ძველი კედლების ვასწვრივ მიერეკებოდნენ ხოლმე ფარას, ჩამორჩენილ ცხვარს ამ ნატეხებს ესროდნენ. ამიტომაცაა სავსე ეს ადგილი ამგვარი ნატეხებით. ვინკლერი და მაკრიდი-ბეი დიდიდან სალამომდე მუშაობდნენ. შემოიარეს აღმოჩენათა მთავარი ადგილები და დაადგინეს, რომ იქ, სადაც სოფლელების სიტყვით განსაკუთრებით ბევრი ფირფიტა იყო ნაპოვნი, უკვე ვილაცას ეწარმოებინა გათხრები.

„ამ ამბავს ჩვენი გულისწყრომა არ გამოუწვევია“, — აღნიშნავს ვინკლერი, რადგან ყველასათვის ცხადი იყო, რომ აქ გამოკვლევა ფაქტიურად მეტად ზერეულედ, უწყესოდ და უმეტოდოდ იყო ჩატარებული. ვინკლერი კმაყოფილებით განაგრძობს: „უცნობს ძალიან მალე დაუკარგავს იმედი“. თვით მას კი ისეთი წინათგრძნობა ჰქონდა, თითქოს დიდი აღმოჩენის წინაშე იდგა. სამი დღის დაძაბული მუშაობის შემდეგ, როცა ექსპედიციამ მუშაობა შეწყვიტა (წვიმების სეზონი იწყებოდა და მალე მთელი ანატოლია ტალახის ტბად გადაიქცეოდა), ვინკლერმა და მისმა თანამშრომლებმა თან წაიღეს გულმოდგინედ შეფუთული ხეთური ფირფიტების 34 ფრაგმენტი. ეს დიდებული შედეგი იყო, მეტადრე როცა ვიცით, რა დაუფასებელ განძს წარმოადგენს არქეოლოგიისათვის თითოეული ფირფიტა. ამიერიდან ვინკლერმა იგრძნო, რომ ბოლაზ-ქოის მიდამოები კიდევ მრავალ სიურპრიზს უმზადებდა. ამიტომაცაა, რომ როცა იგი უკან დაბრუნებასა და ნეფეზ-ქოის ფუნდუქს აღწერს, ჩვეულებრივ გულგრილი, რომელიც ადრე ვერ ამჩნევდა ანატოლიის ბუნების უცნაურ სილამაზეს, აღნიშნავს, რომ მან მღელვარებისაგან ვერ დაიძინა და მთელი ღამე ფუნდუქის წინ მჯდარმა გაათია მომავალზე ფიქრებსა და... ვარსკვლავების ცქერაში გართულმა.

ერთი წლის შემდეგ ვინკლერმა ისეთი აღმოჩენა მოახდინა, რომელსაც ვერავინ წარმოიდგენდა.

ახალი ექსპედიცია დააფინანსა „წინა აზიის შემსწავლელმა

საზოგადოებამ“ და „ბერლინის ორიენტალისტურმა კომიტეტმა“. ექსპედიციას თანხებით დაეხმარნენ მეცენატებიც.

1906 წლის 17 ივლისს მაკრიდი და ვინკლერი ხელახლა ეწვივნენ ზია-ბეის — ამჟამად უკვე როგორც ძველი მეგობრები.

„ბეისთან ჩვენ მეტად მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. იგი ხშირად მოგვემართავდა თხოვნით, მაგალითად, მიგვეცა ერთი ბოთლი კონიაკი, ანდა გვესესხებინა ფული, როცა ზოგჯერ გაჭირვებას განიცდიდა. სამაგიეროდ ისიც ხშირად გვეხმარებოდა: საკმარისი იყო ხმა აემალღებინა, რომ დაეშოშმინებინა მუშების მღელვარება — აღმოსავლეთში გაწეული მცირედი სამსახურიც ამაოდ არ ჩაგივლით!“

ექსპედიციამ კარავი გაშალა ბუიუქ-კალეს გორაკზე, ციტადელის ნანგრევებთან. აქვე იყო შტაბი. ვინკლერს ციებამ გაუხსენა, ამასთან ერთად უჩიოდა სიცხესა და ცუდ საკმელს, რომელსაც ბულგარელი მზარეული ამზადებდა. ეს უკანასკნელი იმიტომ უფრო დაიჭირავეს, რომ ცოტაოდენი გერმანული იცოდა. ვინკლერი იჭდა კარავში, თავზე ქუდით, კისერზე მოხვეული ყელსახვევითა და ხელთათმანებით და ბურტყუნით გადაჰქონდა წარწერების ასლები ფირფიტებიდან, რომლებიც გაუთავებლად მოჰქონდათ მასთან.

უჩვეულო იყო ის ფაქტი, რომ ვინკლერს, გათხრების ხელმძღვანელს, შეეძლო მაშინვე წაეკითხა თავისი აღმოჩენილი ფირფიტები. ჯერ ერთი, იშვიათია, რომ გათხრების ხელმძღვანელები იმავე დროს ფილოლოგებიც იყვნენ. მეორეც, ეს იყო პირველი შემთხვევა არქეოლოგიის ისტორიაში, როცა გათხრების ადგილზევე უშუალოდ იქნა წაკითხული ჯერ კიდევ უცნობი ხალხის არქივის ერთი ნაწილი.

მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს. პოლიტიკური დოკუმენტები და მეფეთა მიწერ-მოწერა ნაწილობრივ შედგენილი იყო უკვე ცნობილ ენაზე — აქადურად, ხოლო დაწერილი — ლურსმულით. ბაბილონელებსა და ასურელებში გავრცელებული ეს დამწერლობა კი უკვე ცნობილი და გაშიფრული იყო იმ დროისათვის.

ერთხელ ვინკლერს სწორედ ამგვარი ხასიათის ფირფიტა

მოუტანეს კარავში. ვინკლერმა დაიწყო წარწერის კითხვა და ამ ავადმყოფ, გაბოროტებულ ადამიანს პირველად შეეცვალა ტონი, სცადა გამოეხატა თავისი მღელვარება. გასაგები რომ განდეს მისი განცდა, შემდეგი უნდა გავიხსენოთ: ჯერ კიდევ სისტემატური გათხრების დაწყებამდე ძეგლებზე და ღოკუმენტებში მოხსენებული იყო „ხათის“ (ან „ხეთას“) ხალხი. ასეა მაგალითად, კარნაკის ტაძრის წარწერაში, რომელიც ხელშეკრულების ტექსტს წარმოადგენდა რამზეს II-სა და ხეთების მეფე ხათუსილ III-ს შორის (მაშინ მას „ხათაზარ“-ს უწოდებდნენ, ვინკლერმა კი „ხათუსილი“ ამოიკითხა). ისევე, როგორც ახლა, მაშინაც ხელშეკრულებანი რამდენიმე ეგზემპლარად იწერებოდა და შედგენილი იყო ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა ენაზე. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სამი.ათასზე მეტი წლის შემდეგ იპოვნიდნენ ამ ხელშეკრულების წერილობით ღოკუმენტს, თანაც ამოკვეთილს არა ქვაზე, როგორც ეგვიპტეში, არამედ თხელ ფირფიტებზე, ხელშეკრულების მონაწილე მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, კარნაკიდან 2000 კილომეტრის დაშორებით.

მაგრამ სწორედ რომ ასე მოხდა!

ეს აღმოჩენა მიეკუთვნება არქეოლოგიის ისტორიის ისეთ-სავე უდიდეს სასწაულთა რიცხვს, როგორიც იყო, მაგალითად, ტროას აღმოჩენა ჰენრიხ შლიმანის მიერ ჰომეროსის ცნობების სიზუსტის რწმენაზე დაყრდნობით, ანდა ნიმრუდის ქანდაკების პოვნა ლეიარდის მიერ. მაგრამ ეს აღმოჩენა განსაკუთრებით იმ არაჩვეულებრივ აღმოჩენას მოგვაგონებს, რომელიც ჯორჯ სმიტმა გააკეთა. 70-იანი წლების დასაწყისში სმიტი ლონდონიდან ნინევიაში გაემგზავრა, სადაც მას იმედი ჰქონდა ეპოვა რამდენიმე ფირფიტა გილგამეშის განთქმული ეპოსის ტექსტის შესავსებად. გასათვარი ის იყო, რომ მან ეპოვა კიდევ ეს ფირფიტები. ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი აღარ არის, რომ ვინკლერი, მძიმე ავადმყოფი, მკაცრი მეცნიერი ერთბაშად ალაპარაკდა, როცა მას ფირფიტა მიუტანეს.

„20 აგვისტოს, ოცი დღის მუშაობის შემდეგ, ლორღიან გორაკში გაყვანილმა თხრილმა მიგვიყვანა პირველი კედლის ძირთან; სწორედ იქ აღმოჩნდა კარგად შენახული ფირფიტა,

რომელიც ერთი შეხედვითაც კი დიდ იმედებს იძლეოდა. თვალის გადავლება საკმარისი შეიქნა, რომ მთელი ჩემი წარსული გამოცდილება არარაობად ქცეულიყო. ამოკითხული აღმამტებოდა ყველა ჩემს ოცნებას. ეს იყო წერილი, რომელსაც რამზესი უგზავნიდა ხათუსილს ზემოხსენებული ხელშეკრულების შესახებ. მართალია, წინა დღეებში ჩვენ ვპოულობდით პატარა ფრაგმენტებს, რომლებიც ეხებოდა ამ ორ ქვეყანას შორის დადებულ ხელშეკრულებას, მაგრამ ამ ფირფიტებმა იმის უდავო საბუთი მოგვცა, რომ კარნაკის იეროგლიფური წარწერების ეს შეთანხმება მეორე მოკავშირის მიერ მიღებული იყო, როგორც დიდმნიშვნელოვანი ფაქტი. რამზესი, რომლის ტიტული და გენეალოგია დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ხელშეკრულების შესავალში, სწერს ხათუსილს, რომლის ყველა ტიტული აგრეთვე მოხსენიებულია. წერილის შინაარსი მთლიანად ემთხვევა ხელშეკრულების ყველა პარაგრაფს.

შემდეგ ვინკლერი განაგრძობს:

„უდიდეს მღელვარებას განვიცდიდი, როცა ამ იშვიათ დოკუმენტს დავცქეროდი. თვრამეტი წლის წინათ მე ვნახე არცა-ვას წერილები ბულაკის მუზეუმში, ბერლინში კი შევისწავლე მითანის ენა. თელ-ელ-ამარნაში აღმოჩენილი არქივების გაცნობის შემდეგ გამოვთქვი აზრი, რომ რამზეს-ხათუსილის ხელშეკრულების დედანი თავდაპირველად დაწერილი იქნებოდა ლუქსმულად. ახლა კი ხელთა მაქვს ეს წერილი, რომელიც დაწერილია ლუქსმულად კარგ ბაზილონურ ენაზე!“

მაშასადამე, ყველა აუცილებელი საბუთი შეკრებილი იყო. შომავალი წლიდან უკვე სისტემატური გათხრები უნდა დაწყებულიყო, რადგან 1906 წ. ვინკლერს სწამდა, რომ მან აღმოაჩინა ხეთების არა რომელიღაც ქალაქი, არამედ თვით ძველი იმპერიის დედაქალაქი.

ამის უტყუარი ნიშანი იყო უამრავი ფირფიტა, რომლებიც შეიცავდა დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტებს. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ოფიციალური არქივი იმ ქალაქში უნდა ყოფილიყო, სადაც მეფე ცხოვრობდა, ე. ი. სახელმწიფოს დედაქალაქში. მაგრამ რა ერქვა ამ ქალაქს? იმ დროის სახელმწიფოები ხშირად დედაქალაქის სახელს ატარებდნენ. ან

პირიქით. ეტყობა, ასეთი რამ ვინკლერმაც შესაძლებლად ჩათვალა ამ შემთხვევაში და „ხათის ქვეყნის“ დედაქალაქს „ხათი“ უწოდა. ფაქტიურად, ვინკლერი მართალი იყო.

ხოლო თუ ამჟამად ეს ქალაქი, რომელიც ერთ დროს თავისი ძლიერებით თებესა და ბაბილონს უტოლდებოდა, „ხათუსას“ სახელითაა ცნობილი, ეს აიხსნება მისი ახლებურად წაკითხვით, რაც ფილოლოგიის წინსვლას მოჰყვება შედეგად.

ქალაქი, რომელიც ვინკლერმა ბარის ერთი დაკვრით აღმოაჩინა, ხეტების იმპერიის გული იყო. 1907 წ. გაკეთებულ ერთ ჩანაწერში ვინკლერი გამოთქვამს რწმენას, რომ „...ეს არქივი, რომელიც ჩვენ ახლახან აღმოვაჩინეთ, მეცნიერებს სამუშაოს მისცემს ათეული წლების განმავლობაში“.

მომავალ წელს ვინკლერი ისევ განაგრძობს გათხრებს. ისინი ახლა უფრო ნაყოფიერია, ვიდრე გასულ წელს, როცა არახელსაყრელ პირობებში ტარდებოდა. მისი ვარაუდი გამართლდა: ბოლაზ-ქოიში დღევანდლამდეც წარმოებს გათხრები.

ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ ვინკლერი ბოლაზ-ქოის უკვე თავისად თვლიდა, მაგრამ XX ს-დან მოყოლებული არქეოლოგიური ძიებანი მხოლოდ უბრალო მოყვარულთა საკუთრება აღარ იყო. იმ დრომ განვლო, როცა 1845 წ. ლეიარდი მხოლოდ 60 გირვანქა სტერლინგით წავიდა სამოგზაუროდ და ნინეფია აღმოაჩინა, როცა 1817 წ. ბელციონიმ უროს ერთი დაკვრით შეანგრია ეგვიპტის მეფეთა აკლდამები.

მუშაობის გასაგრძელებლად ვინკლერს ფული ესაჭიროებოდა. იგი იძულებული გახდა დახმარება ეთხოვა თავისი კოლეგებისათვის „კლასიკური ფაკულტეტიდან“, რომლებიც მას, როგორც „პანბაბილონელს“, სძულდა და რომელთაც თავს არ უყადრებდა. იმ დროს ბერლინის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი იყო ოტო პუნშტეინი, ვინკლერის სრულიად საწინააღმდეგო პიროვნება, ჯენტლმენი, შესანიშნავად აღზრდილი; კარგი წრის ადამიანი და დამსახურებული მეცნიერი, რომელიც ამავე დროს იუმორის გრძნობითაც იყო დაჯილდოებული. გაიგო თუ არა ვინკლერის პროექტების შესახებ, შეწუხდა, რომ ინსტიტუტს საშუალება არ ჰქონდა სათანადო

თანხა გაეღო ამ საქმისათვის, რომლის დიდ მნიშვნელობაში ექვი არ ეპარებოდა; მან სურვილი გამოთქვა ამ საკითხით დაეინტერესებინა ერთი მეცენატი, მაგრამ იმ პირობით, რომ ფულის საკითხზე ვინკლერი თვითონვე მოლაპარაკებოდა მას.

ეს დიდმნიშვნელოვანი შეხვედრა მალე მოხდა; ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი კაცი — ანტისემიტი ვინკლერი და ებრაელი ბანკირი ჯეიმს სიმონი. ამ მოკლე მოლაპარაკების შინაარსი ჩვენთვის ცნობილია ზემოხსენებული ლუდვიგ კურციუსის წყალობით, თუმცა იგი თვითონ არ დასწრებია ამ შეხვედრას და არც აღნიშნავს ინფორმაციის წყაროს: „ჯეიმს სიმონმა ჰკითხა მას, რა თანხა სჭირდებოდა გათხრების გასაგრძელებლად. ვინკლერმა უპასუხა — „30.000 მარკა.“ ჯეიმს სიმონმა ამოიღო თავისი ჩეკის წიგნაკი, გამოუწერა ჩეკი და ღიმილით გადასცა იგი ვინკლერს. ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად ამდენივე თანხა მიიღო პუნშტეინმაც კაიზერის პირადი ფონდიდან“.

პუნშტეინმა, ერთი მხრივ, ამ დახმარების სამაგიეროდ, და მეორე მხრივ, არქეოლოგიის ინტერესებისათვის მოითხოვა, ზოღაზ-ქოიში დაწყებული მუშაობა გავრცელებულიყო ხეთების არქიტექტურის შესწავლაზეც. ეს იყო სავსებით ლოგიკური მოთხოვნა. ზოღაზ-ქოი, რომელიც პირველმა ტექსიემ აღმოაჩინა, წარმოადგენდა ქალაქის ტიპის ნაგებობას სასახლის ნაშთებითა და ციხე-სიმაგრეთა ნანგრევებით. არავინ არ უარყოფდა წარწერათა შესწავლის დიდ მნიშვნელობას, მაგრამ ზოგიერთები, ვინკლერის საწინააღმდეგოდ, უფრო დიდ მნიშვნელობას არქიტექტურული ნაშთების შესწავლას ანიჭებდნენ. ვინკლერმა მიიღო პუნშტეინის წინადადება, მაგრამ ამას ძალზე არასასურველი შედეგი მოჰყვა.

როგორც წინა, ისე ამ ექსპედიციამაც 1907 წ. თავის შტაბად ზია-ბეის რეზიდენცია აირჩია. მათ გაუმართეს ბანკეტი სელამლიქში, დიდ ოთახში, რომლის კედლებზე გაკრული იყო აბრეშუმი. არქეოლოგები დასხდნენ ძვირფას ნოხებზე მასპინძელსა და იმამს შუა; ეს უკანასკნელი ერთადერთი თურქი იყო წვეულთა შორის. შემოვიდნენ ბავშვები, რომელთაც დაბანეს სტუმრებს ხელები და ასხურეს სურნელოვანი ესენცია; შემ-

დღე შემოიტანეს ტკბილეულობა, ლიმონათი და საუკეთესო საკმელებით სავსე დიდი, ორი მეტრი დიამეტრის მქონე სპილენძის ლანგარი. ლუდვიგ კურციუსი, ვინკლერის ასისტენტი, რომელიც ამ სცენას ესწრებოდა, აღნიშნავს: „ლანგარს ამშვენებდა ამონაწერები ყურანიდან, დაწერილი XV ს. ქუფურენაზე“.

სტუმრები იღებენ კოვზებს (დანა-ჩანგალი უცნობია) და იწყებენ პირველი — რძის სუფის ჭამას. მაგრამ სჯობია სიტყვა ისევ კურციუსს დავეთმოთ: „მენიუს სილიდემ ცოტა არ იყოს შეგვაშინა, რადგან აღმოსავლეთში, ზრდილობის თანახმად, სტუმარი ვალდებულია კარგად ჭამოს; ვერავითარი მიზეზი ვერ გიშველით, ვერც მორიდებულობა და ვერც კუჭის ტკივილი. სტუმრებს ულუფას თვით ბეი უნაწილებდა; საკმელები გემრიელია, მაგრამ ბოლოს, მეტისმეტი ქონი, უჩვეულო სანელებლებით შეზავებული უამრავი საკმელი, რომელიც თქვენს თეფშზე გროვდება, და მეტადრე ის, რომ აუცილებელია ხელით ჭამა, რაც ოდესღაც მიღებული იყო ვერსალში, ლუი XIV-ის სუფრაზე, მალე მოსაბეზრებელი ხდება. უკანასკნელად შემოიტანეს შამფურზე შემწვარი მთელი ცხვარი, რომლის დიდდუმიანი ჩიში მოშენებული ჰყავთ ამ ადგილებში. თავზარი დამეცა, როცა ბეიმ მარჯვენა ხელით ჩამოსკრა დუმის დიდი ნაჭერი და განსაკუთრებული ყურადღების ნიშნად დამიდო თეფშზე! მთელი სადილის განმავლობაში ბეის გვერდით იდგა მზარეული, რომელიც ყოველ კერძს სინჯავდა, რათა ჩვენ მოწამვლის არ შეგვშინებოდა. ბეის სკამის უკან იდგნენ მცველები, მათ უკან კი მოწიწებითა და მორჩილებით იდგა თორმეტი კაცი: მისი ოჯახის წევრი-მამაკაცები და იმამის მხლებელნი. მათ, როგორც მეორეხარისხოვან სტუმრებს, ჩვენს შემდეგ უმასპინძლდებოდნენ. დესერტად მოგვრტანეს ძალიან გემრიელი ნამცხვრები. ნადიმი დამთავრდა. ისევ შემოვიდნენ მსახურნი ტაშტით, ტუჩიანი თუნგითა და პირსახოცებით და ხელები დააბანინეს სტუმრებს. ბოლოს ავდექით და ის საუცხოო მაგიდაც გაიტანეს...“ ახალგაზრდა და შორსმჭვრეტელი მეცნიერი კურციუსი შემდეგ უმატებს: „...მე ვისარგებლე შემთხვევით, რომ უფრო ახლოს დამეთვალაიერებინა ეს მაგიდა“.

ნადიმი ნამდვილად რომ გარგანტუას შესაფერისი იყო. მაგრამ რა შედეგებს მიაღწია ასე კარგად მიღებულმა ესქპედიციამ? ფაქტები რომ არ დავამახინჯოთ, მივმართოთ ისევ ლუდვიგ კურციუსს. იგი, ერთი მხრივ, კეთილსინდისიერი მოწმეა, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ძველი სკოლის არქეოლოგი, მორიდებული და თავდაპირილია; ის მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში იყო ვინკლერის თანამშრომელი. აი რას გვიამბობს იგი:

„ვინკლერმა არავითარი მონაწილეობა არ მიიღო გათხრებში. დილიდან საღამომდე იჭდა თავის სამუშაო ოთახში და უფრო მალე რომ შექმნოდა წარმოდგენა ყოველდღე დიდი რაოდენობით შემოსულ ლურსმულად. ნაწერ ფირფიტებზე, სწრაფად კითხულობდა მათ. მაკრიდის ზედმეტად მიაჩნდა ცნობები მიეცა მისთვის იმის შესახებ, თუ სად, ან რა პირობებში წარმოებდა აღმოჩენები. მას ჰყავდა თავისი პირადი სანდო კაცი, სამუშაოთა ზედამხედველი, ახალგაზრდა, მაღალი, გამხდარი, ლამაზი ქურთი, ყავისფერ ეროვნულ ტანისამოსში ჩაცმული, სახელად ჰასანი. ერთხელ, დილით დავინახე, თუ როგორ ჩაიბრა ამ ქურთმა წერაქვითა და კალათით ჩვენი სახლის წინ, რომელიც იმ გორაკის ფერდობზე იდგა, სადაც სამუშაოები წარმოებდა. ის მიდიოდა ტაძრის ნანგრევებისაკენ. უკან გავყევი, რათა მენახა, რას აკეთებდა იგი იქ. დიდი ტაძრის მეორე ოთახში დავინახე კარგად შენახული, ერთიმეორეზე დალაგებული ფირფიტების გროვა. ქურთმა, სოფლელი დედაკაცის მსგავსად, რომელიც მიწიდან კარტოფილს კრეფს, გამოაცალკევა იმდენი ფირფიტა, რამდენიც მის კალათში ჩაეტეოდა. ასედატირთული მივიდა მაკრიდი-ბეისთან. იმან კი, გახარებულმა, ისინი ვინკლერს გადასცა.

მე აღმაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილის გათხრები მინდობილი ჰქონდა მხოლოდ ჰასანს და ვთხოვე მაკრიდის, ნება დაერთო მივხმარებოდი ქურთს, შემესწავლა ადგილ-მდებარეობა და გამომეკვლია, სად ინახებოდა ფირფიტები. მან მიპასუხა, რომ ხელშეკრულების თანახმად, მე იქ არაფერი მესაქმებოდა, რომ თვითონ კისრულობდა ფირფიტების მოპოვების აღწერას. მაგრამ მას ეს სისრულეში



არ მოუყვანია. ყოველ შემთხვევაში, თუ მეხსიერება არ მდლათობს, მახსოვს, რომ ფირფიტები მზრუნველობით იყო ერთიმეორეზე წესიერად დალაგებული. ეს კი ეწინააღმდეგებოდა პუხშტინის მიერ მოცემულ ახსნას, ვითომ ისინი იპოვნეს უწესრიგო გროვად. ეს კი, მისი აზრით, ხანძრის შედეგად ჩამონგრეული თალის ბრალი იყო, რომელზეც თავდაპირველად ეს ფირფიტები ყოფილა დალაგებული. ერთადერთი, რისი ნებართვაც მე მაკრიდისაგან მივიღე, იყო ქოთნების ნატეხების დათვალიერება იმ შემთხვევაში, თუ ჰასანი მათ ფირფიტების გვერდით იპოვიდა. ასეთი ნატეხები არც ერთხელ არ აღმოუჩინიათ, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებდა იმას, რომ პუხშტინის ინტერპრეტაცია მცდარი იყო!“

ცხადია, გათხრების ასეთი მეთოდები ეწინააღმდეგება არქეოლოგიის ელემენტარულ პრინციპებს. ვინკლერი და მაკრიდი განზრახ აბრკოლებდნენ მუშაობას. ასეთივე ხერხს მიმართა შლიმანმაც, როცა ის თავის პირველ გათხრებს აწარმოებდა ჰისარლიქის ბორცვზე. შლიმანს იქ დორბფელდი ახლდა, რომელიც თვალყურს ადევნებდა გათხრებს. კურციუსს კი ამის უფლება არ ჰქონდა; იმისათვის კი, რომ ხმა აემალღებინა, იგი ძალიან ახალგაზრდა იყო. მოკლედ, მთელ მნიშვნელოვან მონაპოვარს ერთად აგროვებდნენ და არავინ ფიქრობდა იმაზე, თუ რა კავშირი არსებობდა მათსა და გარემოს შორის; არავინ არ აღნიშნავდა ფენების სიღრმეს. უკვე ველარავინ იტყოდა, ამ გროვიდან რომელი ეკუთვნოდა ტაძრის ნანგრევებს და რომელი აკროპოლს. დაბოლოს, სრულიად შესაძლებელია, რომ თვით გამოუცდელი მუშები უნებურად აცალკევებდნენ ერთიმეორისაგან ამ ფირფიტების ნატეხებს.

მიუხედავად ასეთი დაუდევრობისა, ეს ადგილი იმდენად მდიდარი იყო, რომ აქ მოპოვებული მასალები მაინც იწვევს ჩვენს აღტაცებას. ვინკლერმა და მისმა თანამშრომლებმა აღმოაჩინეს თიხის ფირფიტების 10.000-ზე მეტი ფრაგმენტი; ზოგი მათგანი შესანიშნავად იყო შენახული. თავისი მნიშვნელობით ეს იყო უდიდესი მონაპოვარი აშურბანიპალის ბიბლიოთეკისა (ნინევიაში) და ამენჰოთეფ IV-ის არქივის (თელ-ელ-ამარნაში) შემდეგ.



მითიური ცხოველი ქარხეშიშიდან

მართალია, იმ არქეოლოგებს, რომელთაც დავალებული ჰქონდათ არქიტექტურული ძეგლების შესწავლა, მიღწეული შედეგებით დიდი სენსაცია არ გამოუწვევიათ, მაგრამ რასაც მიაღწიეს, ისიც საეგვიპტო დამაკმაყოფილებელი იყო. მეფეთა გამოსახულებების, სფინქსების, ლომებისა და უზარმაზარი გალავნის დანახვაზე მათ მაშინვე შეექმნათ წარმოდგენა ხეთების ძლიერებაზე. მათვე აღნიშნეს პირველად ადგილობრივი

კულტურის სტილისტური ელემენტები, „ორიგინალური, პირველყოფილი და ბარბაროსული“. ბოლახ-ქოის „არქიტექტურა ისწრაფვის გრანდიოზულობისაკენ, იჩენს ფანტაზიის ერთგვარ სიმდიდრეს, მაგრამ შესრულებულია უშნოდ და საკმაოდ უხეშად; თავისი სიდიადით ეს არქიტექტურა მოგაგონებთ მიკენის ქანდაკებებს, მიკენის ცივილიზაციის ნაშთებს“. ამ თამამმა შედარებამ იმათი პროტესტი გამოიწვია, რომელთაც არათუ ჯერ არ ენახათ ხეთების ძეგლები, არამედ, საერთოდ, პირველად გაიგეს მათი არსებობის შესახებ. მართლაც, იმ დროს მიკენის ნანგრევება სულ რამდენიმე წლის აღმოჩენილი იყო და ისინი ევროპის უძველესი ისტორიის ერთადერთ მოწმეებად ითვლებოდა.

კომპეტით დაგვირგვინებული გალავნის უმაღლესი წერტილიდან ფილებით მოპირკეთებული მიწაყრილის ძირთან არქეოლოგებმა შენიშნეს ე. წ. „პოტერნა“, 70-მეტრიანი გვირაბი, რომელიც ქალაქის შიდა და გარე ნაწილებს აკავშირებდა. როცა ამაო ცდის შემდეგ—ხოხვით გამძვარალიყვნენ მასში,—მეცნიერებმა გააწმენდინეს იგი ათასწლობით დაგროვილი ღორღისა და ნაგვისაგან და წელში გამართულებმა პირველად გაიარეს შიგ, მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

განცილილი შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი ლუდვიგ კურციუსი ასე წერს:

„... მას შემდეგ, როცა ჩვენ იგი გავწმინდეთ, ეს თითქმის მისი მეორე საზეიმო გახსნა იყო. სამი ათას წელზე მეტი ხნის შემდეგ ჩვენ პირველებმა ამაყად გავიარეთ შიგ და ვადიდეთ ის შესანიშნავი უცნობი არქიტექტორი, რომელმაც შექმნა ეს გრანდიოზული ნაგებობა“.

1907 წ. ვინკლერმა გამოაქვეყნა თავისი „წინასწარი ინფორმაციები“, სადაც მოგვითხრობს გათხრების წარმოებისა და ფირფიტების პირველი გაშიფვრის შედეგებზე. ეს შრომები შეიცავს ხეთი მეფეების სიას, ცხადია, არასრულს. იწყება იგი სუფილულუმადან და მოდის არნუვანდა IV-მდე, ე. ი. 1350 წლიდან 1210 წლამდე ძვ. წ. ვინკლერი იძლევა ხეთი მეფეების სახელთა ახლებურ წაკითხვას, წინააღმდეგ ეგვიპტოლოგთა ჰიპოთეზებისა. აი, მაგალითი: სუფალულუ როგორც სუფილულუმეა, ხოლო მაურაზარ — როგორც მურსილი.

დიდი ხნის შემდეგ ერთი სპეციალისტი წერდა: „ეს შრომა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია იმათ შორის, რომელიც კი ოდესმე მიძღვნია ახლო აღმოსავლეთის ისტორიას“.

იმავე, 1907 წელს ინგლისელი ჯონ გარსტანგი, ოცდათერთმეტი წლის არქეოლოგი, მოგზაურობდა სირიასა და ანატოლიაში. მან აწარმოა გათხრები საქჩე-გიოზის მიდამოებში, შემდეგ კი ეწვია ვინკლერს ბოლაზ-ქოიში. სამი წლის შემდეგ მან ლონდონში გამოაქვეყნა წიგნი სათაურით: „ხეთების ქვეყანა“, რომელშიც აღწერს მცირე აზიაში წარმოებულ ახალ გათხრებსა და იქ აღმოჩენილ ხეთურ ძეგლებს; თან ურთავს რუკებს, გეგმებს, ფოტოსურათებსა და ბიბლიოგრაფიას, რომელიც ავსებს ამ აღწერას. სეისისა და რაიტის წმინდა ჰიპოთეტური შრომების შემდეგ ეს ოთხასგვერდიანი წიგნი პირველად იძლევა მთლიან წარმოდგენას ხეთების ცივილიზაციაზე. მრავალი წლის განმავლობაში იგი რჩებოდა ხეთოლოგების ბიბლიად. ეს გასაგებიცაა, რადგან ძალზე ცოტა იყო ტექსტები, რომლებიც ადვილად იკითხებოდა, ე. ი. აქადურ ენაზე იქნე-

ბოლა შედგენილი და ბაბილონურ-ასურული ლურსმულით დაწერილი. თანაც, მართალია, არქეოლოგები იცნობდნენ ხეთების ძეგლებს, მაგრამ ისინი უძლური იყვნენ აეხსნათ მათი წარმოშობა.

მძიმე ავადმყოფი ვინკლერი 1911 — 1912 წლებში უკანასკნელად ხელმძღვანელობდა ბოლაზ-ქოის გათხრებს; მას გვერდიდან არ შორდებოდა ექთანი, რომელსაც ყველას თავის მეუღლედ აცნობდა — ადგილობრივი მოსახლეობა მეტად სასტიკი იყო მორალის საკითხში.

1911 წლიდან 1914 წლამდე ინგლისელები დ. გ. ჰოგართი, კ. ლეონარდ ვული და ტ. ე. ლოურენსი ძიებას აწარმოებდნენ დაბა ქარხემიშში. ვინკლერის მიერ აღმოჩენილი ფირფიტები გაიგზავნა ბერლინის მუზეუმში, ქარხემიშის გათხრების მონაპოვარი კი — ხელოვნების ძეგლები და იეროგლიფური წარწერები — ბრიტანეთის მუზეუმში, რომლის ერთი ნაწილი შემდეგ ანკარაში მოხვდა.

მიუხედავად ამისა, ხეთოლოგიის განვითარება ფერხდებოდა. რალაც უნდა მომხდარიყო. საჭირო იყო ყველაფრისადმოსხვაგვარი თვალთახედვით მიდგომა. დასკვნა თავისთავად ითხოვდა ასეთ გადაჭრას: არქეოლოგთა ადგილი ლინგვისტებს უნდა დაეკავებინათ.

ვინკლერმა გაშიფრა ბოლაზ-ქოის არქივის მრავალი ფირფიტა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი მათგანი არცავეს უცნობ ენაზე, ე. ი. ხეთურად შედგენილი, ამოკითხული არ იყო. ისევ ხეთურ ტექსტებში უნდა ეძიათ ის ცნობები, რომლებიც აკლდათ; მეცნიერებმა თვით ხეთებს მიანდვეს ეამბათ თავიანთი ისტორია.

1913 წ., ვინკლერის გარდაცვალების შემდეგ, მის ქალაქებში იპოვეს ჩანაწერები აღნიშვნით, რომ წლობით მუშაობდა ხეთების ლურსმული დამწერლობის გაშიფრაზე, მაგრამ თვით ხელნაწერები ვერსად იპოვეს. ომმა უცებ შეწყვიტა გათხრების წარმოება. ზოგიერთი თურქი არქეოლოგი მაინც განაგრძობდა ძიებას, მაგრამ უსისტემოდ და წარუმატებლად. ის ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა, რომელიც არსებობდა ინგლისელ და გერმანელ მეცნიერთა

შორის, მხოლოდ მოგონებადღა დარჩა. ბერლინისა და ბრიტანეთის მუზეუმების არქეოლოგები მტრულ ბანაკებში მოხვდნენ. მეცნიერები იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ გათხრები და ჩაკეტილიყვნენ თავიანთ სამუშაო კაბინეტებში.

სწორედ ერთ-ერთ ამ კაბინეტში მოხდა ის აღმოჩენა, რომელმაც ხეთოლოგიას ახალი პერსპექტივები გადაუშალა: გაშიფვრა, ან უფრო სწორად, ლურსმული ხეთური ენის აღმოჩენა. ამ ენაზე იყო შედგენილი ფირფიტების დიდი ნაწილი.



## II ღამნიკლობის სიღმელოება

### გაშიფვრის ხელოვნება

იმ ადამიანისათვის, ვისაც არქეოლოგიის არაფერი გაეგება, უდიდეს საოცრებას წარმოადგენს ათასწლობით მიწაში ჩამალული წარწერების ამოკითხვის ხელოვნება. ადამიანები, რომელთაც შექმნეს ეს დამწერლობა, ეკუთვნოდნენ დიდი ხნის წინ გამჭრალ ხალხს, რომელთანაც თანამედროვე ცივილიზაციას თითქმის აღარაფერი აკავშირებს.

რაც არ უნდა მოინდომოთ, შეუძლებელია რამდენიმე გვერდზე და თანაც მიმზიდველად აიხსნას ის, თუ რაზეა დაფუძნებული ამოკითხვის ძირითადი პრინციპები. იგი მკითხველისაგან დიდ ყურადღებას მოითხოვს. ამიტომაც იმათ, ვინც ჩქარობს გაეცნოს ხეთების ბედ-იღბალს, ვურჩევ გამოტოვოს ეს და მომდევნო თავი, რადგან შემდეგ უფრო მეტი ყურადღებით წაიკითხავს მათ. ხოლო იმათ, ვისაც ცოტა მეტი ძალ-ღონის დახარჯვა არ დაეზარება, ვთხოვ მომყვეს.

ნუ დაგვაიწყებება, რომ არსებობს გაშიფვრის სხვადასხვა ასპექტები. ავიღოთ ლათინური; მისი საშუალებით თეორიულად შეგვიძლია ორი ათასი წლის წინ არსებულ იმ ძველ წარწერათა გაგება თუ არა, ამოკითხვა მაინც, რომლებიც ამოკვეთილია რომაულ ძეგლებზე. ლათინური, როგორც სალაპარაკო ენა, გაქრა რომის იმპერიასთან ერთად, მაგრამ იგი დღესაც არსებობს, როგორც სამეცნიერო ენა. იგი მკვდარი ენაა, მაგრამ არა დავიწყებული და მისი შესწავლა ახლაც გრძელდება.

მაგრამ იგივე როდი ითქმის ბევრ სხვა ენაზე, რომლებზეც ოდესღაც ლაპარაკობდნენ ახლო აღმოსავლეთში. XIX ს-ში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს აურაცხელი წერილობითი ძეგლი: წარწერები კლდეებზე, თიხის ფირფიტები, ცილინდრული ფორმის საბეჭდავები, ხის წიგნები და პაპირუსები. ზოგი ტექსტი დაწერილი იყო დამწერლობის ცნობილი ნიშნებით, მაგრამ უცნობ ენაზე, ზოგი დაწერილი იყო უცნობ ენაზე და უცნობი დამწერლობით. ამასთან, საქმეს ისიც ართულებდა, რომ არაფერი იცოდნენ ამ ტექსტების შემდგენლებზე.

ასეთი სამნაირი დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდა უილიამ რაიტი, როცა აღმოაჩინა ჰამათის ქვა. იგი დაფარული იყო უცნობი ხალხის უცნობი დამწერლობის ნიშნებით უცნობ ენაზე.

ამერიკელი არქეოლოგი ქალი ალისა კობერი, რომელმაც დიდი მონაწილეობა მიიღო კრეტული დამწერლობის გაშიფვრაში, 1948 წ. წერდა: „თავის მოტყუება ზედმეტია: უცნობი ენის უცნობი ნიშნების გაშიფვრა შეუძლებელია.“

ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჰამათის ქვა დაფარული იყო ხეთური იეროგლიფებით. ეს იეროგლიფები ამჟამად გაშიფრულია და ხეთური იეროგლიფური ენა თითქმის გასაგები გახდა.

იმისათვის, რომ ავხსნათ, როგორ გამოიცნეს ეს საიდუმლოება, საუკეთესო საშუალებაა დავიწყოთ იმ ძიებით, რაც ხეთოლოგებმა აწარმოეს ბოლან-ქოის ფირფიტების გაშიფვრის დროს; ეს ფირფიტები დაწერილი იყო ადვილად გასაგებ ლურსმულით, მაგრამ შედგენილი უცხო ენაზე.

ძველი წარწერების გაშიფვრას ას ორმოცდათი წლის ისტორია აქვს. პირველად ყველაზე თვალსაჩინო შედეგს მიიღწია ჟან ფრანსუა შამპოლიონმა, შემდეგ — გეორგ ფრიდრიხ გროტეფენდმა. ორივე შემთხვევაში წარმატებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ენის ერთ-ერთი კომპონენტი ცნობილი იყო. ლურსმული დამწერლობის გამშიფვრელმა გროტეფენდმა ასე აწარმოვა ძიება: ვარაუდით აიღო სამი სპარსელი მეფის სახელი, რაც უკვე ცნობილი იყო ბერძნული დამწერლობით. პირველივე ცდაზე მისი ვარაუდი გამართლდა. ასე მიაგნო მან გასაღებს შემდგომი გაშიფვრის სწარმოებლად.

შამპოლიონს, რომელმაც ეგვიპტური იეროგლიფები გაშიფრა, ხელთ ჰქონდა ბერძნულად შედგენილი ტექსტი. „როზეტის ქვაზე“, რომელზეც სამ ენაზეა ამოკვეთილი წარწერები, მან შეძლო მოეძებნა ბერძნულ ტექსტში ნახსენები ფარაონ პტოლემეაიოსის სახელის შესაბამისი იეროგლიფები, რომლებიც ჩასმული იყო ჩარჩოში. ამ ასოების ამოცნობამ მას საშუალება მისცა დაეწყო გაშიფვრა.

ამრიგად, საკუთარ სახელთა საშუალებით შამპოლიონმა და გროტეფენდმა იპოვეს საიდუმლოების გასაღები. მომავალმა გვიჩვენა, რომ ეს იყო საუკეთესო მეთოდი უცნობი დამწერლობის გასაშიფრავად.

არც ისე დიდი ხნის წინ გერმანელმა ფილოლოგმა ერნსტ ზიტიგმა სხვა გზა აირჩია. მას შემდეგ, რაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამაოდ ეძებდნენ კრეტის ძველი დამწერლობის საიდუმლოებას, ზიტიგს აზრად მოუვიდა შეეერთებინა მათემატიკური სტატისტიკური გაშიფვრის მეთოდი, რომლითაც სარგებლობდნენ საიდუმლო საბუთების გაშიფვრის დროს, ძველი ენების შესწავლის შედარებით მეთოდთან. საბოლოოდ კრეტული დამწერლობა გაშიფრა არა ფილოლოგმა, არამედ ერთმა არქიტექტორმა, ინგლისელმა მაიკლ ვენტრისმა, რომელიც ტიპობრივი სკოლების დაპროექტების სპეციალისტი იყო. მან გამოიყენა საკუთარ სახელთა ინტერპრეტაციის კლასიკური მეთოდი და ბევრსაც მიაღწია.

დაწყებული შამპოლიონიდან, ყველა ფილოლოგი, ვინც კი უცნობი დამწერლობის გაშიფვრაზე მუშაობდა, ოცნებობდა ემუშავა ორენოვანი წარწერების ამოცნობაზე. თუმცა შამპოლიონის შემდეგ კვლევის მეთოდები გაუმჯობესდა და ის ნიშნები, რომლებიც ადრე არაფერს აღნიშნავდა არქეოლოგიის პიონერებისთვის, ახლა უკვე ცნობების ძვირფას წყაროს წარმოადგენდა. ყოველი ახალი გაშიფრული ძეგლი სულ უფრო ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ძველ ენებს შორის არსებულ ურთიერთკავშირზე.

ჯერ კიდევ 1786 წ. გაშიფვრის პირველ ცდებზე გაცილებით უფრო ადრე, ერთმა პიროვნებამ შეამჩნია ლინგვისტური ნათესაობა ძველ ენებს შორის. ეს აღმოჩენა მოხდა არა რომე-



ლიმე გერმანელი ან ინგლისელი მეცნიერის სამუშაო კაბინეტში, სადაც ჩვეულებრივ ისახება ხოლმე კვლევა-ძიებანი მცირე აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე, არამედ ინდოეთში.

ეს ფენომენალური ადამიანი, რომელსაც ეკუთვნის ასეთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა ფილოლოგიაში, კალკუტის „უზენაესი სასამართლოს მთავარი მოსამართლე“ იყო. მთელი თავისუფალი დრო მან მოანდომა არა შედარებითი ენათმეცნიერების კანონების შესწავლას, არამედ ინდური და მუსლიმანური კანონების შეკრებასა და თარგმნას.

მისი სახელია უილიამ ჯონსი. იგი დაიბადა 1746 წ. ლონდონში. სწავლობდა ძველ ენებსა და ისტორიას. შემდეგ პაროუში ასწავლიდა აღმოსავლურ ენებს: სპარსულს, არაბულს და ძველ ებრაულს. ეტყობა, პროფესორის ჯამაგირი მას საკმარისად არ მიაჩნდა, რაკი მალე თავი დაანება მასწავლებლობას და შეუდგა კანონებისა და იურისპრუდენციის შესწავლას.

მისი ბრწყინვალე და სწრაფი კარიერა ამტკიცებს, რომ ეს იყო დიდი ნიჭის მქონე ადამიანი. ჯონსმა პირველმა აღმოაჩინა კავშირი იმ ენებს შორის, რომელთაც დღეს ინდოევროპულს ვუწოდებთ. ეს არის ერთადერთი ფილოლოგიური აღმოჩენა, რომელმაც გავლენა მოახდინა ისტორიული მეცნიერების თითქმის ყველა დარგზე.

ინდოევროპული ენების შესწავლა ხელს უწყობს არა მარტო ისტორიული ცოდნის გაფართოებას, არამედ ახალ პერსპექტივებსაც უსახავს ეთნოგრაფებს (დიდი შემოსევები და რასების შერევა), გეოგრაფებს, სოციოლოგებს (პირველ ინდოევროპულ საზოგადოებრივ ფორმათა შექმნა და მათი ხასიათი; საოჯახო სამართლის წარმოშობა); ზოოლოგებსა და ბოტანიკოსებსაც კი (წინაისტორიულ ხანაში მცენარეებისა და ცხოველების გავრცელება, პირველი შინაური ცხოველების გავრცელება).

ჯონსი რომ ინდოეთში არ გადაეყვანათ, იგი, ალბათ, ვერასოდეს ვერ შეისწავლიდა სანსკრიტს — ინდოელ მეცნიერთა და პოეტთა ენას; სანსკრიტული ენის შესწავლისას მან აღმოაჩინა, რომ ყველა ენას ჰქონდა რაღაც საერთო, და რომ მათ შო-

რის არსებული განსხვავება უფრო მოჩვენებითი იყო, ვიდრე ნამდვილი.

ჯონსს არ ეცალა იმისათვის, რომ განემტკიცებინა თავისი თეორია. მან სახელიც კი ვერ მისცა ფილოლოგიის იმ ახალ შტოს, რომელიც აღმოაჩინა. ეს შეძლო ექიმმა თომას იუნგმა, რომელიც თანამშრომლობდა შამპოლიონთან ეგვიპტური იეროგლიფების გაშიფვრაზე.

უილიამ ჯონსის მიერ დაწყებული ძიება სხვებმა განაგრძეს. მათ შორის აღსანიშნავია რასმუს ქრისტიან რასკო (1786—1832 წწ.), დანიელი ფილოლოგი და მოგზაური, რომელიც არაფრით არ ჰგავდა უნივერსიტეტის პროფესორებს, რადგან მისი პრინციპი იყო ადგილზევე შეესწავლა ის საკითხები, რომელთა გაშუქებაც სურდა. მან ოთხი წელი დაჰყო სპარსეთსა და ინდოეთში.

შემდეგ უნდა დავასახელოთ გერმანელი ფრანც ბოპი (1791—1867 წწ.), რომელმაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამ მხრივ. ორმოცდაორი წლის ასაკში იგი შეუდგა სანსკრიტის, ზენდური, ბერძნული, ლათინური, ლიტუვური, გოთური და გერმანული ენების შედარებითი გრამატიკის<sup>1</sup> შედგენას, რომლის ძირითადი ნაწილი მხოლოდ თექვსმეტი წლის შემდეგ დაამთავრა. ენათა შედარებითი შესწავლისათვის ბოპმა გამოიყენა მკაცრი მეცნიერული მეთოდი; მას შეიძლება ძველი ფილოლოგიის ვინკელმანი<sup>1</sup> ეუწოდოთ.

ბოპმა დაასკვნა, რომ არსებობს ენათა ერთი ჯგუფი, რომელსაც ტერიტორიული გავრცელების მიხედვით ინდოევროპულს უწოდებენ. ამ ჯგუფის ენათა სიტყვიერი მარაგი და გრამატიკული ფორმების წარმოშობის ბუნება აშკარა ნათესაობას ამჟღავნებს. ამ მსგავსების მაგალითია სიტყვა „მამა“. გერმანულად მამას ჰქვია „Vater“, ინგლისურად „father“, ესპანურად „padre“, ლათინურად „pater“, ბერძნულად „pater“, ძველი ირლანდიურად „athir“, გოთურად „fadar“, სანსკრიტულად

---

<sup>1</sup> იოჰან იოჰიმ ვინკელმანი (1717 — 1768 წწ.) — ანტიკური ხელოვნების არქეოლოგიის ფუძემდებელი. მისი ძირითადი ნაშრომი — „ანტიკური ხელოვნების ისტორია“ გამოვიდა 1764 წ. (რედ.).

„pita“, თოხარულად „pacar“. რაც უფრო ძველია ენა, მით უფრო აშკარაა მათა მსგავსება. ეს იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ მიუხედავად ენათა გარეგნული განსხვავებისა, ისინი მომდინარეობენ ერთი — წინარე ენიდან.

უფრო მეტიც. ენათა ერთსა და იმავე ჯგუფში ხდება ფუძის შორიფიკაცია, რაც იმის შედეგია, რომ გამოთქმისას იცვლება ხმოვნები ან სიტყვის დაბოლოება, რომელიც ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას. ეს იყო უდიდესი აღმოჩენა. როცა სხვადასხვა ენის შედარებისათვის საკმაო ელემენტები დაგროვდა, შესაძლებელი გახდა ენის ევოლუციის პროცესის აღდგენა. ესე იგი, როცა გამოირკვა, რა ცვლილება განიცადა პირველადმა ფუძემ, შესაძლებელი გახდა ინდოევროპული ჯგუფის რომელიმე ძველ ენაზე შედგენილი ტექსტების ფრაგმენტების წაკითხვა. ისიც შეამჩნიეს, რომ თვით ინდოევროპული ჯგუფის ენებში არსებობდა ენათა ოჯახები (ქვეჯგუფები), რომელთა შორის უფრო მჭიდრო ნათესაობა იყო. მათი გეოგრაფიული და ეთნიკური ლოკალიზაციის შედეგად შესაძლებელი გახდა ახალი დასკვნების გაკეთება. ინდოევროპული ენების შესწავლამ დიდი სამსახური გაუწია არქეოლოგებს. მართალია, იგი უშუალოდ გაშიფვრას არ ემსახურება, მაგრამ აუცილებელია იმ ენის გრამატიკაში, ლექსიკონსა და სტრუქტურაში გარკვევისათვის, რომლის ეპიგრაფიკული ნაშთების რიცხვი განსაზღვრულია.

ამრიგად, რაც მოსალოდნელი იყო, მოხდა. ინდოევროპელთა მიმდევრები სასაცილოდ აიგდეს. იმის მტკიცება, რომ ლინგვისტური ნათესაობაა ავღანურ, ისლანდიურ, სანსკრიტულ, რუსულ, ბოშურ, ლათინურ და ძველ პრუსიულ ენებს შორის, ნამდვილ სიგიჟედ მიიჩნიეს. ეს კი ფაქტი იყო. ეს თეორია მით უფრო დაუქერებლად ეჩვენებოდათ, რომ გეოგრაფიულად გაფანტული ინდოევროპული ენები მოიცავდა ინდოეთსა და დასავლეთ ევროპას შორის მდებარე ტერიტორიას, და რომ სხვადასხვა რასებით დასახლებულ ამ სივრცეს სექტორებად ჰყოფს მთაგრეხილები, ზღვები და უდაბნოები.

დღეს ინდოევროპული თეორიის მიმდევრებს სხვა პრობლემები აქვთ გადასაწყვეტი, სახელდობრ, ინდოევროპულ

ენათა წარმოშობის ზონების ლოკალიზაცია. ფიქრობენ, რომ მათი სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთსა და ცენტრალურ ევროპას შუა უნდა ყოფილიყო. მაგრამ თვით ფაქტი, რომ არსებობს ახლო ნათესაობა ინდოევროპულ ენათა შორის (გარდა იმ ენებისა, რომელზეც ლაპარაკობდნენ სხვა თეთრი რასის ხალხები: ქამიტები, სემიტები, კავკასიელები, დრავიდები და ბასკები), ახლა სადავო აღარ არის. მომავალი კვლევა-ძიების შედეგად შესაძლებელი გახდება განისაზღვროს, თუ რა სახის ნათესაობა არსებობს, ან, პირიქით, რა განსხვავებაა მათ შორის.

გარდა ნაცადი მეთოდებისა, რომელთაც ხელი შეუწყვეს უცნობ ენათა და დამწერლობათა გაშიფვრას, ინდოევროპულ ენათა შესწავლის წყალობით მიაგნეს იმ გამოცანის გასაღებს, რომელიც წამოაყენა ხეთური ფირფიტების აღმოჩენამ ბოლან-ქოიში. უცნაურია, რომ ადამიანი, რომელმაც პირველად გამოიყენა ეს გასაღები, იყო არა ინდოევროპული ენების სპეციალისტი, არამედ ასირიოლოგი, სემიტური ენების მკვლევარი (ასირიულ-ბაბილონური ენა ქამიტურ-სემიტურ ენათა ჯგუფს შიეკუთვნება).

მეცნიერისათვის წინასწარ გაკეთებული მოხსენება იგივეა, რაც გამომგონებლისათვის პატენტის აღება. ამ მოხსენებით იგი უზრუნველყოფს თავის პრიორიტეტს, როგორც ახალი ფაქტების აღმომჩენი.

1915 წლის დეკემბერში ქურნალ „გერმანიის აღმოსავლური საზოგადოების მოამბის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა დოქტორ ფრიდრიხ ჰროზნის სტატია სათაურით: „ხეთების პრობლემის ამოხსნა. წინასწარი მოხსენება“.

პირველსავე შენიშვნაში ავტორი გვიხსნის, თუ რატომ დააჩქარა თავისი სტატიის გამოქვეყნება:

„მხედველობაში მივიღე, რომ, ერთი მხრივ, ომი უეჭველად შეაფერხებს ჩემი შრომების დამთავრებასა და გამოქვეყნებას, ხოლო მეორე მხრივ, ალბათ, სხვები გამოაქვეყნებენ თავიანთ წიგნებს ხეთების პრობლემაზე, გადავწყვიტე, აღარ მეცადა დემოკლებულად გამომექვეყნებინა ჩემი შრომის შესავალი თავი „გერმანიის აღმოსავლური საზოგადოების მოამბეში“.

დაუჭერებელია, ვინმეს ასე მოკლე ვადაში რომ გაეხსნას ხე-

თების იეროგლიფური დამწერლობის საიდუმლოება. მაგრამ სპეციალისტებისათვის კიდევ უფრო საოცარი იყო შედეგი, რომელსაც ჰროზნიმ მიაღწია. ამგვარ აღმოჩენას არავინ მოელოდა!

ვინკლერის გარდაცვალების შემდეგ გერმანიის აღმოსავლურმა საზოგადოებამ ბერლინში, ახალგაზრდა ასირიოლოგთა ჯგუფს შესასწავლად გადასცა ბოლაზ-ქოიში აღმოჩენილი ხეთური დამწერლობის მთელი მასალა. მათ წესრიგში უნდა მოეყვანათ იგი და გადაეწერათ. დასაწყისშივე შეინიშნა ორი საწინააღმდეგო დაჯგუფება. ნაწილმა თავი მოიყარა დოგმატური, მკაცრი, მაგრამ კეთილსინდისიერი მეცნიერის, გერმანელ ერნსტ ფ. ვაიდნერის ირგვლივ; ნაწილმა კი, იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული ფილოლოგის ფრიდრიხ ჰროზნის ირგვლივ (ჩეხი ჰროზნი დაიბადა პოლონეთში, 1879 წ.).

ომის გამოცხადებისთანავე გერმანელებმა დააჩქარეს ფილოლოგთა მობილიზაცია. ვაიდნერი, ტანად ახმახი, მძიმე არტილერიაში ჩარიცხეს და უნტერ-ოფიცრის ჩინი მისცეს. ჰროზნი ავსტრია-უნგრეთის ჯარში გაიწვიეს. ბედმა უფროსად მას ლეიტენანტი კამერგერუბერი შეახვედრა. ამ უკანასკნელს მოეწონა ვენური ეშხით აღსავსე ახალგაზრდა პროფესორი, გაათავისუფლა იგი სამხედრო მოვალეობისაგან, რამდენადაც ამის საშუალებას მისი თანამდებობა იძლეოდა, და ნება მისცა განეგრძო ფილოლოგიური ძიება.

აი, ასეთი სიტყვებით გამოთქვამს ჰროზნი მისდამი მადლობას თავისი შრომის შესავალში:

„ამ ბროშურამ თავისი საბოლოო სახე მაშინ მიიღო, როცა ავტორი ჯარში იყო“. „გულწრფელად რომ ითქვას“, როგორც ჰროზნი ამბობს, მისი მეორე ბროშურაც იმავე დროს იყო შედგენილი, მაგრამ როცა ვიცი, რომ ამ ნაშრომების დაწერა დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა, თანაც ისინი მეცნიერული თვალსაზრისით მეტად დიდი მნიშვნელობისა იყო, შეგვიძლია ადვილად წარმოვიდგინოთ, რომ ამ ოცდათხუთმეტი წლის მეცნიერის სამხედრო სამსახური სრულიად არ იყო მძიმე. მან ნებათვაც კი მიიღო რამდენიმე კვირა დაეყო კონსტანტინოპოლში ხეთური იეროგლიფებით შედგენილი დოკუმენტების

შესასწავლად, რასაც იმ დროს ვერ მიიღებდა ვერც ერთი ევროპელი მეცნიერი.

უსამართლობა იქნებოდა უმოქმედობა გვესაყვედურებინა ვაიდნერისათვის იმ დროს, როცა იგი ჯარისკაცის მოვალეობას ასრულებდა. ცხადია, პროზნისთან შედარებით იგი ცუდ პირობებში იყო, თანაც მცდარ გზას ადგა. მაგრამ, მეორე მხრივ, შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ პროზნიმ ხეთური დამწერლობისა და ენის გაშიფვრა მსოლოდ იმიტომ შეძლო, რომ მას უფრო მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა, ვიდრე მის მეტოქეს.

პროზნის წარსულის დიდი გამოცდილება გააჩნდა. ოცდაოთხი წლისამ მონაწილეობა მიიღო ჩრდილო პალესტინაში წარმოებულ გათხრებში და გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია ლურსმული ტექსტების შესახებ, რომელთაც ყურადღება მიიქცევს. 1905 წ., ოცდაექვსი წლისა, იგი დანიშნეს ვენის უნივერსიტეტის პროფესორად. ფენომენალური ცოდნის მქონე პროზნი გაბედულად, წინასწარ მოსაზრებათა გარეშე, შეუდგა იმ პრობლემის შესწავლას, რომელიც უნდა გადაეწყვიტა. მან უარყო ყველა ადრე განმტკიცებული შეხედულება; უნდოდა დარწმუნებულიყო ფაქტების სინამდვილეში და ყოველივე თვითონვე შეემოწმებინა დაფიქრებულად და მეთოდურად; არ მორიდებოდა ისეთი დასკვნების გამოქვეყნებასაც კი, რომელიც უარყოფდა ოფიციალურად განმტკიცებულ დებულებებს.

პროზნი თვითონვე აღიარებს, რომ მუშაობის დასაწყისში არაფერი იცოდა იმ ენის შესახებ, რომელიც შემდეგ აღმოაჩინა.

ზედმეტია დეტალურად გადმოიციეს მთელი მისი მუშაობის მსვლელობა. ამისათვის საჭირო იქნებოდა გვეწარმოებინა იგივე ძიებანი და შეგვესწავლა იგივე ენები, რომლებიც პროზნიმ შეისწავლა. მისმა მაგალითმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, როგორ ყველა უდიდეს აღმოჩენას საფუძვლად უდევს გულმოდგინე და მუყაითი შრომა.

საერთოდ, შეუძლებელი იქნებოდა ამა თუ იმ დამწერლობის გაშიფვრის პროცესის აღწერა, თუ აქაც, ისევე როგორც ყველა სხვა აღმოჩენისას, მსჯელობები, უთვალავი ექსპერიმენტები და ხანგრძლივი ძიებანი რომელიღაც მომენტში არ მიაღ-



ქარხეშიში ნაპოვნი ღმერთის ან შეფის თავი.

წვეენ რალაც იდეას, გასაღებს. ხშირად ეს იდეა, წარმატების ქვაკუთხედი, სულ მარტივად აღმოჩნდება ხოლმე.

ჰროზნის მუშაობაზე გავლენა იქონია ორმა დიდმა ფაქტორმა. ერთი იყო საკუთარ სახელთა დადგენა და მეორე, რომელმაც მას დიდი დახმარება გაუწია, ის, რომ ხეთური ტექსტები შეიცავდა ე. წ. იდეოგრამებს.

ასურულ-ბაბილონური ლურსმული დამწერლობა, რომელსაც ხმარობდნენ ბოლან-ქოის ტექსტების შედგენისას, თავდაპირველად პიქტოგრაფიული იყო; მხოლოდ შემდეგში მიიღო მან სილაბური სახე, მაგრამ კვლავ შემონახული ჰქონდა პიქტოგრამების დიდი რაოდენობა. ხეთებს ეს იდეოგრამები გადმოუღიათ ბაბილონურისაგან. ასე რომ, ლურსმული დამწერლობის სპეციალისტებს თავისუფლად შეეძლოთ „წაეკითხათ“ (ამ შემთხვევაში „გაეგოთ“) ისინი, თუმცა იდეოგრამებით აღნიშნული სიტყვების ფონეტიკური შემადგენლობა მათთვის უცნობი რჩებოდა.

უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ეს, მოვიყვანო შემდეგ მაგალითს.

თითოეულ ჩვენგანს შეუძლია რომელიმე უცხო ტექსტში იცნოს ციფრი 10, რა ენაზეც უნდა იყოს დაწერილი, ინგლისურად, ფრანგულად თუ გერმანულად. ის ფაქტი, რომ ათი ფრანგულად გამოითქმის „dix“, ინგლისურად „ten“ და გერმანულად „zehn“, არ წარმოადგენს დაბრკოლებას მისი წაკითხვისთვის.

აი ამ წესით, ე. ი. იდეოგრამების დახმარებით, ჰროზნიმ შეძლო გაეშიფრა ხეთური სიტყვები „თეჭი“ და „მამა“. შემდეგ იგი, დიდი დამქანცველი შრომის შედეგად, ნელ-ნელა სიტყვას სიტყვაზე კითხულობდა, ადგენდა ახალ-ახალ ფორმებს, ვიდრე ერთ დღეს, გამომდინარე იმ სიტყვათა ფორმების ცვლილებიდან, რომელთა მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ ესმოდა, არ აღმოაჩინა, რომ ხეთური ენის გრამატიკული ფორმები (განსაკუთრებით, მიმღობითი ფორმა) ტიპური იყო ინდოევროპული ჯგუფის ენებისათვისაც.

ეს იყო უდიდესი აღმოჩენა. უკვე არსებობდა რამდენიმე სხვა თეორიაც ხეთების დამწერლობის გაშიფვრის შესახებ.



მაგრამ, გარდა ერთი ფილოლოგისა, რომელმაც თვითონვე უარყო თავისი თეორია, ვერავის ვერ წარმოედგინა, რომ ხეთური ენა ინდოევროპულ ენათა ჯგუფს ეკუთვნოდა. არც არავის შეეძლო გამოეთქვა ეს მოსაზრება, რადგანაც ის ვარაუდი, რომ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა ხანებში ანატოლიის ცენტრში ბატონობდა ინდოევროპელი ხალხი, ეწინააღმდეგებოდა ისტორიკოსთა და ორიენტალისტთა მიერ უკვე აღიარებულ საერთო დასკვნებს წინა აზიის ისტორიის შესახებ.

ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ჰროზნი დაექვედა თავის დასკვნებში. მან ჩათვალა, რომ ეს იყო ლინგვისტური დამთხვევა. დიდი მორიდებით მოჰყავს მას არგუმენტები, რომლებიც ამტკიცებს, რომ ხეთების ენა ეკუთვნის ინდოევროპულ ენათა ჯგუფს.

მაგრამ, აი, დადგა დღე, როცა ჰროზნი შეაშინა საკუთარი ჰიპოთეზის გაბედულებამ; მან გაიფიქრა, თუ ქვემოგანხილული სტრიქონის ინტერპრეტაცია სწორია და მომავალი გამამართლებს, ეს იქნება ნამდვილი რევოლუცია მეცნიერებაში. ერთი წინადადების შინაარსის გაგება საკმარისი იქნებოდა ხეთური დამწერლობის გასაშიფრად. ახლა მას ისლა დარჩენოდა, რომ ესარგებლა თავისი აღმოჩენით და განეცხადებინა ის, რაც დაადგინა, თუმცა იცოდა, რომ ამით დაანგრევდა იმ შენობას, რომელიც დიდი მოთმინებით ააგეს სხვა ლინგვისტებმა.

აი, იმ წინადადების ტექსტი, რომელმაც ჰროზნი ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: „nu NINDA-an ezzatteni Vádar-ma ecutteni“ წინადადებაში ცნობილი იყო მხოლოდ ერთადერთი სიტყვა: „NINDA“ — „პური“, რომელიც გასაგები იყო ზუმერული იდეოგრაფიის მიხედვით.

ჰროზნიმ დაუშვა, რომ მის ფრაზაში, სადაც მოხსენიებულია „პური“, შესაძლებელია იყოს „ჰამის“ აღმნიშვნელი სიტყვაც (რასაკვირველია, „შესაძლებელია იყოს“ და არა „უნდა იყოს“). რადგანაც ამ დროს მას უკვე მრავლად გააჩნდა ხეთურ ენის ინდოევროპული ჯგუფისადმი მიკუთვნების დამადასტურებელი ფაქტები, მან სხვა ინდოევროპულ ენებში დაუწყო ძებნა „ჰამის“ შესატყვის გამოთქმას. ლათინურად „ჰამა“ გა-

მოითქმის როგორც „edo“, ინგლისურად „eat“, ძველგერმანულად „ezzan“ (როცა პროზნიმ ეს უკანასკნელი დაწერა, გაუგებლა აზრმა: „ezzan“; ეთანსმება „ezalteni“-ს ხეთურ ფრაზაში!).

„პურისა“ და „ქაშია“ ასოციაციით, სიტყვა „vadar“ უნდა ნიშნავდეს საჭმელს ან სასმელს. ამ სიტყვის შესაფერი შესატყვისის ძიებაში პროზნიმ შეადარა „vadar“ ინგლისურ „water“-ს, გერმანულ „Wasser“-ს და ძველსაქსონურ „watar“-ს, რაც ნიშნავს წყალს.

თავი დავანებოთ რთულ გრამატიკულ ურთიერთდაპირისპირებებს, რომლებმაც პროზნის საშუალება მისცა გაეგო წინადადების მთლიანი აზრი. მაშინ მან ასე გადათარგმნა ფრაზა:

„ახლა შეკამთ პურს, ხოლო შემდეგ დაღევთ წყალს.“

პროზნის ინტერპრეტაცია ადასტურებდა ნორვეგიელი ორიენტალისტის ე. ა. კნუდსონის დებულებას: 1902 წ. მან ჯანაცხადა, ხეთური ენა ინდოევროპულ ენათა ჯგუფს ეკუთვნისო. მაშინ ამ მოაზრებამ, რომელიც შემდგომ თვითონვე უარყო კნუდსონმა, სპეციალისტთა საერთო პროტესტი გამოიწვია.

მაგრამ ამით როდი ამოიწურა ყველაფერი! არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ბოლზ-ქოის ტექსტები უნდა მიეკუთვნებოდა ძვ. წ. XIV ან XIII საუკუნეებს, თანაც საფუძველი იყო ეფიქრათ, რომ ბევრი ამ ტექსტთაგანი შესაძლოა გადაწერილი ყოფილიყო უფრო ძველი, მაგალითად, ძვ. წ. XVIII საუკუნის დოკუმენტებიდან. მაშასადამე, პროზნის სრული უფლებით შეეძლო განეცხადებინა, რომ მან პირველმა გაშიფრა ინდოევროპული ენებიდან თუ ყველაზე უძველესი არა, ერთ-ერთი უძველესი ენათაგანი მაინც, რომელიც თავისი ხნოვანებით მეტოქეობას გაუწევს რიგველას (ინდური სიბრძნის წიგნებს) უძველესსა და უმნიშვნელოვანეს ნაწილს — მათი წარმოშობა ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუახანებზე მიეწერება.

1915 წლის 24 ნოემბერს პროზნიმ წინა აზიის შემსწავლელი ბერლინის საზოგადოების წევრთა წინაშე გააკეთა მოხსენება ხეთური დამწერლობის გაშიფვრის შესახებ. ერთი თვის

შემდეგ ეს მოხსენება დაიბეჭდა. მაგრამ მისი უმთავრესი შრომა, „ხეთების ენა, მისი სტრუქტურა და კუთვნილება ინდო-გერმანულ ენათა ოჯახისადმი“, გამოვიდა მხოლოდ 1917 წ. ლაიფციგში. წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „ამ შრომის მიზანია ახსნას იმ ენის ბუნება და სტრუქტურა, რომელიც აქამდე საიდუმლოებით იყო მოცული და რომელზეც ოდესღაც ლაპარაკობდნენ ხეთები.“ ხოლო შემდეგ, თავისი დასკვნების სიმართლეში დარწმუნებულნი, პროზნი დასძენს: „აქედან ცხადი ხდება, რომ ხეთური ენა ძირითადად ინდოგერმანულ ენას წარმოადგენს.“

პროზნიმ თავის 240-გვერდიან წიგნში მოგვცა ამ მკვდარი ენის ყველაზე სრული ამოშიფვრა. აქ თითქმის არ იყო ჰიპოთეზები და სავარაუდო მოსაზრებანი. მასში მოცემული იყო მხოლოდ დასკვნები. აქვე იგი სარგებლობს შემთხვევით, რათა ანგარიში გაუსწოროს თავის მოწინააღმდეგეებს.

თავისი შრომის დასრულებამდე პროზნი ვენას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაეცნო თავისი მეტოქის ვაიდნერის ახალგამოსულ წიგნს „ხეთური ენათმეცნიერების ნარკვევები“. თავისი წიგნის დამატებაში პროზნი აღნიშნავს: „ვაიდნერს, ეტყობა, შეუცვლია აზრი 1915 წ. ზაფხულიდან და ახლა აღიარებს, რომ აღარ შეიძლება უარეყოთ ხეთების ენის, ცოტად თუ ბევრად, არიული ხასიათი“. პროზნი ამ ცვლილებას იმით ხსნის, რომ ვაიდნერმა ეტყობა, წაიკითხა მისი „წინასწარი მოხსენება.“ ერთ შენიშვნაში პროზნი, თუმცა პირდაპირ არ სდებს ბრალს ვაიდნერს, მაგრამ გაააგებუ ხდის, რომ ვაიდნერმა საკმაოდ უცერემონიოდ გამოიყენა ზოგიერთი მისი დასკვნა, ისე, რომ შეეცადა, რამდენადაც შეიძლება, არ ეხსენებინა მისი სახელი.

რაც უნდა უსიამოვნო იყოს ეს საყვედური, იგი მაინც გასაგებია. იმ დროს, როცა ჭერ კიდევ ყველანი ერთ ადგილს ტკეპნიდნენ, ვაიდნერის თეორიები არ იყო ღირებულებას მოკლებული. თვით პროზნი იძულებულია აღიაროს, რომ ხეთური ენა შეიცავს უცხო, შესაძლოა კავკასიურ, ელემენტებს. ერთი მხრივ იგი ამბობს: „სამწუხაროდ, ხეთოლოგიის თვალსაზრისით ვაიდნერის ნაშრომი მთლიანად არადაამაკმაყოფილებლად

უნდა ჩაითვალოს“. მაგრამ, მეორეს მხრივ, იგი იძულებულია აღიაროს, „რომ ეს შრომა თავის ღირებულებას არ არის მოკლებული“; ვაიდნერმა „ასირიოლოგიის თვალსაზრისით, ხელი შეუწყო ზოგიერთი სიტყვის უკეთ გაგებას, ვიდრე ეს მანამდელ გამოკვლევებში იყო.“

მაგრამ რა საჭიროა დიდხანს შეეჩერდეთ ამ პოლემიკაზე? უმჯობესია მოვიყვანოთ ძველი ისტორიის გამოჩენილი მკვლევარის ედუარდ მაიერის სიტყვები, რომლებსაც ვკითხულობთ პროზნის წიგნის წინასიტყვაობაში:

„გერმანიის აღმოსავლური საზოგადოების მიერ წარმოებული გათხრების შედეგად მიღწეული აღმოჩენები, რომელიც აფართოებს და აღრმავებს ჩვენს ცოდნას უძველესი ქვეყნების ისტორიისა და კულტურის შესახებ, თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით ვერ შეედრება იმ აღმოჩენას, რომელიც მოცემულია აქ ბატონ პროფესორ პროზნის მიერ.“

ამჟამად წარსულის მოულოდნელი აღმოჩენა უკვე აღარ არის მხოლოდ არქეოლოგთა ხვედრი, რომლებიც გამოგლეჯდნენ ხოლმე მიწას განძეულობასა და მეფეთა მუშებიან. ფილოლოგსაც კი, რომელიც თავის საწერ მაგიდასთან სწავლობს უცნობ ტექსტს, შეუძლია გახსნას წარსულის საიდუმლოება.

ნუ დავინახავთ ამაში მხოლოდ ფილოლოგიურ პედანტობას. განა სიტყვა „ჰამა“, როცა იგი მოწოდებასავით იმის, არ ნიშნავს „შიმშილს“? განა სიტყვა „წყალი“, უდაბნოში წარმოქმნილი, არ ნიშნავს „წყურვილს“?

„Vadar“, „water“, „Wasser“ — ეს სამი სიტყვა აღნიშნავს ერთსა და იმავე მოთხოვნილებას და განვლილი სამი ათასი წლის მიუხედავად, მწყურვალე ხეთის ძახილს დღესაც კარგად გაიგებდა როგორც ჩრდილოეთის ზღვის ნაპირას მცხოვრები ფრიზი, ისე პოლანდიელი პენსილვანიელი, რომელიც ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობს!

## ლაპარაკობდნენ თუ არა ხეთები ხეთურად?

პროზნის მიერ ხეთური დამწერლობის გაშიფვრამ შესაძლებელი გახადა წაეკითხათ ხათუსას სახელმწიფო არქივის მეორე ნაწილი. ერთხელ კიდევ შეგახსენებთ, რომ 1906 და 1912 წლებს შუა ბოლახ-ქოიში ნაპოვნი ფირფიტების დიდი ნაწილი, რომელიც შედგენილი იყო უკვე ამოცნობილ აქადურ ენაზე, ხოლო დაწერილი — ბაბილონურ-ასურული ლურსმულთ, აღმოჩენის ადგილზევე იქნა გაშიფრული ვინკლერის მიერ.

მეორე ნაწილი, რომელიც ასევე დაწერილი იყო ნახესხები ლურსმულთ, მაგრამ ხეთურ ენაზე, წაეკითხა პროზნიმ მას შემდეგ, რაც ამ ენის გასაღები აღმოაჩინა. ეს იყო რელიგიური, იურიდიული და სამედიცინო ხასიათის ტექსტები; ზოგ მათგანში გადმოცემული იყო ხეთების იმპერიის მეფეთა და ხალხთა მნიშვნელოვანი საქმეები, აღწერილი იყო მათი ზნეჩვეულებანი და ადათები. არსებითად მთელი ეს მასალა საშუალებას იძლეოდა უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა ხეთების მთლიან ისტორიაზე. მაგრამ ეს მხოლოდ არსებითად, რადგან პროზნის შრომის გამოქვეყნებისთანავე წამოიჭრა ახალი პრობლემები, რამაც ახალი დისკუსიები გამოიწვია.

ჯერ ერთი, უკმაყოფილონი დარჩნენ ძველი ისტორიის სპეციალისტები. იმის მტკიცება, რომ მცირე აზიაში ინდოევროპელები ბატონობდნენ, ეწინააღმდეგებოდა უკვე მიღებულ აზრებს. ამიტომაც ისინი ერთგვარი გესლით მოითხოვდნენ ფილოლოგებისაგან — დაეზუსტებინათ ამ ხალხის წარმოშობა. ფაქტიურად, ამ საკითხის ამოხსნა მათვე ეხებოდათ და არა ლინგვისტებს.

მეორეც, ინდოევროპული თეორიის მიმდევარნი საყვედურობდნენ პროზნის, რომელიც თვითონ არ იყო ინდოევროპეისტი და ბევრ შემთხვევაში კმაყოფილდებოდა სიტყვათა შორის მიახლოებითი მსგავსებით.

პირველად, 1920 წელს, მკაცრი, მაგრამ დასაბუთებული კრიტიკა პროზნის დებულების გამო გამოაქვეყნა გერმანელმა ფერდინანდ ზომერმა (დაიბადა 1875 წ. ტრირში). ზომერის მუშაობა შეაყვას გერმანელებმა იოჰან ფრიდრიხმა და ალ-

ბრეხტ გიოტცემ. ხეთური ენის გრამატიკის შემდგომი გადა-  
მუშავება განაგრძო 1929 წ. ფრანგმა ლუი დელაპორტმა, ხო-  
ლო დღევანდელ დონემდე იგი მიიყვანა იოჰან ფრიდრიხმა  
1940 წელს. ი. ფრიდრიხმა 1946 წ. გამოაქვეყნა „ხეთური ენის  
ელემენტარული გრამატიკის“ დამატება; ეს არის ტექსტების  
კრებული, რომელსაც თან ახლავს განმარტებანი და ლექსიკო-  
ნი. საბოლოოდ, 1952—1954 წლებში გამოვიდა იმავე ფრიდ-  
რიხის ხეთური ენის დიდი ლექსიკონი.

თავისი წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი აღიარებს, რომ  
მისი შრომები ჯერ კიდევ არ იძლევა ამომწურავ ცნობებს ხე-  
თური ენის ლექსიკონისა და გრამატიკული თავისებურებების  
შესახებ. იგი უპირველესად მიუთითებს რელიგიურ ტექსტებ-  
ზე, რომლებიც შეიცავს ისეთ გამოთქმებს, რომელთა მნიშვნე-  
ლობა ჯერჯერობით უცნობია და, ალბათ, ასევე დარჩება კი-  
დევ დიდხანს. ამიტომაც, სიფრთხილის გამო, სიტყვის ნამდ-  
ვილი სახელწოდების აღნიშვნის ნაცვლად ფრიდრიხი კმაყო-  
ფილდება გვარობითი ცნებებით. მაგალითად, „ტანსაცმელი“,  
„ნამცხვარი“. ან კიდევ ასედაც ამბობს: „საკუთარი სახელი  
განუსაზღვრელი მნიშვნელობისა.“

მაგრამ ყოველივე ეს არაფერია იმ ერთ ფრაზასთან შედა-  
რებით, რომელიც მოცემულია ხეთური ენის ლექსიკონის შე-  
სავალში, და რომელიც გამშიფვრელის ტრიუმფად შეიძლება  
ჩაითვალოს: „ზოგ შემთხვევაში ჩემს თავს ნება მიეცი გამე-  
სწორებინა ძველი მწერლების შეცდომები: ზოგიერთი მცდარი  
ან განმეორებული დაბოლოებანი სიტყვებისა და რამდენიმე  
დაუდევრობა.“

აღწერილი კვლევა-ძიებანი არც ისე თანმიმდევრულია,  
როგორც ეს ერთი შეხედვით მოჩანს, თუ მხოლოდ ფაქტების  
ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით. საქმე ისაა, რომ 1919 წ.  
ერთმა შევიცარიელმა გადაწყვიტა გადაეჭრა ის საკითხი, რომ-  
ლის შესწავლა ჯერ არავის მოსვლოდა აზრად (ხეთების პრობ-  
ლემა საკმაოდ რთული იყო და ერიდებოდნენ მის კიდევ უფ-  
რო გართულებას). ეს შევიცარიელი იყო ფილოლოგი ემილ  
ფორერი, რომელმაც გამოაქვეყნა თავისი ნარკვევი სათაუ-

რით: „ბოლახ-ქოის წარწერათა რვა ენა“. მისი აზრით, ხეთები ლაპარაკობდნენ რვა სხვადასხვა ენაზე.

ეს დიდმნიშვნელოვანი ნარკვევი იწყება შემდეგი კატეგორიული მტკიცებით:

„ბოლახ-ქოიში ნაპოვნი ფირფიტების ყველა ფრაგმენტის გამოკვლევამ აჩვენა, რომ წარწერებში საუბარია შემდეგ რვა ენაზე: შუმერულზე, აქადურზე, იმ ენაზე, რომელსაც დღემდე ხეთურად განიხილავდნენ და რომელსაც, როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, აჯობებს ვუწოდოთ ქანესური, გარდა ამისა პრაინდურ ენებზე, როგორიცაა: ხურიტული, პროტო-ხეთური, ლუვიური და ფალაური“.

მაგრამ ყველაზე გასაოცარი ენების სხვადასხვაობა როდი იყო. ფორერის დასკვნების სისწორის მიუხედავად მალე გამოიჩინა, რომ ფირფიტები ძირითადად ორ ენაზე იყო შედგენილი; სხვა ენები კი ტექსტში წარმოდგენილი იყო ციტატების სახით.

სხვადასხვა ენების ხმარება ახასიათებს მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ყველა ქალაქს. ვთქვათ, დიდი ხნის შემდეგ არქეოლოგებმა ლონდონის ნანგრევებში იპოვეს ჩინური წარწერების ფრაგმენტები, თუნდაც ჩინური კვარტალის რესტორნის აბრის ნატეხი. განა აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ XX ს.-ის ლონდონში ჩინური ენა იყო ერთ-ერთი მთავარი ენათაგანი?

ფორერის მტკიცებამ, რომლის თანახმადაც ხეთების ენისათვის ქანესური უნდა გვეწოდებინა, კიდევ უფრო გაართულა საკითხი. პროზნის ნაშრომის გამოქვეყნებიდან ორი წლის შემდეგ ფორერმა ექვის ქვეშ დააყენა საკითხი — ნამდვილად ხეთურია ის ენა, რომელიც პროზნიმ გაშიფრა?

ფორერის ამ დასკვნას, რომელიც, ერთი შეხედვით, ასეთი უდავო იყო, არავითარი ფასი არ ჰქონდა, რადგან ფილოლოგებმა და არქეოლოგებმა უარი განაცხადეს შეეცვალათ თუნდაც არასწორი, მაგრამ ხმარებაში მიღებული ერთი ტერმინი მეორეთი, რომელიც მომავალში შეიძლება ასევე არასწორი აღმოჩენილიყო.

ფორერი თავის მოსაზრებას ამყარებდა დებულებაზე, რომელიც არავის არ მიაჩნდა სადავოდ. ხეთები, როგორც ინდოევროპული წარმოშობის ხალხი, საიდანღაც არიან მოსული მცირე აზიაში. მაგრამ რომელია იყო ამ ადგილების მკვიდრი ხალხი? რადგან მათ სხვა სახელი ვერ მოუნახეს, პროტოხეთები (ანუ „პირვანდელი ხეთები“) დაარქვეს.

შემდეგ შეამჩნიეს, რომ სწორედ ამ არაინდოევროპულ, პროტოხეთურ ენაზე იყო შედგენილი ბოლან-ქოის არქივის რამდენიმე ფირფიტა. მათში ყველგან მოხსენიებული იყო „ხათილი“. აშკარად ჩანდა, რომ ეს გამოთქმა მოდიოდა სიტყვა „ხათი“-დან, რაც აღნიშნავს იმ ტერიტორიას, სადაც ხალხი ლაპარაკობდა „ხათ“-ის (ხეთურ) ენაზე. ეს ქვეყანა არსებობდა მანამ, სანამ ინდოევროპელი ემიგრანტები მცირე აზიაში მოვიდოდნენ.

მაშასადამე, ნამდვილი ხეთები იყვნენ პროტოხეთები და არა დამპყრობელი ინდოევროპელები. შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა ტერმინების ხმარებაში, სპეციალისტებმა საჭიროდ აღარ ჩათვალეს გაესწორებინათ, რაჟა, შესაძლოა, დიდი გაუგებრობა მოპყვოლოდა. ახლაც არავინ იცის, თუ თვითონ ინდოევროპელები რას უწოდებდნენ თავიანთ თავს, როცა მცირე აზიაში შემოვიდნენ!

იმ მოსაზრებამ, რომ ხეთური ენა ეკუთვნის ინდოევროპულ ენათა ჯგუფს და იმ ფაქტმა, რომ იგი სწრაფად გაიშინდა, დიდად გააადვილეს ხეთების ისტორიის აღდგენა. მიუხედავად ამისა, დღემდე გადაჭრილი არ არის ზოგიერთი პრობლემა, რომელიც სწორედ ხეთური ენის ინდოევროპულ ენათა ჯგუფთან კუთვნილებასა და დამწერლობას ეხება. აქ ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ სამ ასეთ პრობლემას.

ჯერ ერთი დადგენილია, რომ ხეთები მცირე აზიაში მოსული ხალხია. მაგრამ საიდან? პროზნის ნაშრომის მიხედვით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს პრობლემა ენის გაშიფვრისთანავე გადაწყდებოდა. საქმე ისაა, რომ პროზნიმ დაამტკიცა ხეთური ენის არა მარტო ინდოევროპული ხასიათი, არამედ ისიც, რომ ხეთური ენა ეკუთვნის ე. წ. „კენტუმ“-ის — ინდო-



ევროპული ენების დასავლურ ჯგუფს, რომელშიაც შედის ლათინური, ბერძნული, კელტური და გერმანული ენები.<sup>1</sup>

თავისთავად იბადება დასკვნა: ხეთები მოსულან დასავლეთიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და ბოაფორის გადმოვლით. მაგრამ რაკი ამჟამად უფრო ნათელი წარმოდგენა აქვთ ცალკეულ ინდოევროპულ ენათა გადაადგილების შესაძლებლობათა შესახებ, ხეთების დასავლური წარმოშობის თეორიაც ცოტად თუ ბევრად მკრთალად გამოიყურება.

ბევრი არქეოლოგი ამტკიცებს, რომ ხეთები უნდა მოსულიყვნენ კავკასიიდან. ერთი უმთავრესი არგუმენტთაგანი, რომელიც ამ თეორიის სასარგებლოდ წამოაყენა ფერდინანდ ზომერმა, არის ერთი ლოცვის დასაწყისი. იგი შედგენილია ხეთების მეფე მუვათალის (ძვ. წ. 1300 წ.) მეფობის დროს:

„მზის ღმერთო ცისა! კაცობრიობის მოძღვარო!  
შენ ამოდიხარ ზღვიდან, მზეო ცისა.  
მალა ცისაკენ შენ ადიხარ შენი გზით.  
მზის ღმერთო ცისა, ჩემო ბატონო! აღამიანთა ნაშვირებს,  
ძალღებს, ღორებს, მინდვრის მხეცებს  
მუდამ დღე შენ აძლევ მართლმსაჯულებას, ღვთიურო მზეო“.

ყურადღება მივაქციოთ მეორე სტრიქონს: „შენ ამოდიხარ ზღვიდან“. მუვათალის დროს ხეთები უკვე თითქმის ოთხასი წლის დასახლებული იყვნენ ანატოლიაში. მზის ამოავლის ხსენება კი უთუოდ შორეული წარსულის მოგონებაა, რადგან შეუძლებელია ანატოლიაში მოსახლეს დაენახა მზის ამოსვლა ზღვიდან. პირიქით, შესაძლებელია, რომ მიგრაციის დროს ხეთებს შავი ან კასპიის ზღვები ხელმარცხნივ დარჩენოდათ. სხვანაირად ეს ნაწყვეტი ვერ აიხსნება.

მეორე. ხეთების მეფეთა სახელები არა ინდოევროპული, არამედ პროტოხეთური წარმოშობისაა. იგივე ითქმის ხეთების ღმერთების სახელების შესახებაც — ისინი პროტოხეთური ანდა ხურიტული წარმოშობისაა. ეს აიხსნება ასიმილაციის

---

<sup>1</sup> ინდოევროპულ ენებში გამოიყოფა ორი დიდი ჯგუფი იმის მიხედვით, თუ როგორ გამოითქმის რიცხვი „ასი“ — *kentum* ან *satem*; ამ უკანასკნელს ეკუთვნის აღმოსავლური ენები: სლავური, ინდური და სპარსული.



წარწერა პიქტოგრაფიის ტიპური ნიშნებით. ქარხემიში.

პროტესით: ალბათ, დამპყრობელმა ხეთებმა პროგრესულად შეითვისეს ადგილობრივი მცხოვრებლების — პროტოხეთების ზნე-ჩეულებანი. მაგრამ ეს განმარტება არ არის საცესებით დამაკმაყოფილებელი.

შესამე. ხეთების პირველი მეფეების დროს ანატოლიაში არსებობდა ასურელ ვაჭართა სავაჭრო კოლონიები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქანესში, ახლანდელ ქიულ-თე-ფეში (კაისერის მახლობლად). გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობაზე მიუთითებს აქ ნაპოვნი მრავალი ფირფიტა, რომლებსაც „კაპადოკიურ“ ფირფიტებს უწოდებენ. მაგრამ საოცარია, რომ ხეთებმა, რომლებიც თავიდანვე, მრავალრიცხოვან დოკუმენტთა და სხვა წყაროების თანახმად, ასურულ-ბაბილონური ტიპის ლურსმულით წერდნენ, არ შეითვისეს ამ ასურელ ვაჭართა დამწერლობა. ხეთების ლურსმული დამწერლობა სხვაგან არსად არ გვხვდება და შესაძლოა იგი ძველთაძველიცაა.

ყოველ შემთხვევაში, ხეთები ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოვიდნენ თუ ჩრდილო-დასავლეთიდან, ფაქტი ერთია: ლურსმული დამწერლობა მათ არ მოუტანიათ აქ. ლურსმული შეიქმ-

ნა სამხრეთ მესოპოტამიაში. მაგრამ საკითხავია, სად და როდის შეითვისეს ხეთებმა იგი? ეს კი ჯერ გარკვეული არ არის.

ასეთია ზოგადად ბოლახ-ქოიში, მეფეთა არქივებში აღმოჩენილი ლურსმულად დაწერილი ხეთური ფირფიტების გაშიფვრის ისტორია; წარწერები შესრულებულია ხეთურ ენაზე, მაგრამ ნასესხები ასურულ-ბაბილონური ლურსმულით.

ამრიგად, შეგახსენებთ:

ბოლახ-ქოის ლურსმულად დაწერილმა ფირფიტებმა კი არ მიაპყრო პირველ მოგზაურთა და არქეოლოგთა ყურადღება ხეთებისადმი, არამედ იმ გასაოცარმა იეროგლიფურმა წარწერებმა, რომლებიც იპოვეს უმთავრესად ქარხეშიში. მცირე ნაწილი კი — სირიასა და ცენტრალურ ანატოლიაში. სწორედ ამ იეროგლიფებმა, რომლებიც სრულიად არ წააგავს ეგვიპტურს, დაარწმუნა სეისი და რაიტი იმაში, რომ ის ხალხი, რომელსაც თავისი საკუთარი ცივილიზაცია ჰქონდა, ცხოვრობდა ტავროსის მთავრეხილის ჩრდილოეთითა და სამხრეთით.

მას შემდეგ, რაც ბოლახ-ქოის ადვილადწასაკითხი ფირფიტები აღმოაჩინეს, კვლევა-ძიება (განსაკუთრებით ისტორიული) უმცირესი წინააღმდეგობის გზას დაადგა და შემოიფარგლა უმთავრესად ლურსმული ტექსტების შესწავლით. თუმცა ზოგიერთმა მკვლევარმა მაინც არა თქვა უარი ხეთური იეროგლიფების საიდუმლოების ამოხსნის ძიებაზე.

ორიენტალისტთა წინაშე დაისახა უძნელესი პრობლემა. ქვებზე არსებულ წარწერათა არც ენა და არც დამწერლობა ცნობილი არ იყო. მაგრამ მათ სწორედ ეს იზიდავდათ, რადგან ჩანდა, რომ ხეთები საკუთარ იეროგლიფებს იყენებდნენ არა საერო, არამედ წმინდა ამბების, არა ყოველდღიურის, არამედ დიდმნიშვნელოვანის ჩასაწერად. მათი იეროგლიფები, თითქოსდა, განკუთვნილი იყო ღმერთებისა და მეფეების აღსანიშნავად.

ხეთური იეროგლიფების გაშიფვრა დაიწყო ხეთების ცივილიზაციის აღმოჩენასთან ერთად, ე. ი. ოცდათი წლით ადრე ხეთების ლურსმული დამწერლობის გაშიფვრამდე. მაგრამ მხოლოდ ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, უახლოვდება ეს გიგანტური საქმე დასასრულს.

## „არაფრისაგან შეუძლებელია რაიმის გაშიფვრა“

„ადამიანმა თავი მაშინაც კი ბედნიერად უნდა ჩათვალოს, როცა აღმოჩენების დროს შეცდომებს დაუშვებს“, — ამ ფრაზას შეხვდებით ინგლისელი ფილოლოგის არჩიბალდ პენრი სეისის მემუარებში. მთელი თავისი სიცოცხლე მან აღმოსავლური ენების შესწავლას მიუძღვნა. ა. პ. სეისი დაიბადა 1845 წ., ხოლო 1876 წ., 31 წლისამ მეტად გაბედული პირობით გამოთქვა: მთელ მცირე აზიაში — ჰამათსა და სმირნას შორის გაბნეული იეროგლიფური წარწერები მოწმობს ხეტების დიდი იმპერიის არსებობას. მანვე პირველმა განიზრახა გაეშიფრა ეს იეროგლიფები.

ამ პრობლემის გადაჭრა მთელი მისი სიცოცხლის მიზანი გახდა. იგი თვალს ადევნებდა სხვა მკვლევარებს, რჩევა-დარიგებებს აძლევდა და ამხნევებდა ახალგაზრდებს; რამდენიმე მათგანი პირადად მოამზადა კიდევ ამ საქმისათვის.

1931 წ., ოთხმოცდაექვსი წლისამ, დაწერა უკანასკნელი სტატია ხეტების საკითხზე. ორი წლის შემდეგ კი იგი გარდაიცვალა.

თანამედროვე ხეთოლოგთა შორის ხშირად შეხვდებით ისეთებს, რომლებიც თითქმის არაფრად აგდებენ სეისის თეორიებს, მის შრომებს. ფრიდრიხს „დროის ამაოდ დაკარგვად“ მიაჩნდა მისი „ფანტასტიკური ლექციების“ წაკითხვა, „როშელიც ხშირად დილეტანტურიც კია.“

1923 წ. გამოცემულ თავის მემუარებში სეისი აღიარებს, რომ ზოგ შემთხვევაში „მისი დასკვნები ნაჩქარევი და არაზუსტი იყო“; თავის გასამართლებლად მას მოჰყავდა ის ფრაზა, რომლითაც იწყება ეს თავი. და იგი მართალიც იყო: ადვილია უსაყვედუროთ პიონერს, მცდარი ხართო. სეისი არა მარტო პირველი იყო, რომელმაც ხეტებში ახალი კულტურის ხალხი ამოიცნო, არამედ მანვე პირველმა ორიგინალური გზით გაშიფრა მათი იეროგლიფური დამწერლობის ნიშნები.

ქვეთავში „გაშიფვრის ხელოვნება“ უკვე გაგაცანით გაშიფვრის რამდენიმე პრინციპი. ახლა არ შეიძლება არ ვახსენ-

ნოთ გამოცდილებით ნაკარნახევი რამდენიმე სხვაც, რომლებიც ემყარება ძველი დამწერლობის თავისებურებებს.

ერთი მათგანია კართუში, ე. ი. ოვალურ ჩარჩოში ჩასმული მეფეთა სახელები. ასევე იყო ეგვიპტურ იეროგლიფურ წარწერებში. მეორეა, როცა გამოსახულ ფიგურებს შორის ტანადობის მიხედვით (სიდიდით) გამოირჩევა მეფის პიროვნება. წმინდა პიქტოგრაფიულ დამწერლობაში ეს ნიშანი მეფობის მაჩვენებელია; იგი მეფობის აღმნიშვნელი ისეთივე სიმბოლოა, როგორც სკიპტრა ან გვირგვინი. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ყველა ძველ დამწერლობაში მეფეთა სახელების შემდეგ თითქმის ერთნაირად აღინიშნება ქვეყნებისა და ქალაქების სახელები.

უცნობ ენაზე შედგენილ ტექსტებში ეს მაჩვენებელი ნიშნები საშუალებას იძლევა ამოვიცნოთ ნიშანთა მთელი ჯგუფი, რომელიც მას მოსდევს და ამრიგად გავიგოთ, რომ აღნიშნული ტექსტი შეეხება მეფეს, ქვეყანას ან ქალაქს.

გამშიფვრელისათვის ასეთი ნიშნების რაოდენობა კიდევ ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ ეს ენა მოათავსოს თავის ისტორიულ კონტექსტში. მეზობელი ხალხების ისტორიიდან ცნობილ მეფეთა სახელები აგრეთვე საშუალებას იძლევა იეროგლიფების ამოსაცნობად.

კრეტული დამწერლობის გასაშიფრად (ამჟამად რამდენადმე განსორციელდა ეს) გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია იმან, რომ აღრევე გამოიცნეს პატარა ვერტიკალური ხაზების — როგორც სიტყვათა გამოყოფების — მნიშვნელობა. უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა სიტყვების გამოყოფა სტრიქონებად აწყობილი პიქტოგრამების ჯგუფებიდან.

განა შესძლებდნენ (როგორც ამას სისტემატურად მიმართავდნენ 1950 წლიდან) სიტყვის მარცვალთა დასაწყისისა და დაბოლოების ამოცნობას, ეს ვერტიკალური ხაზი რომ არ არსებულებოდა?

მაგრამ ყოველგვარი გაშიფვრის საწარმოებლად აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა იქნას წაკითხული ეს დამწერლობა: მარცხნიდან — მარჯვნივ, მარჯვნიდან — მარცხნივ, ქვემოდან — ზემოთ, თუ ზემოდან — ქვემოთ. მხოლოდ ევრო-

პელებს მიაჩნდათ, რომ ლოგიკურია მარცხნიდან მარჯვნივ წერა და კითხვა.

როცა ას ორმოცდაათი წლის წინათ გროტეფენდმა პირველი ლურსმული ტექსტების გაშიფვრა დაიწყო, იგი თავის თავს შეეკითხა, რა მიმართულებით წაეკითხა ფირფიტები. რაკი ისინი ოთხკუთხედი იყო, იქმნებოდა წაკითხვის ოთხნაირი შესაძლებლობა.

ხეთური იეროგლიფური წარწერებისათვის, უმეტეს შემთხვევაში, ეს პრობლემა არ ისმებოდა, რადგანაც წარწერები კლდეებზე, ქვებზე ან ბარელიეფებზე იყო ამოჭრილი. მათი ამოკვეთიცი წამკითხველად ივარაუდებდა ფეხზე მდგომს და არა პირიქით. ზოგიერთი მარტივი მანიშნებლის წყალობით, სწრაფად გამოიციენს დამწერლობის ტიპი. ეს იყო ბუსტროფედონი (ბერძნულად ნიშნავს: „გუთანში შებმული ხარის


მობრუნება“). ეს იეროგლიფი



პირველი სტრიქონის

დასაწყისში ნიშნავს წინადადების დაწყებას (ამგვარი ვარაუდი გამართლდა სხვა ენათა დამწერლობის გაშიფვრისას). შემდეგ კი იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეზე იყო თავისუფალი ადგილი სტრიქონის ბოლოში, მარჯვნივ თუ მარცხნივ, გაარკვიეს წერის მიმართულება. ეს პიქტოგრამები (ხელი, ფეხი, თავი და სხვ.) სტრიქონების მიხედვით ხან მარჯვნიდან მარცხნივ, ხან კი მარცხნიდან მარჯვნივ, უჩვენებდნენ საპირისპირო მიმართულებას.

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ უცნობი დამწერლობის ხასიათის გარკვევის კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენს ნიშნების დათვლა. ის დამწერლობა, რომელიც ოცდაათ ნიშანზე ნაკლებს შეიცავს, არაფრით არ შეიძლება იყოს მარცვლოვანი (სილაბური), რადგანაც ოცდაათი მარცვალი ვერ შექმნის ენას. მაშასადამე, ასეთი დამწერლობა ანბანურია. თუ ნიშნების რიცხვი ასს აღწევს, დამწერლობა მარცვლოვანია, ხოლო თუ მათი რიცხვი უფრო მეტია, მაშინ საქმე გვექნება ლექსიკონურ დამწერლობასთან.



ხეთური საბეჭდავები.

„არაფრისაგან შეუძლებელია რაიმეს გაშიფვრა“, — წერს ი. ფრიდრიხი და მაგალითისათვის მოჰყავს აღდგომის კუნძულისა და მოხენჯო-დაროს (ინდური) დამწერლობა, რომლებშიც არ არის ნაპოვნი არც რაიმე გასაღები მათ გასაგებად და არც ნათესაობა რომელიმე ცნობილ დამწერლობასთან. იმ მეთოდების გამოყენება ხეთური იეროგლიფური დამწერლობის ამოსაკითხად, რომლებიც ჩვენ განვმარტეთ, საშუალებას იძლევა დავადგინოთ მისი საერთო ხასიათი; უფრო მეტიც, გამშიფვრელთა ორი თაობის გამოცდილების წყალობით შეძლეს მაშინვე ამოეცნოთ ზოგიერთი ნიშნის მნიშვნელობა.

როცა სეისმა გაშიფვრის პირველი ცდები დაიწყო, მას თითქოს ბედმა გაუღიმა: მის განკარგულებაში აღმოჩნდა ორ



თარქუმუვას საბეჭდავი

ენაზე შედგენილი ტექსტი — ბილინგვა. ეს კი ყველა ფილოლოგის ოცნებაა.

1860 წ., კონსტანტინოპოლში მცხოვრებმა ვინმე იოფანოვმა, მონეტების კოლექციონერმა, სმირნაში შეიძინა პატარა ვერცხლის დისკო, რომელზეც გამოსახული იყო ადამიანის ფიგურა, გარშემორტყმული უცნობი ნიშნებითა და ლურსმული. ტექსტით.

სეისმა ყური მოჰკრა ამ დისკოზე ლაპარაკს (იგი მოკლედ აღწერა- დოქტორმა მორდტმანმა 1862 წ.) და მაშინვე აზრად მოუვიდა, რომ ეს უცნაური ნიშნები შეიძლება ხეთური იეროგლიფები ყოფილიყო. მან იგრძნო, რომ მკვლევრის ოცნება — გაშიფვრის პირველსავე სტადიაზე ეპოვა ბილინგვა — სრულდებოდა.

შეიძლება წარმოვიღვინოთ მისი წუხილი, როცა დიდი ძებნის შემდეგ მაინც ვერ იპოვა ეს დისკო. დანამდვილებით იცოდნენ, რომ იგი ინგლისში იყო; შემდეგ უკვე კვალი ქრებოდა. სეისმა მიმართა სპეციალისტებს, შეატყობინა მუზეუმების დირექტორებსა და საზოგადოებებს, დაგზავნა უამრავი წერილი და სთხოვა ყველას, ვინც კი იცოდა ამ დისკოს ამბავი, თუ რაიმეს გაიგებდნენ, ეცნობებინათ მისთვის.

იმდენს ეცადა, რომ ბოლოს მიიღო პასუხი: თურმე ბრიტანეთის მუზეუმის ერთ მოხელეს გაახსენდა, რომ 1860 წელს ამგვარი საბეჭდავი შესთავაზეს მუზეუმის დირექციას, მაგრამ რაკი ეგონათ, აქ რაღაც სიყალბეაო, უარი უთქვამთ შესყიდვაზე.

სეისი ხედავდა, რომ იმედები ისევ უცრუვდებოდა; მაგრამ მისმა ინფორმატორმა დასძინა: რამდენადაც შავონდება, ვიდრე საბეჭდავს პატრონს დაუბრუნებდნენ, გალვანოპლასტიკის



საშუალებით გააკეთეს მისი ასლი, რომელიც მუზეუმში უნდა ინახებოდესო.

რამდენიმე დღის შემდეგ სეისს უკვე ხელთ ჰქონდა ამ საბეჭდავის ასლი. თვალის ერთმა გადავლებამაც კი დაარწმუნა იგი, რომ მის წინ ბილინგვა იყო!

მაგრამ ამ ორენოვან წარწერას ერთი მეტად არსებითი ნაკლი ჰქონდა: ტექსტი მოკლე იყო, წარწერას ძალიან ცოტა ნიშანი ჰქონდა, არ ხერხდებოდა დასკვნის გამოტანა და გამორკვევა, იყო თუ არა თანხმობა იეროგლიფებსა და ლურსმულ ასოებს შორის.

ლურსმული ტექსტი შემდეგნაირად იკითხებოდა: „Tarrik-tim-me saz mat Er-me-e—თარაკითმე, ერმეს ქვეყნის მეფე“. ამ ფირფიტას მასინ „თარაკონდემოსის საბეჭდავი“ უწოდეს. ახლა კი მას „თარქუმუვას საბეჭდავი“ ეწოდება. სე-

ისი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იეროგლიფები



და



უნდა შეესაბამებოდეს იმ ლურსმულ ნიშნებს,

რომლებიც აღნიშნავს „მეფეს“ და „ქვეყანას“.




დღეს ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს იყო სიტყვების ნიშნების დადგენა და არა ბგერების ნიშნებისა. ყოველ შემთხვევაში, სეისმა პირველად და, როგორც დღეს უკვე ცხადია, სწორადაც გაშიფრა ხეთური იეროგლიფური დამწერლობის პირველი ნიშნები.


ამით ამოიწურა ყველაფერი, რაც შეეძლო მოეცა თარქუმუვას საბეჭდავის. ბევრს ეცადნენ ეპოვათ ახალი თანხმობა ლურსმულ ასოებსა და იეროგლიფებს შორის, მაგრამ ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა. მოგვიანებით კურტ ბიტელმა ბოლანქოში აღმოჩენილ საბეჭდავებზე მეტ წარმატებას მიაღწია, თუმცა როგორც ადრე, ახლაც უმთავრესი დაბრკოლება ტექსტის სიმოკლე იყო.

დაუღალავი სეისი განაგრძობდა სხვა ეპიგრაფიკული მასა-


ლების შესწავლას; იგი აწესრიგებდა ნიშნებს, აღარებდა ერთ-მანეთს იმ იმედით, რომ აღმოაჩენდა ურთიერთკავშირს მათ შორის.

გაშიფვრის პირველი ცდების დროს მან გახსნა შემდეგი

იეროგლიფები:  — მეფე,  — ქალაქი, 

— ქვეყანა,  — ღმერთი (ეს უკანასკნელი ნიშანი

მან ამოიცნო იაზილიკაიას ტაძარში, სადაც ღმერთების გამო-სახულებათა თანმხლები წარწერები ყოველთვის ამ ნიშნით

იწყებოდა). ასევე ამოიცნო მან დაბოლოებანი:  — 3

და  — II. განა საკვირველი არ არის, რომ იმა-

ვე წელს, როცა აღმოაჩინეს ხეტები, ამოცნობილი იქნა ამ ხალხის დამწერლობის ექვსი ნიშანი, რომლებიც უცნობ ენაზე იყო დაწერილი?

მართალია, შემდგომ სეისმა ხშირად დაუშვა შეცდომები გაშიფვრის დროს, რაც მის გადაჭარბებულ ფანტაზიას უნდა მიეწეროს, მაგრამ სწორედ ეს გახდა ბეძგის მიმცემი მომავალი თაობის ფილოლოგთათვის.

ოცმა წელმა განვლო ამ პირველი გაშიფვრიდან, ვიდრე მეორე ლინგვისტი, ასევე დიდად გატაცებული, გახსნიდა ხეტური იეროგლიფების ზოგიერთ საიდუმლოებას.

დადგა ის დრო, როცა ხეტების საკითხმა სხვა თვალსაზრისით მიდგომა მოითხოვა. აღმოაჩინებს ყოველთვის თან მოსდევს ხოლმე ე. წ. გააზრების პაუზა, რომლის დროსაც მკვლე-

ვარი სიმყუდროვეში განაზოგადებს და ალაგებს შეგროვილ მასალას.

როცა გასული საუკუნის დამლევს არტურ ევანსმა კუნძულ კრეტაზე მინოსის სასახლე გათხარა, პირველი გათხრებისთანავე აღმოაჩინა 2000 ცალი თიხის ფირფიტა. როგორც აღმომჩენმა, ევანსმა დაიტოვა ტექსტების გამოქვეყნების უფლება, რაც სავსებით სამართლიანი იყო. 1909 წელს გამოაქვეყნა კიდევ წარწერების ნაწილი შრომაში „Scripta Minoa, I“ („მინოური დამწერლობა, I“), სადაც გვპირდებოდა, რომ მალე დანარჩენსაც გამოაქვეყნებდა მეორე ტომში. მაგრამ სიკვდილმა ხელი შეუშალა ევანსს შეესრულებინა თავისი დაპირება. კრეტული ფირფიტები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპის უძველესი ისტორიისათვის (მაიკლ ვენტრისის მიერ მათი სენსაციური გაშიფვრის შემდეგ ამ ტექსტების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა), ყუთებში ეწყო კრეტული გლეხების ქონებსა და ათენის მუზეუმის სარდაფებში, ხოლო მეცნიერებს, რომლებიც ცდილობდნენ გაეშუქებინათ კრეტული დამწერლობის საიდუმლოება, წარმოდგენა არ ჰქონდათ ამ ორიგინალურ ეპიგრაფიკულ მასალაზე. ასე გრძელდებოდა ორმოცი წლის განმავლობაში იმ დღემდე, ვიდრე ევანსის მეგობარმა და მოწაფემ ჯონ მაირსმა 1952 წ. არ გამოაქვეყნა „Scripta Minoa“-ს მეორე ტომი.

სრულიად შემთხვევით, ამ ამბიდან რამდენიმე წლით ადრე ამერიკელმა ბლექენმა პილოსში იპოვა ახალი ფირფიტები, რომლებიც გამოქვეყნდა 1951 წელს, აღმოჩენიდან თორმეტი წლის შემდეგ. ამას მოჰყვა წარსულ წლებში აღმოჩენილი ტექსტების გამოქვეყნებაც. ამ ეპიგრაფიკული მასალის საშუალებით ორ წელიწადში გაშიფრულ იქნა კრეტული დამწერლობა, რასაც წლების განმავლობაში ამოღდ ცდილობდა ფილოლოგთა მთელი თაობა. ეს მაგალითი ნათლად მოწმობს, რაოდენ აბრკოლებს ტექსტების ნაკლებობა გაშიფვრის დაჩქარებას. მაგრამ არსებობს სხვა, წმინდა ტექნიკური დაბრკოლებანი. უმეტეს შემთხვევაში, ფილოლოგებს შესაძლებლობა არ აქვთ ნახონ დოკუმენტების ორიგინალები, რომლებიც გაფანტულია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში, ამიტომ იძულებული

არიან დაკმაყოფილდნენ რეპროდუქციებით. ძალიან ხშირად დოკუმენტების პირები შესრულებულია აღმოჩენის ადგილზე, ნაჩქარევად, კლიშეებსა და ნახაზებს აკლია სიმკვეთრე. ამ ნაკლებხარისხოვნად შესრულებული პირების შემდგომი მრავალგზისი რეპროდუქცია კიდევ უფრო ამორებს მათ დედნებს.

ამრიგად, თუ დაეაკვირდებით იმ გადმომხატავთა და გადმომწერთა შეცდომებს, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ქანდაკებებისა და წარწერების რეპროდუქციები, შევამჩნევთ, რომ ზოგი მათგანი უფრო ესთეტიკაზე ზრუნავდა, ვიდრე მეცნიერებაზე. (მაგალითად, მათ ნახატში შექმონდათ თავისებური გაგება). ამიტომ წარმოსადგენია, თუ რა აღტაცებას გამოიწვევდა არქეოლოგთა შორის ფოტოგრაფიის გამოგონება. მათ დაიწყეს მშრალი ფირფიტებისა და სწრაფი ფოტოგრაფირების გამოყენება, რადგან დაგეროტიპია არავითარ სარგებლობას არ მოუტანდათ უდაბნოებსა და ჭუნგლებში, სადაც ისინი მუშაობდნენ. მათ სწამდათ, რომ „ფოტოგრაფიის მიუღვამელი თვალი“ ობიექტურად ასახავდა ქანდაკებებისა და წარწერების რელიეფს.

აუცილებელი არ არის უთუოდ სპეციალისტი იყო, რათა მიხვდეთ, რომ საბეჭდავის ფოტოგრაფირება ატელიეს პირობებში სულ არ წარმოადგენს სიძნელეს. სულ სხვაა, როცა თოკზე ფოტოაპარატჩამოკიდებულმა არქეოლოგმა უნდა გადაიღოს კლდეზე მოთავსებული წარწერა ანდა ბარელიეფი; და სწორედ მაშინ, როცა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, შედარებით კარგი განათებაა, უცებ მზეს პატარა ღრუბელი გადაეფარება. ვინ იცის, რამდენი საათის განმავლობაში იყო ოგი ჩამოკიდებული, რათა შეერჩია გადაღების ის კუთხე, საიდანაც უკეთ გამოჩნდებოდა დროთა განმავლობაში გამოფიტული წარწერები?

ხშირად ხდებოდა, რომ გამოაქვეყნებდნენ რამდენიმე ფოტოსურათს, რომლებზეც კლდის ერთი და იგივე წარწერა სხვადასხვა მხრიდან და სხვადასხვაგვარი განათების დროს იყო გადაღებული; მათზე დაყრდნობით არქეოლოგები გააკეთებდნენ მნიშვნელოვან დასკვნებს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდებოდა მეშვიდე ან მერვე ფოტოსურათი, რომელზეც

ახალი ნიშნები იყო აღბეჭდილი და რომელიც არ ჩანდა წინათ გადაღებულ ფოტოსურათზე.

თემიდან ამ გადახვევის მიზანია განმარტოს, რაოდენ ძნელი და რთულია გამშიფვრელის მუშაობა და რაოდენ აუცილებელია დროდადრო გამოჩნდეს ისეთი ადამიანი, რომელიც შეაგროვებს გათხრების ერთი სექტორიდან მოპოვებულ მთელ მასალას, მოახდენს მათ კლასიფიკაციას და გადააღებს ფოტოსურათებს ისე, რომ პირები ორიგინალს ეთანხმებოდეს.


აი, სწორედ ამ საქმეს მოჰკიდა ხელი 900-იან წლებში გერმანელმა ლეოპოლდ მესერშმიდტმა (1870—1911 წწ.). მისი „ხეთურ წარწერათა კორპუსი“, შევსებული 1902 და 1906 წლებში, შეიცავს ამ დროისათვის ცნობილ მთელ იეროგლიფურ მასალას.

გამოკვლევა დაიწყო „ჰამათის ქვების“ ოთხი წარწერიდან. ლ. მესერშმიდტის „ხეთურ წარწერათა კორპუსში“ მოცემულია დაახლოებით ასი ტექსტი: აქ არის მონუმენტური, ნაკლებმნიშვნელოვანი, მოკლე, ვრცელი, მთლიანი ან ფრაგმენტული წარწერები, რომელთაგან ზოგი ამოკრილია თიხის ფირფიტებზე, ზოგი ქვის ბლოკებზე ან კლდის ჩამონათაღზე.



ამ ალბომის გამოქვეყნებამ ცხადყო, რომ მასალა, რომელიც ხეთოლოგთა განკარგულებაში იყო, ბევრად მეტია იმაზე, რაც მკვლევრებმა გამოიყენეს სხვა ძველი ენების გასაშიფრავად. ამიტომ თეორიულად შესაძლებელი გახდა გაედრმავებინათ ის ცოდნა, რაც უკვე გააჩნდათ ხეთების ცივილიზაციის შესახებ.




რამდენიმე წლით ადრე გაშიფვრის პრობლემის გადაჭრა განიზრახა აგრეთვე ერთმა არქეოლოგმა, რომლის შრომაც თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში პროგრესისა და, ამავე დროს, შეცდომების წყარო იყო ფილოლოგთათვის. მისი პირველი სტატია გამოქვეყნდა 1894 წ., ოთხი წლის შემდეგ კი იგი უკვე წიგნის სახით გამოვიდა სათაურით: „ხეთები და სომხები“. ოცდახუთი წლის შემდეგ, ისეთმა სპეციალისტმა, როგორიც ფრიდრიხია, თქვა: „ეს წიგნი გონებას მძიმე ამოცანას უყენებს; ადვილი როდია სწორად გაიგო მასში მოყვანილი ყველა მოსაზრება.“


მეცნიერი, რომელმაც მეტად ზონებამახვილური დებულებანი წამოაყენა, იყო ასირიოლოგი პეტერ იენსენი (1861—1936 წწ.); მიუხედავად იმისა, რომ შრომა სავსეა შეცდომებით, იგი ბევრ დიდმნიშვნელოვან აღმოჩენასაც შეიცავს. ამიტომაც მისი მომდევნო ყველა ფილოლოგი იტყულებული იყო თავიანთი შრომები პ. იენსენის კრიტიკით დაეწყათ. პ. იენსენის ზოგიერთი შეცდომა იმდენად დამარწმუნებლადაა მოცემული, რომ საჭირო გახდა რამდენიმე ათეული წელი, რათა შეემჩნიათ და გაესწორებინათ ისინი. ცხადია, აქ შეუძლებელია პ. იენსენის ყველა მოსაზრების მოყვანა. მისი ფილოლოგიური ერუდიცია გასათვარი იყო. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს — შეცდომებსაც და აღმოჩენებსაც.


• იენსენის მიხედვით იეროგლიფი  — ნიშნავს „მე

ვარ“; ამით მან შეასწორა სეისის განმარტება, რომლის მიხედვითაც იგი ნიშნავდა: „მე ვლაპარაკობ“. მაგრამ სეისის შემდგომი „შესწორებისას“ იგი ცდება, როცა ურევს ამ იდეო-

გრამებს:  — „მეფე“,  — „ქალაქი“

და   — „ქვეყანა“; იენსენისათვის 

და  ერთი და იგივე მნიშვნელობისაა: „მეფე“, ხოლო

 უღრის „ორმაგ მეფეს“ ანუ „დიდ მეფეს“. შემ-

დღე მან სწორად გაშიფრა იდეოგრამების ერთი ჯგუფი, რომელიც აღნიშნავდა ქალაქ ქარხემიშის სახელს:



ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომი კვლევისათვის. ბოლოს იგი სხვადასხვა, ყალბ თუ მართალ, ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით ასკვნის: ენა, რომელიც აღნიშნება ხეთური იეროგლიფებით, ენათესავება სომხურსო.

ეს დასკვნა მცდარია მრავალი მოსაზრების გამო. მათგან ყველაზე აშკარაა ის, რომელსაც ფრიდრიხი პირველობას აძლევს: „1000—1200 წელი აშორებს პერიოდს, როცა ხმარობდნენ ხეთურ იეროგლიფურ დამწერლობას, იმ პერიოდისაგან, როცა დაიბადა სომხური ანბანი (400 წ. ახ. წ.).“

იენსენი კი, არამც თუ არ აღიარებდა თავის შეცდომებს, არამედ მედგრად და იშვიათი სიჯიუტით იცავდა მათ. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ დათანხმდა იგი გადაესინჯათ ზოგიერთი მისი თეორია. სწორედ აქ მოხდა ტრაგიკომიკური რამ: მან ყალბად გამოაცხადა ერთი თავისი ადრინდელი სწორი აღმოჩენა — იდეოგრამები, რომლებიც „ქარხემიშს“ აღნიშნავდა!

რაც არ უნდა ითქვას, იენსენის შრომებმა მაინც ხელი შეუწყო ხეთების შესახებ არსებული ცოდნის გაფართოებას. დიდი ხნის განმავლობაში მის მომდევნო ფილოლოგებს სასურველი შედეგისათვის აღარ მიუღწევიათ.

იმ მკითხველთა საყურადღებოდ, რომელთაც გაშიფრის პრობლემა აინტერესებთ, დავასახელებთ ფილოლოგებს, რომელნიც იენსენის მუშაობის პერიოდშივე, ოციანი წლების ბოლომდე, ცდილობდნენ გამოეცნოთ ხეთურ იეროგლიფთა საიდუმლოება. ესენი არიან (მათი შრომების გამოცემების ქრონოლოგიის მიხედვით): ვ. დ. ბალი, დ. მენანტი, დ. კემპბელი, ფ. ე. პაიზერი, დ. ჰალევი, ე. რ. კონდერი, ლ. მესერშმიდტი, ფრიც ჰომელი, ა. გლეიე, რ. რუტი, რ. კ. თომპსონი, ა. ე. კოლეი, გ. არტო და კარლ ფრანკი.

მარტოოდენ ის ფაქტი, რომ, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ისინი ვერ თანხმდებოდნენ ვერც ერთ ინტერპრეტაციაში. იმას ამტკიცებს, რომ საკითხის გადაჭრას ჯერ კიდევ დიდ დრო სჭირდებოდა. ზოგჯერ მათი ჰიპოთეზები, რომლებიც მცდარ დასკვნებზე იყო დაყრდნობილი, ღირებულებას უკარგავდა მათ შრომებს. ასე დაემართა ფ. ე. პაიზერს, რომელმაც ანგარიში არ გაუწია სტრიქონთა მიმართულებას და უბრალოდ ახსნა ქარხემიშის ერთი წარწერა.

აი სპეციალისტების საწინააღმდეგო შეხედულებათა მაგალითი: დ. პალევი ხეთებს სემიტურ ხალხად თვლიდა; არაპროფესიონალი, თვითნასწავლი ა. გლეიე ცდილობდა ხეთურ იეროგლიფთა ეტიმოლოგია უნგრო-ფინური ენების საშუალებით აეხსნა; ა. ე. კოლეი, პირიქით, ფიქრობდა, რომ ეს ენა კავკასიურ ენათაგან იყო წარმოშობილი.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ოციანი წლების ბოლოსათვის შეძლეს სწორად გაეშიფრათ რამდენიმე სახელწოდება (თიანა, ჰამათი, გურგუმი), რითაც საშუალება მიეცათ ახალი იდეოგრამების ამოსაცნობად. ის კამათი, რომელმაც 1923-24 წლებში კარლ ფრანკი და იენსენი ერთმანეთს დაუპირისპირა, იმაზე მიუთითებს, თუ როგორი ფანატიზმით იყვნენ შეპყრობილი მეცნიერები. დეტალებს, რომლებსაც არაპროფესიონალები მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, მეცნიერები გაშმაგებით იცავდნენ.

ფრანკმა გამოაქვეყნა გაშიფვრის ახალი მეთოდი სათაურით: „ეგრეთ წოდებული ხეთური იეროგლიფური წარწერები“. ამ შრომას გამოეხმაურა იენსენი კრიტიკული სტატიით ჟურნალში „ასირიოლოგია“. მაშინვე დაიწყო მწვავე თავდასხმანიც.

აღშფოთებული იენსენი ამტკიცებდა, გაშიფვრის იმ მეთოდით, რომელიც ფრანკმა ახლად გამოაცხადა, მე ამ ოცდაათი წლის წინ ვსარგებლობდიო. შემდეგ მან, გულმოსულმა, სასტიკად გააკრიტიკა ფრანკის არგუმენტაციები, ძირფესვიანად განადგურა მისი თხზულება და დასკვნის მაგიერ დასძინა: „... სირცხვილის გრძნობით ვდებ კალამს!“ ფრანკმა, ცხადია, მიიღო გამოწვევა და გასცა პასუხი თავის შრომაში: „ხეთური იეროგლიფური წარწერების გამოკვლევანი“. იგი წერს: „მე-



ზიზღება, რომ ყურადღებას ვაქცევ მთელ ამ აბდაუბდას; ნაშრომი შორს არის წარწერათა შინაარსის ღრმა, ნამდვილი გაგებისაგან. არსად არ ჩანს გენიალობის რაიმე გამოვლენა“. ეს უკანასკნელი ფრაზა ხაზგასმით იყო მოყვანილი. სინამდვილეში



ინდილიმას საბეჭდავი

ფრანკი და იენსენი მართალნიც იყვნენ და მცდარნიც. მართალი იყვნენ მაშინ, როცა ამტკიცებდნენ, რომ მეორემ მნიშვნელოვანი შეცდომები დაუშვა; მცდარი იმაში, ვითომც თვითონ არ დაუშვიათ არავითარი შეცდომა.

იმათ, ვისაც ამგვარი პოლემიკა ფუჰად ეჩვენება, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ, თვით წმინდა აზრობრივი ამოცანის გადაჭრაში, თუ მას მეცნიერის მთელი სიცოცხლე ეწირება, არ შეიძლება მონაწილეობა არ მიიღოს აგრეთვე გულმა და ტემპერამენტმა.

ამ დაუვიწყარი პოლემიკის შემდეგ ფილოლოგებს აღარ სურდათ აშკარად განეგრძოთ ამ ძალზე მწვავე საკითხის — ხეთური იეროგლიფების პრობლემის — შესწავლა და რამდენიმე წლის განმავლობაში უკვე აღარავის გამოუქვეყნებია თავისი დასკვნები. მხოლოდ 1928 წ. ახალგაზრდა იტალიელმა ლინგვისტმა მერიჯიმ წამოაყენა ახალი თვალსაზრისები და ამის შემდეგ 1930 წლიდან მოყოლებული ახალი თაობის მეცნიერთა ჯგუფმა გადაწყვიტა ერთხელ კიდევ ყველაფერი გულმოდგინედ შეესწავლა. ამ ჯგუფში შედიოდნენ ერთი ამერიკელი, ერთი შვეიცარიელი და ერთი გერმანელი: იგნატ გელბი, ემილ ფორერი და ჰელმუთ ბოსერტი.

მათმა ინიციატივამ მაშინვე მიიქცია ყურადღება. პირველად გაშიფვრის ისტორიაში მიღწეულ იქნა თანხმობა რამდენიმე ინტერპრეტაციის შესახებ. თვით ხეთოლოგიის პიონერმაც კი —

ფრიდრიხ ჰროზნიმ დაარღვია დიდი ხნის სიჩუმე და მიემხრო ახალგაზრდა ფილოლოგებს. ყველაფერ ამას დაემატა ერთი შემთხვევა, რომელმაც შესაძლებელი გახადა შემოწმებულიყო ის, რასაც ფილოლოგები მხოლოდ ვარაუდით ხვდებოდნენ.

1934 წელს გერმანელმა არქეოლოგმა კურტ ბიტელმა, რომელიც გათხრებს აწარმოებდა ბოლახ-ქოიში, ძველ ქალაქ ხათუსაში, სადაც ადრე ვინკლერმა განსაკუთრებული ღირებულების მქონე ეპიგრაფიკული მასალა აღმოაჩინა, იპოვა დაახლოებით 300 თიხის საბეჭდავი, მათ შორის 200 ორენოვანი.


მცდარ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული უსიამოვნების შემდეგ არქეოლოგებმა თავი დაანებეს საბეჭდავების შესწავლას; ახლა კი ახალი ენერგიით შეუდგნენ მათზე მუშაობას. 1936 წელს ბიტელმა და გიუტერბოკმა ამოიკითხეს ხეთების მეფის პირველი სახელი — „მეფე სუფილულიუმა“ (ძვ. წ. 1375—1335 წწ.). ამ ინტერპრეტაციამ დიდი მეცნიერული კამათი გამოიწვია. მისი მეოხებით გაარკვიეს სხვა იეროგლიფური წარწერის შინაარსიც.

ბოლახ-ქოიში, ერთ კლდეზე (ადგილობრივი მცხოვრებნი მას ნიშან-თაშს უწოდებენ), არსებობდა უკვე დიდი ხნის წინ ცნობილი გრძელი ტექსტი; რომელიც შედგენილი იყო იეროგლიფური ასოებით. სამწუხაროდ, წარწერა ძლიერ იყო დაზიანებული. ჯერ კიდევ ადრე ფიქრობდნენ, რომ ეს წარწერა უნდა ყოფილიყო სუფილულიუმას მეფობისდროინდელი. ახლა ეს შეიძლებოდა დაემტკიცებინათ. მართლაც, კლდეზე ამოკვეთილ

ამ მეფის სახელს გარს შემოვლებული ჰქონდა ე. წ. ედიკულა, რომელიც შეეფარებოდა კარტუსს (ასეთ კარტუსებში ჩასმული იყო ეგვიპტელ მეფეთა სახელები). იქვე იყო სხვა ედიკულებიც, მაშასადამე, სხვა მეფეთა სახელებიც. აქედან დასკვნენ, რომ წარწერაში ჩამოთვლილი იყო რამდენიმე თაობა, თანაც მესამე თაობამდე აღმოსავლეთის მეფეებს ჩვეულებად ჰქონდათ საკუთარ სახელ-



თაბარნას საბეჭდავი



ელიკულა — სამეფო ნიშანი — მოთავსებული იყო მეფის თავზე. აქ  
ნაჩვენებია თუთხალის ნიშანი.

თან ერთად ჩამოეთვალათ თავიანთი წინაპრების სახე-  
ლებიც.

მაგრამ არქეოლოგთა ყურადღება განსაკუთრებით ერთმა  
დეტალმა მიიპყრო. იდეოგრამები, რომლებიც აღნიშნავდა „მა-  
მას“ და „მამის პაპას“, ერთი და იგივე იყო, ხოლო ის იდეოგრა-  
მა, რომელიც მისი პაპის სახელს აღნიშნავდა — სხვანაირი.  
ხომ არ შეიძლებოდა აქედან დაგვესკვნა, რომ სუფილულიუმას  
ორ წინაპარს ერთი და იგივე სახელი ერქვა; ხოლო ამ ორის  
მეფობის შუა სხვა სახელის მქონე პიროვნება განაგებდა?

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა სწორი გამოდგა, რადგან აქ  
მოხსენებული სახელები უკვე ცნობილი იყო. ბოლაზ-ქოიში აღ-

მოჩენილ, ადრევე გაშიფრულ ფირფიტებზე არა ერთხელ იყო მოხსენებული ხეთების მეფეები. სუფილულიუმას მამას ერქვა თუთხალია (III), მის მამის პაპასაც — თუთხალია (II), ხოლო პაპას — ხათუსილი. ეს სახელები სავსებით ეთანხმებოდა ნიშან-თაშუი აღმოჩენილი წარწერის იდეოგრაფებს. სხვა საბეჭდავების გაშიფვრამ აგრეთვე დაამტკიცა ეს ინტერპრეტაცია. ახლა ცნობილი იყო ხეთების ოთხი მეფის სახელი იეროგლიფური ფორმით: სუფილულიუმა, თუთხალია, ხათუსილი და ურხითეშუფი! დამტკიცდა, რომ ეს სახელები ეთანხმებოდა იმ იდეოგრაფებს, რომლებიც ადრე გაშიფრეს ორენოვანი ტექსტების დაუხმარებლად ინგლისელმა, ამერიკელმა, იტალიელმა და გერმანელმა ფილოლოგებმა. ეს იყო ორმოცდაათი წლის დაძა-ღული მუშაობის ტრიუმფი!

მაგრამ აქვე მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ მიღწეული წარმატება გაცილებით ნაკლები მნიშვნელობისა აღმოჩნდა, ვიდრე ეს ეგონათ მეფეთა ახალი საბეჭდავების გაშიფვრისას.

საქმე ისაა, რომ ტექსტები ძალიან მოკლე, ძნელად წასაკითხი, ხოლო ზოგი მეტად ფრაგმენტული იყო იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო დასკვნების ადვილად გამოტანა. ანკარის უნივერსიტეტის გერმანელმა პროფესორმა გიუტერბოკმა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საბეჭდავების გაშიფვრაში, განსაკუთრებით პესიმისტური პოზიცია დაიკირა გაშიფვრის შემდგომი განვითარებისადმი. აქვე უნდა გავიხსენოთ სეისი, რომელიც თავის დროზე წერდა: „მე აღარავითარი იმედი არა მაქვს წარმატებისა გაშიფვრის საქმეში, თუ შემთხვევამ ხელში არ ჩაგვიგდო საკმაოდ ვრცელი, ორ ენაზე შედგენილი წარწერები!“

ეს იმედი, უკანასკნელი ხსნა, რომელსაც მეცნიერები ჩიხიდან უნდა გამოეყვანა, განხორციელდა! დიდი ორენოვანი ტექსტი, სამოცდაათი წლის განმავლობაში არქეოლოგებისა და ფილოლოგების ოცნების საგანი, აღმოჩენილი იქნა 1946 წ. იგი იპოვა პროფესორმა ჰელმუთ ბოსერტმა, რომელმაც წინააღმდეგ გიუტერბოკისა, 1942 წელს განაცხადა, ერთ მშვენიერ დღეს ხეთური იეროგლიფური დამწერლობა გაშიფრული იქნება ბილინგვის გარეშეცო.

ეს ასე დაიწყო: ერთ დღეს, 1933 წლის შემოდგომაზე, ანკარაში, თურქეთის განათლების მინისტრის მიერ მოწყობილ მიღებაზე, ერთი სტუმრის შეკითხვას: „იკისრებთ თუ არა დაიკავოთ სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობა?“—ბოსერტმა ბევრი ფიქრის გარეშე უპასუხა: „რასაკვირველია. რატომაც არა?“

მაგრამ ამაზე ქვევით...



### III. ქალაქუღლების საიდუმლოება

#### ხათუსას მუშაები

1834 წ. ტექსიე იღვა ბოლაზ-ქოიში, ძველი ხათუსას ნანგრევების წინ (ამ თავში, რომელიც დათმობილი აქვს ხეთების ისტორიას, ჩვენ ვიხმართ ამ ისტორიულ სახელს). 1907 წლიდან მოყოლებული ვინკლერი ამტკიცებდა, რომ ხათუსა იყო ხეთების იმპერიის დედაქალაქი. ამ ქალაქის ნანგრევებიდან იღებს თავის საწყისს ხეთების შესწავლის საქმე XIX ს-ში. თიხის ფირფიტების გაშიფვრამ დაამტკიცა, რომ ძველი წელთაღრიცხვის 1900 წელს ხათუსა იყო ხეთების ძლიერების აკვანი.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ხეთების სამეფოს ისტორიის აღწერას ხათუსათი ვიწყებთ.

ეს ისტორია იწყება წყევლით: „ხათუსა... ღამით იერიშით ავიღე და მის ადგილას სარეველა ბალახი დავთესე. ვინც ჩემს შემდეგ მეფედ გახდება და ხათუსას კვლავ დაასახლებს, დე, იგი ქარიშხლის ღმერთმა ცისა გაანადგუროს!“ ეს ტექსტი ამოჭრილი იყო ქვის სვეტზეც ქუსარის მეფის ანითას განკარგულებით, რომელმაც დაამარცხა ხათუსას მეფე და გაანადგურა იგი. მაგრამ მის მუქარას უურადლება არ მიაქციეს და დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 1800 წ. ნაცრიდან აღსდგა უფრო ღამაზი და დიდი ქალაქი ხათუსა.

ხალხთა იმდროინდელ მოძრაობაზე, რასაც ადგილი ჰქონდა მცირე აზიაში, სირიასა და მესოპოტამიაში, მცირე ცნობები არსებობს. სარგონის იმპერია, დაარსებული ძველი წელთაღ-



ბანი; მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩანდა ისეთი ძალა, რომელსაც პოლიტიკური ზეგავლენა ექნებოდა.

ხეთების მოსვლისთანავე მდგომარეობა შეიცვალა. მაგრამ საიდან მოვიდნენ ისინი? ჩრდილო-აღმოსავლეთიდან? ჩრდილო-დასავლეთიდან? ეს ჩვენ ჯერ არ ვიცით, ისევე, როგორც არ ვიცით მათი ნამდვილი სახელი. მაგრამ ერთი კი ჭეშმარიტებაა — ისინი ინდოევროპელები იყვნენ! ეჭვგარეშეა, ისინი სულ რამდენიმე ათასი იქნებოდნენ. თანაც უფრო განვითარებულ და უფრო ენერგიული, ვიდრე ადგილობრივი პროტეხეთები. აქ დამკვიდრებისთანავე ხეთებმა იშვიათი სიბრძნე გამოიჩინეს; მათ კი არ დაიმონეს, არამედ მოკავშირედ გაიხადეს ადგილობრივი ხალხი.

გასაოცარია, რომ ხეთების პირველი მეფეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფაქტს — თავიანთი წარმომავლობა ქუსარის მეფეებთან დაეკავშირებინათ. ხეთების პირველ მეფეებზე ჩვენ დღესაც არაფერი გვეცოდინებოდა, ანითას მიერ ხათუსას დანგრევიდან დაახლოებით საუკუნე-ნახევრის შემდეგ მეფე თელეფინუსს რომ თავისი ერთ-ერთი დადგენილებისათვის არ წარემძღვარებინა ისტორიული შესავალი, რომლითაც ზურგს უმაგრებდა თავის რეფორმებს. თელეფინუ ასახელებს სამ მბრძანებელს, რომელთაც დააარსეს ხეთების სამეფო: ლაბარნა, ხათუსილი და მურსილი I. შემდგომ ლაბარნა გადაიქცა „მეფის“ სინონიმად. ეს იყო დიდებულებისა და ძლიერების სიმბოლო, ისევე, როგორც „ცეზარი“ ნიშნავდა რომაელთა იმპერატორებს (აქედან წარმოიშვა შემდეგ „კაიზერი“ და „ცარი“).

თუთხალია I და ფუ-სარუმა, ლაბარნას წინაპრები (მათი მეფობის თარიღები უცნობია), წინაისტორიულ ბურუსში იკარგებიან. თუ ის რამდენიმე ცნობა, რაც ხელთა გვაქვს, სწორია, მაშინ გამოდის, რომ ხეთების იმპერიის ნამდვილი დამაარსებელი ლაბარნა ყოფილა.

„ქვეყანა კი პატარა იყო. მაგრამ რომელ ლაშქრობაშიც იგი წავიდოდა, მტრის ქვეყანას ძალით იმორჩილებდა...“ ლაბარნამ შეაერთა ქალაქი-სახელმწიფოები და პატარა სამეფოები ერთიან პოლიტიკურ ერთეულად, გაათავსოვა სამეფოს საზღვრე-



ბი დასავლეთისაკენ და მიადწია ხეთების გავლენის განვრცობას სამხრეთითა და ჩრდილოეთით, შესაძლოა, თვით შავ და ხმელთაშუა ზღვების ნაპირებამდეც.

ჩანს, ლაბარნამ პირველმა შეძლო გაემაგრებინა თავისი სამეფო. იგი შეეცადა მოეწესრიგებინა მემკვიდრეობის საკითხიც, ყოველ შემთხვევაში, მეფეს ახლა უფლება ჰქონდა დაენიშნა მემკვიდრე.

ლაბარნამ თავის ვაჟს, ხათუსილი I-ს (1650—1620 წწ. ძვ. წ.) დაუტოვა მყარი საფუძველი, რაც მას საშუალებას აძლევდა ახალ-ახალი გამარჯვებები მოეპოვებინა. ხათუსილი I შეიქრა ჩრდილოეთ სირიის სასაზღვრო რაიონში, შემდეგ გაილაშქრა ალექოზე სამხრეთის მიმართულებით, რათა იქ შეექმნა ბუფერული სახელმწიფო. მაგრამ ნამდვილი მტრები მას ხათუსაში, თავისი არმიის ზურგში ჰყავდა. ალექოდან დაბრუნების შემდეგ ავადმყოფმა ხათუსილიმ შეადგინა დოკუმენტი, თავისებური პოლიტიკური ანდერძი. იგი ისეთი ნაწარმოებია, რომლის ბადალი იშვიათად თუ მოიპოვება ადრინდელ ლიტერატურაში. მასში ხათუსილი მწერლადაც გვევლინება:

„დიდმა მეფემ თაბარნამ მთელ ლაშქარსა და დიდებულებს უთხრა: და აი, მე ავად გავხდი. მე თქვენ დაგისახელეთ ახალგაზრდა ლაბარნა: დე, ის დაჯდეს (ტახტზე)! და მე, მეფემ, იგი ჩემს შვილად გამოვაცხადე, მოვეხვიე მას და განვადიდე. ის კი უღირსი აღმოჩნდა. ცრემლიც არ დაღვარა, არც შემიბრალა. იგი ცივია და უგულო!


მე, მეფემ, შევიპყარ იგი და ჩემს სარეცელთან მოვაყვანინე. მაგრამ რა? დე, მომავალში არავინ განადიდოს თავისი დის ვაჟიშვილი! მეფის სიტყვა არ შეისმინა, დედამისის — გველის სიტყვა კი შეისმინა. ძმებიცა და დებიც მუდამ ეამს მტრულ სიტყვებს ყურში აწვეთებდნენ, სწორედ მათ სიტყვებს ისმენდა. მე, მეფემ, ყოველივე ამას, ყური მოვკარი...

კმარა! ის აღარ არის ჩემი შვილი! მაგრამ დედამისმა ძროხისებრ დაიბღავლა: „მე, ცოცხალს, ძლიერ ძროხას, მუცელი გამომგლიჯეს. იგი დაღუპესო, შენ მას მოკლავო!“ მაგრამ განა მე, მეფემ, მას რაიმე ზიანი მივაყენე? და განა იგი ქურუმად არ ვქმენ?.. ის კი მეფის სურვილს არ მოეპყრო თანაგრძობით...“

ამ უმადურის მაგივრად ხათუსილიმ სიკვდილის წინ მემკვიდრედ აირჩია თავისი შვილიშვილი მურსილი; დასაჯა თავისი ქალი და ვაჟი, შეუმცირა შემოსავალი და საცხოვრებლად დაუნინშნა გარკვეული ადგილი. შემდეგ მას მოჰყავს თავისი შეხედულებანი, რომელთა მიხედვით უნდა წარმოებდეს პრინციპის აღზრდა. იგი თავის მემკვიდრეს აძლევს რჩევა-დარიგებებს, რომლებიც უფრო ბრძანებას წააგავს: სასახლეში უბრალოდ უნდა ცხოვრობდეს, პურითა და წყლით საზრდოობდეს და, ვიდრე არ მოხუცდება, არ უნდა დალიოს ღვინო; მაშინ კი, — დაასკვნის იგი, — „სვი, რამდენიც გინდა!“

ეს უცნაური ანდერძი, რომელიც ამავე დროს ბრალდებასაც შეიცავს, შედგენილია დაახლოებით 1620 წ. ძვ. წ. იგი არქეოლოგებისათვის ერთგვარ გამოცანას წარმოადგენდა. მასში გვაოცებს ენის სილამაზე და სისადავე, ტექსტში დიალოგის მოხერხებულად ჩართვა, დარიგებისა და ჩივილის შესანიშნავად შერწყმა. ხათუსილის ანდერძი მოწმობს, რომ ხეთების სამეფომ განიცადა ლიტერატურის აყვავების პერიოდი, თუმცა ამის შესახებ დღემდე არავითარი საბუთი არ არსებობს. არქეოლოგ მარგარიტა რიმშნაიდერს, რომელმაც თავისი ახლახან დაწერილი შრომა ხეთების ცივილიზაციას უძღვნა, მიაჩნია, რომ ხათუსილის ანდერძი წარმოადგენს პოლიტიკურ დოკუმენტს. ამით აიხსნება ის, რომ იგი შედგენილია დიდი პოლიტიკური მოსაზრებით. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ უკანასკნელი პარაგრაფის მეტად პერსონალურ ტონს, ეს ახსნა სრულებით არ იქნება დამაჯერებელი. მარგარიტა რიმშნაიდერის ამ დებულების ღირსება ის არის, რომ იგი განმარტავს მის წარმოშობას, მაგრამ არ ხსნის არც სტილის სიმშვენიერეს, არც დოკუმენტის ფორმას.

ხათუსილის უკანასკნელი საქმე იყო თავისი შვილიშვილის — მურსილი I-ის მემკვიდრედ დანიშვნა ლაბარნას მაგივრად, რომელიც მისმა ნათესავებმა შეაცდინეს ცუდი რჩევით. მურსილიმ (1620—1590 წწ. ძვ. წ.) ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებულ ქალაქ-სახელმწიფოთა ფედერაციისაგან შექმნა პირველი ხეთური იმპერია, რომელიც მისი მეფობის დროს აღმოსავლეთის მესამე ძლიერ სახელმწიფოდ გადაიქცა ეგვიპტისა და ბაბილონის შემდეგ.



ხათუსას ციტადელის ზოგადი გეგმა

ამიერიდან ხეტების ქვეყანა საშიშროებას წარმოადგენდა; ალექსანდრის შემდეგ, რასაც ამაოდ ცდილობდა ხათუსილი, მურსილი გაემართა ბაბილონისაკენ და დაიპყრო იგი. ეს ტრიუმფალური ლაშქრობა თუმცა გამირული იყო, მაგრამ უნიადაგო, ისევე, როგორც ალექსანდრეს ლაშქრობა ინდოეთში, როგორც გერმანიის მეფეთა ლაშქრობა იტალიასა და პალესტინაში, ანდა შვეციის მეფე კარლოს XII-ისა და ნაპოლეონის ცდები დაეპყროთ რუსეთი. ცხადია, მურსილს არ შეეძლო შეენარჩუნებინა ბაბილონი, რომელიც 2000 კილომეტრით იყო დაშორებული ხათუსასაგან. მით უმეტეს, შეუძლებელი იყო მისი შეერთება ხეტების იმპერიისათვის.

1590 წ. ძვ. წ., ლაშქრობიდან დაბრუნების ცოტა ხნის შემდეგ, მურსილი მოკლა მისმა ცოლის ძმამ ხანთილიმ. ბაბილონის დანგრევა ხეტების ისტორიაში კარგად არის ცნობილი. იგი

ეთანხმება აგრეთვე მესოპოტამიის ანალებს, სადაც აღნიშნულია ბაბილონის პირველი დინასტიის დაცემა.

ისეთი სახელების მიღმა, როგორიცაა: ხანთილი, ციდანთა, ამუნა, ხუცია, იფარება სასახლის ინტრიგები, მკვლელობანი და ბრძოლები ძალაუფლების მოპოვებისათვის მეფესა, დიდებულებსა და ქურუმებს შორის. სამი ათასი წლით ადრე, ვიდრე სტრატეგორდში (ავონის ნაპირას) დიდი შექსპირი დაიბადებოდა, ხათუსაში ისეთივე მძიმე ტრაგედიები ხდებოდა, როგორც ჰამლეტის, მაკბეტისა და რიჩარდ III-ის დროს. ტახტის პრეტენდენტები არ ინდობდნენ არც მამასა და არც ძმას, ოღონდ კი გამეფებულიყვნენ. პოლიტიკას კარნახობდნენ პატივმოყვარე ქვრივები, რეგენტები, მემკვიდრეთა აღმზრდელები და ძალაუფლების მოპოვებას დახარბებულნი. მხოლოდ კანონიერი მეფობის იდეას შეეძლო მოელო ბოლო ამ ქაოსისათვის. ამ იდეის გამოხატულება იყო კანონი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ!

მეფე, რომელსაც საამისო სიბრძნე და ენერგია აღმოაჩნდა, იყო თელეფინუ. ის, რაც მან შექმნა, იყო, ასე ვთქვათ, კონსტიტუციური მონარქია, რომელიც უზრუნველყოფდა ტახტის მემკვიდრეობას მამის ხაზით, ხოლო „პანკუსი“ ინარჩუნებდა იურისდიქციის უფლებას: „პანკუსს“ შეეძლო გაეფრთხილებინა მეფე, თუ მას დაბრალდებოდა ნათესავის მკვლელობა და შეეძლო სიკვდილით დაესაჯა იგი, თუ ეს დამტკიცდებოდა.

წარმოდგენელია ამაზე ბრძნული კონსტიტუცია იმ არეულობის შემდეგ, რაც არსებობდა თელეფინუს მეფობის წინ. ამიერიდან მეფე ფლობდა მტკიცე ძალაუფლებას, რაც მას მისცა მემკვიდრეობის ახალმა კანონმა — დინასტიის მომავალი უზრუნველყოფილი იყო; „პანკუსს“ შეეძლო ჩარეულიყო მხოლოდ აშკარა ბოროტმოქმედების შემთხვევაში. ახლა, როცა სამეფო ხელისუფლება მემკვიდრეობითი გახდა, პოლიტიკურ მკვლელობებს აზრი აღარ ჰქონდა. მეორე მხრივ, ხეთების მეფეები არ იყვნენ არც გაღმერთებულნი, არც ღმერთების წარმომადგენლნი, როგორც ძველი აღმოსავლეთის სხვა მონარქები. მეფის ხელისუფლების ერთადერთი შემზღვეველი საკანონმდებლო ორგანო იყო „პანკუსი“. კონსტიტუციური მონარქიის ეს ფორმა გაცილებით უფრო გვიან იქნა შემოღებული

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. იურისტებათათვის, რომლებიც სპეციალურად სწავლობენ სახელმწიფო სამართალს, საინტერესო იქნებოდა ამ კანონების უფრო დაწვრილებით შესწავლა.

ზემონათქვამიდან ცხადი ხდება, რომ ნამდვილად შესაძლებელია ხეთების პირველი კანონები სწორედ ამ ეპოქიდან მოდიოდეს. ისიც შესაძლოა, რომ თელეფინუ ყოფილიყო ამის ინიციატორი. ეტყობა, ისინი შეუდგენიათ უკვე არსებული ასურულ-ბაბილონური კანონების გავლენით, რომლებიც ამოკითხული იქნა მათ ფირფიტებზე. მაგრამ ხეთების კანონები განსხვავდება აღმოსავლეთის იურიდიული ტექსტებისაგან თავისი ლმობიერებით სასჯელების არჩევაში. ამის შეგნება იმდენად ახალია, რომ ჩვენს აღტაცებას იწვევს.

სამწუხაროდ, ნაკლები ცნობები მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებდნენ თელეფინუს კანონებს ცხოვრებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა თეორიებია წამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

პირველ ხანებში ძველი მსოფლიოს მკვლევრებმა თელეფინუს მეფობა მიაწერეს დაახლოებით 1620—1600 წლებს ძვ. წ.; ოცდაათი წლის წინათ კი შვეიცარიელმა ე. ფორერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი უფრო ადრე მეფობდა — 1775 წ. იმ დროისათვის ვარაუდობდნენ, რომ თელეფინუს შემდეგ ორა საუკუნის განმავლობაში ხეთების ისტორიული დოკუმენტები არავითარ ცნობას აღარ იძლეოდნენ. შემდეგ პირველ თარიღად ასახელებენ 1430 წ. ძვ. წ., გამოდის, თითქოს ორი საუკუნის განმავლობაში არავითარი მოვლენა არ მომხდარიყოს. სხვა მეზობელი ხალხების ისტორიასთან შედარებაც კი არ იძლეოდა საშუალებას ამ სიცარიელის შესავსებად.

1937 წ. ბოლაზ-ჟოის გათხრების ხელმძღვანელის, ვეკსლერის მოადგილემ კურტ ბიტელმა თავის „ხეთების მეფეთა სიაში“ „თეთრი ფურცელი“ დატოვა, რაც უდრიდა ორი საუკუნის (დაახლოებით 1600—1400 წწ. ძვ. წ.) „სიცარიელეს“. დიდი ხეთოლოგი ალბრეხტ გიოტცე დაინტერესდა ამ პერიოდით და შეეცადა გადაეწყვიტა ამოცანა: „ჭერჭერობით, — წერდა იგი, — მე მინდა ეს პერიოდი მითანის იმპერიაში ხურიტების ძლიერებას დაუკავშირო“. შემდეგ დასძინს: „მხოლოდ 1430

წლიდან, უმნიშვნელო პროვინციული პერიოდის შემდეგ, კვლავ ჩნდება ცალკეული წყაროები“.

მაგრამ განა შესაძლებელია ორასი წლის განმავლობაში ძლიერი იმპერიის არსებობის პირობებში „უმნიშვნელო პროვინციული პერიოდის“ არსებობა?

მოვიყვანო ასეთ მაგალითს: დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიაში ავირჩიოთ 1500—1700 წლების პერიოდი. წარმოვიდგინოთ, რომ საშუალო საუკუნეები და თანამედროვე ეპოქა, ე. ი. ორი განსხვავებული პერიოდი, ერთიმეორეს მოსდევს გარდამავალი ხანის გარეშე. ამერიკის აღმოჩენა, ესპანეთის აღორძინება, პორტუგალიის გაფართოება, ბაროკოს ეპოქა, რელიგიური რეფორმაცია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მეცნიერების ყველა დარგზე; თანამედროვე მეცნიერების დაწყება ჯორდანო ბრუნოს მიერ, გალილეი, ტიკო ბრაჰე, კეპლერი; თომას ჰობსის ფილოსოფიური სისტემა, სპინოზა, ლაიბნიცი; თანამედროვე თეატრის ჩასახვა — შექსპირი, მოლიერი, კორნელი და კალდერონ დელა ბარკა — ყველა ეს მოვლენა წარიშლებოდა ისტორიიდან! წარმოვიდგინოთ, რომ საჭიროა განახლდეს იმ მოვლენათა კვალი, რომლებიც მოხდა იმ ორასი წლის განმავლობაში, რაც აშორებს კარლოს V-ის მეფობას ფრიდრიხ დიდისაგან!

ხეთოლოგებს ეგონათ, რომ ისინი ასეთივე პრობლემის წინაშე იდგნენ. ორი საუკუნის განმავლობაში ხეტები თითქოს დავიწყების სიბნელით იყვნენ მოცულნი. ამას მოწმობდა ყველა ჰიპოთეზა. და ყველა ეს ჰიპოთეზა მცდარი აღმოჩნდა.

ახლა, როცა უკვე ვიცით, რაში გამოიხატებოდა ამ ორასი წლის საიდუმლოება, საქმის გაუბრალოება იქნებოდა იმის თქმა, რომ ეს ადვილად იქნა მიღწეული. მაინც არ შეიძლება გაკვირვება არ გამოეთქვათ იმით, თუ როგორ არავის არ მოუვიდა აზრად გადაესინჯა წინა აზრის შესახებ არსებული ქრონოლოგიური მონაცემები. ერთი წუთით მაინც წარმოედგინათ, რომ ორასი წლის გამოტოვება ისტორიაში შეუძლებელია, და რომ, შეიძლება, მცდარი იყო ამ დროისათვის მიღებული თარიღები?

თარიღებთან დაკავშირებით საჭიროა თვალი გადაავლოთ ქრონოლოგიის ისტორიასაც.

## მეცნიერება ისტორიული თარიღების შესახებ

ყველაზე მარტივი და ბუნებრივი ქრონოლოგია არის ის, რომელიც პირველყოფილმა ხალხებმა გამოიყენეს. იგი ემყარება გენეალოგიას — ცნობებს მამის, პაპისა და პაპის მამის შესახებ.

ბუნების მოვლენები აგრეთვე გამოყენებულია, როგორც ქრონოლოგიური ქღე. ახლაც კი, ჩვენს დროში, შეიძლება გავიგონოთ: „იმ წელს, როცა ზამთარი ასე მკაცრი იყო“, ან კიდევ — „წყალდიდობის წელს...“

თუ ხალხი თავისი განვითარების უკვე ადრეულ სტადიაზე მიმართავს ზუსტსა და სწორ მეთოდებს დროის საზომად, ეს ნიშნავს, რომ ცივილიზაცია იღვიძებს. ეგონ ფრიდელმა, რომლის შრომები კულტურის ისტორიის შესახებ მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს, ისტორიკოსებს მაინც საინტერესო აზრები შთააგონა. იგი ამბობდა: „ადამიანს არა აქვს იმაზე დიდი სურვილი, არც იმაზე სანუკვარი ოცნება, რომ შექმნას ქრონოლოგია. იმ დროიდან, როცა ადამიანმა შეძლო დროის განსაზღვრა, გამოანგარიშება და წარსულის ვითარების აღდგენა, მან წარმოიდგინა, რომ დროს კონტროლს უწყევდა და იგი მას ეკუთვნოდა“. წლიურ ციკლზე სწორი დაკვირვება, ეგვიპტეში ნილოსის საკეთილდღეოდ აღიდება, მესოპოტამიაში ტიგროსის და ევფრატის გამანადგურებელი მოვარდნა ამ უძველეს ხალხებში ქრონოლოგიის საფუძველი იყო და იგი ასტრონომიულ გაანგარიშებას ემყარებოდა. ცენტრალური ამერიკის მათხს ხალხმა წლიური ციკლის დადგენით მიიღო უცვლელი კალენდარი; თვით ამ ხალხის არსებობაც კი მთლიანად დამოკიდებული იყო ასტრონომიულ მოვლენებზე.

ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს საბერძნეთის ცივილიზაცია, რომელიც უძველესსა და სრულყოფილ ცივილიზაციად ითვლება. ბერძნებს არ ჰქონდათ ზუსტი ქრონოლოგიური სისტემა. დროის ერთადერთი მაჩვენებელი იყო ოლიმპიადები. ისინი არ აღნიშნავდნენ თარიღების თანმიმდევრობას და, როგორც „ისტორიის მამის“ — ჰეროდოტეს მაგალითი

ამტიციებს, უწესრიგოდ ჩამოთვლიდნენ ხოლმე მოვლენებსა და ისტორიულ პიროვნებებს.

ოსვალდ შპენგლერი ამბობს: „ჩვენი, დასავლეთელების, ისტორიულობის შეგრძნება ანომალიას წარმოადგენს. რასაც ჩვენ მსოფლიო ისტორიას ვუწოდებთ, იგი დასავლეთელთა კონცეფციაა და არა კაცობრიობისა“. აქედან ჩანს, რომ მან მეტიმეტად განაზოგადა საკითხი. თუმცა იგი სწორია იმდენად, რამდენადაც ის მეთოდები, რომელთაც, მაგალითად, ხმარობდნენ ძველი ბაბილონელები დროის დასადგენად, ემყარებოდა მნათობებზე დაკვირვებას და თითქმის სრულყოფილი იყო; ბაბილონელები მიზნად არ ისახავდნენ შეექმნათ ისტორიული, სწორ ფაქტებსა და ზუსტ თარიღებზე დამყარებული ქრონოლოგია.

როცა ძველ ისტორიას ვსწავლობთ, გვაოცებს ის, თუ როგორ ათარიღებენ თანამედროვე ისტორიკოსები ასეთი დარწმუნებით ათასობით წლის წინ მომხდარ მოვლენებს.

მაგრამ განცვიფრებას მალე მოკრძალებული შიში ცვლის, როცა ისტორიული წყაროების გადასინჯვისას ცხადი ხდება, რაოდენ ლარიბი და მცდარი იყო დოკუმენტების შედგენის-დროინდელი მონაცემები. ამ დოკუმენტებმა ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოაღწია; წარწერები ან წაშლილია დროთა განმავლობაში, ანდა ისინი ადამიანის ხელს დაუმახინჯებია.

შემდეგ უკვე, ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდება, რომ თარიღები მხოლოდ ჩონჩხს წარმოადგენს, რომელსაც ზორცის შესხმა ესაჭიროება. ეკითხები თავს, აქვთ თუ არა მათ რაიმე კავშირი ფაქტებთან და ზუსტ სინამდვილესთან? თითქოს ეჭვი გვებადება თარიღების სიზუსტეში.

აი, მაგალითი: ერთი საუკუნის განმავლობაში წარმოებული კვლევის შედეგად ეგვიპტის ისტორიის პირველი თარიღი (პირველი დინასტიის დაარსება მეფე მენესის მიერ, რომელმაც გააერთიანა ეგვიპტე) ძველი წელთაღრიცხვის 5867 წლიდან 2900 წლამდე გადმოიტანეს. თანაც არც ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს უკანასკნელ ზუსტ მონაცემად!

განა ის ფაქტი, რომ ხეტების ისტორიაში გამოტოვებული იყო ორი საუკუნის მოვლენები (რის გამოც საერთოდ შევეხეთ



ქრონოლოგიას), საკმარისი არ არის, რომ ექვის თვალთ შეგვეხედა ისტორიული თარიღებისადმი?

მაგრამ ისტორიკოსთა მუშაობა პატივისცემას იმსახურებს, როცა ცოდნის უფრო მაღალ საფეხურზე ასულნი ვხედავთ, რომ მეცნიერები განასხვავებენ „ზუსტ“ და „საექვო“ თარიღებს და, რომ მათ დღეს უკვე შესძლეს უძველესი ისტორიის ქრონოლოგიურ ჩონჩხში თითქმის ზუსტად აღედგინათ მისი ხერხემალი.

საერთოდ არქეოლოგები ადგილის შესწავლას იწყებენ ზედაპირზე არსებული საგნების გამოკვლევით, შემდეგ კი სინჯავენ ფენებს, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციას განეკუთვნება. ასევე იქცევიან ისტორიკოსებიც. ვიდრე წარსულის წყვილიაღში გაერკვეოდნენ, ისინი სწავლობენ უკვე ამოკითხულ წერილობით ძეგლებს.

ყოველთვის, როცა კი მოვლენათა შორის აშკარა ან უშუალო კავშირი აღმოჩნდებოდა, ბერძნულ, სპარსულ ან გვიანგვიპტურ დოკუმენტებში მოხსენებულ მოვლენათა შორის ადვილი ხდებოდა ქრონოლოგიის აღდგენა ქრისტიანულ ხანასთან შედარებით.

ამჟამად I ათასწლეულის (ძვ. წ.) უმთავრეს მოვლენათა დათარიღება შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს. მაგრამ რაც უფრო ღრმად ვიჭრებით წარსულში, მით უფრო მცირდება კავშირი ცნობილ ფაქტებთან, მით უფრო იგრძნობა წყაროების ნაკლებობა და, რაც კიდევ უარესია, მით უფრო ნაკლებია მათი სიზუსტე.

ქრონიკების მიღმა გვხვდება მხოლოდ მითები, მოხსენებათა მიღმა — ლეგენდები, მეფეების იქით კი მხოლოდ ღმერთები მოჩანან. ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში დათარიღებათა სიზუსტე მერყეობს ათეული წლების განსხვავებით; III ათასწლეულში ეს განსხვავება უკვე ერთი ან რამდენიმე საუკუნით იზრდება.

მას შემდეგ, რაც ლურსმული დამწერლობა გაიშიფრა, ძირითად საყრდენ დოკუმენტებად იქცა „მეფეთა სიები“, „თარიღებისა და უმაღლეს მოხელეთა სიები“, „ქრონიკები“ და „სამეფო წარწერები“.

„მეფეთა სიები“ ისეთი დოკუმენტები იყო, რომლებიც აღ-

ნიშნავდა ამა თუ იმ მეფის სახელსა და მისი მეფობის ხანგრძლიობას. ამ სახის უძველესი სიკა, რომელიც წინა აზიაში აღმოაჩინეს, ოთხკუთხა ქვის ლოდი იყო, სიმაღლით დაახლოებით 20,5 სანტიმეტრი. ამ მონოლითზე აღნიშნული იყვნენ „პირველი მეფეები“ — მითიური ხელმწიფენი — რომელნიც მეფობდნენ სამყაროს გაჩენიდან წარღვნამდე. ეს სია გრძელდება ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მიჯნამდე, ისტორიული ეპოქის დაწყებამდე.

ეს ეპიგრაფიკული დოკუმენტი, რომელსაც არქეოლოგებმა „ძველი ბაბილონის მეფეთა სია B 444“ დაარქვეს, შევსებულია ორი სხვა, A1 და B ასოებით აღნიშნული სიებითა და ე. წ. „ასირიელ მეფეთა სიით“; ეს უკანასკნელი აღმოაჩინეს 1932—1933 წლებში ხორსაბადში. ამათ ემატება კიდევ სხვა სიების ფრაგმენტები, სადაც მოხსენიებულია ზოგიერთი დინასტიის მეფეთა სახელები. ამ დოკუმენტების ცნობები აღწევს ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულამდე. შემდეგ წყაროები უკვე მრავლდება და შესაძლებელი ხდება სწორი დათარიღება.

ასეთი, თუნდაც არასრული, სიების არსებობა, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ერთმანეთს ავსებს და მეფეთა სახელებთან ერთად გვაუწყებს მათი მეფობის ხანგრძლიობას, ხოლო ზოგჯერ მნიშვნელოვან მოვლენებსაც, ერთი შეხედვით, თითქოს უნდა აადვილებდეს არქეოლოგთა შრომას. მაგრამ საკმარისია გასინჯოთ ამ ტექსტების ფრაგმენტები, რომ მაშინვე დაინახოთ მათი ნაკლი. ასე, მაგალითად, სია „B 444“ იწყება იმ მეფეთა ჩამოთვლით, რომლებიც წარღვნამდე მეფობდნენ:

„როდესაც ციდან ჩამოვიდა სამეფო ძალაუფლება,  
ერიღუში დამყარდა მეფობა.

ერიღუში მეფობდა მეფე ალულიმი.

იგი მეფობდა 28800 წელიწადს.

ალალგარი მეფობდა 36000 წელიწადს.

ეს ორი მეფე მეფობდა 64800 წლის განმავლობაში.

ერიღუ დაპყრობილ იქნა.

მეფობა გადავიდა ბად-ტიბირუში,

ბად-ტიბირუში ენ-მენ-ლუ-ანამ იმეფა 43.200 წელიწადი.

ენ მენ გალ-ანამ იმეფა 28.800 წელი.

დმერთმა დუმუზიმ, მწყემსმა, იმეფა 36.000 წელი“

და ა. შ.

„ბაბილონის მეფეთა სია B“ იწყება ასე:

„მეფე სუმუ-აბი	15 წელიწადი.
სუმუ-ლა-ილ	35 წელიწადი.
საბუ, მისი ვაჟი	14 წელიწადი.
აფილ-სინი, მისი ვაჟი	18 წელიწადი.
სინ-ბუმალიტი, მისი ვაჟი	55 წელიწადი.

და ა. შ.

ზედმეტია იმ უაზრობის შესახებ მსჯელობა, რომ „B 444“ სიის მონაცემები, რომელნიც გვაუწყებს წარღვნისწინა მეფეთა გამგებლობის ხანგრძლიობას, ფანტასტიურია. ამ ცნობებს ჭერჭერობით ისტორიული ღირებულება არა აქვს; შესაძლოა, არქეოლოგია ოდესმე დაამტკიცებს, რომ ეს მეფენი, მაგრამ მმართველობის სხვა თარიღებით, ოდესღაც მართლაც არსებობდნენ.

ეს მაგალითები, რომლებიც უფრო მოკლედაც შეგვეძლო მოგვეყვანა, მოწმობს, რომ მეფეთა ამ სიებს თავისი აზრი ჰქონდა. ისინი მიუთითებენ მეფეთა გამგებლობის თანამიმდევრობაზე — ვინ ვის შემდეგ მეფობდა, მაგრამ არ გვაუწყებს, როდის ავიდა ესა თუ ის მეფე ტახტზე...

ესე იგი, „მეფეთა სია B“ გვამცნობს, რომ სუმუ-ლა-ილიმ იმეფა 35 წელი თავისი წინაპრის სუმუ-აბის შემდეგ, რომელიც ტახტზე მხოლოდ 15 წელი იყო. მაგრამ თუ როდის ავიდა ტახტზე სუმუ-ლა-ილი, ნაჩვენები არ არის.

ეს ჭერ კიდევ ყველაფერი როდია!

ნეტარება იქნებოდა, თანამიმდევრობის ეს წესი მაინც რომ იყოს სანდო. ბაბილონელი გადამწერები თავისი სურვილისამებრ გამოტოვებდნენ ხოლმე იმ მეფეთა სახელებს, რომლებსაც მეორეხარისხოვან პიროვნებებად მიიჩნევდნენ. რომ მონდომებინათ კიდევაც მათი მოხსენიება, მათ ხელთ არსებული ცნობები ამისათვის საკმარისი არ იქნებოდა. ზოგნი ცდებოდნენ უკვე არსებულ სიათა გადაწერის დროს, ზოგნი ურევდნენ ადრე შედგენილ სიებს და იმის მაგივრად, რომ პარალელურად, ცალ-ცალკე სვეტში ჩამოეწერათ სხვადასხვა დინასტიის მეფეები, აგრძელებდნენ ძველ სიებს. მაგალითად, სარგონი, აქადის მეფე (2350 წელი ძვ. წ.) ამბობს, რომ მასზე ადრე ასურელთა ქვეყანაში არანაკლებ 350 მეფე მეფობდა. ამ

ცნობამ მრავალი შეცდომა გამოიწვია, ვიდრე ერთ დღეს არ შეამჩნიეს, რომ გადამწერს თურმე მეფეთა რამდენიმე სია გაუერთიანებია.

ამ დილემიდან გამოსვლის საშუალებას იძლევა „თარიღები-სა და უმაღლეს მოხელეთა სიები“. ბაბილონში, ჯერ კიდევ სარგონის დროს, მიღებული იყო, ყოველი წლისათვის მიეცათ სახელი და შეედგინათ სია. ეს ჩვეულება გრძელდებოდა შვიდი საუკუნის განმავლობაში ხამურაბის მეფობამდე.

იშვიათია ზუსტი დათარიღება, სადაც აღნიშნული იქნება წელი, თვე და დღე. როგორც წესი, წელიწადის აღნუსხვის დროს მხედველობაში იღებდნენ რომელიმე მნიშვნელოვან მოვლენას, წინა წელს მომხდარს, რათა მიეცათ სახელი იმ წლისათვის, რომლის შესახებაც წერდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი პრაქტიკული სულაც არ იყო, მას დიდხანს იყენებდნენ ეგვიპტეში, ძველი სამეფოს ხანაში. აღსანიშნავ ფაქტად ითვლებოდა ომის გამარჯვებით დამთავრება, ტაძრის შენობის საძირკვლის ჩაყრა, დიდი მოხელის ან არმიის სარდლის დანიშვნა და, ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ახალი მეფის ტახტზე ასვლა. სწორედ ამიტომაც, რომ ამ სიებზე დაყრდნობა არ შეიძლება, რადგან არ იცით, რომელი მეთოდი უდევს საფუძვლად დათარიღებას. არც ის იცით, როგორი კეთილსინდისიერებით შეასრულა გადამწერმა თავისი მოვალეობა. ოფიციალურად, მეფობის დასაწყისი ეფარდებოდა ახალ წელს, მაგრამ მეფის ტახტზე ასვლისა და ახალი წლის შუა პერიოდს მიაწერდნენ წინა მეფის მეფობას. ამას გარდა, მალე გამოირკვა, რომ ხშირად, სხვადასხვა მიზეზის გამო — ამა თუ იმ მეფისადმი სიყვარული, ისტორიის შეგნებულად დამახინჯება და სხვა — წლების სახელწოდებანი იცვლებოდა. გარდა ამისა, ზოგ გადამწერს ჩვევად ჰქონდა, შეემოკლებინა სახელები ისე, რომ ისინი გაუგებარი ხდებოდა, ზოგნი ისე წერდნენ მათ, როგორც ახსოვდათ და შეუგნებლად ამახინჯებდნენ.

ეს მაგალითები მოწმობს, რომ ძველი ისტორიის ქრონოლოგიური ჩონჩხის აღდგენა ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა „უმალღეს მოხელეთა სიებშიც“, სადაც წელიწადს ჰქვია დიდი მოხელის, მეფის ან სარდლის სახელი, ე. ი. წელიწადს აღნიშნავენ არა დიდი მოვლენების მიხედვით, არამედ მნიშვნელოვანი პიროვნების სახელით. მოგვიანებით ამ მეთოდს იყენებდნენ საბერძნეთში. ახლო აღმოსავლეთის ხალხები, განსაკუთრებით კი ასურელები, ამ წესს უხსოვარი დროიდან იყენებდნენ. მაგრამ აქაც, როგორც „თარიღების სიებში“, ნორმები ყოველთვის როდია დაცული. რაც არ უნდა ითქვას, „თარიღებისა და უმალღეს მოხელეთა სიები“ „მეფეთა სიების“ ძვირფას დამატებას წარმოადგენს. მათი ურთიერთშედარებით შესაძლებელი ხდება დასკვნების გაკეთება, გამოტოვებათა და შეცდომების აღმოჩენა, კავშირურთიერთობის დამყარება ამა თუ იმ მოვლენასა და დიდ პიროვნებას შორის, მაგრამ ისინი გარკვეულ ისტორიულ თარიღებს მაინც არ იძლევიან. სწორედ ამიტომ გამოიჩინეს არქეოლოგებმა გამბედაობა და ხელი მოჰკიდეს „ქრონიკების“ გაშიფვრას.

ამ ტექსტებს, გარდა სახელწოდებისა, არავითარი საერთო არა აქვთ შუა საუკუნეების ქრონიკებთან, რომლებიც თითქმის ისტორიულ ნაშრომებს წარმოადგენენ. ამრიგად, გარდა ზოგიერთი ხეთური „ქრონიკისა“, წინა აზიური ქრონიკები უბრალო ცდაა იმისა, რომ მოვლენები დიდმნიშვნელოვანი პიროვნების გარშემო დააჯგუფონ. რადგან მატთანის შედგენასა და მომხდარ ამბებს შორის დიდი დრო იყო გასული, მემატიანე თავისუფლად, თავისი შეხედულებისამებრ, უმატებდა ან ცვლიდა გადმოცემებს, გაგონილ ამბებს და სხვ.

მემატიანეები წერდნენ მხოლოდ იმას, რაც იცოდნენ და არ ზრუნავდნენ იმაზე, რომ შეეკრიბათ და დაეზუსტებინათ ახალი ცნობები. ისინი ურევდნენ ამბებს, არ იცავდნენ სწორ ქრონოლოგიას, რადგან ამას მნიშვნელობას არ აძლევდნენ. ერთნი გადაწერისას ცდილობდნენ მათთვის ბუნდოვანი ადგილები ისე შეეცვალათ, როგორც თვითონ მიაჩნდათ სწორად. უმატებდნენ მამა-პაპათაგან გაგონილ ამბებს. შემდეგი ვადამწერიც ასევე ამუშავებდა წინამორბედისაგან მიღებულ მასალას.

უმნიშვნელოვანესმა „ბაბილონის ქრონიკამ“, რომელიც

დათარიღებულია კიროსის მეფობის დროით (550 წ. ძვ. წ.). ჩვენამდე „ასლების ასლის“ სახით მოაღწია. მისი თავდაპირველი ვერსია, ეტყობა, უძველეს ეპოქას განეკუთვნება, მაგრამ არ ვიცით, როდისაა იგი შედგენილი.

ერთი თანამედროვე არქეოლოგი ერთგვარი საყვედურით წერს: „როგორც არ უნდა ყოფილიყო ის წყაროები, რომლებითაც სარგებლობდა „ქრონიკა K“-ს ავტორი, იგი ბრწყინვალედ შეძლებდა აღეწერა სარგონის მეფობა და მისი დინასტია, მას რომ ნიპურის ტაძრის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი ტექსტები გამოეყენებინა“.

ამ ქრონიკების დამატებას წარმოადგენს „მეფეთა წარწერები“, რომელთაც მეფეები ამოაჭრევიანებდნენ ხოლმე ქვაზე ან აწერინებდნენ თიხაზე, რათა უკვდავეყოთ თავიანთი მმართველობის დროინდელი დიდმნიშვნელოვანი ფაქტები.

მაგრამ ამ წარწერებს დიდი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ, რადგან ისინი ხშირად სიცრუისა და კვეხნის დამადასტურებელი საბუთებია. აღმოსავლეთის მეფეები მეტწილად ტირანები იყვნენ, დესპოტები კი ყოველთვის. ხეთი მეფეები თვითონვე აწესებდნენ „ქეშმარიტებას“. თანაც ამას აღწევდნენ არა ბრძანებით, არამედ იმ უბრალო ფაქტის შედეგად, რომლის მიხედვითაც მეფე მიჩნეული იყო ზეკაცად და მისი ღვაწლიც ზეადამიანურად ითვლებოდა. მარტოოდენ იმიტომ, რომ ყველა წარწერა იწყება ამ სიტყვებით: „მე, დიდი მეფე...“, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აღმოსავლეთის მეფენი თვით იყვნენ ყველა ამ წარწერის ავტორები. დესპოტებს სულაც არ სჭირდებათ თვითონ შეთხზან თავიანთი საქებ-სადიდებელი ჰიმნი.

მიუხედავად ყოველივე ამისა, „მეფეთა წარწერები“ დიდ სამსახურს უწევს მეცნიერებს ქრონოლოგიის დადგენაში, რადგან ისინი მეტ-ნაკლები სისწორით აკავშირებენ ამა თუ იმ მოვლენას გარკვეულ ისტორიულ პიროვნებებთან. ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, სწორად არის თუ არა აღწერილი ესა თუ ის ამბავი.

მას შემდეგ, რაც ჩამოვთვალეთ ის ძირითადი წყაროები, რომლებიც წინა აზიის ისტორიული ვითარების აღდგენის საშუალებას იძლევიან, მოვიხსენიებთ კიდევ ერთ პატარა

ტექსტს, რომელიც გასულ საუკუნეში იქნა აღმოჩენილი ნინე-  
ვიაში, აშურბანიპალის ცნობილ ბიბლიოთეკაში.

ამ ტექსტში გასაგები ენითაა გადმოცემული ასურელთა და  
ბაბილონელთა სამხედრო უთანხმოებანი და მოხსენიებულია  
ის საზავო ხელშეკრულებანი, რომელთაც ბოლო მოუდეს მათ  
კონფლიქტს. მასში სინქრონულადაა შეხამებული ასურეთისა  
და ბაბილონის ისტორია და ამიტომ ამ დოკუმენტს „სინქრო-  
ნული ისტორია“ ეწოდება. იგი თოთხმეტ სხვადასხვა სინქრო-  
ნულ ურთიერთთანხმობას შეიცავს და მეცნიერებისათვის ფას-  
დაუდებელი მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის, რომლებიც ვესწ-  
რაფვით გავიგოთ, თუ როგორ აღადგინეს მეცნიერებმა, მრავ-  
ალი დაბრკოლების მიუხედავად, წინა აზიის ქრონოლოგია,  
უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ ტექსტმა, სინქრო-  
ნულობის დადგენის შემდეგ, მეცნიერები წარსულის ყველა  
ბნელ კუნძულში შეიყვანა.

ყოვლად შეუძლებელია მთელი იმ მუშაობის აღწერა, რო-  
მელიც ერთი საუკუნის განმავლობაში აწარმოეს მეცნიერებმა  
სინქრონიზმების აღმოსაჩენად. შეიძლებოდა ეს შრომა შეგვე-  
დარებინა უკუნ ლამეში ზღვაში გადაკარგულ იმ მეზღვაურთა  
ცდებისათვის, რომლებიც დიდის გაჭირვებით ცდილობენ გზა  
გაიგნონ რამდენიმე სასიგნალო შუქურისაკენ და თანაც არ  
იციან, შეიძლება თუ არა ენდონ მათ.

როცა ისტორიკოსთა განკარგულებაში რამდენიმე ძირითა-  
დი თარიღი აღმოჩნდა, მათ შეადგინეს კოორდინატთა სისტემა  
უძველესი ისტორიის ორი ათასი წლის პერიოდისათვის. ყოვ-  
ლად შეუძლებელია, უკანა თარიღით საერთო მნიშვნელამდე  
იქნას დაყვანილი ათასობით სტატია, რომლებშიც განხილულია  
მცირე, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საკითხები. სწორედ  
ქრონოლოგიას არ გააჩნია განზოგადებული დებულებანი;  
თვით ქრონოლოგიური ტაბულებიც კი ძალიან მცირეა. ეს არც  
არის გასაკვირი, რადგან ყველა, ვინც კი ეცადა გამოეცა ამგვარ-  
ი ტაბულა, მაშინვე გამანადგურებელი კრიტიკის ქვეშ მოექცა,  
რის შემდეგ მეორედ ასეთ ცდას აღარ მიმართავდა. ამიტომ თავ-  
დაპირველად მხოლოდ ცალკეული თარიღები იყო დადგენი-  
ლი, თვით ქრონოლოგია კი ბევრად უფრო გვიან შეიქმნა.

შედარებითი მეთოდი, რომლის მიზანია სინქრონიზმების ძიება, ბოლოს თავის მნიშვნელობასაც დაჰკარგავდა, ასურეთ-ბაბილონის ისტორიის ფარგლებს რომ არ გასცილებოდნენ.

პირველყოვლისა, შეადარეს „ძველ აღთქმაში“ მოხსენიებული ფაქტები. ეს მარტოოდენ რელიგიური წიგნი როდია, იგა თავისებურ ქრონიკასაც წარმოადგენს. მალე შეამჩნიეს, რომ შედარებასათვის ეგვიპტოლოგთა მიერ შედგენილი ქრონოლოგიური ცხრილები უფრო დიდმნიშვნელოვანი იყო. სწორედ ეგვიპტოლოგებმა მისცეს მესოპოტამიის ცივილიზაციის სპეციალისტებს პირველი ფიქსირებული ისტორიული თარიღები, რომელთა დადგენა მარტო ასურულ-ბაბილონური წყაროების მეოხებით ძნელი იქნებოდა.

ეგვიპტოლოგთა მუშაობა შედარებით ადვილი იყო. მათ განკარგულებაში იყო მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლი და ეგვიპტეში წარმოებულნი გათხრების შედეგად მოპოვებული იმაზე ბევრად უხვი მასალა, რაც მესოპოტამიის გათხრების მწარმოებელთ ჰქონდათ. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ისინი მიწის ზედაპირზე პოულობდნენ იმას, რასაც მათი ასირიოლოგი კოლეგები, ბოტათი და ლეიარდით დაწყებული, დიდი წვალებით იღებდნენ მიწიდან არქეოლოგიური გათხრების შედეგად. უფრო მეტიც, მათ ხელთ ჰქონდათ ეგვიპტელი ქურუმის მანეთონის მიერ შედგენილი ისტორიული შრომა (დაახლოებით 280 წ. ძვ. წ.), რომელშიც მოცემული იყო წარსულის ქრონოლოგიური მიმოხილვა, დაწყებული პირველი დინასტიის დამაარსებლის — მენესის მეფობიდან, ვიდრე 343 წლამდე (ძვ. წ.), სპარსეთის მეფის, არტაქსერქსე III-ის მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე. მიუხედავად ზოგიერთი ხარვეზისა, ეს დოკუმენტი საფუძვლად დაედო მომავალ გამოკვლევებს. ეგვიპტოლოგებს გააჩნდათ, აგრეთვე, უფრო სრული და უფრო ზუსტი „მეფეთა სიები“ და უამრავი „მეფეთა წარწერები“. ამას გარდა, მათ აღმოაჩინეს ეგვიპტური კალენდარი — სიზუსტის შედევი, რომელიც შედარებით მალე გაშიფრეს და მასწინვე გამოიყენეს კიდევ.

მსგავსი ბედნიერი შემთხვევა იშვიათად თუ სწვევიათ ისტორიკოსებს: ამ კალენდრის წყალობით, რომელიც თითქმის



ემთხვეოდა იულიუსის კალენდარს (ეს უკანასკნელი XVI ს.-ის უკანასკნელ მეოთხედამდე იყო სმარებაში ევროპაში), მეცნიერებმა შეძლეს დაედგინათ წინა აზიის უძველესი ისტორიის პირველი ზუსტი თარიღები.

ეგვიპტელმა ქურუმებმა შეამჩნიეს, რომ წლის ხანგრძლიობა შეესაბამებოდა უძრავი ვარსკვლავის სირიუსის წლიურ ციკლს, რომელსაც ისინი სოტისს უწოდებდნენ და თაყვანს სცემდნენ, როგორც ქალღმერთ იზიდას განსახიერებას.

თანამედროვე ასტრონომიული გამოთვლების თანახმად, „სოტისის წელიწადი“ უდრის დაახლოებით მზის წელიწადს. ეგვიპტოლოგთა, ასტრონომთა და მათემატიკოსთა ღრმა და საფუძვლიანი გამოანგარიშებების საშუალებით დადგენილია სულ მცირე განსხვავება: ეგვიპტური 1461 წელი უდრის იულიუსის მზის კალენდრის 1460 წელს. ეს ასტრონომიული სხვაობა გამოიყენეს ქრონოლოგიის დასაზუსტებლად; აქ ლაპარაკია ე. წ. სირიუსის დილის „ამოსვლაზე“, რომელიც ასტრონომებს საშუალებას აძლევს დაკვირვება აწარმოონ იშვიათი სიზუსტით. ამრიგად, „სოტისის ციკლი“ დათარიღების სარწმუნო ელემენტს წარმოადგენს.

პირველი „ზუსტი“ თარიღი დაადგინეს რომაელი გრამატიკოსის ცენზორინუსის ცნობის საშუალებით. მან ისეთი სიზუსტით აღწერა „სოტისის ციკლის“ დასასრული, რომ შესაძლებელი გახდა მისი დანამდვილებით დათარიღება: ახალი წელთაღრიცხვის 137 წელი. ამიერიდან ახალი თარიღის დასადგენად საკმარისი იყო გამოეკლოთ სოტისის ციკლის ხანგრძლიობა, ე. ი. იულიუსის კალენდრის 1460 წელიწადი. თარიღების ეს რიგი შეიძლება უსასრულოდ გაგვეგრძელებინა წარსულისაკენ, არქეოლოგებს რომ არ დაედგინათ: სოტისის მეოთხე ციკლზე უფრო ადრინდელ პერიოდში აღარაფერი ამტკიცებს მაღალი ცივილიზაციის არსებობასო.

ამ სქემის თანახმად და „კანოპუსის დეკრეტის“ სახელწოდებით ცნობილი წარწერის ტექსტის მიხედვით, რომელშიც მოხსენიებული იყო „სოტისის გამოჩენა“, შეძლეს დაეზუსტებინათ ახალი თარიღი — ძველი წელთაღრიცხვის 237 წლის 19 ივლისი (იულიუსის კალენდრის მიხედვით); შემდეგ, ერთი პაპირუ-

ღის მეოხებით, რომელსაც გერმანელი ეგვიპტოლოგისა და მწერლის გეორგ ებერსის სახელი ეწოდა, მოხერხდა მეთვრამეტე დინასტიის დასაწყისის ასტრონომიული თარიღის დადგენა, მეორე პაპირუსის საშუალებით კი — მეთვრამეტე დინასტიისა. ამან გაზარდა „მეფეთა სიების“ მნიშვნელობა. ის თარიღები, რომლებიც აღნიშნავდა სხვადასხვა ფარაონების მეფობას, ხელს უწყობდა ქრონოლოგიური ცხრილის შედგენას. ასირიოლოგებმაც ისარგებლეს ამ აღმოჩენებით. ამ დღიდან უკვე შესაძლებელი გახდა დათარიღებულიყო მიწერ-მოწერანი, ხელშეკრულებანი, სამხედრო მოხსენებები, რომლებშიც აღწერილი იყო ეგვიპტის ამბები. მაგრამ მალე მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ რამდენადაც „სოტისის ციკლის“ მიხედვით წარმოებული წელთაღრიცხვა ფასდაუდებელი იყო ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულამდე, იმდენად იგი საეჭვო ხდებოდა უფრო ადრეული პერიოდისათვის.

თავის „ეგვიპტურ ქრონოლოგიაში“, რომელიც 1904—1908 წლებში გამოქვეყნდა, დიდმა გერმანელმა ისტორიკოსმა ედუარდ მაიერმა ამაყად განაცხადა, რომ „სოტისის ციკლზე“ დაყრდნობით მან შეძლო გამოეანგარიშებინა „მსოფლიო ისტორიის ყველაზე უძველესი თარიღი“ — ძვ. წ. 4291 წლის 19 ივლისი!

სინამდვილეში, „სოტისის ციკლი“ არ გამოდგებოდა ძველი სამეფოს თარიღების გამოთვლისათვის, რადგანაც სოტისის კალენდარი იმ უძველეს დროს არც არსებობდა. მათემატიკოსებმა ეს ფაქტი დაასაბუთეს ვრცელ მეცნიერულ ტრაქტატში და ეგვიპტოლოგთა უმრავლესობამაც ნელ-ნელა გაიზიარა მათი არგუმენტაცია.

ამის გარკვევამ მძიმე დარტყმა მიაყენა ასირიოლოგებს და, მამასაღამე, წინა აზიის ქვეყნების მთელ ქრონოლოგიას.

ახლა დავუბრუნდეთ იმ საკითხს, რომელმაც გვიძულა გველაპარაკა ქრონოლოგიის შესახებ და ვნახოთ, რას ნიშნავს ორი საუკუნის გამოტოვება ხეთების სამეფოს ისტორიაში.

მართალია, ასურეთ-ბაბილონეთის ისტორიის ქრონოლოგია უმთავრეს ხაზებში აღადგინეს, მაგრამ გადაუჭრელი რჩებოდა ერთი საკითხი: ხამურაბის მეფობის თარიღი.

მეცნიერებმა დიდი ხანია დაადგინეს ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის მეორე და მესამეხარისხოვან მეფეთა მმართველობის თარიღები, მაგრამ, მიუხედავად მათი შორსმჭვრეტელობისა, ვერც ერთმა ვერ მოახერხა ქრონოლოგიურ კონტექსტში მოეთავსებინათ მესოპოტამიის უდიდესი მეფე, განთქმული კანონმდებელი სამურაბი.

მეცნიერები ვარაუდობდნენ გარკვეული სინქრონიზმების არსებობას; არაერთხელ გადაიანგარიშეს კიდევ „მეფეთა სიებში“ მოხსენიებულ მეფეთა მმართველობის წლები; მოიშველიეს არქეოლოგია, რომელიც განასხვავებს „ფენებს“, შედარებითი არქეოლოგია, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთოს კერამიკასა და ქანდაკებათა სტილზე დაყრდნობით. მაგრამ ყოველთვის იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ სამურაბი ცხოვრობდა ძვ. წ. XX ან XIX საუკუნეებში. ყველა საბუთი ამ ადრეული თარიღის სასარგებლოდ მეტყველებდა და არც ერთი საწინააღმდეგოდ.

თუმცა იყო ერთი საბუთი, რომელსაც სერიოზულ მნიშვნელობას არ აძლევდნენ. იურიდიული დოკუმენტი, რომელიც გვამცნობდა: „სამურაბის მეფობის მეათე წელს“ მას დააფიქსეს „მარდუქის, სამურაბის და შამში-ადადის სახელები“. მარდუქი იყო უზენაესი ღვთაება, სამურაბი — ბაბილონის კანონმდებელი, ხოლო შამში-ადადი — ასურეთის მეფე, რომელსაც, ყველა სხვა დოკუმენტის თანახმად, არ შეეძლო სამურაბის დროს ეცხოვრა. ამის გამო, ეს ფიცი მიიღეს, როგორც „ტრადიციული ფიცის ფორმულა“ და არ დაადგინეს კავშირი სამურაბისა და შამში-ადადის მეფობის წლებს შორის. ზწორედ ამიტომ იყო გამოტოვებული ხეთების ისტორიაში ორი საუკუნე.

ეს გამოტოვება ძველ ეგვიპტელთა, მეტადრე კი ასურელთა ან ბაბილონელთა ქრონოლოგიაში რომ ყოფილიყო, ცხადია, იგი სრულიად შეუძინველი დარჩებოდა, რადგან ფარაონები და ასურელ-ბაბილონელი მეფეები საკმაოდ მრავალრიცხოვანნი იყვნენ; მაგრამ ხეთების სამეფოს აღმოჩენის დროს, რომლის შესახებაც ძალიან მცირე ეპიგრაფიკული მასალა არსებობდა, არ იყო ხეთების მეფეთა სრული სია, ორასი წლის გა-

მოტოვება ძლიერ შესამჩნევი გახდა. ცხადად დაინახეს, რომ საჭირო იყო ქრონოლოგიის გადასინჯვა. ამ ოცი წლის წინ, გერმანელმა ასირიოლოგმა ვაიდენერმა ხამურაბის მეფობა მოათავსა ძვ. წ. 1955—1913 წლებს შუა, ე. ი. მნიშვნელოვნად მოუახლოვა ჩვენს დროს. 1938 წ. ამერიკელმა ოლბრაიტმა დაასახელა ძვ. წ. 1868—1826 წლები; 1940 წელს კი გერმანელი უნგნადი ამტკიცებდა, ხამურაბი ძვ. წ. 1801—1759 წლებში ცხოვრობდაო. ყველანი ცდებოდნენ. სანატრელი დამამტკიცებელი საბუთი, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი გახდა დაედგინათ ხამურაბის მეფობის ხანა, მიიღეს არქეოლოგიური აღმოჩენის შედეგად.

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ერთი ფრანგი ლეიტენანტი სირია-ერაყის საზღვარზე, თელ-ჰარირის მიდამოებში, აკვირდებოდა ბედუინებს, რომლებიც დიდ ქვებს აგროვებდნენ მტაცებელ ნადირთაგან მიცვალებული თანატომელის საფლავის დასაცავად.

როცა ქვების საძებნად წასული ბედუინები დაბრუნდნენ, ლეიტენანტმა გამოიკითხა მათი ძიების შედეგები. სხვათა შორის, ბედუინებმა უამბეს, რომ იპოვეს არაჩვეულებრივი სიდიდის ქვა, რომელიც ფორმით უთავო ადამიანის ფიგურას წააგავდა. ლეიტენანტმა აღნიშნა ეს ფაქტი თავის მოხსენებაში, რასაც შედეგად მოჰყვა პროფესორ ანდრე პაროს ჩასვლა თელ-ჰარირში 1933 წელს. გათხრების დასაწყისშივე აღმოაჩინეს ქანდაკება წარწერით, რომელმაც გაამართლა პროფესორ პაროს ის ვარაუდი, რომ ადგილი, სადაც იგი იმყოფებოდა, „ძველი სამეფო ქალაქ მარის“-ს ნაშთები იყო.

პროფესორი პარო ოცი წლის განმავლობაში მუშაობდა ქალაქ მარის — „წარღვნის შემდგომ მეთე ქალაქის“ — ნაშთების გათხრა-შესწავლაზე, გარდა „იმ უსიამოვნო შესვენებისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომით იყო გამოწვეული“. ასე აღმოჩნდა ის ქალაქი, რომელმაც ადამიანთა ცივილიზაციის სამი ათასწლეული გამოიარა. შაგრამ ყველაზე საინტერესო აღმოჩენა იყო ქ. მარის მეფეთა სახელმწიფო არქივი, რომელიც დაახლოებით 20.000 თიხის წარწერიან ფირფიტას შეიცავდა. იქ იყო: წერილები და ხელშეკრულებები, საბუთები და მოხსენ-

ნებები, ქრონიკები და ყოველდღიურა ჩვეულებრივი ამბები. მათ შორის აღმოჩნდა ერთი სასაცილო ამბავი—„ლომი სხვენზე“ (იმ დროს ლომზე ნადირობა მეფეთა პრივილეგია იყო):

„ასე ამბობს იაკიმ-ადადი, შენი მსახურა. ამას წინათ შემდეგი მივწერე ჩემს ბატონს: „აქაღში, სხვენზე დაიჭირეს ერთი ლომი. თუ ლომი ჩეჭი ბატონის ჩამოსვლამდე სხვენში უნდა დარჩეს, მაშინ ჩემმა ბატონმა მომწეროს; თუ ეს ლომი ჩემს ბატონს უნდა გავუგზავნო, მაშინ მომწეროს ჩემმა ბატონმა“. ახლა, ჩემი ბატონის პასუხი იგვიანებს და აგერ სუთი დღეა, რაც ლომი სხვენზეა. მე მას საკმელად მივუგდე ერთი ძალი და ერთი ღორი, იგი პურსაც ჭამს. მე ვთქვი: „ეს ლომი აურზაურს გამოიწვევს.“ შემეშინდა და ხის გალიაში ჩაკეტე; მე მას ხომალდით გავუგზავნი ჩემს ბატონს.“

მაგრამ მართოდენ ასეთმა ამბებმა როდი მიიპყრეს არქეოლოგთა ყურადღება. მარის არქივში აღმოჩნდა დოკუმენტები, რომლებიც უდავოდ ამტკიცებდა, რომ შამში-ადად I ხამურაბის უფროსი თანამედროვე იყო.

„ასურელ მეფეთა სიამ“ საშუალება მოგვცა შამში-ადადის მეფობა დაახლოებით ძვ. წ. 1780 და 1750 წლებით დაგვეთარიღებინა. აქედან გამოდის, რომ ხამურაბი მეფობდა დაახლოებით ძვ.წ. 1700 წ. ამჟამად, მრავალრიცხოვანი დოკუმენტების შესწავლის შედეგად. შეიძლება დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ ხამურაბი მეფობდა ძვ. წ. 1728 — 1688 წლებში.

ამრიგად, ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი ქრონოლოგიური პრობლემა ამოიხსნა.

ამ დღიდან სინქრონიზმების საშუალებით შეძლეს შეჭრილიყვნენ წარსულის სიღრმეში და გაერკვიათ აქადის მეფე სარგონ I-ის მეფობის წლებიც, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ლეგენდარულ მეფედ მიაჩნდათ. როგორც ჩანს, 2350 წელს (ძვ. წ.) სარგონმა დააარსა პირველი დიდი სახელმწიფო. ეს არის ყველაზე უძველესი თარიღი, რომელიც კი აქამდე მეცნიერებმა ზუსტად გამოთვალეს. ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს ანტონ მორტგატს ეს თარიღი მოჰყავს თავის წიგნში „წინა აზიის ისტორია ელინიზმამდე“, რომელიც 1950 წელს გამოქვეყნდა.



ზენჯირას სსახლის სვეტების საყრდენები

ზემომოყვანილი ხეტების ისტორიიდან ჩვენ უკვე ვიცით, რაოდენ მცირე იყო დასაწყისში გათხრების შედეგად მოპოვებული ეპიგრაფიკული მასალები. მხოლოდ 1907 წლიდან მრავლად მოპოვებულმა აქადურად შედგენილმა ლურსმულმა ტექსტებმა შესაძლებელი გახადა პირველი დასკვნები გამოეტანათ, 1915 წელს კი დაიწყო საკუთრივ ხეთური წარწერების გამოფერვა.

ასირიოლოგთა და ეგვიპტოლოგთა მიერ მიღებულ სინქრონულ ერთობლიობაში იყო ძალზე ბევრი დიდი ხარვეზი და ძალზე ცოტა ზუსტი თარიღი. გამოყენებული არ იყო „მეფეთა სიები“, რადგან ისინი არ მიუთითებდნენ მეფობის წლებს. უფრო მეტიც, განთქმულმა ორსაუკუნიანმა „ხარვეზმა“ მეცნიერებს ისიც კი აფიქრებინა, რომ არსებობდა ხეტების ორი სამეფო — „ძველი“ და „ახალი“ — ამ ხარვეზამდე და მის შემდეგ, მაგრამ ამგვარი დაყოფა საესეებით ხელოვნური იყო.

ახლა, როცა ეს „ხარვეზი“ შევსებულა, ვიცით, რომ ხეტების იმპერიაში არავითარ წყვეტას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, აღდგენილ „მეფეთა სიაშიც“ მხოლოდ ორია ნამდვილად სარწმუნო თარიღი: 1590 და 1335 წლები, დამოწმებული ეგვიპტური და ბაბილონური სინქრონიზმებით: ძვ. წ. 1590 წელს გარდაიცვალა მურსილი I, ხეტების მიერ ბაბილონის აღების ცოტა ხნის შემდეგ; 1335 წელს კი გარდაიცვალა სუფილულიუმა, ტუტანხამონზე ოთხი წლით უფრო გვიან, როგორც აღნიშნავენ ეგვიპტური წყაროები.

ამჟამად უკვე ცნობილია უფრო მეტი სინქრონიზმი. ისინი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ესა თუ ის ამბავი ერთ გარკვეულ ათწლეულში მომხდარა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სამი ათასი წლის წინანდელი ამბები შეიძლება მომხდარიყო ოცი წლით ადრე ან გვიან იმ თარიღთან შედარებით, რომელიც დღეისათვის მიღებულია (უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს შეცვლიდა საერთო ისტორიულ სურათს), შეიძლება ითქვას, რომ ხეტების ქრონოლოგია კარგად ყოფილა ცნობილი.

ვიდრე ამ თავს დავასრულებდეთ, რომელიც ქრონოლოგიას ეხება, აღვნიშნოთ დათარიღების ახალი, თავისებური მეთოდი,

რომელიც უკანასკნელ წლებში არქეოლოგიას მისცა მეცნიერებამ ატომის შესახებ.

ეს მეთოდი ემყარება იზოტოპ  $C_{14}$ -ის თვისებებს; ქიმიკოსთა სიტყვით, იზოტოპი არის ერთი და იგივე ქიმიური ელემენტის ატომები, რომელთაც სხვადასხვა წონა აქვთ. არსებობს ბუნებრივი და ხელოვნური იზოტოპები. ბუნებრივს ეკუთვნის  $C_{14}$ -ეც — ნახშირბადის იზოტოპი, რომელიც იქმნება ჩვენი პლანეტის ატმოსფეროს ზედა ფენებში კოსმოსური სხივების გავლენით აზოტის ატომის დაშლის შედეგად. ამ ძლიერ იშვიათ იზოტოპს ითვისებენ მცენარეები და (მცენარეთა მეშვეობით) ცხოველები. ისინი რადიოაქტიურია და ჩვენთვის სწორედ ეს არის საინტერესო, რადგან ცნობილია მათი „სიცოცხლის ხანგრძლივობა“, ე. ი. დაშლის სიჩქარე. მცენარის ან ცხოველის სიკვდილის შემდეგ მისგან  $C_{14}$  იზოტოპის გამოყოფა წყდება. ამის მიხედვით, მკვდარ სხეულში, იქნება ეს ბოჭკო თუ ძვლის მცირე ნაწილი, არსებული იზოტოპ  $C_{14}$ -ის რაოდენობის მიხედვით შეიძლება ამ ნაშთების ხნოვანების განსაზღვრა.

ამ დარგის უდიდესი სპეციალისტია ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი დოქტორი უილიარდ ლიბი. იგი დაიბადა 1908 წ. კოლორადოს შტატში; სურდა ინჟინერი გამოსულიყო, მაგრამ ქიმია ამჯობინა და რადიოაქტიური მოვლენების სპეციალისტი გახდა.

ძველი მსოფლიოს ქრონოლოგიის შესწავლის ისტორიაში ღირსშესანიშნავი თარიღია 1948 წლის 9 იანვარი. ამ დღეს დოქტორ ლიბის თავმჯდომარეობით გაიმართა ძველი მსოფლიოს ქრონოლოგიასთან დაკავშირებული მეცნიერების ყველა დარგის წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობამ განიხილა ახალი მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა უძველეს ნამარხთა ნაშთების ხნოვანების გამოსათვლელად. თათბირის შემდეგ ლიბიმ თავის ლაბორატორიაში შეაგროვა უცნაური კოლექცია, რომლის მსგავსი არავის უნახავს თანამედროვე ქიმიურ ლაბორატორიაში: ძვლების ნატეხები და მცენარეთა ნაშთები, ქსოვილისა და ხის ნაჭრები, ადამიანთა და ცხოველთა სეშტები, მათი ექსკრემენტის ნიმუშები საფლავებიდან და ურ-



ნებიდან, პირამიდებიდან და ძველი ტაძრებიდან, შეგროვილი ყველა ეპოქისა და ყველა ხალხის დიდი მეფეების, ფარაონების, მოგოლებისა და რაჯების ქვეყნებში.

მას შემდეგ დოქტორი ლიბი განაგრძობს მუშაობას; ანალიზების შედეგებსა და მიღებულ ქრონოლოგიურ დასკვნებს უდგენს სპეციალისტებს შესამოწმებლად და განსასჯელად. ამ მონაცემების მიხედვით მეცნიერებს მრავალჯერ მოუხდათ თავიანთი დასკვნების შეცვლა. თავდაპირველად დოქტორი ლიბი ვარაუდობდა შეცდომას 180 წლით. მაგრამ შემდეგში მან შეძლო თავისი მეთოდის გაუმჯობესება. მან უდავოდ იპოვნა ახალი, საკმაოდ საიმედო ხერხი ისტორიული ხნოვანების განსაზღვრისათვის. არქეოლოგთათვის წარმოუდგენელი იყო, რომ ძველად საგნებს, მაშინაც კი, როდესაც ისინი განცალკევებულად, ყოველგვარი არქეოლოგიური კავშირის გარეშე არიან, შეეძლოთ გამოემყვანებინათ თავიანთი „ხნოვანება.“ ეს მეთოდი განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევს „წინაისტორიის“ შემსწავლეებს, რადგანაც აქამდე ისინი, რაც უფრო ღრმად იჭრებოდნენ წარსულში, იძულებულნი იყვნენ დაეკმაყოფილებულიყვნენ სულ უფრო ბუნდოვანი და უფრო გაურკვეველი მონაცემებით. კაცობრიობის ხნოვანების გამოთვლა დღეს უკვე სხვადასხვა სპეციალისტთა—ძველი ისტორიის სპეციალისტთა, ზოოლოგთა და გეოლოგთა — თეორიების კომბინაციის შედეგად კი არ განისაზღვრება, არამედ იგი დამოკიდებულია ზუსტ გაზომვებზე.

თავისთავად ცხადია, რომ ქრონოლოგიამ, როგორც მეცნიერებამ, რომლის მიზანს შეადგენს ძველი ისტორიის გარკვეული პერიოდებისა და ეპოქების შესწავლა, ამის შემდეგ როდი დაკარგა თავისი მნიშვნელობა. თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიზანია არა მეფეთა და იმპერიათა ისტორიის აღდგენა, არამედ კაცობრიობის ცივილიზაციის ზოგადი ისტორიის შესწავლა; არა ცალკეული სამეფოების აღზევების ან დაცემის აღწერა, არამედ მთელი კაცობრიობის ცხოვრების გამოკვლევა. მაგრამ რაც უფრო ღრმად ვიჭრებით ძველ ცივილიზაციათა სიღრმეში, სულ უფრო იძულებული ვართ დასაწყისში დავკმაყოფილდეთ თუნდაც მხოლოდ მეფეთა ისტორიის აღდგენით. მეფეთა შო-

რის ბევრია ისეთი, რომელთა არსებობა ჩვენთვის ახლა ცნობილია, მაგრამ არც მათ და არც მათ თანამედროვეებს არ დაუტოვებიათ თავიანთი არსებობის მცირეოდენი კვალიც, რაც შესაძლებლობას მისცემდა მეცნიერებს ქიმიურ ლაბორატორიაში ეწარმოებინათ კვლევა-ძიება.



## ქადეშის ბრძოლა და საშუალო ზავი

წინა აზიის ქრონოლოგიაში მოპოვებულმა გარკვეულმა წარმატებებმა მკვლევარებს საშუალება მისცა გადაესინჯათ მცირე აზიის ქრონოლოგიური პრობლემებიც. თანდათან ნათელი ხდებოდა, რომ თელეფინუდან თუთხალია II-მდე ხეტების ისტორიაში არავითარი „ორასწლიანი უცნობი პერიოდი“ არ არსებობდა. ეს ჰიპოთეზა დილის ნისლივით გაქრა.

მართლაც, კანონმდებელ მეფეს — თელეფინუს (დაახლ. 1500 წ. ძვ. წ.) თითქმის უშუალოდ მოჰყვება თუთხალია II (1460—1440 წწ. ძვ. წ.). მათ შუა არსებულ პერიოდში განაგებდა რამდენიმე მეფე, რომელთა შესახებ, გარდა სახელებისა, არაფერი ვიცით.

მიუხედავად ამისა, სწორედ ამ დროს მოხდა წინა აზიაში უმთავრესი ისტორიული მოვლენები. ზუსტად რომ ვთქვათ, ჩნელი დასადგენია, სახელდობრ, სად და როდის მოხდა აქ მცხოვრებ ხალხთა ცხოვრებაში ის ცვლილებები, რომლებიც თავდაპირველად არც იყო შესამჩნევი, მაგრამ რომელთაც ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის შუა ხანებში მოულოდნელად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა.

ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ხეტების სამეფოს აღმოსავლეთით, სირიამდე, გამოჩნდნენ ხურიტების ცალკეული ჯგუფები, რომელთაც ამ დროისათვის ინდო-ირანული წარმოშობის მეფეთა (ზოგიერთი მათგანი ინდურ სახელს ატარებდა) მმართველობით შექმნეს მითანის მძლავრი სახელმწიფო მაღალგანვითარებული კულტურით. ხურიტებმა ისარგებლეს ხეთი მეფეების სისუსტით, რომლებიც მურსილი I-ის მო-



სამეფო კარიბჭეები ხათუსაში (რეკონსტრუქცია)

მდევნო პერიოდში ცხოვრობდნენ. მითანის სამეფო უკვე საშიშროებად იქცა ხათის სახელმწიფოსათვის.

ამავე დროს ბალხთა დიდი ჯგუფების გაერთიანებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც ჩანს, ჰიქსოსების უეცარი და გამანადგურებელი შეჭრა ეგვიპტეში.

წყაროების ანდა რაიმე სხვა ზუსტი ცნობების უქონლობის გამო, ეს შეჭრა მითიურად გვეჩვენება. ისტორიის უკუწინააღმდეგობრივი

უეცრივ ჩნდება ეს ველური ხალხი („მწყემსების მეფენი“ „გადამთიელი წინამძღოლნი“), რომელმაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გადმოიარა პალესტინა და მიაღდა ნილოსის დელტას, განდევნა ფარაონები, ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და ერთი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა ამ მხარეში. შემდეგ ფარაონმა ამოზისმა დაამხო მათი ძლიერება და განდევნა ისინი ეგვიპტიდან. ეს ხალხი ისევე სწრაფად და უკვალოდ გაქრა საუკუნეთა სიღრმეში, როგორც მოგვევლინა.

ხურიტების გაძლიერება, ჰიქსოსთა გრანდიოზული გადაადგილება (შესაძლოა, მასში ხურიტებიც მონაწილეობდნენ), ირანიდან კასიტების შემოჭრა, რომლებმაც მურსილის მეფობის დროს დაიპყრეს ხეთების მიერ დანგრეული ბაბილონი, და მათი იქ გაბატონება — ასეთია მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელთაც პოლიტიკოსები ხედავენ ხალხთა ახალ გადასახლებაში ახლო აღმოსავლეთში.

მაგრამ მხოლოდ ამის დანახვა უმთავრესისადმი უყურადღებობის გამოჩენა იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში, უეცრად მომხდარი ხალხთა ეს დიდი გადასახლება წარმოგვიდგება როგორც ერთ-ერთი იმ მრავალთა შორის, რასაც ადგილი ჰქონდა წინა აზიაში. ეტყობა, რაღაც ახალი მოხდა. ამ ახალმა გამოიწვია ჰიქსოსების ნიაღვარივით მოსკდომა და გამარევილი უოლუციონერებელი გავლენა მოახდინა წინა აზიის კულტურული სამყაროს შემდგომ ისტორიაზე, აქედან გამომდინარე, მთელი მსოფლიოს ისტორიაზეც.

ბოლაზ-ქოის ახლოს, ძველ ხათუსაში გათხრების დროს ნაპოვნი იქნა დაახლოებით ათასსტრიქონიანი ტექსტი, რომელიც შეიცავდა მითითებებს მეცხენეობის საკითხებზე. აქედან ჩანს, რომ სადღაც ხეთებში, ხურიტებში, კასიტებში თუ ბარბაროს ჰიქსოსებთან სრულყოფილად ცხენის გაწვრთნის მეთოდებს; აუმაჯობესებდნენ ცხენოსნობას, იგონებდნენ ორთველიან, ახალი ტიპის საომარ ეტლს, რომელიც მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ტექსტი შედგენილია ხეთურად სამიათას ოთხასი წლის წინათ, მაგრამ მისი ავტორი ყოფილა ვინმე „კიკული მითანის ქვეყნიდან“, მაშასადამე, ხურიტი. ეს ტექსტი შეიცავს პრავალ ტექნიკურ ტერმინს, რომლებიც წარმოშობით ნამდვი-


ლად სანსკრიტულია. ეს გასაკვირიც არ არის — ხურიტთა მეფეებს ხომ ინდური სახელები ერქვათ.

ამის მიხედვით დაასკვნეს, რომ ხეთების მეფეს ცხენების მწვრთნელად მითანელი ჰყოლია (ეტყობა, იმ დროს მითანში ცხენების საუკეთესო მწვრთნელები ყოფილან), რადგან უნდოდა ადგილობრივი ჯიში, როგორც ახლა ვიტყვოდით, „მეცნიერების უახლესი მიღწევების თანახმად გაეუმჯობესებინა.“ ცხენის გაწვრთნის წესები „კიკულის ტექსტში“ შედგენილია დიდი პედანტობით, რაც ამ საქმეში ხანგრძლივი ტრადიციის არსებობაზე მიუთითებს. ცხენის წვრთნა შვიდ თვეს გრძელდებოდა; დაწვრილებითაა აღწერილი ყველა მეთოდის გამოყენება.

უდავოა, რომ მეცხენეობის „გამომგონებელნი“ არც ხეთები და არც ხურიტები არ ყოფილან, და რომ ამ ხალხებს როდი წარმოუშვიათ .ის პირველი ცხენოსნები, რომლებიც შემდეგ გამოჩნდნენ აღმოსავლეთში. უფრო მეტიც, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ხეთებს არ გამოუგონიათ საომარი ეტლები, რომელთა გამოყენებისათვის საჭიროა ცხენების წინასწარ გაწვრთნა; ამას გარდა, ბრძოლის წარმოების ეს ახალი საშუალება ეფექტური იქნებოდა ამ საქმეში განსწავლული ადამიანების გამოყენებით.

ხურიტების, კასიტებისა და ჰიქსოსების დიდი გადასახლება იქველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა ხანებში თითქმის არ შეხებია ხეთების იმპერიის ცენტრს, ე. ი. მდ. ჰალისის შუა წელის რაიონს. ხეთებმა მხოლოდ მეცხენეობის ცოდნა შეითვისეს მეზობლებისაგან. მათ გააუმჯობესეს ცხენის გაწვრთნის მეთოდები და გაამდიდრეს იგი საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებებით. ამის შედეგად შექმნეს ისეთი მსუბუქი საბრძოლო ეტლი, რომელმაც საშუალება მისცა მათ მოეგოთ უძველესი დროის ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა. როგორც „ძველი აღთქმიდან“ ვიგებთ, გაცილებით უფრო გვიან სირიელები შიშით ცახცახებდნენ, როცა ხეთების ეტლების გრიალს გაიგონებდნენ.

გასაოცრად გვეჩვენება, რომ ცხენის მოშინაურობის პირველი შედეგი იყო არა ცხენოსანთა რაზმების, არამედ საო-



ხეთური საბრძოლო ეტლი (რეკონსტრუქცია)

მარი ეტლების რაზმის შექმნა. მაგრამ იმ დროს, როცა ცხენოსანთა რაზმების მნიშვნელობა გაიზარდა, ახლო აღმოსავლეთში ხეთები უკვე აღარ იყვნენ. მათთან ერთად გაქრა ცხენოსნობისა და მისი გამოყენების ხელოვნებაც: არც ბერძნები და არც რომაელები არ იცნობდნენ კავალერიას; მათ ჰყავდათ მხედრები, მაგრამ არ ჰყავდათ ცხენოსანი რაზმები.

ხეთების მიერ სრულყოფილი მსუბუქი სამხედრო ეტლები თავის დროს სრულიად ახალი მოვლენა იყო. ისე რომ, იგი მართლაც ნამდვილ გამოგონებას წარმოადგენდა; ასირიოლოგები ცდებიან, როცა ამტკიცებენ, ჯერ კიდევ შუმერებს ჰქონდათ ეტლები. ვულის მიერ ურში ნაპოვნ „მოზაიკის დროშაზე“ აშკარად ჩანს, რომ „შავთავიან ხალხს“ (ამ ეპითეტით აღნიშნავენ შუმერელებს) მართლაც ჰქონდათ ტლანქი, მთლიანთვლიანი ხარებშებმული ურმები. ისინი კიდევაც რომ გამოეყენებინათ ბრძოლის ველზე, საეჭვოა, მათ რაიმე სარგებლობა მოეტანათ. ეს ურმები წააგავდა ტლანქ ეტლებს, რომლებიც შუა საუკუნეებში ნელა მიჰყვებოდა უკან ქვეით ჯარს და მას უფრო „მორალურ“ დახმარებას უწევდა. სინამ-

დვილემში, ამ ურმებით, ალბათ, ჯარის სანოვაგე მიჰქონდათ. ხეთების მსუბუქი ეტლების უპირატესობა მათ სისწრაფეში იყო. ამ ეტლს ჰქონდა ორი ბორბალი, თითოეული ექვს-ექვსი მანათი, რაც მას XIX საუკუნის ინგლისური ორცხენას სიკოხტავესა და სიმსუბუქეს აძლევდა. ამგვარი საბრძოლო ეტლების შეთავსება ჯარის ნაწილებთან იყო ის უმთავრესი აღმოჩენა, რამაც შეცვალა ომის წარმოების მთლიანი ტაქტიკა.

ეტლების გაქანებული დატაკება, მტერის კორიანტელი, ცხენების ჰიხვინი და მათი ფლოქვების თქარუნი, მეეტლეთა და მეომართა ღრიანტელი (ხეთების ეტლში მეეტლე და ორი მეომარი იმყოფებოდა) და იარაღის ეღარუნი შეარყევდა ომებში გამოცდილ ქვეითი ჯარის ყოველ ერთეულს. წვიმასავით მოდიოდა ისრები, ცხენები ფლოქვებით არღვევდნენ მეომართა რიგებს; ამ გაოგნებულ არეულობაში მიჰქროდნენ ეტლები და ანადგურებდნენ გარშემო ყველაფერს; შუბებზე წამოგებულნი, დაცემული ცხენები კი თელავდნენ მტრის მეომრებს.

ცხენისა და ადამიანის ოფლისა და სისხლის სუნი, ავარდნილი მტერის კორიანტელი სწამლავდა ჰერს. ზევიდან კი ბრძოლის ველს სეავეები დასტრიალებდნენ. ძვ. წ. II ათასწლეულის ასეთი ბრძოლების აღწერა გამოდგებოდა მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ბრძოლებისათვისაც.

მაგრამ ნუ დავშორდებით ჩვენს თემას, ე. ი. ხეთების ცივილიზაციის აღმოჩენის ისტორიას. ვიდრე ომის ატმოსფეროში ჩავეფლობით და აღვწერთ უძველესი დროის ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლის მსვლელობას, როცა ორმა მტრულმა ქვეყანამ ერთმანეთის პირისპირ ჩაამწყრივა საბრძოლო ეტლები, საჭიროა განვმარტოთ ის ფაქტები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ ამ კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი.

უკანასკნელი გამოკვლევებით ირკვევა, რომ თელეფინუს სიკვდილის შემდეგ მითანი უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა ახლო აღმოსავლეთში. მიუხედავად ამისა, ხეთების სამმა მეფემ: თუთხალია II-მ, ხათუსილი II-მ, თუთხალია III-მ და, ალბათ, არნუვანდა II-მაც შეძლეს გადაერჩინათ ხეთების იმ-

პერია უდიდესი ნგრევისაგან, თუშცა თუთხალია II-ის დროს შინაგანი არეულობა სახელმწიფოს მთლიანობის დარღვევას ემუქრებოდა.

ამ პერიოდის შესახებ, რომელიც გრძელდება ძვ. წ. 1375 წლამდე, ცოტა რამ ვიცით. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს ხანა მეორეხარისხოვნად ჩავთვალოთ. ასოცდახუთი წელიწადი დიდი მონაკვეთია ერის ცხოვრებაში. არ უნდა გაგვიტაცოს რიცხვებმა; ძველი ისტორიის ათასწლეულთა ანგარიშში გვაევიწყდება ხოლმე საუკუნეები. მაგრამ თითო საუკუნე, სულ ცოტა, სამ თაობას მაინც უდრის და ისინი თავიანთ კვალს აჩვენებენ ისტორიას.

არსებობდას მომდევნო სუფილულიუმა I (1375—1335 წწ. ძვ. წ.) ხეთების უდიდესი მეფე იყო, „მეფეთა მეფე“, ნამდვილად დიდი სახელმწიფოს ახალდამაარსებელი.

სუფილულიუმა I ყოველმხრივ ძლიერი პიროვნება ყოფილა; შესანიშნავი ადამიანი, მამაცი, გადაწყვეტილებათა სწრაფად მიმღები; თუ გაუქირდებოდა, დაუშრეტელ ენერგიას იჩენდა. სუფილულიუმა პოლიტიკურ სიბრძნეს, ზომიერებასა და მოთმინებას იჩენდა რელიგიურ საკითხებში. მორალისა და იურიდიულ პრინციპთა დაცვაში სასტიკი ყოფილა; ამას ადასტურებს უამრავი ხელშეკრულება, რომელიც მას ორმოცი წლის მეფობის განმავლობაში დადო. აი, ერთი მაგალითი: სუფილულიუმამ თავისი და ხაიასას მეფეს მიათხოვა. პატარძალი მისმა ნახევარდებმა და მხლებლებმა გააცილეს. მაგრამ თურმე ხაიასაში, ხეთების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ბარბაროსული ჩვეულება ჰქონიათ: ცოლ-ქმრობა და-ძმას შორის, ნათესავთა და ახლობელთა სისხლის შერევა, ნებადართული ყოფილა; სუფილულიუმას ეს არ მოეწონა. მან წერილი გაუგზავნა ხაიასას მეფეს და შეატყობინა: „ხათუსაში ეს დაშვებული არ არის... ვინც ამას გაბედავს, ის მოკვდება!“ თავისი სიტყვები რომ დაამტკიცოს, მას მოჰყავს ვინმე მარის მაგალითი, რომელსაც სუფილულიუმას მამამ — თუთხალიამ დანაშაულზე წაასწრო და ბრძანა მოეკლათ იგი. შემდეგ ხეთების მეფე ასკვნის: „შემთხვევას, რომელიც ერთი კაცის სიკვდილის მიზეზი გახდა, მოერიდე!“





სუფილულიუმამ ხათუსა ციხე-ქალაქად გადააქცია; მისი შეფობის დროს ააგეს მაგარი ვალავანი, რომელიც ციხე-სიმაგრის სამხრეთ მხარეს იცავდა. მან ომი გამოუტხადა დიდსა და ძლიერ მითანის სამეფოს, გადალახა ევფრატი, აიღო და გადაარცვა ხურიტების დედაქალაქი. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ დამარცხებულნი მონებად გაეხადა, მან ისინი მოკავშირეებად გამოაცხადა და თავისი ერთ-ერთი ქალიშვილი მითანის სამეფოს ტახტის მემკვიდრეს მათივანას მიათხოვა.

შემდეგ მან დაიპყრო სირია, რომელიც დიდი ხნის მანძილზე დავის საგანი იყო, დაიმორჩილა ქალაქ-სახელმწიფოები — ალეპო და ქარხემიში და იქ თავისი ორი ვაჟი გაამეფა. სწორედ რომ ბედი სწყალობდა მას ომებში: სირიაში მას წინააღმდეგობა არ გაუწია იმ მოწინააღმდეგემ, რომელიც ყველაზე საშიში იყო; ეგვიპტის ფარაონი ამენჰოთეფ IV, ერეტიკოსი მეფე, ამ დროს დაკავებული იყო მრავალღმერთიანობის კულტის შეცვლით მზის ღმერთის კულტით; ხოლო მისი მემკვიდრე ტუტანხამონი თვრამეტი წლისა გარდაიცვალა. ამ შემთხვევათა წყალობით სუფილულიუმამ არამცთუ დაიპყრო სირია, არამედ იქ თავისი ბატონობაც დაამყარა და დიდხანს ახორციელებდა საერთო საიმპერიო პოლიტიკას. თავისი გამარჯვებებით გათამამებულმა დაიწყო საკუთარი პიროვნების განდიდება. მაშინ, როცა მისი წინაპრები მხოლოდ „მეფის“ სახელით კმაყოფილდებოდნენ, მან დაირქვა „ლაბარნა, დიდა მეფე, ხეთების ქვეყნის მეფე, გმირი, ჭეჭა-ქუხილის ღმერთის სათაყვანებელი“, ხელშეკრულებებში კი ასე იწოდებოდა: „ჩემი მზე“.

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ უცხოელები სუფილულიუმას მიერ განხორციელებულ პოლიტიკას, მოწმობს ერთი მიწერ-მოწერა, რომელსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს და გვიხატავს კიდევ ისეთ ადამიანურ თვისებებს, რომ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მას.

ეს მიწერ-მოწერა ჩვენთვის ცნობილია სუფილულიუმას ვაჟის მურსილი II-ის წყალობით. მურსილი აღნიშნავს ყველა იმ შესანიშნავ ფაქტს, რომლებიც მამამისისა და მისი მეფობის დროს მოხდა. საქმე ეხება წერილს, რომელსაც სუფილუ-

ლიუმას უგზავნის ეგვიპტის დედოფალი, ადრე გარდაცვლილ ტუტანხამონის უშვილო ქვრივი ანხესენამონი. იგი სთხოვს ხეთების მეფეს, მისცეს ქმრად ერთ-ერთი თავისი ვაჟი, რათა შემდგომ მან ფარაონის ტახტი დაიკავოს.

უძლიერესი ქვეყნის სასახლიდან გაგზავნილი ეს თხოვნა იმდენად სენსაციური ყოფილა, რომ თვით სუფილულიუმამაც კი ვერ შეძლო სწრაფად მიეღო შესაფერი გადაწყვეტილება; იმ დროს იგი ბრძოლას აწარმოებდა ქარხემიშის წინააღმდეგ. შემდეგ კი განაგრძო ძლევამოსილი შეტევა და დაიპყრო ამკა — ლიბანსა და ანტილიბანს შორის მდებარე ქალაქი-სახელმწიფო. აი, რას მოგვითხრობს მურსილის მათიანე:

„როცა ეგვიპტელებმა შეიტყვეს ამკას დამარცხების ამბავი, შეშინდნენ. და რადგანაც მათი მეფე გარდაიცვალა, ქვრივმა დედოფალმა შიკრიკები გამოუგზავნა მამაჩემს და მოსწერა შემდეგი:

„ჩემი ქმარი გარდაიცვალა, მე კი არა მყავს ვაჟი. ყველა ამბობს, რომ შენ ბევრი ვაჟი გყავს. თუ შენ ისურვებ მომცე ერთი მათგანი, იგი გახდება ჩემი ქმარი... მე ხომ არ ავიყვან ჩემს ქვეშევრდომს და არ ვაღირსებ იყოს ჩემი ქმარი?“

სუფილულიუმა განცვიფრდა. მურსილი დასძინა: „მამაჩემმა როგორც კი გააგო ეს, მაშინვე მოიწვია ხეთების დიდებულთა საბჭო“. ერთი რამ ცხადი იყო: მეფე არ ენდობოდა ამ მოულოდნელ თხოვნას. როგორც ოჯახის მამას, მას ჯერ ცნობები უნდოდა შეეკრება, ვიდრე ვაეს ამ საეჭვო ავანტურაში გახვევდა. მან გაგზავნა ელჩი, რათა გამოერკვია მდგომარეობა: „წადი და მომიტანე სწორი ცნობები! იქნებ მათ ჩვენი მოტყუება უნდათ? იქნებ მათ უკვე ჰყავთ ტახტის მემკვიდრე? მაშ, მომიტანე სწორი ცნობები!“

ამავე დროს იგი განაგრძობს ბრძოლას: მისმა ჯარებმა ალკა შემოარტყეს ქარხემიშს და ერთი კვირის შემდეგ აიღეს ქალაქი. მურსილის მათიანე აღნიშნავს, რომ ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი: ოქრო, აურაცხელი ბრინჯაოს ნივთები, დაატყვევეს 3300 კაცი.

სწორედ ამ დროს მოვიდა ეგვიპტის დედოფლის გამოგზავნილი შიკრიკი, რომელსაც სუფილულიუმამ ისეთივე თავ-

შეკავებითა და იმავე სიტყვებით უპასუხა, როგორც პირველად. ნაწყენმა დედოფალმა ახალი წერილი გამოუგზავნა სუფილულიუმას და თავისი წინადადება გაიმეორა:

„შენ რად სთქვი, „მათ ჩემი მოტყუება უნდათო...“ მე მხოლოდ შენ მოგწერე და არა სხვა ქვეყნის მეფეს. ყველა ამბობს, რომ შენ ბევრი ვაჟი გყავს. მომეცი ერთი მათგანი. ის იქნება ჩემი მეუღლე და იმეფებს ეგვიპტეში!“ მურსილი ზუსტად აღნიშნავს: „რადგანაც მამაჩემი კეთილად იყო განწყობილი, მიიღო ამ ქალის თხოვნა და შეუდგა თავისი ვაჟის მომზადებას“. სამწუხაროდ აქ თავდება თხრობა.

ირკვევა, რომ სუფილულიუმამ გაგზავნა თავისი ვაჟი ეგვიპტეში, მაგრამ გზაში პრინცი მოკლეს, ეტყობა, დიდებულთა ერთი ჯგუფის დავალებით, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ სამეფო ტახტზე უცხოელის ასვლისა. ამ სამიათას სამასი წლის წინანდელ წერილში დღესაც კი იგრძნობა ისტორიის მაჯისცემა და ინტერესი გეზადებათ: ნეტავ, რა მოხდებოდა, ხეთი მართლაც რომ ასულიყო ფარაონთა ტახტზე?

საზოგადოდ, დამაარსებლის სიკვდილი საბედისწეროა ისეთი იმპერიისათვის, როგორიც სუფილულიუმამ შექმნა. შთამომავლობითი მემკვიდრეობის კანონი როდი ნიშნავს იმას, რომ დიდი მეფის მემკვიდრეც ასევე დიდი მეფე იქნება. მაგრამ არაჩვეულებრივმა გარემოებებმა, რაც იშვიათად ხდება ხოლმე ისტორიაში, საშუალება მისცა ხეთების ძლიერ იმპერიას გაეგრძელებინა არსებობა სუფილულიუმას შემდეგაც, მისი მემკვიდრე არნუვანდა III (1335 — 1334 წწ. ძვ. წ.), ახალგაზრდა, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის მქონე, შავმა ჭირმა იმსხვერპლა ტახტზე ასვლიდან ერთი წლის შემდეგამეფდა სუფილულიუმას მეორე ვაჟი მურსილი I (1334 — 1305 წწ. ძვ. წ.), რომელიც თავისი მამის ღირსეული მემკვიდრე გამოდგა.

ანალების, ქრონიკების კრებულის, ხელშეკრულებების, დოკუმენტების, მეტადრე კი შავი ჭირის საწინააღმდეგო ლოცვების მიხედვით, მურსილი მამასთან შედარებით სულ სხვა პიროვნება ყოფილა.

თუ სუფილულიუმა კეთილშობილი და ფართო შეხედუ-

ლებების მქონე ადამიანი იყო, მურსილი პირიქით, გადაწყვეტილებას ხან მტკიცედ მიიღებდა, ხან კი მერყეობდა.

როგორც კი ტახტზე ავიდა, მურსილი იძულებული გახდა იარაღისათვის წიემართა, რათა მამამისის მონაპოვარი დაეცვა. ორწლიანი გამანადგურებელი ლაშქრობის შემდეგ მან დაამხო არცავეს ქვეყნის ძლიერება, რომელიც მდებარეობდა მცირე აზიის სამხრეთით (დანამდვილებით ამ ქვეყნის შესახებ დღესაც ბევრი რამ არ ვიცით); იბრძოდა აღმოსავლეთის საზღვრებზე, ჩღდილოეთით ლახვარს სცემდა ქასქების ტომებს, ებრძოდა აგრეთვე ახიაველებს, რომლებსაც ზოგიერთი არქეოლოგი მიკენის აქეველებად მიიჩნევს.

ამასთან ერთად მურსილი საკუთარ თავსაც ებრძვის: იგი ფიზიკურად სუსტი იყო და ფიქრობენ, რომ ლაპარაკიც უძნელდებოდა. როგორც ღრმა მისტიკოსი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რელიგიურ პრობლემებს. მურსილის ხასიათის გარკვევაში გვეხმარება მისი ლოცვანი შავი ჭირის წინააღმდეგ. ეს ლოცვები მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებთაგანია. ამ ლოცვებს „იობის წიგნს“ ადარებენ. მართლაც, ორივე შემთხვევაში ორი ტანჯული ადამიანი შებრალებას შესთხოვს ღვთაებას.

მურსილის „ლოცვანი შავი ჭირის წინააღმდეგ“ ამაღლებელ დოკუმენტს წარმოადგენს.

აი ერთი ნაწყვეტი:

„ხათის ქექა-ქუხილის ღმერთო, ჩემო მბრძანებელო, და თქვენ, ღმერთებო, ჩემო მბრძანებელნო, ეს ასეა: ჩვენ შეგცოდეთ.

მამაჩემმაც შეგცოდეთ, მან დაარღვია ჩემი მბრძანებლის, ხათის ქექა-ქუხილის ღმერთის სიტყვა.

მაგრამ მე ხომ არ ჩამიღენია არავითარი ცოდვა.

ეს ასეა: მამის ცოდვა შვილზე გადადის. მამაჩემის ცოდვაც ჩემზე გადამოვიდა.

მაგრამ მე ახლა მოვინანიე, ხათის ქექა-ქუხილის ღმერთო, ჩემო მბრძანებელო, და ღმერთებო, ჩემო მბრძანებელნო. ეს ასეა: ჩვენ ჩავიდინეთ ეს... და რადგანაც მე ვალიარე მამაჩემის ცოდვა, მაშ დამშვიდდეს ქექა-ქუხილის ღმერთი, ჩემი მბრძანებელო, და ღმერთები, ჩემი მბრძანებელნი.

იყავ კვლავ მოწყალე ჩვენს მიმართ და განდევნე ჭირი ხათის ქვეყნიდან.

...თქვენ, ღმერთებო, ჩემო მბრძანებელნო, რომელთაც გსურთ აილოზა

თუთხალის სისხლი, მათ, ვინც მოჰკლა თუთხალია, გამოისყიდეს მკვლელობა.

ხეთების ქვეყანაც დალუბა ამ მკვლელობამ, მაშასადამე, ხათის ქვეყანამაც ხომ გამოისყიდა დანაშაული.

რადგან ის დანაშაული ახლა ჩემზე გადმოვიდა,

მე და ჩემს ოჯახს გვინდა გამოვიხსილოთ ეს დანაშაული...

ოღონდ ღმერთების, ჩემი მბრძანებლების სული დაწყნარდეს. იყავთ კვლავ მოწყალენი ჩემს მიმართ, ჩემო მბრძანებელნო, და მე წარვდგები თქვენს წინაშე.

და მისმინეთ, რადგან მე მოგმართავთ ლოცვით! რადგან მე არ ჩამიდენია არავითარი ბოროტება და ისინი, ვინც ცოდვა და ბოროტება ჩაიდინა, დღეს აღარ არიან ცოცხალნი.

მაგრამ რადგან მამაჩემის ცოდვა ჩემზე გადმოვიდა,

მე თქვენ გაძლევთ სამაგიეროს, ღმერთებო, ჩემო მბრძანებელნო, ჭირის მიზეზის გამო, ხათის ქვეყნისათვის...

განდევნე ტყვილი ჩემი გულიდან, მოაშორე კაეშანი ჩემს სულს!"

მურსილიმ თავის ვაჟს მუვათალის (1306—1282 წწ. ძვ. წ.) ისეთი იმპერია დაუტოვა, რომელსაც მხოლოდ შენარჩუნება სჭირდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში „შენარჩუნება“ ბრძოლას ნიშნავს.

ამ დროისათვის ეგვიპტემ გადამწყვეტი ცვლილებანი განიცადა; ათეული წლების მანძილზე დასუსტების პერიოდის შემდეგ (რაც მეფე-ერეტიკოსის ამენჰოთეფ IV-ის რელიგიური რეფორმების შედეგი იყო) ეგვიპტეს მოევლინა ენერგიული პიროვნება — რამზეს II, რომელმაც განიზრახა დაებრუნებინა თავისი ქვეყნისათვის წარსული დიდება და პირველობა.

როცა რამზეს II-მ ხელთ აიღო ძალაუფლება, აშკარა გახდა, რომ საზღვარი, რომელიც სირიაში ხეთებისა და ეგვიპტელების გავლენის ზონებს ჰყოფდა, ადრე თუ გვიან უნდა გადასინჯულიყო. სწორედ მუვათალის მოუწია გალაშქრება უძველესი დროის ამ უძლიერესი მეფის წინააღმდეგ და დაამარცხა კიდევ იგი კადეშის ბრძოლაში.

ძვ. წ. 1296 წ. მოხდა კადეშის ბრძოლა, რომელიც ეგვიპტელებმა რამზეს II-ის მეთაურობით გაუმართეს ხეთებს და მათ აზიელ მოკავშირეებს მუვათალის ხელმძღვანელობით. როგორადაც არ უნდა დამთავრებულიყო ეს ბრძოლა — ხეთებისა თუ ეგვიპტელების გამარჯვებით, ანდა შედეგი გაურკვეველიც

რომ დარჩენილიყო, იგი მაინც გადაწყვეტ როლს ითამაშებდა მსოფლიო ისტორიაში, რადგან, ასე თუ ისე, გავლენას მოახდენდა სირიისა და პალესტინის ბედზე. ეს იყო ეგვიპტისა და ხათის ძალების გამოცდა.

მდინარე ორონტის ნაპირზე. კადეში გამართულ ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორედ ჩვენი წიგნისათვის. ეს იყო ისტორიაში პირველი ბრძოლა, რომლის მსვლელობა სწორად შეგვიძლია აღვადგინოთ. მისი დაგვირგვინება იყო პირველი საზავო ხელშეკრულება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კადეშის ბრძოლას ჰქონდა თავისი წინაისტორია. ეს იყო ლოგიკური დაბოლოება იმ აგრესიული პოლიტიკისა, რომლის ინიციატორები იყვნენ ხან ეგვიპტის ფარაონები, ხან ხეთების მეფენი ან მათი მოკავშირენი.

ეს შეტაკებანი, გაუთავებელ სისხლისღვრასა და ხოცვა-ჟლეტას რომ იწვევდნენ, ისტორიის თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათ ეგვიპტოლოგები ანიჭებდნენ. ეს მეცნიერები, ფარაონთა სახელმწიფოს ძლიერებიდან გამომდინარე, ამ ბრძოლებს უმნიშვნელო სასაზღვრო ინციდენტებად მიიჩნევდნენ, მაშინ, როცა ფაქტიურად ისინი ოცდაათწლიან ომზე უფრო მნიშვნელოვანი იყო.

სირიასა და პალესტინას გამუდმებით იკლებდნენ ხოლმე. სპობდნენ ქალაქებსა და ციხეებს, ხოცავდნენ ან მიერეკებოდნენ მცხოვრებთ. საქმე „საზღვრების“ მთლიანობის დაცვა კი არ იყო. არამედ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გაბატონება. ამ მხრივ, ბევრს გვეუბნება თელ-ელ-ამარნას მიწერ-მოწერა. იგი შეიცავს სირიისა და პალესტინის პატარა მეფეთა ჩივილს, რომ მათ განუწყვეტლივ თავს ესხმიან ჩრდილოეთიდან, საზღვრებს ველარ იცავენ და სთხოვენ ფარაონს დახმარებას. ამ დროს ეხნათონი ამარანში იჯდა და ოცნებობდა თავის მშვენიერ სასახლეში. მისი წინაპრების მიერ დაპყრობილი ადგილები კი ზედიზედ ხელიდან ეცლებოდა. გენერალი ხარემხები (1345—1318 წწ. ძვ. წ.), რომელმაც იგი შეცვალა ტახტზე, ცდილობდა გადაერჩინა, რისი გადარჩენაც შეუძლებოდა. მომდევნო წლებში სეთი I (1317—1301 წწ. ძვ. წ.), რამდენიმე შეტევის შემდეგ, ღრმად იჭრება პალესტინაში,

ღვენი უდაბნოდან მოსულ და იქ დამკვიდრებულ ტომებს და იპყრობს ამ ქვეყანას ტირამდე და დამასკომდე. მაგრამ აქ იგი პირისპირ შეხვდა მოწინააღმდეგეს, ხეთების მეფე მუვათალის, რომლის მეტოქეობა მას არ შეეძლო.

ამრიგად, რამზეს II-მ (1301—1234 წწ. ძვ. წ.) მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. იგი იმ იმედით შეუდგა საქმეს, რომ ის მაინც გადაერჩინა, რაც მამამისმა, სეთიმ გაჭირვებით დაიბრუნა... მისი მეფობის მეხუთე წელს პალესტინაში შეიჭრნენ ხეთები. რამზესმა თავი მოუყარა თავის ჯარებს და გაემართა იმ გზით, რომლითაც ოდესღაც მიდიოდა ხარემხები, ფინიკიის ნაპირების გასწვრივ — ჩრდილოეთისაკენ; აიღო ფინიკიელთა ნავსადგურები, საიდანაც სურსათი მოდიოდა. როცა იგი მდინარე ორონტის ნაპირებს უახლოვდებოდა, შეიტყო, რომ ხეთების ჯარის უდიდესი ნაწილი მუვათალის მეთაურობით განლაგებული იყო ქალაქ კადეშის ციხე-სიმაგრის მახლობლად. რამზესი დარწმუნებული იყო თავის ძალებში და გადაწყვიტა იერიში მიეტანა. —

„ისტორია ისტორიულ ამბებზე“ — ასე შეიძლება ეწოდოს ცნობებს კადეშის ბრძოლის შესახებ. რამზესის დაბრუნების შემდეგ ეგვიპტელმა ხელოვნებმა ხოტბა შეასხეს ფარაონის გამირობას იმ წარწერებსა და ბარელიეფებში, რომელნიც ამშვენებენ რამზესისა და ლუქსორის, კარნაკის, აბიდოსისა და აბუ-სიმბელას ტაძრების კედლებს. დიქტატორული სახელმწიფო არ ცნობს ინფორმაციის თავისუფლებას. მაშინ ამბების ისე მოთხრობა, როგორც სინამდვილეში იყო, გამოიწვევდა ბრალდებას არაობიექტურობაში. ეგვიპტელი ხელოვნები გუნდრუქს უკმევდნენ რამზესს — „სეტებერას“ („დმერთ რას რჩეულს“) ისეთი გაზვიადებული პირფერობით, როგორიც ეგვიპტეშიც კი არ იყო მანამდე მიღებული. რამზესის მეფობის შემდეგი წლებიდან ვიცით, რომ იგი თვითონვე უწყობდა ხელს თავისი პიროვნების გაღმერთებას. არც ერთი ეპითეტი არ მიაჩნდა გაზვიადებულად, არავითარი ქება არ აკმაყოფილებდა. მას უწოდებდნენ „ჰორუსს“, „სიმაართლის მოყვარულ ღონიერ ხარს“, „ხარ-მბრძანებელს“, „ომში შეუდრეკელს, რომელსაც აღიდებენ ყველა ქვეყანაში“, „მან, რომელმაც მოსპო ეთიოპია“.



და რომელმაც ბოლო მოუღო ხეთების ქვეყნის კვებნას“; მან მიაღწია „მსოფლიოს კიდეს“ და „ხმა ჩააქმედინა გადამთიელ მთავრებს;“ იგი „ღმერთ რას ვაეია, რომელმაც ფეხით გათელა ხეთების ქვეყანა“, იგი „თლილრქებიანი ხარია“, „ძლიერა ლომია“, „ტურაა, რომელიც თვალის ერთი გადაკვრით ხედავს სამყაროს“, „ღვთაებრივი, მშვენიერი შევარდენია.“


ეს მაგალითები ცხადყოფს, თუ როგორ ესმოდათ ინფორმაცია რამზეს II-ის მეფობის დროს. აი ამ სტილითაა აღწერილი კადეშის ბრძოლის ეპიზოდებიც. ჩამოთვლილი ციტატები ამოღებულია აბუ-სიმბელას ტაძრის წარწერებიდან. რამზესის მიერ კადეშში მოპოვებულ გამარჯვებაზე ცნობას გვაწვდის გრძელი პოემა, ამოკრილი იეროგლიფებით ლუქსორისა და აბიდოსის ტაძრების კედლებზე, აგრეთვე ერთი პაპირუსიც. პოემის ავტორი უცნობია. დიდხანს ეგონათ, რომ მას ერქვა პენტოვერი, მაგრამ ახლა დამტკიცებულია, რომ იგი მხოლოდ გადამწერი იყო და თანაც ცუდი გადამწერი, რადგანაც უამრავი ორთოგრაფიული შეცდომა, რომლითაც აქრელებულია ტექსტი, სწორედ მას ეკუთვნის.

როცა ეს პოემა აღმოაჩინეს, რამდენიმე აღტაცებულმა ეგვიპტოლოგმა ქება-დიდება შეასხა მის ავტორს — მას ეგვიპტის ჰომეროსი შეარქვეს. ეს ნაწარმოები მათ „ილიადას“ შეადარეს, მაგრამ არც ერთ მათგანს, მიუხედავად აშკარა პიპერბოლებისა, რომლებითაც სავსეა ტექსტი, აზრად არ მოსვლია გაეკრიტიკებინა ფაქტები. დაკვირვებით გადასინჯვა კი უთუოდ აღმოაჩენდა არა მარტო მრავალ გაზვიადებას, არამედ წინააღმდეგობასა და აშკარა შეცდომებს.

დღეს, შეიძლება ითქვას, რომ რამზესის მიერ შთაგონებული ქრონიკა ისტორიის სამარცხვინო ფალსიფიკაციას წარმოადგენს. ესაა პირველი ფალსიფიკაცია, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ რამზესმა, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმის გამოცდილება არ გააჩნდა, შეძლო შეექმნა პროპაგანდული სიყალბის შედეგრი. კადეშის ბრძოლის რამზესისეული ვერსია სამი ათასი წლის განმავლობაში ქვემდარითად მიაჩნდათ. არქეოლოგებიც დიდხანს იმიტომ ცდებოდნენ, რომ ჯერ კიდევ ამ სამოცდაათი წლის წინ ეგონათ, რამზესის მოწინააღმდეგენი საზღვრებზე მობინადრე მე-

ამბოხე ხალხები იყვნენო. არავის მოსვლია აზრად, რომ რამზესს კადეშში დახვდა დიდი, ძლიერი სახელმწიფოს ჯარი. სამწუხაროდ, დღესაც კი მეცნიერული კრიტიკა უფრო საეჭვო ნიშნებს ემყარება, ვიდრე ზუსტ საბუთებს, მაგრამ ეს ნიშნებიც იმდენად დამარწმუნებელია, რომ ამ დიდი ბრძოლის ნამდვილ შედეგში არავის ეჭვი აღარ ეპარება.

კადეშში ერთმანეთს შეხვდა იმ დროის ორი უძლიერესი და უდიდესი ჯარი. რამზესმა იცოდა, რომ ეს შეხვედრა გადამწყვეტი იქნებოდა. ამიტომ მან დარაზმა მთელი ძალები, რაც



კადეშის მიდამოები. ეგვიპტელებისა და ხეთების ჯარების განლაგება დიდი ბრძოლის წინ (ღამით და დღით).

კი მის განკარგულებაში იყო. გარდა ამისა, უკანასკნელ მომენტში მის მხარეზე გადავიდა ამურუს მეფე ბენტეშინა, ხეთების ყოფილი მოკავშირე. მუვათალიმაც შეუერთა თავის ძირითად არმიას ყველა ის ხალხი, რომელიც დაიმორჩილა, დაიქირავა ჯარი და თვით საშინაო ლიკიელი ზღვის მეკობრეები. ხეთების ეს ოციათასიანი ჯარი ყველაზე უფრო ძლიერი იყო, რაც კი მათ ოდესმე ფარაონების წინააღმდეგ გამოეყვანათ. პოემის ავტორი პენტოვერა არამცთუ ცდილობს დაშალოს ეს, არამედ პირიქით, პროპაგანდის მიზნით, იგი ზედმეტად აზვიადებს მოწინააღმდეგის ჯარების რიცხვს. „რაც უფრო მეტია მტერი, მით უფრო მეტია დიდებ-

ა“, — ასეთია გამოთქმა, რომლითაც ისინი ამაყოფენ.

სტრატეგიის თვალსაზრისით, რამზესის შეტევა კადეშზე



„ამონის პირველი ლაშქარი“ დასვენების დროს

მოკლებული იყო რაიმე წინასწარ შემუშავებულ გეგმას. მისი ჯარი შედგებოდა ოთხი დივიზიისაგან, რომლებიც ეგვიპტის უმთავრეს ღმერთთა სახელებს ატარებდნენ: „ამონი“, „რა“, „პტაჰი“ და „სეთი“.

მაისის უკანასკნელ დღეებში რამზესის ჯარი მიუახლოვდა კადეშს და დაბანაკდა გორაკზე, საიდანაც შორს, ნისლში მოჩანდა ქალაქის კონტურები.

არაფერი, არც კვალი, არც რაიმე სხვა ნიშანი არ ამხელდა მტრის იქ ყოფნას; ვიღრე გაკვირვებული რამზესი თავის გე-

ნერლებთან ბჭობდა, მუვათალიმ გადაწყვეტილება. მიიღო და მისმა ლაშქარმა მოქმედება დაიწყო: ხეთები უჩინრად დაბანაკდნენ კადეშის ჩრდილოეთით, ორონტის ნაპირზე. რამზესის ჯარისაგან განსხვავებით, მათ მიცემული ჰქონდათ ზუსტი ბრძანებები. ბრძოლის დაწყების წინ ხეთებმა მტრის ბანაკში გაგზავნეს ორი ბედუინი, რომლებმაც დეზერტირებად გაასაღეს თავი. ლანძღავდნენ ხეთების ჯარს, მის სარდლობასა და მეფეს, ირწმუნებოდნენ, ღმერთების საყვარელი რამზესის ძლიერებითა და დიდებით შეშინებულმა მუვათალიმ ჩრდილოეთისაკენ დაიხნია, ალექოს მიდამოებშიო.

თავისი სიამაყით დაბრმავებულმა რამზესმა დაიჯერა მათ: ლაპარაკი, თანაც საკუთარი ჯაშუშები სწორ ცნობებს ვერ აწვდიდნენ და დიდი შეცდომა ჩაიდინა — იყისრა „ამონის“ დივიზიის ხელმძღვანელობა. „მამამისის მონთუს, თებეს მბრძანებლის მიბაძვით, მისი უდიდებულესობა წინ გაუძღვა პირველ რაზმს და გადალახა ორონტის ფონი“.

ერთი სიტყვით, იმ ორი დეზერტირი ბედუინის უბრალო ცნობების მიხედვით რამზესმა გაჰყო თავისი ძალები და ერთი ნაწილი გაიყვანა უცნობ ადგილას, დაახლოებით ათი კილომეტრის მანძილზე ჯარის უმთავრესი ნაწილიდან. უფრო მეტიც, რამდენიმე ოფიცრის თანხლებით იგი სათავეში ჩაუდგა ავანგარდს, ნაცვლად იმისა, რომ შეეკრიბა ცნობები და შეენარჩუნებინა კავშირი უმთავრეს ძალებთან!

ამ მომენტიდან ინიციატივა ხეთების მეფის ხელში აღმოჩნდა. იგი მშვიდად ადევნებდა თვალს ეგვიპტელთა წინსვლას, რომლებიც პირდაპირ მიდიოდნენ მუვათალის მიერ დაგებული მახისაკენ. მეფემ განკარგულება მისცა თავის ჯარს — დაეტოვებინა კადეშის ჩრდილო-დასავლეთი და გადასულიყო მდინარე ორონტზე. ამასობაში მტრის ძებნით გართულმა რამზესმა გვერდი აუარა ქალაქს დასავლეთის მხრიდან და ჩრდილოეთისაკენ გაემართა. იგი მხოლოდ ერთ არმიას მიუძღოდა, რადგანაც „რა“ ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა უკან, „პტაპი“ და „სეთი“ კი ორონტის სამხრეთ ნაპირზე დარჩა. მუვათალიმ დასძრა თავისი ჯარები კადეშის აღმოსავლეთიდან სამხრეთისაკენ. ხეთებსა და ეგვიპტელებს ქალაქის გორაკი და ციხის გალავანი ჰყოფდა.


ეს მანევრი დილიდან ნაშუადღევამდე გაგრძელდა, როცა რამზესმა კადეშის ჩრდილო-დასავლეთის იმ ადგილს მიაღწია, სადაც ცოტა ხნის წინ ხეთები იყვნენ დაბანაკებული და რომელიც ახლა მიტოვებული იყო, მან უბრძანა სიარულით დაღლილ ჯარისკაცებს, კარვები გაეშალათ და დაესვენათ. ამ დროს „რას“ ხელი ნაბიჯით მფეშართებოდა. შემთხვევამ ხელი შეუწყო ეგვიპტელებს — მათ დაიჭირეს ხეთების ორი ჯაშუში, მტრის პირველი მეომრები. რამზესმა ბრძანა ეცემათ ისინი, ვიდრე არ გამოტენსა და არ გაიგო, რომ მუვათალი არამტუ არ გაქცევია ფარაონს, არამედ მთელი თავისი ჯარით ქალაქის მეორე მხარესაა განლაგებული.

რამზესი მიხვდა, რა საფრთხეც მოელოდა და ჯავრი იყარა თავის მხედართმთავრებზე, რომლებიც აღრე ამოდ კი არ ცდილობდნენ გადაეთქმევინებინათ მისთვის ეს ავანტურა. მან საჩქაროდ გაგზავნა შიკრიკები „ბტაჰის“ დივიზიაში, აჩქარდითო; ერთადერთ იმედს „რას“ დივიზიის მალე მოსვლაზე ამყარებდა.

მაგრამ ამ დროს მუვათალის ჯარმა მეორედ გადალახა მდინარე ორონტი კადეშის სამხრეთით; თავიანთი სწრაფი ეტლებით (ხეთების ყოველ ეტლში მეეტლის გარდა ორი მეომარი იმყოფებოდა, ეგვიპტელებისაში კი — ერთი მეეტლე და ერთი შუბიანი მეომარი) მოულოდნელად თავს დაესხა „რას“ დივიზიას. ისე, რომ მტრის ჯარმა არაფერი იცოდა და მომზადებული არ იყო ბრძოლისათვის. მისი უდიდებულესობის ჯარმა და ეტლიანმა მეომრებმა ვერ გაუძლეს ზოწინააღმდეგის შემოტევას.

ხეთმა მეომრებმა გაფანტეს და გაანადგურეს ეგვიპტელთა ნაწილები, გარდა რამდენიმე ჯგუფისა, შემდეგ კი გამოუდგნენ გაქცეულებს ახალი საშინელი იარაღით — სწრაფი ეტლებით — და გადარჩენილებს „ამონის“ ნაწილების ბანაკამდე ღდიეს. „ამონის“ ჯარისკაცებიც შეშინებულნი შეუერთდნენ გაქცეულთ.

ეს იყო კადეშის ბრძოლის კულმინაციური მომენტი. მსუბუქმა საბრძოლო ეტლებმა ახალი სტრატეგიული მანევრი შეიტანეს ომების ისტორიაში — მოულოდნელი და სწრაფი ალყის შემორტყმა.



ეტლით მებრძოლი ხეთები (XIX დინასტიის დროინდელი  
ეგვიპტური რელიეფი)

ამის შემდეგ ძნელია დავიჯეროთ, ეგვიპტელებმა გაიმარჯვესო.

დასაწყისში ორივე ლაშქარი დაახლოებით თანაბარი სიძლიერის იყო. ორივე მხარეს ოც-ოცი ათასი კაცი ჰყავდა. „რას“ რაზმების განადგურებით მუშათაღიმ უკვე მოსპო ეგვიპტელთა ჯარის ერთი მეოთხედი. უფრო მეტიც, მან გამოთიშა „ამონი“ და თვით ფარაონიც ჯარის უდიდესი ნაწილისაგან. „ბტაჰის“ ლაშქარი, რომელმაც ომის მსვლელობისა არა იცოდა რა, განაგრძობდა წინსვლას, „სეთი“ კი კვლავ იცდიდა მდინარე ორონტის სამხრეთ ნაპირზე. მუშათაღიმ ელვის სისწრაფით ისარგებლა მდგომარეობით, გაქცეულებს თავისი ეტლები დაადევნა და ერთი შეტევით ალყა შემოარტყა რამზესს!

ამრიგად, სხვანაირად როგორ უნდა დამთავრებულიყო ეს უმნიშვნელოვანესი ბრძოლა, თუ არა ეგვიპტელთა სრული დამარცხებით? მუშათაღის ძალები ხელუხლებელი იყო და შეეძლო ერთიმეორის მიყოლებით გაენადგურებინა ეგვიპტელთა ჯარის ნაწილები. მხოლოდ რაღაც სასწაულს შეეძლო შეეშალა

ხელი, რომ ეს დამარცხება კატასტროფად არ გადაქცეულყო და ფარაონი და მისი ჯარის ნაწილები მთლიანად არ მოსპობილიყო. ასეც მოხდა.

ქრონიკების ეგვიპტელი ავტორები ამ გადარჩენას რამზესის გასაოცარ მამაცობას მიაწერენ. მაგრამ რაც არ უნდა მოემოქმედა ფარაონს, იყო ორი გარემოება, რომელმაც, მისგან სრულიად დამოუკიდებლად, რამზესი ამ გაჭირვებული მდგომარეობიდან იხსნა.

ჯერ ერთი, ხეტების ნარეგ ჯარს აკლდა მთლიანობა და დისციპლინა. გამარჯვების ახლო პერსპექტივამ, ბრძოლისაგან გაბრუნებამ, ნადავლის სურვილმა ჯარისკაცები გაიტაცა და მათ თავი მიანებეს გაქცეულთა დევნას, მეტადრე, მაშინ, როცა დაინახეს რამზესის ბანაკი, მიტოვებული კარგები და კოცონები, სურსათით სავსე ურმები, გაქცეულთა იარაღი და სხვადასხვა ნივთები. ეს მრისხანე მეომრები გადაიქცნენ მძარცველებად, აღარ ემორჩილებოდნენ არავითარ წესრიგს. ამის გამო, ისინი ადვილად შეიძლებოდა მოწინააღმდეგის გაბედული შეტევის მსხვერპლი გამხდარიყვნენ. მაგრამ ასეთი შეტევა არ შეეძლო დაფანტულსა და გზააბნეულ ეგვიპტელთა ჯარს. და აი, ერთმა პატარა, მაგრამ კარგად გაწვრთნილმა რაზმმა, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდა არა რამზესის, არამედ ზღვის მხრიდან, ბრძოლის ველზე მოსვლისთანავე ისარგებლა მდგომარეობით და მდგრად შეუტია მოთარაშეთ. ჩვენ არ ვიცით, საიდან მოვიდა ეს რაზმი, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ესენი უნდა ყოფილიყვნენ ამურუს ქვეყნიდან მოწვეული მეომრები, რომლებიც ფინიკიის ნავსადგურებიდან მოვიდნენ და ცდილობდნენ ეგვიპტელებთან შეერთებას, მიუხედავად იმისა, რომ მიცემული არ ჰქონდათ არავითარი განსაკუთრებული დავალება. სწორედ ამ ჯარის წყალობით გადარჩა რამზესი ცოცხალი და მან თავისუფლება შეინარჩუნა. მათივე წყალობით იყო, რომ შემდეგ მას „დიდი რამზესი“ უწოდეს.

სასახლის პოეტი დაწვრილებით გვიამბობს, როგორ დააღწია თავი ალყას რამზესმა. მიუხედავად აშკარა გაზვიადებისა, ბრძოლების ეპიზოდების აღწერა ხშირად პათეტიურია; ამაღელვებელია თხრობის მხატვრული ფორმა, რომლითაც ავ-

ტორი გადმოგვცემს გრძელ მონოლოგებსა და მეფის განცდებს ბრძოლის დროს; თუ როგორ მიმართავს რამზესი თავის მფარველ ღმერთს და მწარედ შესჩივის თავის მუხანათ თანამებრძოლებზე, გაჭირვების უამს რომ მიატოვებს.

„მისი უდიდებულესობა მარტოდმარტო დარჩა თავის მცველებთან, — ნათქვამია ერთ ადგილას, სადაც პოეტი ბრძოლის გადამწყვეტ მომენტს აღწერს, — მაშინ, როცა ხეთების საზიზლარი მმართველი, — აქ ავტორი მტრის სიფრთხილეს სიმხდალედ მიიჩნევს, — ჯარის შუაგულში იმყოფება და მისი უდიდებულესობის შიშით ვერ ბედავს დაიწყოს ბრძოლა.“

„როცა ხეთების ეტლებიანმა მეომრებმა გათიშეს და გაანადგურეს „რას“ რაზმები, ხოლო გაქცეულებმა (მათ შორის იყო რამზესის ორი ვაჟიც) თავდავიწყებულ სირბილში თან გაიყოლიეს საკუთარი ჯარები და მიაღწიეს ფარაონის ბანაკს, მაშინ „მისი უდიდებულესობა, როგორც მამამისი მონთუ, წინ წარსდგა, აისხა იარაღი და საომარი სამკაული; ის ჰგავდა ბაალს მრისხანების დროს. მისი უდიდებულესობის ცხენს, რომელიც რამზესის დიდი თავლიდან მოიყვანეს, „გამარჯვება თებესთან“ ერქვა. მისი უდიდებულესობა წინ გაექანა და შეიჭრა ხეთელ მეომრებში სულ მარტოდმარტო, ისე რომ მის გვერდით არც ერთი მეომარი არ ყოფილა.“

რამზესის საქციელი, როგორც ამ ნაწილშია აღწერილი, გამოწვეული იყო ან უიმედობით, ან სურვილით — გაქცევით გადაერჩინა თავი. მაგრამ პოეტის გაზვიადებას საზღვარი არა აქვს. ის ფაქტი, რომ რამზესი მარტოდმარტო დარჩა ყველასაგან მიტოვებული, მას მეფის დიდ ღირსებად, მის პირად გმირობად მიაჩნია.

„როცა მეფემ უკან მიიხედა, დაინახა, რომ დასახევი გზა გადაჭრილი აქვს და გარს არტყია 2.500 ეტლი, რომლებშიც საზიზლარი ხეთებისა და მათი მოკავშირეების — არადის, მესეს, პედესის, კეშეშის, ირუნას, ქიცუვათნას, ხერების, ეკერეთის, კადეშისა და რეკეს უამრავი მეომარი იყო. ყოველ ეტლში სამი კაცი იჯდა.“



აქ ფარაონი ჩივის და პოემაც ერთგვარ სიღიადეს აღწევს: (ავტორისეული ტექსტი ენაცვლება ფარაონის მონოლოგს):

„არც ერთი პრინცი არ აღმოჩნდა ჩემს გვერდით, არც ერთი მეეტლე, ქვეითი ჯარის არც ერთი ოფიცერი, არც ეტლოსანი მეომარი. ჩემმა ქვეითმა ჯარმა, ჩემმა მეეტლეებმა მტრის ხელთ მიმატოვეს; არც ერთი არ დარჩენილა, რომ შებრძოლებოდა მათ.“

რამზესი შესთხოვს შველას მის მფარველ ღმერთს:

„მაშინ, მისი უდიდებულესობა ამბობს: „რას ნიშნავს ეს, ამონ, ჩემო მამავ? განა ოდესმე მამა ივიწყებს თავის ვაჟს? განა მე ოდესმე რაიმე გავაკეთე უშენოდ? როცა წინ მივდიოდი ან ვჩერდებოდი, ეს შენი ბრძანებით არ იყო? არასოდეს არ დამირღვევია შენი ბრძანება. ვინ არიან შენთვის ეს აზიელები, ო, ამონ?.. ურწმუნონი, რომელთაც არ იციან რა არის ღმერთი. განა მე არ ავიგე უთვალავი ძეგლი, განა არ ავავე შენი წმინდა სახლი ტყვეებით?.. შენ გიხმობ, ო, ამონ, ჩემო მამავ! გარემორტყმული ვარ უცხოელებით, რომელთა შესახებ არაფერი ვიცი; მთელი ქვეყნები შეერთდნენ ჩემს წინააღმდეგ. დაერჩი მარტო, ყველასაგან მიტოვებული. ჩემმა ჯარისკაცებმა მიმატოვეს. და არც ერთი მეეტლე არ ზრუნავს ჩემთვის... გვედრები, ვალიარებ და ვამხელ, რომ ამონი მირჩევნია მილიონ ქვეითს, ასეულ ათასობით ეტლოსან მეომარს და ათეულ ათასობით ძმას, შვილს, თუნდაც მათ ჰქონდეთ ერთი გული: სიმრავლე არაფერია. ამონი არის ყველაზე უკეთესი.“

ამონი მისმენს და მოდის, როცა მას ეუხმობ, იგი მიწვდის ხელს და მე სიხარულით ვცახცახებ. ჩემს უკან მესმის, როცა შენ მიყვირო: „წინ! წინ! მე შენთან ვარ, მე, შენი მამა, ჩემი ხელი შენთანაა; მე უფრო უკეთესი ვარ, ვიდრე ასი ათასი მეომარი, მე, გამარჯვების მბრძანებელი, ის, ვისაც უყვარს ძალა“.

პოემაში შეერთებულია გილგამეში და ჰერაკლე.

„მე კვლავ ვპოვე ჩემი გული; ჩემი გული სავსეა სიხარულით; დღეიდან რასაც ვესწრაფვი, შესრულდება. მონთუს მსგავსად ვისვრი ისრებს მარჯვნივ და ვიბრძვი მარცხნივ. მე ბაალს ვგავარ მრისხანების უამს; მე ვხედავ: 2.500 ეტლი, რომ-

ლებიც გარს მეხვია, ახლა ჩემი ცხენების ფლოქვეებისაგან დამსხვრეული ჰყრია. არც ერთ მათგანს არ შესწევდა ძალა შებრძოლებისათვის. შიშმა დააუძლურა მათი გული, მკლავები მოუღუნდათ. მათ აღარ შეუძლიათ ისროლონ ისრები და ველარც ბედავენ ხელში აილონ შუბები. მე ვისვრი მათ წყალში, ისინი ცვივიან ნიანგებივით. ხოლო მე სიამოვნებით ვხოცავ მათ“.

თუ ამ პოემას დაეუჭერებთ, ირკვევა, რომ რამზესს უპოვია ამ მდგომარეობის შესაფერისი ტაქტიკურად სწორი იდეა: იგი ფიქრობს გაარღვიოს ხეთების სუსტად დაცული ხაზი მდინარე ორონტის ნაპირის გაყოლებით და ზურგში მყოფი ჯარის მეშვეობით უზრუნველყოს ზურგიდან თავდაცვა.

ეგვიპტის ტაძრების კედლებზე ამოჭრილი ბარელიეფები ასახავენ ამ ბრძოლის ეპიზოდებს, როგორ იხრჩობიან ორონტში ჩაცვივნილი ხეთები.

„ხეთების ვერაგი და საზიზლარი მეფე ყოყმანობს (ასე გვარწმუნებს ეგვიპტური ტექსტი), ხედავს, რა მოელის მის ჯარს. მან შეკრიბა სარდლები და გააერთიანა თავისი ჯარები. შეერთებულნი, ისინი შეადგენდნენ ეტლების ერთ ათეულს და მიისწრაფოდნენ ცეცხლის მიმართულებით“ (ცეცხლი აქ ნიშნავს ფარაონის ოქროს დიადემას, რომელსაც გველის ფორმა ჰქონდა და მზეზე ბრწყინავდა).

რამზესი განაგრძობს:

„მე თავს დავატყდი მათ, როგორც მონთუ, თვალის დახამხამებაში ჩემი ხელი სწვდა მათ და მე ვქლექ, ვხოცავ მათ, სადაც კი ვხედავ და მესმის მათი ყვირილი. ეს ადამიანი კი არ არის ჩვენს შორის, ეს არის ძლიერი სეთი, მის ტანში ბუღობს ბაალი და რასაც ის აკეთებს, ადამიანს არ შეუძლია მისი გაკეთება. ვერასოდეს მარტო ერთი ადამიანი ვერ დაამარცხებდა ასეულ ათასობით ჯარისკაცს ქვეითი ნაწილების, ეტლების გარეშე. ჩქარა გაიქცეით, თავს უშველეთ, რათა კიდევ ისუნთქოთ ჰაერით! შეხედეთ, ვინც კი მას უახლოვდება, უშეშდება ხელი და სხეული; როცა ხედავ, რომ იგი მორბის, შეუძლებელია აიღო ხელში მშვილდი, ან ისარი“.

დაეუშვათ, რამზესმა მართლაც დიდი სიმამაცე გამოიჩინა. ამის შემდეგ მას დაუბრუნდა იმედი და გაახსენდა თა-



ხეთი ჭაშუშების დასჯა

ვისი მხედართმთავრები, თავისი მსლებელნი და თავისი ჭარისკაცები, ცდილობს თავი მოუყაროს მათ, მაგრამ არა უშედეგო ბრძანებებით, არამედ წყევლით:

„ყოჩაღად! ყოჩაღად, ჩემო ჭარისკაცო! თქვენ ხედავთ ჩემს გამარჯვებას, როცა მარტო ვარ. მაგრამ ეს იმიტომ, რომ ამონის მფარველი ხელი არ მშორდება. თქვენ ლაჩრები ხართ, თქვენ, ჩემო შეეტლენო, და მე ამაოდ ვამყარებ თქვენზე იმედს, თუმცა თქვენს შორის არ მოიპოვება არც ერთი, ვისაც ჩემი წყალობა არ მიეღოს. განა მე არ ვიყავი ბატონი და თქვენ არა-რაობა? მე თქვენ გაგზადეთ კეთილშობილნი და გაძლევთ ყოველდღიურ პურს. მე მივეცი ვაჟებს საშუალება დაეპატრონონ მამის ქონებას და ყველა ბოროტება, რაც კი არსებობდა ამქვეყნად, ამქამად მოსპობილია. მე გაპატიეთ გადასახადები, დაგიბრუნეთ უფრო მეტი ქონება, ვიდრე თქვენ წაგართვეს... ყველას, ვინც კი მომმართავდა თხოვნით, მუდამ ვპასუხობდი: „ღიახ, ამას შეგისრულებ“. არასოდეს არც ერთ ბატონს არ გაუკეთებია თავისი ჭარისკაცებისათვის ის, რაც მე გაგიკეთეთ, რადგან ნება მოგეცით, დარჩენილიყავით თქვენს სახლებში, თქვენს ქალაქებში მაშინაც კი, როცა თქვენ მსახურობდით, როგორც ოფიცრები. ასევე მოვექეცი ჩემს შეეტლეებსაც, მათ

მე ვუჩვენე მრავალი ქალაქის გზა... დღეს, ბრძოლის დროს, მე იმედი მქონდა, რომ თქვენც ამითვე გადამიხდიდით, მაგრამ, ხედავთ! თითოეული თქვენგანი საცოდავია; არც ერთი მზად არ არის მომეშველოს იმ დროს, როცა მე ვიბრძვი... და ეს სინამდვილეა, ვფიცავ კას, ჩემს მამას, ამონს! უმჯობესი იყო ეგვიპტეში ვყოფილიყავი, როგორც ჩემი წინაპრები, რომელთაც არასოდეს არ უნახავთ სირიელები!“

ცხადია, რამზესის მოქმედების განდიდების მიუხედავად, ეს ნაწყვეტი მაინც არ იყო გამარჯვების მოთხრობა.

„შეუძლებელია იმ ბოროტების აღწერა, რაც ჩემმა ჯარისკაცებმა და ჩემმა მეეტლეებმა ჩაიდინეს. მაგრამ, შეხედეთ! ამონმა მაჩუქა გამარჯვება, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ცხენოსანი, არც ერთი მეეტლე არ ყოფილა ჩემს გვერდით. მე დავანახე ჩემი გამარჯვება და ჩემი ძალა შორეულ ქვეყნებს იმ დროს, როცა მარტო ვიყავი, უსარდლებოდ და უმეეტლეობოდ... და როცა მენამ, ჩემმა მეეტლემ, დამინახა ეტლებით გარშემორტყმული, გული შეუწუხდა, შიშისაგან ხელ-ფეხი გაუშეშდა და მიმართა მის უდიდებულესობას: „ჩემო კარგო ბატონო! ეგვიპტის დიდო მფარველო! ბრძოლის დროს ჩვენ მარტონი ვართ მტრებს შორის. ხედავ, ჯარმა და ეტლოსნებმა ჩვენ დაგვტოვეს. რატომ გინდა დარჩე, ვიდრე უკანასკნელ სუნთქვას არ ამოგვაცლიან? რამზეს, გავუფრთხილდეთ ჩვენს სიცოცხლეს, თავს ვუშველოთ!“

მისმა უდიდებულესობამ უთხრა თავის მეეტლეს: „ყოჩაღად, ჩემო მეეტლე! მიმინოსავით დავაცხრები მათ, დავხოცავ; ამოვყლეთ და დავცემ მიწაზე. რისი გეშინია ამ მხდლების? მე არც კი გავფითრებულვარ ერთი მილიონი მოწინააღმდეგის წინაშე.“

მომამ უდიდებულესობამ წაიწია წინ და ექვსჯერ შეიჭრა მტრის რიგებში. „მე კვალდაკვალ მივყვები მათ, როგორც ბაალი მრისხანების ჟამს; მე მათ ვხოცავ, მაგრამ არა ვგრძნობ დაღლას. მაგრამ როცა ჩემმა ჯარისკაცებმა და ეტლოსნებმა დაინახეს, რომ მეც ისეთივე ღონიერი და ყოჩაღი ვარ, როგორც მონთუ, ისინი თითო-თითოდ დაბრუნდნენ ბანაკში და ბინდებისას. მათ ნახეს, რომ ჩემი ხელით ამოყლეთილი მტრე-

ბი სისხლში ცურავდნენ, მათ შორის თვით საუკეთესო ხეთი მეომრები, მათი მეფის შვილები და ძმები. მე ბრძოლის ველი გადავათეთრე (დახოცილთ თეთრი ტანსაცმელი ეცვათ), ხოლო იმდენი იყვნენ დახოცილნი, რომ ფეხის დადგმა აღარსად შეიძლებოდა.“

„როცა დაინახეს, რა ჩავიდინე, ჩემი ჯარისკაცები მოვიდნენ ჩემი სახელის სადიდებლად, ჩემი დიდებულნი მოვიდნენ, რომ პატივი ეცათ ჩემი ძალისათვის, ჩემი მეეტლენი კი — ჩემს თაყვანსაცემად:

„დიდება შენ, ჩვენო მედგარო მეომარო, შენ, რომელიც გვამხნევებ, შენ იხსენ დაღუპვისაგან შენი ჯარისკაცები და მეეტლენი. შენ, ამონის ვაჟო, შენ, მომქმედო, შენ გაანადგურე ძლიერი მკლავით ხეთის ქვეყანა, შენ ხარ შეუდარებელი მეომარი, მეფე, რომელიც ბრძოლის დღეს იბრძვის თავისი ჯარისკაცებისათვის. შენ ხარ გულადი და შენ ხარ პირველი ამ შეტაკებაში. ერთ ადგილას გაერთიანებულმა ქვეყნებმა ვერ შეძლეს გაეწიათ შენთვის წინააღმდეგობა. შენ გაიმარჯვე შენი ჯარისა და მთელი ქვეყნის წინაშე, არავის არ შეუძლია უარყოს ეს... შენ სამუდამოდ გადაუმტკრიე ხერხემალი ხეთებს.“

და მისი უდიდებულესობა ეუბნება თავის ჯარისკაცებს, თავის დიდებულებს და თავის ეტლთა წინამძღოლებს: „რა ბოროტება ჩაიდინეთ თქვენ. ჩემო დიდებულნო, ჩემო ჯარისკაცნო და ჩემო მეეტლენო, რომ არ იბრძოლეთ!.. რომ დამტოვეთ მარტო მტრის შუაგულში... ყველა გაიგებს, რომ ეს თქვენ მამტოვეთ... მარტოდმარტომ ვიბრძოლე და დავამარცხე მილიონობით ქვეყანა. ჩემთან იყვნენ „გამარჯვება თებესთან“ და „სულის სიმხნევე“, ჩემი დიადი ცხენები. მათგან ვპოვე დახმარება, როცა მარტო დავრჩი მტრებს შუა. ჩემს სასახლეში დაბრუნებისას ყოველდღე მივცემ მათ საჭმელს ჩემი ხელით, რადგანაც მათ და ჩემმა მეეტლემ მენამ მიშველეს...“

ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ შესაძლოა რამზესმა, ზეკატური ვაჟკაცობის წყალობით, მართლაც შეაგროვა თავისი ჯარის ერთი ნაწილი და მეორე დილით სამხრეთის მიმართულებით მოახდინა გარღვევა.

სასახლის პოეტი არ იხსენიებს ამურუს ქვეყნიდან მოულოდნელად მოსულ რაზმს, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ეგვიპტელებს. წყაროები საკმაოდ დამაჯერებლად გადმოგვცემენ, რომ რამზესმა თავისი ჯარის ნაშთებთან ერთად საჩქაროდ დაიხია სამხრეთისაკენ და მივიდა დამასკომდე. დიდი მსხვერპლის გაღების ფასად მან შეინარჩუნა სიცოცხლე და დაბრუნდა ეგვიპტეში შეთხლებული ჯარით, ისე რომ არავითარი გაგამარჯვება არ მოუპოვებია. მიუხედავად ამისა, კარის პოეტი მაინც აცხადებს:

„დამარცხებულმა საზიზღარმა ხეთის მეფემ გამოუგზავნა წერილი და აღიდა მისი უდიდებულესობის სახელი: „შენ ხარ რა-ხარახთი, შენ ხარ სეთი, ნუტის ძლიერი ვაჟი; ბაალი ბინადრობს შენს სხეულში და შიში მძვინვარებს ხეთის ქვეყანაში“. შემდეგ შიკრიკის ხელით მან წერილი გამოუგზავნა ჩემს ბატონს, რომელშიც აცხადებს: „შენ ხარ „რას“ ვაჟი, გამოსული საკუთრივ მისი მკერდიდან, თვითონ მან მოგცა ყველა ქვეყანა. ეგვიპტის ქვეყანა და ხათის ქვეყანა შენი მსახურნი არიან და ფეხქვეშ გეგებიან. შენმა მამამ, მშვენიერმა „რამ“ მოგცა შენ ისინი. ნუ იქნები ჩვენს მიმართ მკაცრი! ხომ ხედავ, შენი ძლიერება დიდია და შენი ძალა მძიმე ტვირთად აწევს ხეთის ქვეყანას. განა კარგია, დახოცო შენი საკუთარი მსახურნი? გუშინ შენ ამოწყვიტე ასიათასობით კაცი და დღეს შენ მიდიხარ და აღარ გვიტოვებ მემკვიდრეს. ო, დიღო მეფევ, შეამცირე შენი მოთხოვნილება! ლმობიერება სჯობია სიმკაცრეს, შეგვიანარჩუნე სიცოცხლის სუნთქვა.“

პოეტს რომ დაუფუჯეროთ, ეს წერილი რამზესს მიუღია უკან დახვეის დროს; რასაკვირველია, პოეტი ხმარობს სხვა სიტყვას და არა „უკან დახვევას.“

მაგრამ ეს ფრაზა: „ეგვიპტე და ხეთის ქვეყანა ფეხქვეშ გეგებიან“—ყველაზე უფრო აბსურდულია. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ერთი ბრძოლის შედეგად, რომელიც ორი სახელმწიფოს საზღვარზე წარმოებდა, და რომლის შემდეგ ეგვიპტელებმა უკან დაიხიეს ხეთის იმპერიის მიწაზე ფეხდაუდგმელად, მეფე მუვათალიმ თითქოს დაუმორჩილა მას თავისი სახელმწიფო. დედაქალაქი ხომ 600 კილომეტრის მანძილზე იყო კადეშის ჩრდილოეთით!

პოეტის გასაოცარი დაუდევრობით ეწინააღმდეგება თავის-სავე აზრებს. ფარაონი, რომელიც ომის ღმერთივით უხვდება მტერს, რომლის გმირობას განუზომლად აღიღებენ და რომელიც მარტოღმარტო, უაღრესად განრისხებული, ელეტს ასე-ულ ათასობით მოწინააღმდეგეს, ერთბაშად ლმობიერების განსახიერებად იქცევა. რაც დასაწყისში უღიდეს სიკეთედ იყო მიჩნეული, ახლა ერთბაშად საეჭვო აღმოჩნდა. როცა რამზესმა თავი მოუყარა თავის გენერლებს მუვათალის წერილის შინაარსის გასაცნობად (ეს შინაარსი, უეჭველია, განსხვავდებოდა იმისაგან, რაც აღნიშნულია ეგვიპტელთა ცნობაში), მათ უპასუხეს:

„ო, მეფე, ჩვენო ბატონო, ლმობიერება არს უღიდესი სიკეთე! ზავის სურვილი არასოდეს არ იყო გასაკიცხი. ვინ გცემდა პატივს შენი მრისხანების დროს?“ ამის შემდეგ რამზესმა ბრძანება გასცა, „ყურად იღონ“ ხეთების მეფის სიტყვები და „ზავის ნიშნად ხელი გაუწოდა, ისე რომ, სამხრეთისაკენ სვლას განაგრძობდა.“

სხვა რალა დარჩენოდა დამარცხებულ ფარაონს, გარდა იმისა, რომ მიეღო ხეთების მეფის წინადადება ზავის შესახებ... და თანაც სიფრთხილისათვის განეგრძო უკან დახევა?

რამზეს დიდმა ხელი მოაწერა მეგობრობის ხელშეკრულებას მუვათალისთან.

კალემის გამარჯვებას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა: ჯერ ერთი, ხეთებს დაემორჩილა ამურუს სახელმწიფო, რომლის მეფე ადრე ეგვიპტელთა მხარეზე გადავიდა (კიდევ ერთი უეჭველი საბუთი იმისა, რომ კალემთან ხეთებმა მოიპოვეს გამარჯვება, რადგანაც არასოდეს მომხდარა, გამარჯვებულის მოკავშირე მიმხრობოდეს დამარცხებულს); მეორე ის, რომ მუვათალის ძმა, ხათუსილი, მტკიცე ხასიათის ადამიანი, რომელმაც ქაასქების მულამ შეამბოხე ტომების დამარცხების ფასად მიიღო მეფის მოადგილის ხარისხი და საიდუმლო კავშირი დაამყარა ამურუს მეფე ბენტეშინასთან, წყნარად იყო.

ამავე დროს სირიისა და პალესტინის საზღვრებზე მცხოვრები ტომები განაგრძობდნენ აჯანყებას ეგვიპტელთა ბატონობის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, რამზესისა და მუვათალის

ხელშეკრულების წყალობით ეს შეტაკებანი არ გადაიქცა ეგვიპტე-ხეთის კონფლიქტად. ყოველ შემთხვევაში, არავითარი ცნობა არ გავაჩნია, რომელიც აღნიშნავდეს, რომ ხეთებსა და ეგვიპტელებს შორის კიდევ მომხდარიყო დიდი შეტაკებარაშენისი ებრძვის სხვადასხვა ტომებსა და პატარა ხალხებს. მაგრამ ხელს არ ახლებს იმ საზღვარს, რომელიც ჰყოფდა ხეთებსა და ეგვიპტელების გავლენის ზონებს. ეს საზღვარი ფინიკიაში იყო, ახლანდელ ნაპრ-ელ-ქელბის—„ძალის მდინარის“ გაყოლებით. ამ რაიონში იმ დროსაც ისეთივე სიტუაცია იყო, როგორც დღესაა — „ცივი“ და „ცხელი“ ომის მონაცვლეობა. რადგან ასეთ მდგომარეობას ზიანი მოჰქონდა: ორივე მეტოქის ეკონომიკისათვის, ეგვიპტელებიცა და ხეთებიც საშუალებას ეძებდნენ ბოლო მოეღოთ მისთვის. გადაწყდა დაედოთ ზავი, რაც სუფილულიუმას შემდეგ უდიდესი მეფის, ხათუსილი III-ის დამსახურება იყო.

მუვათალის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფოს მართავს მისი ვაჟი ურხი-თეშუფი, კანონიერი, მაგრამ სუსტი მბრძანებელი. მიუხედავად ამისა, მან მაინც გაბედა ხელისუფლებაში შეცილებოდა თავის ბიძას, ხათუსილის, რომელიც მეფის ნაცვალის იყო თავისსავე დაპყრობილ ქვეყნებში. ამას საბედისწერო შედეგი მოჰყვა: ხათუსილიმ იგი გადააყენა, წაართვა ტახტი, მაგრამ მოკვლის ნაცვლად მისი განდევნით დაკმაყოფილდა. ხათუსილი ბრძნულად იქცევა: იგი უფრო მომთმენია, ვიდრე დესპოტი; მისი მეფობა სუფილულიუმას მეფობას გვაგონებს. მიუხედავად იმისა, რომ იარაღით დაეპატრონა ტახტს, იგი იმ სარდალზე უფრო მეტია, რომელსაც ბედმა გაუღლია. მან დაგვიტოვა ტექსტი, რომელიც თავისი ფორმის მხრივ უძველესი დოკუმენტია ამ სახის ძეგლთა შორის.

გერმანელი არქეოლოგის ანტონ მორტგატის აზრით, „ეს ტექსტი უძველესი ავტობიოგრაფიაა; ამავე დროს, იგი შეიცავს უზურპატორის მიერ თავისი თავის გამართლებას; იგი ხელნაწერთა იმ ნაწილს ეკუთვნის, რომელშიც პირველად აღმოჩნდა ძველდროშაველთა განსაკუთრებული თვისება: მეფის ბედის დაკავშირება თავისი ხალხის ბედთან. ისინი ხედავდნენ იმ ფაქტებს, რომლებიც დამახასიათებელია მათი და



მეზობელი ქვეყნებისათვის, და მწიგნობრის მოვლენებს ერთგვარი „ეროვნული“ თვალსაზრისით იხილავენ. უფრო სწორად რომ ითქვას, ეს არის ისტორიის შეგრძნების პირველი გამოხატულება.“

თელეფინუმ და მერსილი II-მაც დაგვიტოვეს დოკუმენტები, რომლებიც ერთგვარად უკვე ადასტურებენ ამ თვალსაზრისს, მაგრამ ხათუსილი უფრო შორს წავიდა. ფარაონთა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მეფეთა უმთავრეს საზრუნავს შეადგენდა საკუთარი პიროვნების განდიდება. ხათუსილი, პირაქით. ცდილობს შეადგინოს გულწრფელი და ნამდვილი ავტობიოგრაფია. მასში (იგი მაინც არ არის აღსარება იმ აზრით, რასაც ახლა აძლევენ ამ სიტყვას) იგი კი არ ქედმაღლობს, არამედ განმარტავს, ცდილობს გაამართლოს თავისი მოქმედებანი და ხშირად დანაშაულსაც კი აღიარებს. მას შემდეგ, რაც ხათუსილიმ ხელში ჩაიგდო ტახტი, იგი არ ცდილობს მისცეს თავის გენეალოგიას ღვთაებრივი წარმოშობა. წინააღმდეგ აღმოსავლური წესისა, თავს ქალღმერთ იშთარის მსახურად აცხადებს. აი იმის საბუთი, რომ მას სძულს აღმოსავლური დესპოტიზმი:

„მამაჩემმა მე, ჯერ კიდევ ბავშვი შემწირა ღვთაების სამსახურს“.

იგი თითქმის ქრისტიანული მორჩილებით თვლიდა თავის თავს სამუხას იშთარის იარაღად, რომელიც მისი წინამძღოლი და მრჩეველია ყველა საქმეში.

„...როცა თავს ცუდად ვგრძნობდი, ჩემს ავადმყოფობაში ქალღმერთის მოქმედებას ვხედავდი. ქალღმერთი, ჩემი ქალბატონი, ყოველთვის ხელით მატარებდა და მე არასდროს ჩამიდენია ბოროტი საქციელი, რომელიც აღაშინებდა აქვთ, რადგანაც ჩემი მოქმედება ნაკარნახევი იყო ღმერთების მიერ. ვემორჩილებოდი მათ ბატონობას...“

მაგრამ ხათუსილის მონაწილეობა შეთქმულებაში (რომელიც ამჟამად მეფემ ბენთეშინამაც გაიგო) იმ დროს, როცა მისი ძმა, მეფე მუვათალი კადემს სალაშქროდ მიდიოდა, მის გულწრფელობას არ ადასტურებს. იქნებ ეს ფაქტები სწორად არ არის გადმოცემული? სხვანაირად როგორ შეიძლება აიხ-

სნას ის გარემოება, რომ მუყათალიმ, მისი ძმის საქმის სასამართლოში გადასინჯვის შემდეგ, იგი დიდმნიშვნელოვან პოსტზე დანიშნა — ჯარისა და ეტლების მთავარსარდლად? უფრო მეტიც, განა სწორედ ხათუსილი არ იყო, რომელმაც ხელი შეუწყო კანონიერი მემკვიდრის, ურხი-თეშუფის ტახტზე ასვლას, და ბოლოს, იგი მხოლოდ მაშინ აჯანყდა, როცა ძმისწული მოპოვებულ უფლებებში შეეცილა.

„...როცა მე მას გადავუდექი, ამით ცუდად არ მოვიქეცი, არ ავუჯანყდი მას არც ჩემს ეტლში, არც სახლში. მე მტრულად ვაცნობე მას: შენ დაიწყე ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა, შენ დიდი მეფე ხარ; შენ დამიტოვე ერთადერთი ციხე-სიმაგრე, ამ ერთადერთი ციხის მეფე მხოლოდ მე ვარ. დავიწყეთ ბრძოლა! სამუხას იშთარმა და ნერიქის ჭეჭა-ჭუხილის ღმერთმა განსაჯონ ჩვენი საქციელი!“

ასეთია ხეთების მეფეთა აზროვნების თავისებურება. ისინი ხედავენ კავშირს მიზეზსა და შედეგს შორის, თავიანთ მოქმედებასა და ისტორიულ მოვლენებს შორის, რაც მათ ერთგვარ უპირატესობას აძლევს. ეს დაამტკიცა კიდევ ხეთების შემთანხმებლური პოლიტიკის წარმატებებმა. მხოლოდ ხეთების ტუქსტები აღნიშნავენ იმ მიზეზობრიობას, რომელიც ახასიათებს მათ იურიდიულ აზროვნებას და რაც ჭეშმარიტი თანასწორობის საფუძველია. თუ განვიხილავთ ხათუსილი III-სა და რამზეს II-ს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელმაც ბოლო მოუღო ეგვიპტელებისა და ხეთების კონფლიქტს სირიის საზღვრებზე, დავინახავთ, რომ ეს არ იყო მხოლოდ საზავო შეთანხმება; ეს არის კაცობრიობის ისტორიაში პირველი ნიმუში დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ხელშეკრულებისა. ამ ხელშეკრულების ორივე რედაქცია ადასტურებდა მის სინამდვილეს. ეგვიპტური ვერსია უკვე ნაცნობი იყო ვინკლერისათვის, როცა მან ბოლან-ჭოიში ხეთური ვერსია აღმოაჩინა.

ეს ხელშეკრულება დაიდო ძვ. წ. 1280 და 1269 წლებს შორის (ეგვიპტოლოგები და ხეთოლოგები ერთმანეთს არ ეთანხმებიან ამ დათარიღებაში), ფარაონის მეფობის დაახლოებით მეოცე წელს. უახლესი ქრონოლოგიის მიხედვით რამზესი ძვ. წ. 1301 წ. ავიდა ტახტზე.

ტექსტის დედანი ამოტვიფრული ყოფილა ვერცხლის ფირფიტებზე, რომლებიც დღეს დაკარგულია, მაგრამ ეგვიპტური ვერსია (იეროგლიფებით) შემორჩენილია რამესესისა და კარნაკის ტაძრების კედლებზე. ეს ხელშეკრულება არსებობს არა მარტო ორ ენაზე, არამედ ორ ვერსიადაც. თითოეული ვერსია წარმოადგენს მეორე მოკავშირის მიერ წარმოდგენილი ტექსტის რედაქტირებულ თარგმანს. ამასთან, ფორმულირება იცვლება რედაქტორის სურვილის შესაბამისად. ლურსმული ტექსტი სრულად არ არის მოღწეული, ის წყდება მე-14 პარაგრაფზე, რომელიც შეეფარდება ეგვიპტური ტექსტის მე-17 პარაგრაფს. ეს უკანასკნელი შეიცავს 30 პარაგრაფს და თავდება ვერცხლის ფირფიტების აღწერით, რომელზეც ამოტვიფრული ყოფილა ხელშეკრულების დედანი.

ხათუსილის საპეციალური წარმომადგენლები ჩასულან ეგვიპტეში და ჩაუტანიათ შეთანხმების პროექტი. იმ მიღებული ჩვეულების მიხედვით, რომელსაც დასაშვებად მიაჩნდა პოლიტიკური მდგომარეობის ცალმხრივი ინტერპრეტაცია, ეგვიპტური ტექსტი გადმოგვცემს, რომ რამზესის მეფობის ოცდამეერთე წელს, ტიბის თვის ოცდამეერთე დღეს ხეთების წარმოგზავნილები, თართეშუფი და რამოსი გამოცხადდნენ რამზესის მიერ ნილოსის დელტაში დაარსებულ ქალაქში, „რათა სთხოვონ ზავი რამზესს, ხარს მეფეთა შორის, რომელიც ამყარებს თავის საზღვრებს ყველა ქვეყანაში, სადაც მოესურვება“.

აღმოსავლური წესის მიხედვით, შესავალი იწყება ფრადოვანი ფრაზებით, რომლებიც ამჯერად შართლაც შეესაბამება სინამდვილეს: აღიდებენ ხათისა და ეგვიპტის მეფეებისა და მათი ქვეყნების თანასწორობას.

„ხელშეკრულება, რომელიც ხათის დიდმა მეფემ, ხათუსილი ძლევამოსილმა, ხათის დიდი მეფის, ძლევამოსილი მურსილის ვაჟმა, ხათის დიდი მეფის ძლევამოსილი სუფილულიუმას შვილიშვილმა ამოაჭრევიანა ვერცხლის ფირფიტებზე ეგვიპტის ძლევამოსილი მბრძანებლის რამზეს II-ისათვის, ეგვიპტის ძლევამოსილი მბრძანებლის სეტი I-ის ვაჟისათვის, ეგვიპტის ძლევამოსილი მბრძანებლის რამზეს I-ის შვილი-

შვილისათვის, შესანიშნავი ხელშეკრულებაა მშვიდობისა და ძმობის შესახებ და სამუდამო ზავს ამყარებს მათ შორის“.

მოსაწყენი იქნებოდა ამ ხელშეკრულების მთლიანი ტექსტის გადმოცემა. უმთავრესი ორი მუხლი იყო: ერთი, რომ მოწინააღმდეგენი კისრულობენ ვალდებულებას — თავი შეიკავონ ყოველგვარი აგრესიული მოქმედებისაგან და, მეორე, დაამყარონ ურთიერთთავდაცვითი კავშირი.

ჩვენის აზრით, ყველაზე საინტერესოა მუხლი, რომელიც ეხება პოლიტიკურ ლტოლვილებს. ის, რაც ამ სამი ათას წელზე მეტი ხნის წინათ დაიწერა, დღესაც არანაკლები საჭირობოტო საკითხია.

„თუ ერთი, ორი ან სამი კაცი გამოიქცევა ეგვიპტიდან და მიმართავს ხათის დიდ მეფეს, ხათის დიდმა მეფემ უნდა დაიჭიროს ისინი და გაუგზავნოს რამზესს, ეგვიპტის დიდ მზრძანებელს. მაგრამ ის კაცი, რომელსაც მიუყვანენ რამზესს, არ უნდა დაისაჯოს თავისი შეცდომისათვის; მის სახლს, ცოლებსა და შვილებს არაფერი არ უნდა დაუშავდეს, იგი არ უნდა მოკლან, არ უნდა მიიყენონ არავითარი ტანჯვა, არ დაასახიჩრონ — არ დათხარონ თვალები, არ მოჭრან ყურები, ბაგეები, ფეხები, არ დასდონ ბრალი არავითარ ბოროტებაში“.

ეს მუხლი ხეობსაც ეხება, თუ ისინი გადავლენ ეგვიპტეში.

ხელშეკრულებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დასკვნითი პარაგრაფი.

„რაც შეეხება ამ სიტყვებს, რომლებიც ჩაწერილია ვერცხლის ფირფიტებზე ხათისა და ეგვიპტისათვის, ვინც მათ პატივს არ სცემს, დაე, ხათის ქვეყნის ათასმა ღმერთმა და ეგვიპტის ქვეყნის ათასმა ღმერთმა მოსპონ მისი სახლი, მისი მიწა, მისი მსახურნი. ხოლო ვინც პატივს სცემს ამას, იგივე ღმერთებმა (ხათელი იქნება თუ ეგვიპტელი) მფარველობა გაუწიონ მის გაძლიერებასა და სიცოცხლეს, აგრეთვე მის ქონებასა და მსახურთ!“

ეს ხელშეკრულება რომ უბრალო „ქაღალდის ნაგლეჯად“ არ გადაიქცა, და პირიქით, ახლო აღმოსავლეთის ხალხებს სამოცდაათი წლის მშვიდობიანობა მოუტანა, უნდა ვუმაღლო-

დეთ არა ამ წყევლის მუქარას, არამედ ხეთების უნარს — აწარმოონ რეალური პოლიტიკა. იშვიათია სამოცდაათი წლის განმავლობაში მშვიდობიანობა ყოფილიყო! ასეთი მოვლენა ღირსი იყო აღნიშვნისა.

მაგრამ ხელშეკრულებას, რაგინდ საუკეთესოც არ უნდა იყოს იგი, არავითარი ღირებულება არ ექნება, თუ ხელმოწერნი პატიოსანნი არ არიან. ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ათი წლის შემდეგ ეგვიპტე-ხათის მეგობრობა ბრწყინვალე სახით განმტკიცდა: რამზესმა ცოლად შეირთო ხათუსილის ასული!

ეს პრინცესა ფარაონის ჰარამხანის უბრალო ტყვე რომ ყოფილიყო, ეს ფაქტი აღნიშვნის ღირსი არ იქნებოდა. პირიქით, რამზესს იგი პირველ ცოლად მიუჩნევია. ეს ქორწინება შესანიშნავი საბაბი იყო ერთხელ კიდევ გამოეცხადებინათ მეგობრობის ამ უდიდესი ხელშეკრულების სიმტკიცე. გარდა ამისა, ამით პირადი შეხვედრის საშუალება მიეცათ უძველესი დროის „ღიადი სამების“ ორ წარმომადგენელს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ საქმის ინიციატივა ხათუსილმ იკისრა და იგი პოლიტიკური მოსაზრებით იყო მოფიქრებული. Tu felix hattı nube... ამგვარი განმარტება შეეძლოთ მიეცათ ხეთების იმპერიის იმდროინდელი მდგომარეობისათვის, რომელიც გამომდინარეობდა ამ ქორწინებიდან. აბუ-სიმბელას ტაძრის ერთ სტელაზე უკვდავყოფილია ხეთების პრინცესას მოსვლა; მასზე ვხედავთ რამზესს, ხათის მეფის ასულს, რომელმაც მიიღო ეგვიპტურა სახელი მათნეფრურა („ქეშმარიტება არის ღმერთ რას სილამაზე“), და მის მამას ხათუსილი III-ს.

ახლახან ზიგფრიდ შოტმა გადათარგმნა ერთი ტექსტი, რომელიც თან ახლავს ამ სტელას. სამწუხაროდ, მთარგმნელი ეგვიპტელებს ემხრობა და თავის თარგმანს ასე იწყებს: „მას შემდეგ, რაც რამზეს II-მ გაიმარჯვა, ხეთების ქვეყანა ჩავარდა სიღატაკესა და შიშში. მისმა მეფემ გაუგზავნა თავისი ასული რამზესს...“

განა ფარაონი შიიღებდა სიღატაკეში ჩაფლული და მის

<sup>1</sup> Tu felix hattı nube... (ლათ.)—შენ ბედნიერი ხარ, ხათი, ქორწინებით... (რედ.)

წინაშე შიშით მოცახცახე ქვეყნიდან ჩასულ პრინცესას? მის შესახებდრად ხომ რამზესმა მთელი ჯარი და სახელმწიფოს დიდებულნი გაგზავნა!

აბუ-სიმბელას ტექსტი მარტივია:

„მოვიდნენ და შეატყობინეს მის უდიდებულესობას: შეხედე, რას აკეთებს ხეთების დიდი მეფე! მოჰყავთ მისი უფროსი ასული მრავალი საჩუქრით. ირგვლივ ყველაფერი აავსეს აურაცხელი განძეულობით. ხეთების მეფის ასულსა და ხეთების პრინცესს მოაქვთ იგი. მათ გადმოლახეს მრავალი ქედი და ძნელად გასავლელი ხეობა; ისინი მოაღწევენ თქვენი უდიდებულესობის საზღვრებს. გამოვიდა ჯარი და დიდებულნი მათ შესახებდრად“.

რამზესი გაკვირვებულია. ცხადია, თუნდაც უბრალო პოლიტიკური მოსაზრებით ხათუსილი თავის ასულს ეგვიპტეში არ გაგზავნიდა, წინასწარ რომ არ ყოფილიყო დარწმუნებული, ჩემს ასულს კარგად დაუხვდებოდა. მომდევნო სტრიქონებში ჩანს, რომ ინიციატივა სწორედ ხეთების მეფეს გამოუჩენია.

„მისმა უდიდებულესობამ გაიხარა. სასახლის ბატონი აღტაცებული დარჩა, როცა შეიტყო ეს გასაოცარი მოვლენა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს ეგვიპტეს. მან მაშინვე გაგზავნა ჯარი და დიდებულნი მის შესახებდრად“.

რამზესი სთხოვს თავის „მამა სეტს“ — უცხოელთა მფარველ ღმერთს, მისცეს კარგი ამინდი საქორწილო მსვლელობისათვის.

„შეაჩერე წვიმა, ქარიშხალი და თოვლი...“ და „მისმა მამამ სეტმა შეისმინა მისი თხოვნა.“

შემდეგ წარწერაში აღწერილია საქორწილო ამალის მსვლელობა, როგორც ნამდვილი სასწაული:

„ესენი იყვნენ ხეთების ჯარისკაცი, მოისარნი და ცხენოსანნი. ხეთელნი შერეულნი ეგვიპტელებთან. ისინი ერთად ჰამდნენ და სვამდნენ. იყვნენ ერთსულოვანნი, როგორც ძმანი და დანი, არც ერთი არ გრძნობდა მტრობას მეორისადმი. მშვიდობიანობა და მეგობრობა სუფევდა მათ შორის. იმ ქვეყნების მფლობელნი, რომლებიც ხეთებმა გაიარეს, განცვიფრებული იყვნენ, დაუჯერებლად მიაჩნდათ

და ხმაჩუყვეტილი უყურებდნენ ხეთებს,  
რომელნიც შერეულიყვენ მეფის ჯარისკაცებთან.  
ერთ-ერთმა ამ მმართველთაგანმა უთხრა მეორეს:  
რაც თქვა მისმა უდიდებულესობამ, მართალია,  
რა მშვენიერია ის სურათი, რაც ჩვენს თვალწინ გადაიშალა“.

აქედან აშკარაა, რომ მოსაზღვრე ხალხებისათვის ეს მსვლელობა „პოლიტიკური სასწაული“ იყო.

შემდეგ მშვენიერი საქორწილო ამაღლა შედის რამზესის ქალაქში:

„მიიყვანეს ხეთების დიდი მეფის ასული,  
ეგვიპტემდე ფეხით მოსული, მისი უდიდებულესობის წინაშე.  
და მას თან მოაყოლეს უამრავი საჩუქარი.  
მაშინ მისმა უდიდებულესობამ ნახა,  
რომ იგი მშვენიერია ქალმერთივით...“

და ეს იყო მეტად არაჩვეულებრივი მოვლენა,  
უმშვენიერესი საოცრება, აქამდე უნახავი,  
რომლის მსგავსი ჯერ არ გადაუციათ ერთი მეორისათვის.  
და არაფერი ამდაგვარი არ ყოფილა დაწერილი წინაპართა მიერ“.

ეპილოგი ნათლად გადმოგვცემს ამ სარგებლიანობის განზრახვით მოწყობილი ქორწინების პოლიტიკურ შედეგს: უკანასკნელი ფრაზა წარმოადგენს ეგვიპტელი პოეტის სავალდებულო შესხმას, რომელიც აღიღებს თავის მეფეს:

„როცა ახლა კაცი ან ქალი წავიდოდა სამოგზაუროდ  
თავისი საქმეებისათვის სირიაში და ისინი შევიდოდნენ  
ხეთების ქვეყანაში, მათ არ ჰქონდათ არავითარი შიში გულში  
იმდენად დიდი იყო მისი უდიდებულესობის ძლიერება.“

ეგვიპტე-ხათის ეს ხელშეკრულება და ქორწინება, რომელიც აგვირგვინებს ამ ორი ხალხის მეგობრობას, წარმოადგენდა ხეთების იმპერიის აპოგეას, მაგრამ მშვიდობიანობასთან ერთად გაქრა ხეთების ძლიერებაც.

ასურეთის ხარბი შეფეხები თავს ესხმიან მის საზღვრებს. ხეთების უერთგულესი დასავლეთელი ვასალი მადლუვათა გრძნობს, რომ ვითარება იცვლება და დალატობს მათ. მოულოდნელად დიდი გავლენა მოიპოვა არცაგას სახელმწიფომ, დასავლეთში კი გაძლიერდა ახიაგას ხალხი (შესაძლოა, ისინი ნამდვილად იყვნენ აქვევლები, ე. ი. პროტობერძენები).

სუფილუელიუმას მიერ შექმნილი ეს დიდი იმპერია ერთი

საუკუნის არსებობის შემდეგ ქრება. სუსტი თუთხალია IV-ისა (1250 — 1200 წწ. ძვ. წ.) და არნუეანდა IV-ის (1220 — 1190 წწ. ძვ. წ.) მეფობის დროს ეს ქვეყანა სუსტდება. არც თუთხალია და არც არნუეანდა არ მისდევენ ხათუსილის მშვიდობისმოყვარე და აღმშენებლობით პოლიტიკას. მათ ისიც ვერ შეძლეს, ახალი გამარჯვებებით დაებრუნებინათ ის დანაკარგი, რაც დიპლომატიაში განიცადეს.

ხეთების იმპერიის ასეთი მოულოდნელი აღსასრულის ასახსნელად მრავალი ჰიპოთეზა იყო წამოყენებული. თუმცა პრობლემა მარტივად შეიძლება გადაიჭრას — დიწყო ხალხთა გადასახლებანი. და თუ მაინც ამბობენ, რომ ეს საკმარისი არ არის ხეთების იმპერიის აღსასრულის ასახსნელად, შეიძლება შევედავოთ: მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ას ორმოცდაათი წლის განმავლობაში, იმანუილ კანტიდან მოყოლებული, ჩვენთან, დასავლეთ ევროპაში ბევრს ფიქრობდნენ დროისა და სივრცის შესახებ, „ისტორიული სივრცისა“ და „ისტორიული დროის“ შედარებითი მნიშვნელობა დღესაც არ არის გამორკვეული.

რაც უნდა იყოს, ჩანს, რომ არნუეანდა IV-ის სიკვდილს შემდეგ ცოტა ხანს მეფობდა რომელიღაც სუფილულიუმბა, ხოლო მის შემდეგ — რომელიღაც თუთხალია.

ერთი რამ მაინც ცხადია: დაახლოებით ძვ. წ. 1190 წლისათვის ქალაქი ხათუსა გადაუწვავთ. დასავლეთიდან მოსული ხალხების ახალმა შემოსევამ შთანთქა ხეთების დასუსტებული იმპერია. შესაძლებელია, პირველნი მიდიელები ან ფრაგიელები იყვნენ? მედინეთ-ნაბუს ტამრის ერთი ეგვიპტური წარწერა მათ „ზღვის ხალხებს“ უწოდებს და დასძენს:

„ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუმკლავდა მათ — თვით ხეთების ქვეყანაც!“

გაძარცვის შემდეგ ქალაქისათვის ცეცხლი წაუკიდებიათ, რომელსაც მძვინვარე ხასიათი მიუღია და გაუნადგურებია ხათუსა. დღეების, იქნებ კვირების განმავლობაშიც კი იწვოდა ციხე-სიმაგრეები, ტაძრები და სახლები.

ცეცხლმა მარტოოდენ დედაქალაქი როდი გაანადგურა (იგი ამის შემდეგ პატარა დაბად გადაიქცა). თითქმის



ერთდროულად დაინგრა აგრეთვე ხეთების ისეთი დიდი ქალაქები, როგორც იყვნენ ქანესი, ანდა ალაჯა-ჰუიუქის ადგილას მდებარე დასახლება. ამიერიდან ბოლო მოელო ხეთების იმპერიის „ისტორიულ“ არსებობას.

მაგრამ რაკი ჩვენ ხეთების ცივილიზაციის აღმოჩენის ისტორიას ვწერთ, ბუნებრივია, ანგარიში უნდა გავუწიოთ ხეთოლოგთა აზრს. მათი თვალსაზრისი დიდებულად განმარტა გამოჩენილმა ინგლისელმა არქეოლოგმა ლეონარდ ვულემ: „ყველაფერი რომ მხოლოდ არქეოლოგებზე იყოს დამოკიდებული, მაშინ ყველა ძველი დედაქალაქი დამარხული იქნებოდა ვულკანის ნაცრის ფენებქვეშ“. შემდეგ იგი დასძენს: „და თუ ვულკანი არ არის, მაშინ ყველაზე უკეთესა, რაც არქეოლოგების თვალსაზრისით შეიძლება დაემართოს ქალაქს, ესაა გაძარცვა და ხანძარი“.

ეს სიტყვები არც ისე ცინიურია, როგორც გვგონია. არქეოლოგები გამუდმებით აწყდებიან ხანძრის ნაკვალევს: ძარცვა, ნგრევა, ხალხის ჟლეტა ამქალაქებს ყველა იმ ბოროტებასა და უგუნურებას, რითაც ასე მდიდარია კაცობრიობის ისტორია. არქეოლოგები მართალი არიან, როცა ამბობენ, რომ სწრაფი, ძლიერი დანგრევა (ბომბები და ჰერკულანუმი რამდენიმე საათში ჩაიშრება ლავისა და პეზის ქვეშ) უკეთ ინახავს წარსულის ნაშთებს, ვიდრე ხანგრძლივი აგონია. უეცარი დანგრევა იწვევს მუშიფიკაციას და არა გახრწნას.

ის აზრი, რომ ხანძარს შეუძლია შენახვა, ცხადია, პარადოქსია; თუმცა, რაც უნდა ძლიერი იყოს ცეცხლი, იგი არასოდეს საესებით არ ანგრევს ქალაქს; ქვითკირის შენობები, კოშკები, ციხე-სიმაგრეები, გალავნები ნაწილობრივ მაინც გადარჩება; იცნობა აგურის სახლების გეგმაც. ეს ნანგრევები უფრო უკეთესი მოწმეა წარსულისა, ვიდრე მცხოვრებთა მიერ მიტოვებული ნაქალაქარები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქარი და სხვა ატმოსფერული მოვლენები ფიტავს შენობებს, შემდეგ ქვიშა ათანასწორებს მათ მიწასთან და მტვრად აქცევს.

ბოლაზ-ქოის გათხრების მეორე ხელმძღვანელის, გერმა-

ნელი კურტ ბიტელის წარმატება სწორედ იმით აიხსნება, რომ ხანძრისაგან განადგურებულ ქ. ხათუსაში მან აღმოაჩინა, ფირფიტების გარდა, ბევრი სხვა ნაშთიც, რომელთა შესწავლა შეიძლებოდა.

ჰუგო ვინკლერი კმაყოფილდებოდა მხოლოდ ფირფიტების ძებნით. ბიტელიც პოულობდა ფირფიტებს, მაგრამ იგი განაგრძობდა ოტო პუნშტეინის მიერ დაწყებულ საქმეს, როგორც ვინკლერის მიერ წარმოებული პირველი გათხრების ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი. ბიტელს აინტერესებდა ქალაქი, მისი სასახლე, მისი გალავანი, ციხე-სიმაგრის, ტაძრებისა და არქივების დამახასიათებელი არქიტექტონიკა. ვინაიდან ამ წიგნის საგანი ხეტების წინა ისტორიის აღწერა კი არ არის, არამედ მათი ისტორიისა, აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ ბიტელმა ბოლაზ-ქოის ღრმა ფენებიც გამოიკვლია. ახლა კი განვიხილოთ, რამდენადაც ამის საშუალებას აღმოჩენები იძლევა, რა შედეგებს მიაღწია. ბიტელმა თვით ხეტებისდროინდელი კულტურის შესწავლისას.

## ძალაქაზი და ქვეყნაზი, ხალხი და მისი ზნე-ჩვეულებანი

კურტ ბიტელის მიერ წარმოებული გათხრები, მართალია, მეცნიერების თვალსაზრისით ძალზე ნაყოფიერი იყო, მაგრამ თვით გათხრების დროს იმავე მეთოდებს იყენებდნენ, რასაც ადრე. ამიტომ მათზე არ შევჩერდებით.

მესოპოტამიაში თუ ანატოლიაში თანამედროვე გათხრების საერთო სურათი თითქმის ერთი და იგივეა. საშინელ სიციხეში ადგილობრივი მუშები მიაგორებენ ურიკებს ან გადააქვთ კალათები. ფოტოაპარატით აღჭურვილი ჩალისქუდებიანი ანდა ტროპიკულმუზარადებიანი არქეოლოგები რულეტებით ზომავენ ადგილს, სადაც, ჩვეულებრივ, შემორჩენილია მხოლოდ ნანგრევები. მათი გეომეტრიული განლაგება არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს არასპეციალისტებისათვის. გარეგნულად არაფერი არ მიუთითებს რაიმე

დიდ აღმოჩენაზე; მხოლოდ სპეციალისტები გრძნობენ ასეთი აღმოჩენის შესაძლებლობას.

ბიტელის მიერ წარმოებულ პირველ გათხრებს გააჩნდა როგორც სასაცილო, ისე თითქმის საშიში მხარეც.

ბიტელი დაიბადა 1907 წ. ჰაიდენჰაიმში, სამხრეთ გერმანიაში. იგი ჰაიდელბერგში, მარბურგში, ვენასა და ბერლინში სწავლობდა არქეოლოგიას და უძველეს ისტორიას. გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ხაზით კ. ბიტელს საშუალება მიეცა 1930 წელს გამგზავრებულიყო ეგვიპტესა და თურქეთში. 1931 წლის აპრილში იგი სტამბოლში შეხვდა მარტინ შედეს, გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის თურქეთის ფილიალის დირექტორს, რომელმაც შესთავაზა მას შეერთებოდა ბოლახ-ქოის არქეოლოგიურ ექსპედიციას. უნთუხიაზმით აღსაესე ბიტელი მაშინ ოცდასამი წლისა იყო. იგი დათანხმდა. ასე ჰპოვა მან თავისი ცხოვრების მიზანი. ცხრა წლის განმავლობაში, ომის დაწყებამდე, იგი გათხრებს აწარმოებდა ბოლახ-ქოიში. ახლაც კი, წელიწადის მრავალ კვირას ბიტელი ხეთების ძველი დედაქალაქის ნანგრევებს შორის ატარებს ხოლმე.

პირველად დაგეგმილი იყო შემოწმებითი ხასიათის გათხრების ჩატარება, რადგან გამოირკვა, რომ ვინკლერისა და მაკრიდის მიერ წარმოებული გათხრები კეთილსინდისიერად არ იყო შესრულებული. მოგვიანებით ბიტელი აღნიშნავდა ზოგიერთ ფაქტსაც, მაგრამ აღნიშნავდა თავაზიანად, უკომენტარებოდ. უნდა ითქვას, რომ მეცნიერული თვალსაზრისით ვინკლერი და მაკრიდი ძალიან დაუდევრად აწარმოებდნენ გათხრებს. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ ორი მაგალითი. ეგრეთ წოდებულ „სახლში ფერდობზე“ მაკრიდის დაუწყია (ალბათ, 1911 წ., მაგრამ მას ესეც კი არა აქვს აღნიშნული) კედლის ერთი გვერდის გასუფთავება, მაგრამ არც გათხრები დაუშთავრებია და არც რაიმე ჩანაწერები დაუტოვებია. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ადგილის აღმოსავლეთით მაკრიდის აღმოუჩენია „რკინის დამუშავების კვალი“, ე. ი. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც კი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო. მაგრამ მას არავითარი ჩანაწერი არ დაუტოვებია ამ „კვალის“ თვისებაზე.

ახალი ექსპედიცია დაფინანსებული იყო იმ საკრედიტო ფონდიდან, რომელიც დაარსდა 80 წლის ჯეიმს სიმონსის პატივსაცემად. როგორც დაეინახეთ, ამ ებრაელმა ქველმოქმედმა ოცდაათი წლის წინ შესაძლებლობა მისცა ანტიემიტ ვინკლერს ჩაეტარებინა პირველი არქეოლოგიური გათხრები ბოლაზ-ქოიში. სწორედ ამ მეცენატის ფონდიდან გამოიყო საჭირო თანხა ახალი ექსპედიციისათვის. როდესაც კ. ბიტელი და მ. შედე, ალიშარ-ჰუიუქში ცოტა ხნით დარჩენის შემდეგ (აქ ფონ დერ ოსტენი აწარმოებდა კვლევას ჩიკაგოს უნივერსიტეტის დავალებით), 1931 წლის 1 სექტემბერს ბოლაზ-ქოიში ჩამოვიდნენ, ისინი ეწვივნენ იმავე ზია-ბეის, რომელმაც ოდესღაც ვინკლერი, მაკრიდი, პუზშტეინი და ჯურციუსი მიიღო.

ზია-ბეი, ჩამომავლობით დულგადირ-ოდლუს გვარიდან, ამ დროს უკვე სამოცი წლისა იყო. ისევე, როგორც ვინკლერის დროს, ცხოვრობდა თავის ქონაქში, ე. ი. ორსართულიან სამ შენობაში, რომელიც შედგებოდა ჰარემლიკისაგან — ბატონისა და მისი ოჯახის საცხოვრებლისაგან, სელამლიქისაგან, ანუ სტუმრების სახლისაგან და საერთო სახლისაგან. ზია-ბეისათვის არაფერი შეცვლილიყო. თავისი თავი მის მამულში მცხოვრები 800 სოფელის აბსოლუტურ ბატონად მიაჩნდა. ამასობაში თურქეთი უკვე რესპუბლიკა გახდა და ბიტელმაც მალე იხილა ამის შედეგი. ზია-ბეიმ თავისუფლად შეაგროვა მუშების საჭირო რაოდენობა. როცა ისინი გათხრების ხელმძღვანელებს წარუდგინეს, ერთი კომიკური სცენა გათამაშდა. ბიტელმა, რომელიც იმ დროს თურქულად ვერ ლაპარაკობდა, არ იცოდა როგორ მისაღებობოდა მათ. ერთი თურქი გამოეჭიმა და ხმამაღლა, სუფთა ბერლინური აქცენტით შესძახა: „დილა მშვიდობისა, ბატონო კაპიტანო!“ ამ კაცს თურმე ომის (1914—1918 წწ. დროს გერმანულ პოლკში ემსახურა, რუმინეთის ფრონტზე.

მეორე დღეს ბოლაზ-ქოიში ჩავიდნენ არქიტექტორი და ექსპედიციის ფოტოგრაფი; მეზუთე დღეს კი ხათუსას აკრო-

პოლზე მუშაობა დაიწყო. მაგრამ მუშები პირველი ჯამაგერის მიღებისთანავე აჯანყდნენ. ზია-ბეიმ არამცთუ მოიყვანა მუშები, მანვე იკისრა მათი ჯამაგირის გასტუმრებაც. მუშისთვის დღიურად 30 ყურუში უნდა მიეცათ, ზია-ბეის კი თურმე მიუთვისებია თანხის დიდი ნაწილი. იგი ასე მსჯელობდა: რაც ჩემს ხალხს ეკუთვნის, ის მეც შეეკუთვნისო. მას არაფერი გაეგებოდა იმ ცვლილებებისა და სოციალური რევოლუციის შესახებ, რაც თურქეთში მოხდა. მუშებმა ქეები დაუშინეს კარავებს. ბიტელმა, თურქულის უცოდინარობის გამო, ვერ გაიგო, რაში იყო საქმე და იძულებული გახდა ჟანდარმერისათვის მიემართა.

საქმე დროებით შეჩერდა, ვიდრე ბიტელი, აჯანყების მიზეზის გარკვევის შემდეგ, არ შეჰპირდა მუშებს, რომ დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნას. მას დიდი კამათი მოუხდა ზია-ბეისთან, რომელმაც განაცხადა, თანამედროვე წესების არაფერი გავეგებო. ბოლოს ანეთი გამოსავალი ნახეს: დღიური ხელფასი გაადიდეს 50 ყურუშამდე, თანაც ეს ფული პირდაპირ მუშებს დაურიგდებოდა და ზია-ბეის ხელში არ გაივლიდა.

შემოთ აღვნიშნეთ, რომ პირველი გათხრები მხოლოდ საცდელი ხასიათისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მუშაობის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ ექსპედიციამ, რომელსაც, ისევე როგორც ვინკლერს, ბედი სწყალობდა, აღმოაჩინა 350 თიხის ფირფიტა. ფირფიტების ლურსმული ტექსტი შედგენილი იყო აქადურად და ხეთურად; ორივე შემთხვევაში მათი წაკითხვა შესაძლებელი იყო.

ამ აღმოჩენამ ბიტელი გაამხნევა და მან განაგრძო გათხრები. მაგრამ ამ დროს ბერლინის „დანატ-ბანკმა“ კრახი განიცადა. გერმანიაში ეკონომიური კრიზისი უაღრესად გაძლიერდა და ერთბაშად ექსპედიცია უფულოდ დარჩა. დასაწყისში მას თავის განკარგულებაში ჰქონდა 3000 მარკა, ახლა კი ბიტელი მუშაობას განაგრძობდა 1000 მარკით, რასაც მას გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტი უგზავნიდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე წარმოებულ გათხრები, მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, რომელსაც ბიტელი წააწყდა, წარმატებით დაგვირგვინდა.

თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, ბიტელის ინტერესები ბოლახ-ქოიში მრავალმხრივი იყო. იგი რაიმე კონკრეტულს კი არ ეძებდა, არამედ აწარმოებდა კვლევას, რათა ყველაფერი ერთიანობაში შეესწავლა. მას არ ჰქონდა პრეტენზია — ყოფილიყო ყველაფრის მცოდნე და ამიტომაც შემოიკრიბა სხვა დარგის სპეციალისტები, ინჟინრები და არქიტექტორები. ვიდრე თავისი მუშაობის შედეგს გამოაქვეყნებდა, აზრი გამოჰკითხა სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინების წარმომადგენლებს: ზოოლოგებს, ქიმიკოსებს, ბიოლოგებს და სხვ. ამით მან გადაჭრა მრავალი პრობლემა, რომლებსაც მართო არქეოლოგი ვერასოდეს ვერ გადაჭრიდა.

ნელ-ნელა, თანდათანობით იკვეთებოდა ხათუსას ისტორია. ნაქალაქარის ადგილზე აღმოჩნდა ხუთი კულტურული ფენა. უძველესი—IV ფენა მიეკუთვნება ხეთების ბატონობის ადრეულ საუკუნეებს; III ფენა—ხეთების ძლიერების ხანას, ე. ი. სუფილულოუმას მეფობას. ამ დროს, ძვ. წ. XIV ს-ის შუა ხანებში, აშენდა ტაძრები და ციკლოპური გალავნები. რაც შეეხება III ნ ფენას, იგი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, როგორი იყო ხეთების დედაქალაქი თუთხალია IV-ის დროიდან მოყოლებული მანამდე, ვიდრე ხანძარმა არ გაანადგურა იგი. II და I ფენები მოწმობს ფრიგიელთა და ბერძენთა გავლენას და ჩვენთვის ამჟამად საინტერესო არ არის.

ბიტელმა ხელახლა გადაიღო ხათუსას. შენობათა და ქალაქის მახლობლად მდებარე იაზილიკიას კლდეში გამოკვეთილი ტაძრის ფოტოები. პირველი გათხრებისთანავე აღმოჩნდა, რომ ბუიუქ-კალე (აკროპოლი) სუფილულოუმას დროს ჩაყვტილ გალავანს წარმოადგენდა. ეს საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ „მეფის კარიბჭესთან“ არსებულ შენობათა ერთობლიობა, რომელიც 1907 წელს სანახევროდ გაწმინდა პუნშტეინმა, ტაძრის ნაშთია და არა სასახლისა, როგორც პუნშტეინს ეგონა. 60 კვ. მეტრ ფართობზე გათხარეს სამოცზე მეტი ოთახი.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც აღმოაჩინეს, არქივები იყო.



ქადავის გასაყრელი ბრინჯაოს ნივთი (მაგრდებოდა ხელნაზე)

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ პირველი გათხრების დროს ბიტელმა იპოვა 350 ფირფიტა. 1932 წ. მან კიდევ 832 ლურსმული ტექსტი აღმოაჩინა, ერთი წლის შემდეგ კი — 55001. ამ დოკუმენტებს შორის ნახეს საბექდავებიც, რომელთა შესახებ უკვე ვილაპარაკეთ ძველ წარწერათა გამოფერაზე მიძღვნილ თავში. ამ საბექდავებმა საშუალება მისცა ბიტელსა და ანკარის უნივერსიტეტის პროფესორს ჰანს გუტავ გიუტერბოკს დაეკენათ, რომ ნიშან-თაშის წარწერები სუფილულიუმას ეკუთვნის, და დაემტკიცებინათ, რომ ხეთური იეროგლიფების პირველი, პიპოთეტიური ინტერპრეტაციები ზუსტი იყო.

ცხრა წლის განმავლობაში ბიტელი განუწყვეტლივ ამ პრობლემებზე მუშაობდა. იგი ამ დროს იყო გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორად სტამბოლში; მაგრამ როგორც კი მთავრდებოდა წვიმების სეზონი, იგი მიდიოდა ბუიუქ-კალეში, სადაც ერთი წყაროს ნაპირას, ალიზისაგან ნაგებ ფანჩატურებში არქეოლოგები ცხოვრობდნენ. სამუშაო, რომელსაც ყოველდღიურად ასრულებდნენ, მოსაწყენი, ერთფეროვანი იყო. ერთი მგლის გამოჩენა უკვე სენსაციას იწვევდა. ერთობოდნენ, როცა თვალს ადევნებდნენ არწივების ტრიალს ჰაერში, ანდა სვავების წელ, ზარმაც ფრენას. თუ ექსპედიციის რომელიმე წევრი თავის ლოჯინში მორიელს აღმოაჩენდა, ანდა ობობას, როგორც ეს 1938 წელს მოხდა, როცა ბანაკში გაბლედეს სახეობის ხუთი ობობა ნახეს (ახლო აღმოსავლეთის ეს ყველაზე მანებელი და უსაზიზღრესი მწერი—მოყვითალო-მიხაკისფერი, თითისტოლა, რომელსაც ბრჭყალებიანი სხეული ჰქონდა), ამაზე ლაპარაკი მთელი კვირების განმავლობაში არ თავდებოდა.





## IV სიმოხსლის განმარტების საილუმოაბა

### ადგილიანა შავი მთის ძირას

1945 წლის ზაფხულის დამლევს მოგზაურთა ერთმა პატარა ჯგუფმა ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით გადაკრა ტავროსის მთები. ესენი იყვნენ პროფესორი პელმუთ ტ. ბოსერტი და მისი ასისტენტები: დოქტორი ჰალეთ ჩამბელი, ნიპალ ონგუნსუ და მუჰიბე დარგა. სტამბოლის უნივერსიტეტმა მათ დაავალა გამოეკვლიათ ერთი ნაკლებშესწავლილი და ძნელად მისასვლელი მხარე. სადაც თითქმის არ არსებობდა გზები, და ეწარმოებინათ იქ ანატოლიის ძველი ცივილიზაციის ნაშთების ძიება.

დაბა ფეჩეში (თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში) იურიუქებმა, ამ ადგილების უკანასკნელმა მომთაბარე ტომმა, მოგზაურებს შეატყობინეს: „შავი მთის ხეობაში“, უახლოესი ქალაქის — კადირლის მეორე მხარეს, ლომის ფორმის ქვა არისო. ამან ბოსერტი დააინტერესა: ლომი ხეტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი სიმბოლური ცხოველი იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, იმ სეზონში კადირლი მოწყვეტილი იყო ამ ქვეყანას უგზოობის გამო. ამასთანავე ექსპედიციას დრო შეზღუდული ჰქონდა.

1946 წლის თებერვალში ბოსერტი თავისი ასისტენტის ჰალეთ ჩამბელის თანხლებით სტამბოლში დაბრუნდა. მას არ ურჩევდნენ წასულიყო იმ ადგილებში, რომელიც იურიუქებ-

მა მიუთითეს, რადგან წვიმების სეზონი ჯერ არ გასულიყო და კადირლის გარშემო მთელი სოფელი ტალახიან კაობს წარმოადგენდა.

მაგრამ ბუნებით ჯიუტმა ბოსერტმა გადაწყვიტა კვალს ბოლომდე მიჰყოლოდა. იმათ, ვინც ბოსერტს მხოლოდ მისი შრომების მიხედვით იცნობდა, როგორც ხეთების იეროგლიფური დამწერლობის გაშიფვრის სერიოზულსა და გამჭრიახ მონაწილეს, არაფერი იცოდნენ მისი, როგორც პიროვნების შესახებ. ბოსერტი დაიბადა 1889 წ. ლანდაუში (რაინლანდ-პფალცი). სწავლობდა ხელოვნების ისტორიას, არქეოლოგიას, გერმანულ ფილოლოგიასა და შუა საუკუნეების ისტორიას, მეტადრე პალეოგრაფიას. 1914—18 წწ. ომის დროს, მსახურობდა ოფიცრად. ზავის შემდეგ, როცა გერმანიაში არც საშხედრო და არც მეცნიერულ კარიერას პერსპექტივა არ ჰქონდა, ბოსერტმა მოწაფედ დაიწყო მუშაობა მხატვრული ლიტერატურის ცნობილ — ვასმუთის გამომცემლობაში. რამდენიმე წლის შემდეგ კი იგი უკვე ამ გამომცემლობის დირექტორი გახდა. მან გამოსცა „გამოყენებითი ხელოვნების ისტორია“ ექვს ტომად. ესაა კლასიკური შრომა ამ დარგში. ერთდროულად, თავისუფალ დროს, დამოუკიდებლად სწავლობდა ლურსმულ დამწერლობასა და იეროგლიფებს. ბოსერტი ეკუთვნოდა იმ ბერლინელ მეცნიერებს, რომლებიც დაჯგუფებულნი იყვნენ ასირიოლოგების ერნსტ ფ. ვაიდნერისა და ბრუნო შაისნერის ირგვლივ.

მაგრამ მისი საქმიანობა ამით არ ამოწურულა: ხეთების იეროგლიფების გაშიფვრის შესახებ თავისი პირველი წიგნის „სანთას და ქუბაპა“-ზე მუშაობასთან ერთად, რომელიც 1932 წ. გამოიცა, ბოსერტი ერთი წლით მოეწყო იმ დროის საუკეთესო გერმანული გაზეთის „ფრანკფურტერ ცაიტუნგის“ გამომცემლობაში. აქ მან გამოაქვეყნა ისეთი სხვადასხვაგვარი შრომები, როგორცაა: „ფოტოგრაფიის საფუძვლები“, და ორი წიგნი ილუსტრაციებით — „ამხანაგი დასავლეთში“ და „უიარაღოდ ფრონტის ხაზს იქით“. ბოლო ორ ნაშრომში ბოსერტი მოგვითხრობს, რა ბედი ჰოელის მოსახლეობას მომავალ ომში. ამის წყალობით იგი მოხვდა იმ შავ

სიამში, რომელსაც ამოიკითხავდნენ ხოლმე ფაშისტები ბერლინში საჯაროდ იმ დღეს, როცა წიგნების კოცონებს ანთებდნენ.

ამიტომაც სასიამოვნო იყო ის წერილი, რომლითაც 1933 წ. შემოდგომაზე თურქეთის განათლების სამინისტრომ ბოსერტს სთხოვა დარჩენილიყო თურქეთში. ამ დროისათვის მას უკვე ნანახი ჰქონდა ბოლახ-ქოი, სადაც კურტ ბიტელთან მუშაობდა კლდეების წარწერათა გაშიფვრაზე და თანაც პირველ არქეოლოგიურ ჩვევებს იძენდა. ბოსერტმა მიიღო მინისტრის წინადადება. 1934 წლის აპრილში იგი სტამბოლის უნივერსიტეტში პროფესორად და ამავე დროს არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს. ბოსერტმა მიიღო თურქეთის ქვეშევრდომობა და ცოლად შეირთო თურქი ქალი.

ამის შემდეგ გასაგებია, რომ ადამიანს, რომელმაც მიზნად დაისახა ენახა საიდუმლოებით მოცული „ლომის ქვა“, ვერ შეაჩერებდა წვიმებისაგან ატალახებული გზები. მისმა ასისტენტმა პალეთ ჩამბელმაც, რომელსაც დიდი სიცხე ჰქონდა, განაცხადა, მზად არის გაჰყვეს მას. შემდეგ ეს ქალი ბოსერტის ყველაზე ენერგიული თანაშემწე გახდა. იგი მარტოც კი ხელმძღვანელობდა გათხრებს ყარა-თეფეში.

1946 წლის 27 თებერვალს, ნაშუადღევის პირველ საათზე თაშარაბასი (ცხენებშებმული ურესორო ურემი, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ხმარობდნენ კადირლის მიდამოებში) გზას გაუდგა. კადირლი საოლქო ცენტრია, მაგრამ მაშინ იქ ჯერ კიდევ არ იყო ელექტრონი, ხოლო მოკირწყლული გზა, რომელიც დაბას მეზობელ დასახლებულ პუნქტთან შეაერთებდა, მხოლოდ 1954 წ. გაიყვანეს. ამ გზის გაყვანამდე შემოდგომასა და გაზაფხულზე, წვიმების პერიოდში, ეს ქალაქი მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს. ადგილობრივ მკვიდრთათვის ეს დიდ უპირატესობას წარმოადგენდა — ამ ხნის განმავლობაში ქალაქს არავინ განაგებდა.

რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ ურემი, რომელშიც ისხდნენ ბოსერტი, ჩამბელი და ნაში კუმი (ადანას მუზეუმის დირექტორი, რომელიც მგზავრებს კოზანში შეუერთ-

და), ტალახში ჩაეფლო. მიუხედავად ამისა, მგზავრობა არ შეუწყვეტიათ, ვიდრე ქანცგამოცლილი ცხენები არ დავარდნენ. ბოსერტი და მისი თანამგზავრები იძულებული გახდნენ შეესვენათ პატარა დაბა ქიოზელში. იქ გაიგეს, რომ თურმე მეურმეს არც გზა სცოდნია და ურემშიც ყველაზე ცუდი ცხენები შეუბამს. მეურმე თავისი ცხენებით უკანვე კოზანში გააბრუნეს. შემდეგ კი კოზელის მცხოვრებთა დახმარებით — ამ ადგილებში მგზავრი უზრუნველყოფილია ყველანაირი დახმარებით — იშოვეს ახალი მეურმე და წყვილი ლონიერი ცხენი.

თანდათან დაბინდდა. ტალახი სულ უფრო და უფრო გაუვალი გახდა. ახალი ცხენებიც კი ვერ აღწევდნენ თავს ამ საშინელებას. მგზავრები ურმიდან ჩამოვიდნენ და ფეხით განაგრძეს გზა. ბოლოს ურები ცხენებიანად ორმოში ჩავარდა. „მიუხედავად ამისა, — როგორც ბოსერტი მოგვიანებით წერდა ლაკონიურად, — ბოლოს და ბოლოს, ორმოების ლაბირინთის გავლით ჩვენმა მეურმემ მშვიდობიანად მიგვიყვანა კადირლიში.

გვიანი საღამო იყო, მაგრამ რაკი ექსპედიციის ჩასვლას მოელოდნენ, ბრწყინვალე ვახშამი მოგვიწყვეს. მასში მონაწილეობა მიიღეს კაიმაკამმა (ოლქის უფროსმა), ქალაქის თავმა და კადირლის სხვა წარჩინებულმა პირებმა“. მაღლიერმა, მაგრამ მოუთმენელმა ბოსერტმა მაშინვე შეკითხვების მიცემა დაუწყო თავის მასპინძლებს. არც ერთ მათგანს არაფერი გაეგო „ლომის ქვის“ შესახებ. ბოსერტი მაინც დაეინებით ითხოვდა, მიესწავლებინათ ვინმე ისეთი, რომელმაც კარგად იცოდა ეს ადგილები.

ღამის 11 საათამდე ქალაქის რატუშაში ათამდე კაცი მაინც გამოცხადდა; მათი ნაამბობი, თავისთავად, საინტერესო იყო, მაგრამ „ლომის ქვის“ შესახებ არავინ არაფერი იცოდა. არავის არ ენახა არც ქანდაკებები, არც ძველი კედლები და, მით უმეტეს, წარწერიანი ქვები. ბოლოს, 11 საათზე მოვიდა უკანასკნელი სტუმარი, მასწავლებელი ექრემ ქუშიუ და განაცხადა, რომ 1927 წლიდან მოყოლებული ოთხჯერ მაინც ჰქონდა ნახაი ეს ქვა. ამან საერთო აღტაცება გამოიწვია.

მანვე თქვა, რომ შეეძლო წაეყვანა კიდევ იქ არქეოლოგები. კარგ ამინდში ცხენით ამ აღდილამდე ხუთ-ექვს საათში შე-  
ძლება მისვლაო.

თავის დღიურში ბოსერტი ასე აღწერს იმ დღის მოვლენებს: „ჩვენ სასიაშოვნო დაჟე გავატარეთ კადირლიში“. მან ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინა, თუ რა სიტუაციაში მოვლოდა მას ყარა-თეფეში.

მეორე დღეს, ცხრის ნახევარზე მოიყვანეს შეკაზმული ცხენები. მშვენიერი ამინდი იყო. გაშლილი ველის გავლის შემდეგ მგზავრები მიხვეულ-მოხვეული გზით შევიდნენ სეობაში, რომელსაც მთების სიღრმეში მიდიოდა. აღმოსაღლეთით გამოჩნდა ანტიტავროსის მთების დათოვლილი მწვერვალები. წორს კი მოჩანდა მთაგრეხილი, რომელსაც ყარა-თეფეს უწოდებენ. შამბით დაფარული ტრაპალი იმდენად გაუვალი იყო, რომ ბოსერტი და მისი თანამშრომლები ცხენებიდან ჩამოვიდნენ და სვლა ნახევრად წაშლილი მეცხვართა ბილიკით განაგრძეს. მწვერვალზე ახულებმა დაინახეს ნისლში გახვეული გორაკები და ღრმა ხეობები, რომლებიც გაუთავებლად მისდევდნენ ერთმანეთს. მათ ქვემოთ შიდაკაენბო-და ბობოქარი, ყვითლად აქაფებულნი მდინარე სეიპანი, ძველი პირამუსი. რამდენიმე წუთის შემდეგ მცენარეებით, ქვებითა და ნანგრევებით მოფენილ მიდამოებში ერთბაშად დაინახეს „ლომის ქვა“. მაგრამ მათ ბევრი სხვა რამეც დაინახეს. „ლომის ქვა“ ოდესღაც ქანდაკების კვარცხლბეკი ყოფილა. თვით ქანდაკება, ძალზე დაზიანებული — უთავოდ და უმკლავებოდ. იქვე გვერდზე იწვა. მასზე იყო წარწერაც.

დათვალიერების შედეგად ბოსერტმა ეს დამწერლობა სემიტურად მიიჩნია და წამით იხანა: ნუთუ ეს ნაშთები შემთხვევითაა შემოტანილი აქ იმ სემიტი მოსახლეობის მიერ, რომელიც გადმოსახლებული იყო ყარა-თეფეში უცნობი მიხეზების გამო.

მოვიყვანთ რამდენიმე მოსაზრებას, საიდანაც ცხადია გახდება, თუ რაოდენ ძნელია არქეოლოგისათვის სწორად განსაზღვროს იმ ნივთის ღირებულება, რომელიც მან ეს-ესაა აღმოაჩინა; გავიხსენოთ, რა მოხდა 1954 წ.: ეგვიპტელმა

არქეოლოგებმა გიზაში და საქარაში იპოვნეს მიცვალებულთა ნავეები და ერთი სარკოფაგიანი პირამიდა. მათ იმგვარად აღწერეს ეს აღმოჩენები, რომ ამ ამბავმა ყუმბარის აფეთქების ეფექტი მოახდინა და მსოფლიოს პრესა მღელვარებამ მოიცვა. მაგრამ მალე უფრო დაკვირვებითმა შესწავლამ ცხადჰყო, რომ ამ აღმოჩენას ახალი არაფერი მოუტანია ეგვიპტოლოგიისათვის.

ერთი მხრივ, ქვის მოცულობის მიხედვით ბოსერტი დიდხანს ფიქრობდა, რომ იგი დამუშავებული იქნებოდა ახლომდებარე ქვის სამტეხლოებში, მეორე მხრივ, იგი წარმოადგენდა ბაზალტის ფოროვანი მუქი ფერის ბლოკს; ყარა-თეფეში კი, სადაც ბევრნაირი ქვაა, ბაზალტი არ არის. კიდევ ერთი უცნაურობა: მანერა, რომლითაც ნაკვეთია ლომის ფიგურა და კვარცხლბეკი, უდავოდ ხეთური იყო, წარწერა კი სემიტური (ბოსერტს იმ დროს ეგონა, რომ ასოები არამეული იყო; შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს იყო ფინიკიური დამწერლობა).

ვიდრე ჰალეტ ჩამბელი ძეგლის ფოტოგრაფირებას აწარმოებდა და ცდილობდა მისი პირი გადმოეღო, ბოსერტმა, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ბუჩქნარი იძლეოდა, დაათვალიერა ქანდაკების მიდამოები. მან იპოვა ბარელიეფის ფრაგმენტები, რომელშიც შეიძლებოდა კაცის თავისა და ადამიანის ნახევარფიგურის ცნობა. ბოლოს წააწყდა რამდენიმე, სამწუხაროდ, ძალიან პატარა ზომის ნატეხებს იეროგლიფებით.

ბოსერტს ერთბაშად გაუელვა თავში, რომ მის წინ ხეთურ ძეგლზე ამოჭრილი სემიტური წარწერები იყო. ამან საშუალება მისცა დაესკვნა, რომ ეს ტექსტი ბილინგვას, ორენოვან წარწერას წარმოადგენდა, რომლის აღმოჩენაზეც არქეოლოგები ათწლობით ოცნებობენ. მაგრამ ეს შესაძლებლობა მას იმდენად ფანტასტიურად მოეჩვენა, რომ მაშინვე უარყო.

ყარა-თეფეზე სამი საათი დაჰყვეს. მათ გათხრის უმნიშვნელო ცდაც კი არ მოუხდენიათ, ამიტომაც ჯერ კიდევ აღრე იყო აზრის გამოთქმა.

გზაზე რომ არ შემოღამებოდათ, ვგზავრებმა სასწრაფოდ

დატოვეს ყარა-თეფე და გაემართნენ დაბა ქიზიუსუფლუში ცხენით საათ-ნახევრის სავალზე. უკვე მაშინ, როცა ბანაკის კოცონთან იჭდა გლებებთან ერთად, რომელნიც უცხოელთა სანახავად მოსულოყვნენ, ბოსერტმა გადაწყვიტა დაბრუნებულიყო ყარა-თეფეში.

ლოგიკური იქნება ყარა-თეფეს აღმოჩენა მიეწეროს მასწავლებელ ექრემ ქუშჩუს, რომელიც შემდგომ, ბოსერტის წინადადებით, თურქეთის ისტორიულმა საზოგადოებამ დააჯილდოვა. მაგრამ ექრემმა თქვა, რომ თვითონაც „ლომის ქვის“ არსებობა პირველად 1927 წ. გაიგო ერთი ოთხმოცა წლის მოხუცისაგან, ვინმე აბდულაპისაგან (ქიზიუსუფლუს მცხოვრები). ქიზიუსუფლუელებმა უკვე დიდი ხანია იცოდნენ, რომ ყარა-თეფეში ნანგრევები იყო. იმ დროს ძეგლები ჯერ კიდევ ვერტიკალურად იდგა და ისინი, ალბათ, განძის მაძიებელმა მომთაბარეებმა გადააყიდავეს.

მაშ ვინ არის ყარა-თეფეს ნამდვილი აღმოჩენი? საკითხი ადვილად გადაიჭრება, თუ ვიტყვი, რომ ერთია ფაქტის ცოდნა და სულ სხვაა მისი შესწავლა და განმარტება. ამ თვალსაზრისით ყარა-თეფეს აღმოჩენა ეკუთვნის ჰელმუთ ტ. ბოსერტსა და ჰალეთ ჩამბელს (ნაში კუმი მხოლოდ შემთხვევითი სტუმარი იყო ამ ადრეშემზადებული ექსპედიციისა), რადგან ყარა-თეფეს ნაშთები პირველად მათ ჩათვალეს ხეტების ქალაქის ნანგრევებად.

1947 წლის 15 მარტს ბოსერტი ხელმოკრედ ჩავიდა ყარა-თეფეში.

ახლა შევეცადოთ თანმიმდევრულად, ქრონოლოგიურად. გადმოვცეთ შემდგომი მოვლენები, რათა ხაზი გავუსვათ ცალკეულ გათხრათა კულმინაციურ მომენტებს.

ამჟერად ბოსერტს გაჰყვა დოქტორი ბაჰადირ ალქიმი, რაც სიტყვა-სიტყვით „მამაც ცისარტყელას“ ნიშნავს. იგი დაიბადა-სმირნაში 1915 წ. დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტი, იყო ბოსერტის მოწაფე და გამოცდილება მიიღო ალაჯა-ჰუიუქისა და სხვა ადგილების გათხრების დროს (რამდენიმე ხანს იმუშავა ალაჯაში, სადაც მიწვეული იყო ლეონარდ ვულის მიერ). ალქიმი დიდად განათლებულ და ყველა პრობლემით

დაინტერესებულ მეცნიერ-პოლიგლოტთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც თურქეთში ქემალ ათათურქის დროიდან აღიზარდა. როცა ალქიმი ბოსერტის ასისტენტად დაინიშნა, იგი უკვე სტამბოლის უნივერსიტეტის დოცენტი იყო.

მათი ერთობლივი გამოკვლევები ზუსტად ერთ თვეს გაგრძელდა და დამთავრდა 1947 წლის 15 აპრილს. ამ მოკლე დროში ბოსერტმა და ალქიმიმ არაჩვეულებრივ წარმატებებს მიაღწიეს, მიუხედავად იმისა, რომ მოძველებული იარაღი ჰქონდათ და მუშებიც ცოტა ჰყავდათ.

ისინი ცხოვრობდნენ კარვებში, წარმოუდგენლად ცუდ პირობებში, იმ უკანასკნელ მომთაბარე ხალხებთან, რომელნიც დახეტებოდნენ აქიოლზე („თეთრი გზა“), უძველეს საქარავნო გზაზე, საუკუნეთა მანძილზე რომ აერთებდა აღმოსავლეთს დასავლეთთან და სამხრეთთან. სწორედ ამ კარვებთან მიმიყვანა 1951 წ. ბოსერტის მეორე ასისტენტმა ქალმა მუჰიბე დარგამ. ჩვენ ქალებთან ერთად (მამაკაცებს საქონელი წაუყვანათ საძოვრებზე) ვუსხედით კერას, რომელზეც დილიდან საღამომდე ცხვებოდა „იუფქა“ (თხელი კვერები, რომელიც პურის მაგივრობას სწევს) და მეგობრობის ნიშნად ვართმევდით მოხუც ქალს რევმატიზმისაგან დაბრუნებული და ჭუჭყისაგან გაშავებული ხელებით შემოთავაზებულ თხის ყველს. ბოსერტი და მუჰიბე დარგა იძულებული აღმოჩნდნენ ეთქვათ, რომ ისინი ცოლ-ქმარი იყვნენ და თანაც ექვსი ვაჟი ჰყავდათ — ეს ხალხი არ მიიღებს სტუმრად ქალს და კაცს, თუ ისინი ან ცოლ-ქმარი არ არიან (ე. ი. უნდა ჰყავდეთ შვილები), ანდა და-ძმა. ყოველ შემთხვევაში, ამითაც ვერ დაარწმუნებდნენ, რადგან მხოლოდ მუჰიმე დარგა ლაპარაკობს თურქულს.

ბოსერტი და ბაჰადირ ალქიმი ექვს თვეს ცხოვრობდნენ აუწერულ ჭუჭყში, საზრდობდნენ ყველითა და იუფქათი. ბავშვებით გარშემორტყმულნი, რომლებიც თამაშობდნენ და ცელქობდნენ. მთელ დღეებს ყარა-თეფეში ატარებდნენ; მიწისაგან გაათავისუფლეს გალავნისა და ციტადელის ნაშთები. გალავნის შიგნით აღმოჩნდა ტაძრის ან, შესაძლოა, სასახლის საძირკვლები. ზონდაჟმა (საცდელმა გათხრებმა) მათ სანუა-



ლება მისცა ამოეთხარათ მთლიანი ბარელიეფი; ეს, დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის ბაზალტის ფილები, რომლებიც დაფარული იყო ადამიანებისა და ცხოველების გამოსახულებებით, იპოვეს in situ-ში, ე. ი. იმავე სახით, რა სახითაც იპიანი აღუმართავთ ათასობით წლის წინ.

შემდეგ ბოსერტმა იპოვა ერთი დიდი ფინიკური წარწერის დასაწყისი (ახლაც არ იცის მისი ნამდვილი სიგრძე), მაგრამ ხმაც არ ამოუღია თავის ნაპოვნზე. ბოლოს, უკანასკნელ დღეებში, მან აღმოაჩინა ის, რასაც ყარა-თეფეში მოსვლის დღიდან ეძებდა, სახელდობრ, ხეთურ იეროგლიფურ წარწერათა მრავალი ფრაგმენტი. ახალ გათხრათა კონტურების მოხაზვის მიზნით, მან ხელითა და საფხეკით გაასუფთავა ხსენებული რელიეფის ზემო ნაწილი. დრო არ ყოფნიდა, რათა ერთი რელიეფი მთლიანად ამოეღო. მაგრამ ია, რაც ნახა, მისთვის საკმარისი აღმოჩნდა. მართალია ძნელად გასარჩევი ნიშნები იყო, მაგრამ მაინც აშკარად ეტყობოდა, რომ ხეთურ იეროგლიფებთან ჰქონდა საქმე. ის, რაზეც ამდენ ხანს მხოლოდ ოცნებობდა, სინამდვილედ იქცა. ბოსერტი გრძნობდა, რომ ეს ორი ტექსტი — ხეთური და ფინიკური — ერთი და იგივე იყო. თუ ხეთურ იეროგლიფებს ვერ წაიკითხავდა, სამაგიეროდ ფინიკური დამწერლობის გაშიფვრა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

ეს იყო კულმინაციური მომენტი სეთების ცივილიზაციის აღმოჩენის ისტორიაში, რადგან თუ ამ გარკვეულ შემთხვევაში ბოსერტი ცდებოდა, საერთოდ იგი მაინც მართალი იყო!

პირველი, ნამდვილად შემზადებული ექსპედიცია ყარა-თეფეს ნანგრევების აღმოსაჩენად მოეწყო 1947 წლის სექტემბერში. ექსპედიციის დაფინანსება იკისრეს თურქეთის ისტორიულმა საზოგადოებამ, სტამბოლის უნივერსიტეტმა და მუზეუმებისა და სიძველეთა დაცვის გენერალურმა დირექციამ. ექსპედიცია აღჭურვილი იყო საჭირო იარაღებითა და საკმაო თანხაც გააჩნდა, რომ დაექირავებინა იმდენი მუშა, რამდენიც დასჭირდებოდა.

ბოსერტს უყვარდა, როცა თავის თანამშრომლებს დაუმალოვდა აღმოჩენებს და ხარობდა, როცა მოულოდნელად აკ-

ვირვებდა მათ. ვიდრე მუშაობა დაიწყებოდა, შეკრიბა ექსპედიციის წევრები იმ ადგილას, სადაც რამდენიმე თვის წინ ფინიკიური წარწერა აღმოაჩინა. შემდეგ, თითქოს სხვათა შორის, განაცხადა, რომ ეს ადგილი, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა დანარჩენი გარემოსაგან (რადგან წარწერის აღმოჩენის შემდეგ მან იგი გულდასმით შენიღბა), მას ყველაზე შესაფერისად მიაჩნდა ზონდირებისათვის. როცა ბარის რამდენიმე დაკვრის შემდეგ, არქეოლოგებმა დაინახეს, რომ ბარელიეფი დაფარულია ფინიკიურად ნაწერი სტრიქონებით, მათ აღტაცებითა და სიხარულით შეჰყვირეს. მოხდენილი ეფექტით კმაყოფილმა ბოსერტმა აუხსნა მათ, რომ მომავალი ზონდირება აღმოაჩენს მეორე ბარელიეფს, რომელზეც იქნება იეროგლიფური წარწერა და უჩვენებს იმ ადგილსაც, სადაც იგი იქნება. მიწისმთხრელებმა მართლაც ამოიღეს კიდევ ერთი ფილა, მაგრამ ბოსერტი მიხვდა, რომ შეცდა.

ნიშნები, რომლებიც ბოსერტმა შებინდებისას ნაჩქარევად დათვალიერების შედეგად იეროგლიფებად ჩათვალა, ახლა, დღის სინათლეზე, უბრალო ბზარები აღმოჩნდა, რომლებიც ატმოსფერული მოვლენების ზემოქმედების შედეგად ისინი ერთი შეხედვით წარწერას წააგავდა.

ძნელი წარმოსადგენია იმედის გაცრუება, რაც მან განიცადა. ცხადია, ძიება განაგრძეს, მაგრამ ბოსერტს უკვე აღარ შეეძლო გაეზიარებინა თავის თანამშრომელთა ენთუზიაზმი. იგი თვალს ვერ აცილებდა რუხ ქვას, რომელიც ბარის ყოველ დაკვრაზე თავისუფლდებოდა მიწისაგან. იმედი, რომ იპოვიდა ხეთურ ტექსტს, რომელიც შეეფარდებოდა ფინიკიურ წარწერას, სულ უფრო კლებულობდა. ასეთ დროს ბევრი რამაა დამოკიდებული თვით მკვლევარის ხასიათზე; ბოსერტმა ბრძანება გასცა განეგრძოთ გათხრები და სხვა ადგილებშიც ეწარმოებინათ ზონდირება. და აქ მოხდა დაუჭერებელი რამ — ყალბი იეროგლიფებიდან ერთი მეტრის დაშორებით, მუშებმა მიწიდან ამოაგდეს ნამდვილი, ხეთური იეროგლიფებიანი ქვა!

1947 წლის შემოდგომაზე ჩატარებული გათხრები ყველაზე ნაყოფიერი იყო. ყარა-თეფეს ირგვლივ შემდეგაც ბევრი რამ

აღმოჩნდა. მათ შორის ხეტების ერთი ციხე-სიმაგრეც დომუზ-თეფეს („დორის მთა“) მალლობზე, გადაკეთებული შემდგომ რომაელთა მიერ. მაგრამ 1947 წლის შემოდგომის აღმოჩენები გაცილებით აღემატებოდა მნიშვნელობით ყველა შემდეგდროინდელს.

იმის ნაცვლად, რომ ავიწეროთ ყარა-თეფეს ციტადელის გეგმის არქიტექტონიკა, აჯობებს გაგიზიაროთ ჩემი პირადი შთაბეჭდილებანი, რადგან ეს უფრო კარგად წარმოგიდგენთ იმ გარემოს, ვიდრე მშრალი პროზაული აღწერა.

1951 წლის პირველ ოქტომბერს მღვდელმა ო'კალაგანმა, ორმა გერმანელმა სტუდენტმა და მე ქალაქ კადირლის კაიმაკამის დახმარებით დაეკვირავეთ ერთი ჯიბი (პატარა ამერიკული მანქანა) და ყარა-თეფეში ჩავედით. მღვდელი ო'კალაგანი, მაღალი, სქელი კაცი, მუდამ კარგ გუნებაზე იყო, ამავე დროს, ნამდვილი წმინდანი, რომლის თავშიც სულ სხვადასხვა, საწინააღმდეგო აზრები ტრიალებდა. იგი ამერიკელია, ბიბლიური ინსტიტუტის აღმოსავლეთმცოდნე და ეკუთვნის იეზუიტების ორდენს. განსაკუთრებით უყვარს გერმანული ხალხური სიმღერები, თავისუფლად ფლობს რამდენიმე მკვდარსა და ცოცხალ ენას. იგი მოულოდნელად დღეში რამდენჯერმე გვეშორებოდა ხოლმე, რათა თავისი ლოცვანი წაეკითხა.

სტუდენტებს თავგადასავლები უყვარდათ. ისინი ცნობის მოყვარენი და მოუთმენელნი იყვნენ და სწორედ ამ მოუთმენლობის წყალობით, მიუხედავად ბოსერტის გაფრთხილებისა — კადირლი — ყარა-თეფეს გზებზე ღამით მოგზაურობა საშიშიაო — კადირლიდან საღამოს 7 საათზე გავედით. მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვათ, ამავე მოუთმენლობას უნდა ვუმაღლოდეთ დაუფიწყარ მოგონებებს.

ნახევარი საათის განმავლობაში უგზო-უკვლოდ მგზავრობის შემდეგ დავასკენით, რომ თურქმა შოფერმა გზა დაკარგა. მიუხედავად გზის უცოდინარობისა, მაინც შევედით შავი მთის სიღრმეში. ჯიბი, რომელიც საერთოდ, იდეალური მანქანა მსგავსი მოგზაურობის შემთხვევაში, უკვე მოძველებული იყო. როცა უეცრად დაღამდა და შოფერმა ფარები ჩართო, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი ანათებდა. სახსე მთეარის

დრო იყო, მაგრამ ცა ღრუბლები ფარავდა. მოგზაურობა სიკვდილთან შეჭიბრად გადაიქცა; ჯიშმა გადალახა მთის მჩქეფარე მდინარეები, კლდეები და ერთბაშად ვიგრძენით, რომ უფსკრულის პირას ვართ. ერთი შერყევაც და მოტორი გაჩერდა. დავრჩით მარტო მთებს შუა, სიჩუმით გარემოცულნი. უეცრად მოგვესმა უცნაური ხმები — ძძიმე, ყრუ ნაბიჯები, სტვენა და ხვნეშა. ფარის შუქზე გამოჩნდა აქლემების ქარავანი, რომელიც ჯიშს ორივე მხრიდან შემორტყმოდა. ნაბდებში გახვეული მწყემსები ქარავანს ყვირილით, ჩახლეჩილი ხმით მიერეკებოდნენ; ჩვენთვის ზედაც არ შემოუხედავთ, თითქოს-და შუადამით ამ გზაზე ჯიშის ნახვა მათთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ჩვენმა შოფერმა უცნობებს რამდენიმე სიტყვით მიმართა, გეგონებოდათ ორი განმარტოებული მეზღვაური შეხვდათ ერთმანეთს ოკეანეში. როცა მოჩვენება-ქარავანი ღამის წყვილიადში გაქრა, ნჯღრევითა და ქვებზე ხტოპმით განვაგრძეთ გზა. მაგრამ ამჯერად უკვე ვიცოდით, რა მიმართულებით უნდა წავსულიყავით მიზნისაკენ; გადავჭყერით აქიოლი და შოფერმა დაიჩემა, მარტოდმარტო გავიკვლივ გზასო.

პირველი შესვენებას შემდეგ ერთმა თუ ორმა საათმა განვლო, როცა მეორედ შევჩერდით. საშინლად ბნელი ღამე იყო. აღმოვჩინდათ ერთ პატარა პლატოზე, რომელიც უფრო და უფრო ვიწროვდებოდა და თავდებოდა ბილიკით. ერთ-ერთი სტუდენტი წინ გაიქცა და თითქოს მაშინვე გაქრა სიბნელეში. შოფერი გვარწმუნებდა, უკან გავბრუნდეთო. უეცრად მღვდელმა ოკალაგანმა ხელი მტაცა მკლავზე და დამანახა ორი თვალი, რომელიც ღამის წყვილიადში ბრწყინავდა. ფარის შუქზე გამოჩნდა ცხოველი — იგი მგელს წააგავდა. პირუტყვემა გარშემო შემოუარა ჯიშს. ეს იყო ერთ-ერთი იმ გარეულ ძაღლთაგანი, რომელიც მრავლადაა თურქეთის ამ ნაწილში და საშიშია მხოლოდ მაშინ, თუ რამდენიმეა.

მე შევეუთანხმდი მღვდელ ოკალაგანს, თუ როგორ გამოვხმაურებოდით ერთმანეთს და მდგომარეობის გამოსარკვევად წავვედი იმ მიმართულებით, საითაც სტუდენტი გაქრა. ერთბაშად ვიგრძენი, რომ სხვა უცნაურ და უსაზღვროდ შორეულ

სამყაროში მოვხვდები; ისეთმა მღვღინამ შემიპყრო, როგორ-  
საც არქეოლოგები განიცდიან, როდესაც ისინი წარსულის  
მოწმე ნაშთებს აღმოაჩენენ ხოლმე.

ჯიბის ფარნით ხელში გავუყვები ქვიან ბილიკს, რომელიც  
პლატოს ნაპირას იწყებოდა. ერთბაშად ბილიკი შეწყდა და  
დავინახე კიბეები. ინსტიქტურად შევდექი. ამ დროს, თით-  
ქოს ბუნებას სურდა სიურპრიზით გავოცებინე, ღრუბლები  
გაიფანტა და სავსე მთვარემ მკრთალად გააშუქა ტლანქი, და-  
ძველებული, დახრული ქვის კიბე, რომელიც ოდნავ დაქა-  
ნებულ კალთას მიუყვებოდა. აღვლევებულმა ყოყმანით შევდგი  
ფეხი საფეხურზე; კიბე გაფართოვდა და ორივე მხარეს, თით-  
ქმის ჩემს სიმაღლეზე, აღიმართა რელიეფების მწკრივი. ეს  
იყო უხეშად გამოკვეთილი რელიეფები და ამიტომაც მთვა-  
რის შუქი მეტად ცოცხლად აჩენდა შუქ-ჩრდილებს ცვალება-  
დობას. ადამიანები და ცხოველები შემომტყეოდნენ. იქნებ  
ისინი ღმერთებია ან მეფეები? დიახ, ჩემს წინ იყო ამიერიდან  
განთქმული რელიეფი „აზითავანდას ნადიმი“. ყარა-თეფეს  
მბრძანებელი წარმოდგენილია „თავის ხელქვეითთა მამად“  
და არა როგორც მონარქი ან მეზობელი. აი, აზითავანდა ჩემს  
წინაა, თავისი წოპიანი ქუდითა და დიდი თვალებით; იგი მო-  
უთმენლად შესცქერის მსახურებს, რომელთაც მოაქვთ საქ-  
მელი და სასმელები. კეთილი შესახედაობის აზითავანდა, მიუ-  
ხედავად მრუდე ცხვირისა და დაქანებული ნიკაბისა, მაინც  
დიდებულის შთაბეჭდილებას სტოვებს. მსხვილი ტუჩები საქ-  
მლისაკენ მიიწევს და მთვარის მკრთალ შუქზე გეჩვენება,  
თითქოს სიტყვის წარმოსათქმელად ემზადებაო.

კიბის თავზე, მთვარის შუქით განათებულ ცის ფონზე გა-  
მოჩნდა ორი სილუეტი; ჩემს დაძახებაზე მათ უტყვი უესტით  
მიპასუხეს. წავედი მათკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ დავი-  
ნახე შუქი. ეს ბოსერტი გვიჩვენებდა გზას აცეტილენის ლამ-  
ფით ხელში. გამოჩნდა სტუდენტიც. ერთი ჩვენგანი წავიდა  
მღვდელ ოკალაგანის საძებრად. ბოსერტთან და მის თანამშ-  
რომლებთან ერთად თავი მოვიყარეთ ფიჩხით მოფენილ მიწა-  
ზე, ქვიტკირის ქოხის — არქეოლოგების ბინის წინ და გარს  
შემოვუსხედით ტლანქად გათლილ ოთხკუთხა მაგიდას.

სიბნელიდან მოისპოდა ტურების გულისგამაწყალებელი კვილი და ველური ძაღლების შორეული ყეფა — ღამის სიმღერა, რომელიც გამუდმებით თან სდევდა ექსპედიციას.

მეორე დღეს, დილის 7 საათზე ყველამ თავი მოვიყარეთ სასაუზმოდ. 7 საათსა და 30 წუთზე ვიწყებთ მუშაობას — ვათვალიერებთ ყარა-თეფეს.

ისეთი შთაბეჭდილება გვაქვს, თითქოს მზე აქ უფრო მიიჩქარის ზენიტისაკენ, ვიდრე დედამიწის სხვა რომელიმე ადგილას. მისი დისკო უფრო და უფრო წითლდება, კაშკაშა სინათლე გვაბრმავებს და ყოველი ჩვენგანი ისწრაფვის შეასრულოს დღეისათვის დაგეგმილი საქმე, ვიდრე სიცხე არ გაძლიერებულია.

ყარა-თეფეს ციტადელი, რომელიც ჩვენ ახლა ვნახეთ, ბოსერტმა 1947 წლის გათხრების დროს აღმოაჩინა. ნანგრევები ჯერ საეხეობით არ არის გაწმენდილი, მაგრამ ზოგადი გეგმა მაინც იცნობა. მუშათა უმეტესობას მონაწილეობა მიეღო 1947 წლის გათხრებშიც; ესენი იყვნენ პატიოსანი და უწყინარი ადამიანები. გაგვიკვირდა, როცა გავიგეთ, რომ მათ შორის იყვნენ კაცისმკვლელები (ამ მხარეებში ჯერ კიდევ შემორჩენილია სისხლის ადების ადათა) და რომ თითქმის ყველა ნათესავია იმ ყაჩაღებისა, რომელნიც ოცდაათიან წლებში ტერორს უწევდნენ საქარავნო გზებს, ყარა-თეფეს მიდამოებსა და ადანის ველს. სხვათა შორის, შევიტყვეთ, რომ პირველი მცველი, რომელიც ბოსერტმა დააყენა, ახლახან მოუკლავთ თოფით.

დათვალიერება დავიწყეთ სამხრეთის იმ კარიბჭიდან, საიდანაც წინა ღამეს ამოვედით კიბით მთვარის შუქზე. ჩვენ კვლავ შევჩერდით აზითავანდას წინ, საზეიმო მაგიდასთან მჯდომ ყარა-თეფეს მეფის წინ. შემდეგ გავიარეთ ციტადელის კედლის გასწვრივ, რომელსაც ოდესღაც ორივე მხრივ კოშკები და ბასტიონები ჩაუყვებოდა. ახლა მათი მხოლოდ საძირკველილა მოჩანს. გორაკის მეორე მხარეს, ჩრდილოეთ კარიბჭის ახლოს, ცოტა დაბლა, გავედით ტერასაზე, საიდანაც გამოჩნდა სეიჰანის დიდებული ველი. აქ, სწორედ ამ ორ ღამეს შუა, კარებთან. შესაძლოა ოდესღაც იდგა მეფე და თვალყურს ადევნებდა შემოსეული მტრის მოძრაობას. აზითავანდა არ იყო მეომარი მეფე და, ცხადია, გრძნობდა, რა ბედიც მოელოდა მას.

მრავალი ბარელიეფი, რომლებიც ამშვენებს ჩრდილოეთის კარიბჭესა და ორი მიმდებარე ოთახის კედლებს, შესრულებული იყო ხეთებისათვის დამახასიათებელი, გვიანი პერიოდის უფორმო სტილით. ესაა პრიმიტიული, პროვინციული ხელოვნება. უწესრიგოდაა გამოსახული ადამიანთა და ცხოველთა ფიგურები, პერალდიკური ჭგუფები, პროცესიები, თავისუფალი საყოფაცხოვრებო და რელიგიური სცენები, ღმერთები, ნადირობისა და თევზაობის მომენტები, დამკვრელები და მოცეკვავენი. არაფერი არ აკავშირებს თემატიკად ბარელიეფებს. ეტლის გვერდით, მაგალითად, დიდი საზღვაო გემია; ისტორიულ შინაარსის წარწერის გვერდით მოთავსებულია სხვა შინაარსის წარწერები. ყველგან, სადაც კი აღგილია, პერსონაჟებზე, თვით ლომის ტანზედაც, ნახვთ იეროგლიფებს ან ფინიკიურ ასოებს. ბოსერტმა დაადგინა, რომ ტექსტებსა და ფიგურებს შორის არავითარი კავშირი არ იყო.

𐎠𐎡𐎢𐎣

კუყანა

𐎤𐎥𐎦𐎧𐎨𐎩

აშენეს

𐎠𐎡𐎢

კანბრთლოშა

𐎠𐎡

კაყი

𐎠𐎡

ქალი

𐎠𐎡𐎢

ღელა

𐎠𐎡𐎢𐎣

სახელი

𐎠𐎡𐎢

ფები

𐎠𐎡𐎢𐎣

ღღე

𐎠𐎡𐎢𐎣

მაღზია, საწყობი

𐎠𐎡𐎢

ქარი

𐎠𐎡𐎢

ფარი

𐎠𐎡𐎢𐎣

დასკული

𐎠𐎡𐎢𐎣𐎤

ადმოსკული

რამდენიმე ახალი სიტყვა, გამოსახული ხეთური იეროგლიფებით, რომელთა ამოკითხვა ბოსერტმა შეძლო ჯერ კიდევ 1952 წლამდე ყარა-თეფეში ნაპოვნი ბილინგვას საშუალებით.

ბანაკში დაბრუნების შემდეგ ჩვენ ვმსჯელობთ იმაზე, რომ მართლაც გასაოცარია, როგორ შემორჩა კულტურის ეს ფორმა ზენჯირლიში, ქარხემიში და აქ, ყარა-თეფეში; ფორმა, რომელმაც იმპერიის დროსაც ვერ შექმნა ორიგინალური სტილი, და ხეთების სამეფოს დანგრევის შემდეგ კიდევ ხუთი საუკუნე იარსება.

ამ პერიოდისათვის ჩვენი ისტორიული ცოდნა სრული არ არის. ხუთასი წელი, რომელიც იწყება ძვ. წ. 1200 წლიდან (ხათუსას ხანძარი და ხეთების დიდი იმპერიის დაღუპვა) და მთავრდება ძვ. წ. 700 წლით (ხეთების „ქალაქ-სახელმწიფოების“ გაქრობა და შეერთება ასურეთის იმპერიასთან), ჯერ კიდევ მიუწვდომელია მკვლევართათვის. მართლაც, გასაოცარია ის ფაქტი, რომ იმპერიის დაცემის შემდეგ, ხეთების უმცირესობამ (სხვადასხვა ხალხებსა და რასებში შერეულმა), მრავალი უცხო კულტურის გავლენა განიცადა და მაინც შეძლო შეენარჩუნებინა თავისი განსაკუთრებული კულტურის სასწაული!

„ოდესმე ჩვენ გავიგებთ ამის მიზეზებს“, — განაცხადა ბოსერტმა და ფრთხილად გაშალა დახვეული ქაღალდი, რომელიც დაფარული იყო ხეთური იეროგლიფებით — სულ ახლახან გადაღებული წარწერებით. მან დასძინა: „როდესაც ორ ენაზე დაწერილი ტექსტების წყალობით ჩვენ შევძლებთ ყარა-თეფეს იეროგლიფების წაკითხვას, მაშინ შესაძლებელი იქნება ერთბაშად წავიკითხოთ. იმპერიის დროინდელი იეროგლიფებიც...“

ახლა გადავიდეთ ორ ენაზე დაწერილი იმ ტექსტების გაშიფვრაზე, რომლებიც ყარა-თეფეში წარმოებული გათხრების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.

თავი, რომელიც გაშიფვრას ეხებოდა, იმ ადგილას შევწყვიტეთ, როცა ხეთური იეროგლიფების გაშიფვრა ჩიხში მოექცა. სწორედ ყარა-თეფეთი ვამთავრებთ ამ საკითხს. საინტერესოა, რომ ბოსერტის მიერ აღმოჩენილი ორი ბარელიეფითაც, რომელთაგან ერთზე წარწერა შესრულებული იყო ხეთურად, მეორეზე კი — ფინიკიურად, არ შეიძლებოდა დასკვნა, რომ ნამდვილად აღმოჩენილია ბილინგვა (ე. ი. არა მარტო ორ სხვადა-



სხვა ენაზე შედგენილი ტექსტი, არამედ ერთი და იგივე შინა-  
არსის ორი წარწერა).

სასაცილო და თითქმის დაუჯერებელია, რომ ამის დამტკი-  
ცება შეძლო ბოსერტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა... ძილში!

## ლაპარაკობს აზითავანდა

უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო ფინიკიურად შედგენილი  
ტექსტების თარგმნა, რომლებიც ბოსერტმა 1947 წელს  
აღმოაჩინა. ეს კი მხოლოდ სპეციალისტებს შეეძლოთ. რაკ  
ბოსერტს ძლიერ უნდოდა მაშინვე შესდგომოდა იეროგლიფე-  
ბის შესწავლას, მან ფინიკიური ტექსტების ამონაწერები და-  
უგზავნა სემიტური ენის რამდენიმე მკოდნეს — იოჰანეს  
ფრიდრიხს ბერლინში, დიუპონ ზომერს პარიზში, მღვდელ  
ო'კალაგანს რომში და ბოლოს რ. დ. ბარნეტს ლონდონში.

თავდაპირველად მან გაგზავნა ყარა-თეფეში აღმოჩენილი  
განთქმული „ლომის ქვის“ ძეგლის ცოცოლზე არსებული წარ-  
წერის ზუსტი ასლი. ამასობაში ეს ქვა უკვე საქვეყნოდ ცნობი-  
ლი გახდა. ერთმა მუშამ ქვემალ დევეჯმა, რომელიც ყარა-თეფე-  
ში მუშაობდა, ამ ძეგლს, შეძლებისდაგვარად თორმეტსტრო-  
ფიანი ჰიმნიც უძღვნა. აი, ერთი ნაწყვეტი:

ჩვენ ის ხეთებმა დაგვიტოვეს მემკვიდრეობად,  
რა ბევრი წელი არის, ალბათ, შემდეგ გასული  
არ შეუძლია ჯერ მსოფლიოს ამის გაგება,  
„ლომის ქვას“ ქვეყნად ვერაფერი ვერ შეედრება.

მეორე მუშის ვაჟმა კი, ათი წლის მეჭმედ კისტიმ, შეთხზა  
ამ ქვის სადიდებელი ერთგვარი ჰიმნის მსგავსი, რომელიც ასე  
შთავრდებოდა:

აღტაცებულია პატარა მეჭმელი,  
როცა „ლომის ქვაზე“ ესმის ლაპარაკი.  
დაე, ვუგალობოთ ძველთაძველ „ლომის ქვას“,  
იგი ხომ ყველას გულს ანიჭებს სიხარულს!

და ამ დროს გეცინება, როცა იგებ, რომ ანკარის უნივერსი-  
ტეტის პროფესორმა გიუტერბოკმა ეს „ლომები“ ხარებად გა-  
შოაცხადა.

ამრიგად, სპეციალისტები შეუდგნენ მუშაობას ყარა-თეფეს ძეგლზე ოთხ სვეტად ამოჭრილი წარწერების გაშიფვრაზე. პირველმა იოჰანეს ფრიდრიხმა გამოუგზავნა ბოსერტს ტექსტის თარგმანი ბერლინიდან.

ამ თარგმანის აქ მოყვანა ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან წარწერა სრული არ იყო ქვებზე არსებული ბზარების გამო. ამას გარდა, ყარა-თეფეს წარწერების მნიშვნელობა მის შინა-არსში კი არ მდგომარეობდა, არამედ იმ ფაქტში, რომ ეს იყო ყველაზე გრძელი მანამდე ცნობილ ძველფინიკიურ და ხეთურ იეროგლიფურ წარწერათა შორის. თანაც, ეგონათ, რომ ორივე წარწერა ერთი და იგივე შინაარსის იყო.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შევიტყვეთ (ამას ადასტურებს ევროპელ და ამერიკელ სპეციალისტთა მიერ გაშიფრული ყარა-თეფეს ციხე-სიმაგრის ჩრდილოეთ კარიბჭის გრძელი წარწერები), რომ ეს ტექსტი შედგენილი იყო ერთი მეფის ბრძანებით, რომლის ფინიკიური სახელია „ზთვდ“ (სემიტურ დამწერლობაში არ ხმარობდნენ ხმოვნებს). შემდეგ ბოსერტმა ხეთური ხმოვანი იეროგლიფების მიხედვით მას მისცა სახელი „აზითავანდა“. მართლაც, ხეთურ იეროგლიფურ დამწერლობაში არის ხმოვნები. ფრიდრიხის მიერ აღნიშნულ ფაქტი, რომ ტექსტი შედგენილია „ძველფინიკიურად, არამეული ინტერპრეტაციის გარეშე“, საშუალებას იძლევა გამოვარკვიოთ ამ მეფის გამგებლობის ხანა. ყოველ შემთხვევაში, იგი ცხოვრობდა VIII საუკუნეში (ძვ. წ.), უფრო ზუსტად, დაახლოებით 730-იან წლებში (ძვ. წ.). შესაძლებელია, რომ სწორედ ამ დროს, თვით აზითავანდას სიცოცხლეში, დაიპყრო და გაანადგურა მტერმა ყარა-თეფე. აღმოსავლეთის მეფეთა ჩვეულებრივ გადაჭარბებულ თავის ქებასთან შედარებით აზითავანდა ერთგვარ მოკრძალებას იჩენს. იგი მხოლოდ აცხადებს: „მე ავაშენე ეს ქალაქი და დავარქვი აზითავანდა.“ „მე ავაშენე უძლიერესი სიმაგრეები საზღვრების ყოველ მხარეს, სადაც ცუდი ადამიანები მეთაურობდნენ ბანდებს“. თავის თავს იგი „დანუნთა მეფეს“ უწოდებს. ამ ხალხზე — დანუნებზე ვიცით, რომ ცხოვრობდნენ ადანას ველზე: აზითავანდა გვიამბობს, რომ

მშვიდობიანობა დაამყარა თავისი სამეფოს დასავლეთ საზღვრებში და ყველა ქირვეული მცხოვრები აღმოსავლეთ საზღვრისაკენ გადაასახლა. ბოლოს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ თვითონაც და მისი ხალხიც ბედნიერია და ქვეყანა ჰყვავის. როცა ხედავთ სუფრასთან მჯდომ აზითავენდას, ადვილად წარმოიდგენთ, რომ ამ კაცს ურჩევნია მშვიდობიანობაში სიამოვნება, ვიდრე ომში დაღუპვა.

ფრიდრიხის თარგმანი ზოგ დეტალში განსხვავდებოდა ოკალაგანისა და დიუპონ ზომერის თარგმანებისაგან, მაგრამ არსებითად ისინი ერთმანეთს ემთხვეოდნენ. მაგრამ აი, მოვიდა რ. დ. ბარნეტის თარგმანი ლონდონიდან.

იგი აშკარად განსხვავდებოდა სამივესაგან. უკვე მეხუთე სტრიქონიდან იგრძნობა დაშორება. ბარნეტმა აზითავენდას გარდა ამოიკითხა მეორე მეფის სახელიც — ანექი. ამ აღმოჩენამ უდიდესი სენსაცია გამოიწვია.

ტექსტის თარგმანის წინასიტყვაობაში ბარნეტი იძლევა სავესებით სწორ დასკვნებს. ის ფაქტი კი, რომ მის აზრს ეთანხმებოდნენ სემიტოლოგები ი. ლევენი და კ. მოსი, მეტწონას აძლევდა მის არგუმენტაციას.

წარწერა იწყება ფინიკიური სიტყვით „ნქ“, რაც ნიშნავს „მე“-ს. იმავე სიტყვას ვპოულობთ მეხუთე სტრიქონში, მაგრამ გრამატიკული კონტექსტის მიხედვით შეუძლებელია თარგმნილი იქნას, როგორც „მე“. ეს მტკიცდება მესამე სვეტის მეცხრე სტრიქონში. თუ იქ „ნქ“ აღნიშნავს „მე“-ს, მაშინ მთლიანი აზრი ასეთი იქნება: „ვაჟიშვილებისა და ქალიშვილებისათვის მე“, რაც, ინგლისელი მკვლევრების აზრით, „არაფერს ნიშნავს, არც ფინიკიურად და არც თარგმანში“.

„მე“-ს მაგივრად ბარნეტი კითხულობს „ანექ“-ს ანდა „ინაქ“-ს (ფინიკურ დამწერლობაში ხმოვნები არ არის), რაც აღნიშნავდა მეფის სახელს. ბარნეტი და მისი კოლეგები გამოთქვამენ გაბედულ მოსაზრებებს, მიმართავენ ისტორიულ მონაცემებს, ცდილობენ აღმოაჩინონ ამ ანექის (ან ინაქის) ნათესაობა და არ ერიდებიან დასკვნების გამოტანას.

ფაქტიურად ანექი არსებობდა მხოლოდ მათ წარმოდგენაში. მათი არგუმენტაცია ემყარებოდა ყალბ ინტერპრეტა-



ციას — მეფე ანეკი (ან ინაქი) არასოდეს არ არსებულა. ნა-  
ცვალსახელი „ნქ“ მოცული იყო საიდუმლოებით. მაგრამ  
ფრიდრიხმა თავის თარგმანს კიდევ დაუმატა ერთი განმარტე-  
ბა და სხვა მთარგმნელებმაც, გარდა ბარნეტის, ლევეენის და  
მოსისა, გაიზიარეს მისი თვალსაზრისი. აი, რას წერდა იგი:

„წარწერის ავტორს აქვს ერთი ჩვეულება, რაც დამახასი-  
ათებელია არალიტერატურული ენისათვის: იგი ხმარობს ნა-  
ცვალსახელ „ნქ“-ს („მე“) წარსული დროს მხოლოდითი რიცხ-  
ვის მამრობითი სქესის მესამე პირის აღსანიშნავად, ნაცვლად  
პირველი პირისა“.

ასე იშვა ყარა-თეფეს აღმოჩენამდე ორი ათას შვიდასი  
წლის წინ გადამწერის ქარგონისაგან ახალი მეფე, რომელიც  
ისევე მალე გარდაიცვალა, როგორც დაიბადა.

ახალგაზრდა მეცნიერების ჩამოყალიბების პროცესში ამ-  
გვარი შეცდომები აუცდენელია. ზოგი მათგანი შესაძლოა  
კატასტროფულიც აღმოჩნდეს და შეაჩეროს მეცნიერების  
წინსვლა წლების განმავლობაშიც. ასე მოხდა იმ დღეს,  
როდესაც იენსენმა ერთ ხეთურ იეროგლიფურ წარწერა-  
ში წაიკითხა სიტყვა „სიენნეზის“; მან იმდენად დაასაბუთა  
თავისებური ამოკითხვა, რომ დანარჩენმა ხეთოლოგებმაც  
მიიღეს იგი. შემდგომ ბოსერტმა დაამტკიცა, რომ ასოები აღ-  
ნიშნავდნენ არა „სიენნეზის“, არამედ „ცრაპალაუსს“, ასუ-  
რულად — „ურბალას“. შეიძლება მოხდეს უფრო უწყინარი  
შეცდომებიც, როგორც იყო მაგალითად, ბარნეტის მიერ  
მეფე ანეკის „აღმოჩენა“. ამ შემთხვევაში შეცდომა გამოს-  
წორდა, როგორც კი ლინგვისტებმა ახალი საბუთი წარმოად-  
გინეს.

ყოველ შემთხვევაში, დადგა დრო, როცა ფინიკიური  
ტექსტების წაკითხვის შემდეგ უნდა გამოეყენებინათ ყარა-  
თეფეს ორენოვანი წარწერა, ე. ი. დაეწყოთ ხეთური იერო-  
გლიფების გაშიფვრა ფინიკიურ ტექსტთან შედარების  
გზით.

ერთი შეხედვით ეს ადვილი ჩანს, მაგრამ საქმე გაცი-  
ლებით უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ. უფრო მე-  
ტიც; ისიც არ იყო დამტკიცებული, რომ მათ წინაშე ბილინგვა  
იყო.

საქმე ის იყო, რომ არსებობდა სამი ფინიკიური წარწერა, რომელთაც თან ახლდა ორი იეროგლიფური ტექსტი. ამ წარწერებით ისე უსისტემოდ იყო მოფენილი კარიბჭეები, შენობები და ქანდაკებები, რომ შეუძლებელი იყო გარკვევა, სად იწყებოდა იეროგლიფური ტექსტები. იეროგლიფები უწყსრივად გადადიოდა ქვიდან ქვაზე, ერთადერთი ამოკითხული ხეთური ზმნა კი — „კეთება“ — საკმარისი არ იყო ფინიკიურ და ხეთურ ტექსტთა იდენტურობის დასადგენად. ხეთურ იეროგლიფებში რომ ეპოვათ ასოები, რომლებიც შეეფარდებოდა მეფე აზითავანდას სახელს, შეიძლებოდა ერწმუნათ, რომ, მათ წინაშე ორენოვანი წარწერა იყო.

სწორედ ამ დროს, ბოსერტის ერთ მოწაფეს შტაინჰერს ორჯერ ეწია ბედი... ძილში ეპოვა საკითხის სწორი გადაჭრა.

ფრანც შტაინჰერი პროფესიით არქეოლოგი არ არის. იგი რომ ანკარაში, გერმანიის საელჩოში გენახათ, როცა თარგმნიდა, ან თავდებად უღვებოდა ვისმეს, ანდა როცა აწარმოებდა კომერციულ ხელშეკრულებებს თურქეთსა და ფედერალურ რესპუბლიკას შორის, ვერავინ წარმოიდგენდა მისი გასაოცარი პროფესიული აქტივობის ხასიათს.

შტაინჰერი დაიბადა 1902 წ. გერმანიაში, ლანდგუტში, ნიურნბერგის მახლობლად. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ბუხჰალტერიას. მუშაობდა კორესპონდენტად ერთ საზღვაო კომპანიაში, ბანკში, აბრეშუმის მწარმოებელ და, ბოლოს, სამშენებლო ფირმებში. სწორედ ამ უკანასკნელმა გაგზავნა ის, როგორც სრულუფლებიანი რწმუნებული თურქეთში. შტაინჰერი დასახლდა სტამბოლში, სადაც მისმა პოლიგლოტურმა ნიჭმა მრავალი უცხოური ფირმის წარმომადგენლობა მიიზიდა. შტაინჰერმა პირველი შრომა (ისე, რომ მისმა პატრონებმა არაფერი იცოდნენ) გამოაქვეყნა სათაურით: „ხალხური ენისა და სტამბოლის ქუჩური ჟარგონის შესახებ“.

თხუთმეტი წლისამ შეისწავლა თურქული, ჩვიდმეტისამ — არაბული, თვრამეტისამ — იაპონური, ცხრამეტისამ — რუსული. იგი ამბობდა: „რაც უფრო მეტი უცხო ენა იცით, მით უფრო ადვილია ახლის შესწავლა“. აღარაფერს ვამბობთ იმა-

ზე, რომ შტაინპერი თავისუფლად ლაპარაკობდა ინგლისურად და ფრანგულად. როცა 1939 წ. იგი შემთხვევით შეხვდა პროფესორ ბოსერტს და მან ურჩია, თავისი პოლიგლოტურა ნიჭი არქეოლოგიისათვის მოეხმარებინა, შტაინპერი შეუდგა ლათინური და ბერძნული ენების შესწავლას. მაგრამ რათა უნივერსიტეტში ლექციების მოსმენა შეძლებოდა, ოცდაჩვიდმეტი წლის შტაინპერმა გადაწყვიტა დაემთავრებინა საშუალო სკოლა და სიმწიფის ატესტატი მიიღო. ყოველდღიურად ორ-ორ საათს მეცადინეობდა მათემატიკაში და ორ თვეში ბოლო მოუღო პროგრამას. სხვა საგნებიც ასევე მალე დაძლია და წავიდა მიუნხენში, თავის ძველ სკოლაში გამოცდების ჩასაბარებლად. მიიღო დიპლომი წარჩინებით, დაბრუნდა თურქეთში და ჩაირიცხა სტუდენტად ბოსერტთან. მისი გასაოცარი ნიჭის შემჩნევისას, ბოსერტმა ლექციების სპეციალური კურსი დანიშნა.

შტაინპერმა, რომელიც იმ დროს სტამბოლის გერმანული საავადმყოფოს კომერციული დირექტორი და ბუხპალტერი იყო, მიიღო ბოსერტისაგან „ფილოლოგიის დოქტორის“ ხარისხიც და მიწვეულ იქნა 1947 წლის ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად.

მას ყველაფრის გაკეთება ეხერხებოდა. თავდაპირველად ყარა-თეფეში, როცა მუშახელი აკლდათ, იგი შლიდა კარებს, აწყობდა ბანაკს, იღებდა ფოტოსურათებს, ზომავდა ნაკვეთს, ასუფთავებდა წარწერებსა და ბარელიეფებს, იღებდა პირებს და ახარისხებდა (უფრო სწორად რომ ითქვას, ცდილობდა დაეხარისხებინა) ტექსტებს, განსაკუთრებით ხეთურ იეროგლიფებს, რომელთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობდა.

ერთ საღამოს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, შტაინპერი ათვალეირებდა იმ დღეს აღმოჩენილი სფინქსის კარგად შენახულ ქანდაკებას. უნებურად, ხელის გადასმის შედეგად, მტვერი, რომელიც ქანდაკებას ფარავდა, მოსცილდა. „უეცრად შევნიშნე, — წერს იგი, — რომ სფინქსის ფიგურა დაფარული იყო ხეთური იეროგლიფებით. მაშინვე შევეცადე გამეშიფრა ჩემს მიერ აღმოჩენილი იეროგლიფები და ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე

რომ წარწერა ეთანხმებოდა ფინიკიურ ტექსტში მოხსენიებულ მეფე აზითავანდას სახელს. მართალია, დამწერლობა უცნაურად მომეჩვენა, მაგრამ დანარჩენი ნიშნები ამართლებდა ჩემს აზრს... იმ საღამოს ექსპედიციის ყველა წევრმა იზეიმა ეს აღმოჩენა. მუჭიბე დარგამ კი, მიღებული წესის თანახმად, დიდი პატივით გადმომცა ლურჯი მძივების ყელსაბამი, რომელიც ახლაც სამახსოვროდ მაქვს შენახული“.

ამრიგად, დადგინდა, რომ ორივე, ფინიკიურიც და ხეთურიც წარწერაც ეხებოდა აზითავანდას. მაგრამ იმაში დასარწმუნებლად, რომ ტექსტების შინაარსი ერთი და იგივე იყო, საჭირო იყო ხეთური იეროგლიფებით დაწერილი მთლიანი ფრაზის გაშიფვრა.

სტამბოლში დაბრუნების შემდეგ შტაინჰერი ყოველ საღამოს, მთელი კვირების განმავლობაში, თავის საწერ მაგიდასთან მჯდომი გერმანულ კლინიკაში, სწავლობდა ტექსტებს, ადარებდა, იწერდა, კლასიფიკაციას უკეთებდა. „ამის შედეგად ფინიკიური და ხეთური წარწერების მთელი ნაწყვეტები ისე აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში, რომ შემეძლო ყოველ წუთს აღმედგინა ისინი ქაღალდზე“.

ერთხელ, ნაშუადღევს შტაინჰერი ესწრებოდა ბოსერტის ლექციას. კამათი ეხებოდა ფინიკიური ტექსტის ერთ ფრაგმენტს, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „... და მე გავაკეთე ცხენი ცხენად, ფარი — ფარად, ჯარი — ჯარად...“

შინ რომ დაბრუნდა შტაინჰერმა გვიან ღამემდე იმუშავა. შემდეგ ძალიან დაღლილსა და ნერვიულად აღგზნებულს ჩაეძინა. უეცრად გამოეღვიძა, წამოჯდა თავის ლოგინზე და თავის წინ აშკარად დაინახა იეროგლიფური წარწერის ერთი ნაწყვეტი, სადაც გვერდი-გვერდ გამოსახული იყო ორი ცხენის თავი. იმავე დროს დაინახა მეორე ნიშანიც, რომელიც ჯერ კიდევ ვერავინ შეძლო გამოეყო კონტექსტიდან. შტაინჰერმა უცბად მიაგნო ინტუიციით... ეს იდეოგრამა ნიშნავს „მე გავაკეთე“ (გავიხსენოთ, რომ ზმნა „კეთება“ იყო ერთადერთი ცნობილი ხეთური ზმნა იეროგლიფის ფორმით). შტაინჰერმა შეადარა ორი გამოსახულება და დანამდვილებით დარწმუნდა, რომ ფრაზა, რომელსაც გონების თვალთ ხედავდა, იყო ფინიკიური ტექსტიდან: „...და მე გავაკეთე ცხენი ცხენად“.



ამ დღიდან იგი დარწმუნდა, რომ ყარა-თეფეს წარწერა ორ ენაზე იყო შედგენილი. ხეთების ტექსტი სიტყვა-სიტყვით წეესაბამებოდა ფინიკიურს.

ახლა, როცა ბოსერტმა იცოდა, რომ ორავე წარწერა ერთმანეთს ეთანხმებოდა, იბოვა ხეთური იეროგლიფური ტექსტის დასაწყისიც. რაკი მის განკარგულებაში უკვე საქ-მაო მონაცემები იყო, ბოსერტს იმედი მიეცა, რომ ხეთების იეროგლიფურ დამწერლობას გაშიფრავდა.

ამჟამად, როცა ეს სტრიქონები იწერება, ე. ი. 1955 წლის დამდეგს, შეიძლება ითქვას, რომ სამოცდაათი წლის დაუცხ-რომელი ძიების შემდეგ, რომელშიც მეცნიერთა სამი თაობა იღებდა მონაწილეობას, შესაძლებელი გახდა ხეთური იერო-გლიფების წაკითხვა (უცნობი ენა და უცნობი დამწერლობა, რომელსაც ხანგრძლივი დროის მანძილზე იყენებდა უცნობი ხალხი). ეს ამოცანა „შავი მთის“ — „ყარა-თეფე“-ს — ძირას მდინარე სეიჰანის ნაპირებზე აღმოჩენილმა ორ ენაზე შედგე-ნილმა ტექსტმა გადაწყვიტა.

ბაჰადირ ალქიმისა და მისი მეუღლის ჰანდანის (ეს სახელო ნიშნავს—„ის, რომელიც ნაზად იღიმება“), თავისი მეუღლის—ჰიურმიუცის, აგრეთვე ძველი თანამშრომლებისა და მოწა-ფეების დახმარებით ბოსერტი კვლავაც განაგრძობს გათხრებს ყარა-თეფეში. ამჟამად მთავარი ყურადღება ექცევა არა ძეგ-ლებისა და წარწერების აღდგენას ფრაგმენტების საშუალე-ბით, არამედ მათ შენახვას, რადგანაც მზისა და წვიმების მოქ-მედებით ისინი სწრაფად იფიტება.

ბოსერტს გამუდმებით უხდება წინააღმდეგობის დაძლევა, რათა საჭირო თანხა იშოვოს. მეცენატობის პერაოდმა, საქ-წუხაროდ, განვლო, და ის თანხა, რომელსაც თურქეთის სა-მეცნიერო ორგანიზაციები იძლევიან, მეტად განსაზღვრულია. ერთ-ერთი ექსპედიცია 1953 წ. თვითონ ბოსერტმა და მისმა თანამშრომლებმა დააფინანსეს. სწორედ ამ ექსპედიციამ აღმოაჩინა ყარა-თეფეში მეორე ორენოვანი წარწერა. ლინ-ჯვისტების ჰიპოთეზა ერთხელ კიდევ გაპართლდა.

ყარა-თეფეში აღმოჩენილი წარწერების შედარებისას ბო-სერტმა შეამჩნია, რომ მათ შორის ზევრი არასრული იყო.

ეტყობა, სამხრეთის კარიბჭის წარწერა უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს აღმოჩენილის მიხედვით ჩანდა. იბადებოდა მოსაზრება: ის ნაწილები, რომლებიც აკლდა, ეძებნათ ამ კარიბჭის წინ, ციკაბო ფერდობზე. ეს იყო ძალზე დაქანებული კლდოვანი, ეკლიანი ბუჩქნარით დაფარული მთის კალთა, სადაც ბუდობდნენ გველები და მორიელები. ეს გარემოება აუტანელს ხდიდა დათვალიერების წარმოებას. მომავალმა დაგვანახა, რომ ბოსერტი მართალი იყო. ნანგრევებში მან იპოვა მრავალი ფრაგმენტი, რომელთა შეერთებამ ახალი ორენოვანი წარწერა შეადგინა, სრულიად სხვა ტექსტით.

ყარა-თეფეში მუშაობა ჯერაც არ დამთავრებულა, ისევე, როგორც — ბოლან-ქოიში.

სუფილულიუმა და აზითავანდა განაგრძობენ თავიანთი საიდუმლოების თხრობას...

1951 წ. ბოსერტმა დამპატიჟა ყარა-თეფეში. ერთ საღამოს მე შევეურთდი ჯგუფს, რომელიც დაბინდებისას გაემართა აზითავანდას გამოსახულებისაკენ. ბოსერტს ხელში ეჭირა აცეტილენის ლამფა. ჩვენ ყველამ ერთად აღვნიშნეთ გათხრების შემდგომი ეტაპის დამთავრება და პატივისცემით თავი მოვიხარეთ ორიათას ხუთასი წლის წინათ მცხოვრები მეფის გამოსახულების წინაშე, მეფისა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს, ინება ჩვენთან დალაპარაკება.

## პერსაქტოვები

კვლევა-ძიებანი მარტო ყარა-თეფეში როდი გრძელდება. არც მხოლოდ ევროპელი არქეოლოგები არიან ახლა გათხრების ხელმძღვანელები. ქემალ ათათურქმა ანკარაში, მის მიერ შექმნილ უნივერსიტეტში, დააარსა ენათმეცნიერების, ისტორიული და გეოგრაფიული ფაკულტეტები. ისტორიისა და ხეთური ენის კათედრა მიენდო პროფესორებს ლანდსბერგერსა და გიუტერბოკს. მათზე ადრე ბოსერტი ლექციებს კითხულობდა სტამბოლში, სადაც უკვე არსებობდა გერმანუ-

ლი, ფრანგული და ინგლისური არქეოლოგიური ინსტიტუტები. ამ დაწესებულებებიდან გამოვიდა თურქ არქეოლოგთა და ხეთოლოგთა პირველი თაობა: ბოსერტის თანამემწე ბაჰადირ ალქიში, თაჰსინ ოზგუჩი და მისი. მეუღლე ნიშეთი, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ ყარა-ჰუიუქის, დიუნდართეფესა და ქიულ-თეფეს გათხრებს, აგრეთვე რემზი ოღუზარიჩი, ალაჯა-ჰუიუქის გათხრების მეორე ხელმძღვანელი.

ზოგი მათგანი სწავლობდა უცხოეთში; მაგალითად, ჰალეთ ჩამბელი — პარიზში (თურქეთში დაბრუნებისას იგი ბოსერტისა და ბიტელის თანამშრომელი გახდა), ჰამიდ ზუბეირ ქოშაი — ბუდაპეშტში (იგი დანიშნული იყო თურქეთის მუზეუმების მთავარ დირექტორად შას შემდეგ, რაც რამდენიმე გათხრას უხელმძღვანელა), ექრემ აკურგალი და სედათ ალბი — ბერლინში.

როცა ქემალ ათათურქი გარდაიცვალა (1938 წ.), მან თურქეთის ისტორიულ საზოგადოებას, რომელმაც ანატოლიის გამოკვლევის გეგმა შეადგინა, ისე დიდი თანხა დაუტოვა, რომ მისი წლიური შემოსავალი 125.000 თურქულ გირვანქას შეადგენს. ათათურქი იყო არა მარტო „თურქების მამა“ (ათათურქი ნიშნავს „თურქების მამას“), არამედ მთელი ახალი თაობის თურქ მეცნიერთა მამაც.


ბოლაზ-ქოისა და ჰამათს, სმირნასა და თელ-ხალაფის შუა მრავალ ადგილას დღესაც გრძელდება გათხრები. ახლა უკვე შედარებით ადვილად იკითხება ხეთური იეროგლიფური წარწერები. მათი გაშიფვრა საშუალებას გვაძლევს უკეთ გავცნოთ პირველი ინდოევროპული სახელმწიფოს — ხეთების სამეფოს. ამის იმედს იძლევა რას-შამრას (ყოფილი უგარიტის) გათხრები, რომელთაც აწარმოებდა ფრანგი არქეოლოგი კლოდ შეფერი.

სამოცდაათი წლის წინათ არაფერი ვიცოდით ხეთებსა და მათ იმპერიაზე. ლიცეუმებში დღესაც ასწავლიან ახალგაზრდებს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთისა და მცირე აზიის ისტორია დაწერილი იყო მესოპოტამიის მეფეთა და ფარაონთა მიერ. ავიწყდებათ, რომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ხეთების იმპერია წინა აზიაში მესამე დიდი

ძალა იყო, მისი დედაქალაქი — კი პოლიტიკური მიზიდულობის პოლუსი, ბაბილონისა და თებეს თანაბარი. თუ კულტურისა და ცივილიზაციის მხრივ ხეტები უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ, პოლიტიკურად მათ თვალსაჩინო ადგილი ეკავათ.

ასე მთავრდება ხეტების სახელმწიფოს აღმოჩენის ისტორია, ხათის ქვეყნის ზრდისა და დასასრულის ამბავი, იმ ენებისა და დამწერლობის სისტემების გაშიფვრა, რომელსაც ხეტები იყენებდნენ.

ეს ისტორია დაიწყო აღმოჩენით და აღმოჩენითვე მთავრდება. 1839 წ. შარლ ტექსიე პირველად ჩავიდა ბოლაზ-ქოაში, 1947 წ. კი ყარა-თეფეში იპოვეს ორ ენაზე შედგენილი წარწერა. ამ ორ თარიღს შორის მოხდა ისეთი მოვლენები, რომლებმაც ხეტების წარსულის აღდგენის საშუალება მოგვცა.



და, აი, კ. კერამის წიგნი — „ხეთების საიდუმლოება“, რომელიც კარგა ხანია გაიცნო გერმანელ, ინგლისელ, ფრანგ და რუს მკითხველთა ფართო წრემ, ქართულადაც ითარგმნა.

ითარგმნა იგი, სამწუხაროდ, ერთგვარი დაგვიანებით. ზუსტად ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს წიგნი პირველად გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე<sup>1</sup> (1955 წელს, ჰამბურგში. მისი თარგმანები მომდევნო წლებშივე გამოუღდა ლონდონში, პარიზში, მოსკოვში). თუმცა წიგნის ქართულად თარგმნა, ამავე დროს, დაემთხვა ხეთოლოგიის საიუბილეო თარიღს — ბ. პროზნის მიერ ხეთური ლურსმული წარწერების გაშიფერის 50 წელს, რომელსაც სიამაყით აღნიშნავენ მთელი მსოფლიოს ორიენტალისტები.

„ხეთების საიდუმლოების“ ქართულად გამოცემას ინტერესით შეხედება ქართველი მკითხველი, რომელიც დიდ ყურადღებას იჩენს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისადმი, საერთოდ, და მცირე აზიის უძველესი ხალხის — ხეთების ისტორიისადმი, კერძოდ. ეს საესებით გასაგებიცაა. ხეთების სამეფო ჩამოყალიბდა და მთელი საუკუნეები იარსება სწორედ ქართველურ ტომთა უძველესი განსახლების მეზობლად (სამხრეთდან). თავიანთი ძლიერების ხანაში ხეთების პოლიტიკურ გავლენაში მოექცა თითქმის მთელი მცირე აზია და მის მეზობლად მდებარე მრავალი რაიონი, რომელთაც უნდა განეცადათ ხეთური კულტურის გავლენაც. ამ რაიონთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავ-

---

<sup>1</sup> წიგნი გამოქვეყნდა სათაურით: „ვიწრო ხეობა და შავი მთა“ (თურქ. „ვიწრო ხეობა“ = ბოლაზ-ქოი, „შავი მთა“ = ყარა-თეფე). წიგნის ქართული სახელწოდება მომდინარეობს ფრანგული გამოცემიდან, რომლიდანაც ზოგიერთი შემოკლებით ითარგმნა წინამდებარე ნაშრომი (ასეთივე სახელწოდება აქვს ინგლისურ თარგმანსაც).

ლეთ კუთხეში მდებარე ოლქები, რომლებიც მოგვიანო ხანებში ქართველური ტომებით იყო დასახლებული.

ასე რომ, ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ ქართველი მკითხველი გაეცნობა იმ აღმოჩენებს, რომლებმაც ჩვენს თვალწინ გადაშალა თითქმის სრულიად უცნობი ფურცლები ქართველთა ამ ოდესღაც მეზობელი ხალხის ისტორიისა.

ბევრ თქვენგანს შეიძლება გაუკვირდეს კიდევ, როცა გაიგებს, რომ ადამიანი, რომელიც ასეთი გატაცებითა და საქმის ღრმა ცოდნით აღწერს ხეთოლოგიის — საზოგადოებრივ მეცნიერებათა ამ ერთ-ერთი ახალგაზრდა დარგის — გაჩენასთან და მის თანდათანობით განვითარებასთან დაკავშირებულ ამბებს, არ არის ხეთოლოგი-მეცნიერი. უფრო მეტიც. იგი საერთოდ არც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მკვლევარია. კ. კერამი, რომლის ნამდვილი გვარია კ. ვ. მარეკი, დასავლეთგერმანელი ეურნალისტი. მსოფლიოს ძველი ისტორიით გატაცებული მწერალმა შესანიშნავად შეისწავლა გუსული საუკუნისა და ჩვენი ეპოქის საინტერესო აღმოჩენების ისტორია, რომელთა წყალობით თანამედროვე მსოფლიომ გაიცნო ძველ ცივილიზაციათა მთავარი კერები. იგი თავის წიგნში „ღმერთები, აკლდამები, მეცნიერები“, რომელსაც უკვე კარგად იცნობს საბჭოთა მკითხველი რუსული გამოცემის მიხედვით (1960 წ.), წარმტყად, მიმოხილველი ვინთ მოუთხრობს მკითხველთა ფართო მასებს ტროას აღმოჩენის, მიკენის გათხრების, ეგვიპტური იერო-გლიფებისა და ლურსმული დამწერლობის გაშიფრვის, ტუტანჰამონის ცნობილი აკლდამის, მიაის ხალხის ძველი ქალაქებისა და სხვა დიდ აღმოჩენათა განსაცვიფრებელ ისტორიას. ეს ისტორია იმდენად საინტერესო, ცალკეული პერსონაჟებით, მათი განცდებითა თუ ხასიათებით იმდენად აღსაყვამ აღმოჩნდა, რომ კ. კერამმა თავის წიგნს „არქეოლოგიის რომანი“ უწოდა. ამ ნაწარმოებმა ავტორს შემდგომში დიდი სახელი შესძინა.

კ. კერამი ხეობთან დაკავშირებული აღმოჩენების საინტერესო ისტორიის მონდომებით შესწავლასთან ერთად გულისყურით გაეცნო უახლეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურასაც. მან გულდასმით დაათვალიერა მცირე აზიის ის ადგილები, სადაც ამჟამად წარმოებს დიდი არქეოლოგიური სამუშაოები და დღის სინათლეზე გამოაქვთ წინა აზიის ცივილიზაციათა ერთ-ერთი უძველესი ცენტრის — ხეთების ქვეყნის მატერიალური კულტურის ძეგლები. კერამმა პირადად გაიცნო ადამიანები, რომელთაც დიდი დეაწლი მიუძღვით მცირე აზიის უძველეს კულტურულ მონაპოვართა გაცოცხლებაში. ყოველივე ამან უდავოდ განაპირობა ის წარმატება, რაც ამჟამად წიგნს ხვდა წილად.

მართალია, კ. კერამმა თავის წიგნს არ უწოდა „ხეთოლოგიის რომანი“ და ჟანრის მხრივ არ დაუკავშირა თავისსავე ზემოხსენებულ „არქეოლოგიის რომანს“ (მიუხედავად იმისა, რომ, რო-

გორც თვითონ წერს წინასიტყვაობაში, შეიძლებოდა „ხეთების სა-  
-ოდუმლობა“ მეხუთე წიგნი, ე. ი. გვარძელეა ყოფილიყო ნაშრა-  
-მისა „ლმერთები, აკლამები, მეცნიერები“). მაგრამ ეს სრული-  
დაც არ ნიშნავს იმას, თითქოს „ხეთების საიდუმლობა“ ნაკლები  
ინტერესით იკითხებოდეს. კ. კერამმა მკითხველს მიაწოდა რომ-  
ანი თუ არა, პოპულარული ფორმით დაწერილი, კარგად საკითხავი  
წიგნი.

მეცნიერული კვლევის ზოგადი მეთოდების განხილვისას, თუ  
ხეთური კულტურული ძეგლების აღმოჩენაზე საუბრისას, კ. კერამი  
ყოველთვის ადამიანთა შორის ტრიალებს. ამაშია ამ წიგნის დიდი  
ღირსება. ავტორი გვაცნობს იმათ პორტრეტებს, რომელნიც ცდი-  
ლობდნენ ამოეხსნათ ხეთების საიდუმლობა. სხვადასხვა ხასიათე-  
ბის, განსხვავებული პოლიტიკური მსოფლმხედველობების, სხვადა-  
სხვა რელიგიური შეხედულების მატარებელ, თუ სხვადასხვა ეროვ-  
ნების ადამიანებს კ. კერამის წიგნში აერთიანებს ძლიერი ნებისყოფა,  
ფანტაზია, ნიჭი, ერუდიცია, რომელთა გარეშე საერთოდ წარ-  
მოუდგენელია მივიწყებულ ცივილიზაციათა ამეტყველება.

ხეთების აღმოჩენის ისტორია ძირითადად იმდენად სწორადაა  
გადმოცემული კერამის წიგნში, რომ უმნიშვნელო გამოწვევისას  
გარდა, დღესაც არ მოითხოვს აუცილებელ შესწორებათა შეტანას.  
დღეისათვის ერთგვარ შესწორებას საჭიროებს მხოლოდ ზოგიერთი  
მეცნიერული დებულება, რომლებიც დამაჯერებლად გამოიყურე-  
ბოდა 1955 წლისათვის, ე. ი. წიგნის დაწერის დროისათვის, და  
შეესაბამებოდა ხეთოლოგიის განვითარების მაშინდელ დონეს. 1955  
წლის შემდეგ კი ხეთოლოგიამ ახალი ნაბიჯები გადადგა წინ.

მცირე აზიაში ამ უკანასკნელ ხანებში ჩატარებულმა არქეოლო-  
გიურმა გათხრებმა მეცნიერებას შემატა ახალი ხეთური ლურსმუ-  
ლი წარწერები, მატერიალური კულტურის ახალი ძეგლები. ამ ხნის  
განმავლობაში გამოქვეყნდა მრავალი ახალი საყურადღებო მეცნი-  
ერული გამოკვლევა. ყოველივე ამან, ბუნებრივია, გამოიწვია ზო-  
გიერთ ძველ მეცნიერულ დებულებათა გადასინჯვა, დაზუსტება,  
რიგო საკითხების ახლებურად დასმა (ამავე პერიოდში ხეთოლოგი-  
ის რიგებს გამოაკლდა კ. კერამის წიგნის ერთ-ერთი მთავარი მო-  
ქმედი პირი — ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე პ. ბოსერტი). ამ  
რიგის რამდენიმე დებულება კერამის წიგნშიც გვხვდება. ასე რომ,  
ზედმეტი არ იქნება, თუ ქვემოთ გაკვრით მაინც შევხეებით ზო-  
გიერთ მათგანს.

დღესაც დამაჯერებლად გამოიყურება კერამის წიგნში გატარე-  
ბული აზრი იმის შესახებ, რომ პროტოხეთები (=ხათები) უნდა  
განეხილოთ როგორც მცირე აზიის ადგილობრივი, ავტოქთონური  
ტომები, რომლებიც ანატოლიის ცენტრალურ, ჩრდილოეთ და აღ-  
მოსავლეთ რაიონებში ბინადრობდნენ ინდოევროპული ტომებისა

ამავე მხარეში გამოჩენამდე (ეს არის სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად გაბატონებული აზრი). მართლაც, პროტოხეთების გავრცელება დიდ ტერიტორიაზე დასტურდება თუნდაც იმ ფაქტით, რომ სახელწოდებები მრავალი გეოგრაფიული პუნქტისა, რომლებიც მდებარეობდნენ მცირე აზიის სხვადასხვა რაიონში (დასავლეთ და სამხრეთ მცირე აზიის გამოკლებით), წარმოშობის მიხედვით აშკარად პროტოხეთურია. ასეთი გეოგრაფიული სახელწოდებები დიდხანს შემორჩა ძველი მცირე აზიის ტოპონიმიკას. დიდ ტერიტორიაზე ამ ტომების გავრცელებაზე უნდა ლაპარაკობდეს ფაქტები, რომელთა თანახმად პროტოხეთური ენის ძლიერი გავლენა განიცადა მოგვიანო ხანებში მცირე აზიაში გაბატონებულმა არა მარტო ნესიტურმა ენამ, არამედ ფალაურმაც, რაც ამ ენებზე მოლაპარაკე ტომების უშუალო კონტაქტითაა ასახსნელი. ფალაურ ენაზე მოლაპარაკენი კი, როგორც ცნობილია, ნესიტებისაგან განსხვავებულ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ (მკვლევართა ერთი ჯგუფის მიხედვით — მცირე აზიის ჩრდილოეთში, ხოლო მეორისა — მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ან აღმოსავლეთში. საინტერესოა, რომ პროტოხეთური ენის ძლიერი გავლენა არ განუქვია ლუვიურ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდნენ მცირე აზიის სამხრეთი რაიონების მკვიდრნი).

პროტოხეთურ ენაზე შედგენილი იმ მცირერიცხოვანი ტექსტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, პროტოხეთების პოლიტიკური გაერთიანებები საკმაოდ განვითარებული უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ამ ტექსტებში მოხსენიებულია „შეფე“, „დედოფალი“, „დიდი ტახტი“, „ტახტი“, „ლაშქარი“, „ბატონი“ და ა. შ. III ათასწლეულის (განსაკუთრებით შუა და ბოლო ხანების) არქეოლოგიური მასალა ცენტრალური მცირე აზიიდან (ალაჟა-ჰუიუქიდან, ალიშარ-ჰუიუქიდან, ბოლან-ჰოიდან, ქოულ-თეფედან და სხვ.) კარგად ადასტურებს აღნიშნულ რაიონში მცხოვრებთა ქონებრივ დიფერენციაციას. ეს მხარე მნიშვნელოვნად ყოფილა დაწინაურებული კულტურულადაც.

მაგრამ კ. კერამის წიგნში შესასწორებელია ის ადგილები, სადაც საუბარია ინდოევროპული ტომების მცირე აზიაში გამოჩენის დროის შესახებ. ავტორის მიხედვით, ინდოევროპელები მცირე აზიას „შესიყვნენ“ ძვ. წ. XX საუკუნეში. ახალი ხეთოლოგიური გამოკვლევებიდან კი ჩანს, რომ ამ ხანისათვის მცირე აზიაში ინდოევროპელები უკვე საკმაოდ ფენოკიდებული უნდა ყოფილიყვნენ. ე. წ. „კაადოკიური“ ფირფიტების მიხედვით, რომლებიც ასახავენ ძვ. წ. XX—XIX საუკუნეების ამბებს, ინდოევროპული წარმოშობის სახელების მატარებელი პიროვნებები ცხოვრობდნენ და მოსაქმობდნენ მცირე აზიის ძალზე დიდ ტერიტორიაზე. უკვე ამ დროისათვის პროტოხეთური და ინდოევროპული წარმოშობის საკუთარ სახელთა ურთიერთშეფარდება აშკარად ლაპარაკობს



ინდოევროპული ელემენტის სასარგებლოდ. ეს კი ერთგვარი მაჩვენებელია იმისა, რომ ძვ. წ. XX საუკუნისათვის ინდოევროპული ელემენტი გაბატონებული უნდა ყოფილიყო მცირე აზიაში. აქედან გამომდინარე, ინდოევროპელთა გამოჩენა ანატოლიაში ძვ. წ. XX საუკუნეზე უფრო ადრეული ხანებისათვის არის სავარაუდო (მოგვიანო ხანებში კი ინდოევროპელები გაბატონებულ ეთნიკურ ჯგუფს ქმნიდნენ თითქმის მთელ მცირე აზიაში).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სპეციალისტები ვერ პოულობენ სათანადო ფაქტებს, რომლებიც დაადასტურებდა მცირე აზიაში ინდოევროპელთა „შესვლას“ (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით). თუ ასეთ რამეს მართლაც პეონდა ადგილი, იგი ძალზე ადრეულ ხანებში უნდა მომხდარიყო, რაკი სათანადო ასახვა ვერ პოვა წყაროებში. „შემოსევის“ დამადასტურებელი საიმედო ფაქტები სპეციალისტებმა ვერ გამოიხსნეს ვერც არქეოლოგიის მოშველიებით. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს საბჭოთა ხეთოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდი, რომლის თანახმადაც ინდოევროპელი ტომები თანდათან უნდა გავრცელებულყვნენ პროტოხეთებით დასახლებულ ტერიტორიაზე და ასევე თანდათან შერწყმოდნენ პროტოხეთურ ტომებს (შუამდინარეთის ანალოგიურად, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებს — შუმერებს თანდათან, ძირითადად მშვიდობიანი გზით, შერწყნენ სემიტურ ტომები).

დღეისათვის კვლავ გადაუჭრელი რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ სახელდობს საიდან უნდა მოსულიყვნენ ინდოევროპელები მცირე აზიაში. ამ უკანასკნელ წლებში სხვადასხვა სპეციალისტის მიერ ინდოევროპული ტომების მცირე აზიაში მოსვლის გზებთან (ე. წ. „ბალკანური“, „კავკასიური“ გზები) დაკავშირებით წამოყენებული ვარაუდები ჭერჭერობით მეცნიერულად არ მტკიცდება.

კ. კერამი თავის წიგნში გაკვრით ეხება აგრეთვე ხეთური დამწერლობის წარმოშობის საკითხს. იგი სწორად აღნიშნავს, რომ ხეთებმა თავიანთ დამწერლობას საფუძვლად არ დაუდეს ლურსმული დამწერლობის ის სახეობა, რომელიც ცენტრალურ მცირე აზიაში იყო გავრცელებული ასურული სავაჭრო კოლონიების დროს — ე. წ. „კაპადოკიური“ დამწერლობა (დაახლოებით ძვ. წ. XX—XIX სს.-ისა). ამავე დროს, იგი წერს, რომ ხეთური დამწერლობა არის ლურსმულის სულ სხვა სახე, რომელიც სხვაგან არსად არ გვხვდება. კერამისათვის გაურკვეველია, საიდან უნდა გადმოეღოთ ხეთებს ლურსმული დამწერლობის განსაკუთრებული სახეობა.

ხეთური ლურსმული დამწერლობის წარმოშობაზე საუბრისას კ. კერამი სწორად მოიქცა, როდესაც არ გამოიყენა სამეცნიერო ლიტერატურაში იმ დროს გაბატონებული წებულულება, რომლის თანახმადაც ხეთებს თავიანთი დამწერლობა ხურიტებისაგან უნდა გადმოეღოთ. სწორედ ამ უკანასკნელ წლებში გაიჩნდა, რომ ხე-

თებს ხურიტებისაგან არ უნდა შეეთვისებინათ ლურსმული დამწერლობა. როგორც საბჭოთა ხეთოლოგიურ ლიტერატურაში (თ. გამყარელიძის მიერ) აღინიშნა, ხეთური ლურსმული დამწერლობა უნდა მომდინარეობდეს აქადური ლურსმული დამწერლობის იმ სახეობიდან, რომელიც ჩრდილოეთ სირიაში იყო გავრცელებული ძვ. წ. 11 ათასწლეულის დასაწყისში (აქედან უნდა შეეთვისებინათ დამწერლობა ხურიტებსაც), როცა ინტენსიური კულტურული კავშირები არსებობდა ანატოლიასა და ჩრდილოეთ სირიას წორის ამასვე კარგად ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემებიც.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ხეთური იეროგლიფური დამწერლობის წარმოშობასთან დაკავშირებითაც. მართალია, კერამის წიგნში ამ საკითხზე პირდაპირ არაფერია ნათქვამი. მაგრამ ხეთურ იეროგლიფებზე საკმაოდ ვრცელი მონათხრობის შემდეგ, შესაძლოა თვითონ მკითხველს შეეკმნას შთაბეჭდილება, რომ რაკი ამ იეროგლიფების დიდი ნაწილი ნაპოვნია ჩრდილოეთ სირიაში, ხოლო დანარჩენი — ცენტრალურ მცირე აზიაში (ძირითადად ხათუსაში). ხეთური იეროგლიფური დამწერლობაც ამავე რაიონებში უნდა წარმოშობილიყო. კერამის წიგნის დაწერის დროისათვის ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობდა კიდევ, ამ დამწერლობის საწყისები ჩრდილოეთ სირიაში ეძებნათ. მაგრამ ჭერ კიდევ ამ წიგნის წერის პროცესში და, განსაკუთრებით, მისი გამოქვეყნებას შემდეგ, მკვლევართა განკარგულებაში გაჩნდა ფაქტები, რომლებიც განსხვავებული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობაზე მიუთითებდნენ. საქმე ისაა, რომ სამხრეთ მცირე აზიის რიგ ადგილებში (აგრეთვე ქიულ-თეფეში) არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნ ნივთებზე, რომლებიც ქრონოლოგიურად ძვ. წ. 2500—1900 წლებს განეკუთვნებან, სპეციალისტებმა შენიშნეს ხეთური იეროგლიფების მსგავსი ცალკეული ნიშნები. ახლა სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ნიშნებს განიხილავენ როგორც ხეთური იეროგლიფების პროტოტიპებს, ე. ი. აღრეულ ნიმუშებს, თუმცა ისინი ჭერჯერობით არ იკითხება. ამის შემდეგ, ბუნებრივია, რომ ხეთური იეროგლიფური დამწერლობის წარმოშობა სამხრეთ მცირე აზიაში, ლუვიელებით დასახლებულ ტერიტორიაზე ვივარაუდოთ. ზედმეტად არ იქნება მკითხველს ისიც ვაცნობოთ, რომ ხეთური იეროგლიფური წარწერების ენას სპეციალისტები აახლოვებენ სწორედ ლუვიურთან და ზოგჯერ მას ლუვიურ იეროგლიფურსაც უწოდებენ (ლუვიური ლურსმული ენისაგან განსასხვავებლად).

კერამის წიგნში მკითხველი შეხვდება აგრეთვე მტკიცებას იმის შესახებ, რომ სასაქელის არხევამი ხეთური კანონები ლობიერებას იჩენდნენ. ასეთი მტკიცება ზუსტად არ ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას. ამ შემთხვევაში აწკარად მიჩქმალულია კლასობრივი პრინციპი. როგორც საბჭოთა ისტორიკოსების მიერ არა ერთხელ არის აღნიშნული, სხვა ძველდამოსავლური კანონებისაგან განსხვავ-

ეუბით ხეთური კანონები იურიდიული ნორმების დადგენისას ზოგჯერ მართლაც გამოიყურება „ლმობიერად“. ისინი განასხვავებენ ერთმანეთისაგან „განზრახ“ და „შემთხვევით“ მკვლელობას. მაგრამ, ამავე დროს, იგივე კანონები სრულიადაც არ იჩენს „ლმობიერებას“ საზოგადოების ყველა წევრისადმი. თუ გარკვეულ შემთხვევებში ხეთური კანონები „პუმანიურად“ ეპყრობიან საზოგადოების თავისუფალთა ფენებს (ზოგიერთ შემთხვევაში თავისუფალთა მხოლოდ ზედაფენებს), ისინი არასოდეს არ იჩენენ ამ „ლმობიერებას“ საზოგადოების არათავისუფალ ფენათა წარმომადგენლებისადმი.

კერამის წიგნში აქა-იქ კიდევ შეიძლება შეგვხვდეს ისეთი აღვლიები, რომლებიც დაზუსტებას, ერთგვარ დახვეწას მოითხოვს. მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით. მასში საერთოდ სწორად არის წარმოდგენილი პირველი დიდი აღმოჩენების ისტორია ხეთოლოგიის დარგში. სწორედ ეს არის მთავარი. მით უმეტეს, როცა ვაიხსენებთ, რომ კ. კერამი არ არის ხეთოლოგი-სპეციალისტი, და ეს ნაშრომი არც აცხადებს პრეტენზიას იყოს წმინდა მეცნიერული. ამასთანავე, შეიძლება მივეუთოთოთ ზოგადი ხასიათის შენიშვნებზეც. მაგალითად, კერამის წიგნში ბევრი არაფერია ნათქვამი ისეთ მეცნიერებებზე, რომელთაც არა ერთი ხეთური „საიდუმლოება“ ამოიცნეს (ა. ვიოტე, ი. გელბი, პ. მერიჯი, ე. ლაროში); აქა-იქ წიგნში ვაზუიადებულია ზოგიერთი ფაქტის მნიშვნელობა, ანდა ხანდახან შეინიშნება ძირითადი საკითხიდან მნიშვნელოვნად გადახვევა და ა. შ. მაგრამ ყველაფერი ეს არ უქარგავს ღირსებას წიგნს. რომელიც პირველი ცდაა ხეთოლოგიურ აღმოჩენათა ისტორიის შედარებით ფართო და პოპულარული ფორმით გადმოცემისა.

მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს ის, რომ კერამის წიგნში არაფერია ნათქვამი საბჭოთა ხეთოლოგებზე. ხეთოლოგია ჩვენში ძალზე ახალგაზრდა მეცნიერებაა. იგი სულ ათიოდე წელია, რაც მთელი ძალით ალაპარაკდა საბჭოთა კავშირში, თუმცა ხეთოლოგიის ცალკეულ საკითხებზე მანამდეც არა ერთ საბჭოთა მკვლევარს უმუშავნია და დღესაც არა ერთი აღმოსავლეთმცოდნე მუშაობს. მაგალითად, ხეთების სახელმწიფოს სხვადასხვა აქტუალური საკითხები დამუშავებული აქვთ აწ განსვენებულ აკად. ვ. სტრუვესა და პრაფ. ი. დიაკონოეს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი არა ერთხელ დაინტერესებულა ხეთების სამეფოს რიგი საკითხების კვლევით თავის ნაშრომებში, რომლებმაც მას დიდი სახელი მოუხვეჭა.

საბჭოთა ხეთოლოგი-სპეციალისტები ახლა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში მოღვაწეობენ. ლენინგრადში პროტოხეთურ ენას წარმატებით იკვლევს ირინა დუნაევსკაია, მოსკოვში უაღრესად სასარგებლო მუშაობას ეწევა ხეთური ენის ცნობილი სპეციალის-

ტი ვიჩენს ივანოვი, მინსკში სულ ახლახან გამოჩნდა ხეთოლოგი-ისტორიკოსი გ. დოვგიალო. ხეთების ქვეყნის ენისა და ისტორიის საკითხებს სწავლობენ ერევანშიც (ვ. ხაჩატრიანი, ლ. ბარსე-ლიანი).

ქართველ ხეთოლოგებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა ხეთოლოგიის განვითარებაში. უკვე კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნისა და მის ფარგლებს გარეთ თამაზ გამყრელიძის ხეთოლოგიურ (ენათმეცნიერულ) ნაშრომებს, ელუარდ მენაბდის გამოკვლევებს, მიძღვნილს ხეთების სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიური საკითხებისადმი. ხეთურ იეროგლიფურ დამწერლობასა და ენას სწავლობს ისტორიკოსი ნანა ხაზარაძე. ხეთების ისტორიას იკვლევს ამ სტრიქონების ავტორიც.

მომავალში, ეკვი არ არის, კიდევ უფრო გაიზრდება რიცხვა საბჭოთა ხეთოლოგებისა, რომლებიც ძველი წინა აზიის ამ ერთ-ერთი დიდი ხალხის — ხეთების ისტორიის ბევრ ახალსა და საინტერესო საკითხს გამოიკვლევენ. ხეთოლოგიის ძირითადი პრობლემების დამუშავების გარდა, ქართველმა ხეთოლოგებმა უნდა შეისწავლონ აგრეთვე ორი დიდი მეზობელი სამყაროს — ძველი სამხრეთ ამიერკავკასიისა, კერძოდ, საქართველოსა და ძველი მცირე აზიის — კულტურულ ურთიერთობათა ისტორია (ამ ორ სამყაროს შორის არსებული სავაზოდო კონტაქტების დამადასტურებლად მეცნიერებს არა ერთი საინტერესო ფაქტი მოუყვანიათ დღემდე!). ამ უკანასკნელ ხანებში ქართველი არქეოლოგების, ენათმეცნიერებისა და ისტორიკოსების მიერ ცალკეული საკითხების ახლებურად დასმა იმის საწინააღმდეგადაა, რომ ამ ურთიერთობათა კვლევა-ძიება მომავალში ახალ ფაზაში შევა.

მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ხეთების „საიდუმლოებანი“ დღეისათვის მთლიანად არის ამოცნობილი. კ. კერამის წიგნში ვცნობით ამ „საიდუმლოებათა“ მხოლოდ ნაწილს, დღეისათვის ამოხსნილს. ხეთების ისტორიასთან დაკავშირებით კი კვლავაც ბევრი რამ არის სინბნელით მოცული. ახალი არქეოლოგიური გათხრები მცირე აზიასა და მის მოსაზღვრე რაიონებში (მათ შორის სამხრეთ ამიერკავკასიაში), გაძლიერებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ხეთოლოგიასა და მის მომიჯნავე დარგებში, უდავოდ მოამზადებს ნიადაგს იმისათვის, რომ ფარდა აეხადოს ხეთების სხვა „საიდუმლოებასაც“. შესაძლოა, მომავალში ვიხილოთ კიდევ კ. კერამის წიგნის მსგავსი ნაშრომი, რომელშიც პოპულარული ფორმით იქნება მოთხრობილი ხეთოლოგიის დარგში ამ ახალი აღმოჩენების ისტორია.

გ რ . გ ი ო რ გ ა ძ ე ;

## შინაარსი

შესავალი . . . . .	3
I. არსებობის საიდუმლოება	
აღმოჩენა და წინათგონობა . . . . .	7
„ძველი აღთქმა“ და ახალი გამოკვლევანი . . . . .	26
ვინკლერი თხრის ბოლან-ქოის . . . . .	47
II. დამწერლობის საიდუმლოება	
გაშიფვრის ხელოვნება . . . . .	65
ლაპარაკობდნენ თუ არა ხეტები ხეტურად? . . . . .	81
„არაფრისაგან შეუძლებელია რაიმეს გაშიფვრა“ . . . . .	89
III. ძალაუფლების საიდუმლოება	
ხათუსას მეფეები . . . . .	106
მეცნიერება ისტორიული თარიღების შესახებ . . . . .	115
კადქშის ბრძოლა და საუკუნო ზავი . . . . .	134
ქალაქები და ქვეყნები, ხალხი და მისი ზნე-ჩვეულებანი . . . . .	174
IV. სიკოცხლის განჯრძობის საიდუმლოება	
აღმოჩენა შავი მთის ძირას . . . . .	181
ლაპარაკობს აზითაიანდა . . . . .	197
პერსპექტივები . . . . .	206
ბოლოსიტყვაობა . . . . .	209

რედაქტორები მ. ბაქრაძე და მ. სოხაძე  
რეცენზენტი გრ. გიორგაძე  
მხატვარი ე. ბერძენიშვილი  
მხატვ. რედაქტორი ი. ქლიბაძე  
ტექნორედაქტორი ლ. ქვარცხავა  
კორექტორი ლ. სულთანიშვილი

ხელმოწერილია დასაბუქდად 27/X11-65 წ.  
ქალაქის ზომა 84X108<sup>1</sup>/<sub>32</sub>  
ნაბეჭდი თაბახი 13,75  
საარბიტრაჟო-საგამომცემლო თაბახი 10,44  
ტირაჟი 10.000 შიკე № 188<sup>0</sup>  
ფაბი 00 კაპ.